

„ცოდნა, სწავლა-განათლება დაუშრეტელი წყაროა, როგორც კაცად მყოფობისათვის, ისეც თავის სარჩენად, ქონების და სარჩოს მოსაპოვებლად... მცოდნე კაცი... ქვასაც წყალს გამოაღენს, სიმდიდრის წყაროს იქ ამოახეთქებს, საცა უცოდინარს სიზმარშიც არ მოეჩვენება.“

(ილია)

საქართველოს განათლების მეცნიერებათა  
აკადემიის  
მ თ ა მ ბ ე

**NEWSLETTERS  
OF  
ACADEMY OF EDUCATIONAL SCIENCES OF GEORGIA**

**№22**

თბილისი - TBILISI  
2023

რეცენზირებადი და რეფერირებადი პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“ გამოდის საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის გადაწყვეტილებით.

### **სარედაქციო საბჭო:**

**ზურაბ ხონელიძე** - სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, **როინ მეტრეველი** - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, **ნათელა ვასაძე** - საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის საპატიო პრეზიდენტი, **ავთანდილ ასათიანი** - საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის თანაპრეზიდენტი, **გიორგი სოსიაშვილი** - საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, **ლიუდმილა ბეჟენარუ** - იასის უნივერსიტეტის პროფესორი (რუმინეთი), **სერგეი ბოგდანოვი** - სანკტ-პეტერბურგის გერცენის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის რექტორი (**რუსეთი**), **რაფაელ გუსმან ტირადო** - გრანადის უნივერსიტეტის პროფესორი (ესპანეთი), **დენ დევიდსონი** - საერთაშორისო განათლების ამერიკული საბჭოების პრეზიდენტი (აშშ), **იან კე** - გუანჯოუს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი (ჩინეთი), **ვენტა კოცერე** - ლატვიის აკადემიური ბიბლიოთეკის დირექტორი, **ირენა კუდლინსკა** - ეკონომიკის უნივერსიტეტის პროფესორი (პოლონეთი), **კლავდია ლასორსა** - რომის უნივერსიტეტის (ლა საპიენცე) ემერიტუს - პროფესორი (იტალია), **სვეტლანა ტერ-მინასოვა** - მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი, რუსეთის პედაგოგთა გაერთიანებული ასოციაციის პრეზიდენტი.

### **სარედაქციო კოლეგია:**

**ავთანდილ ასათიანი** - მთავარი რედაქტორი

**ნათელა მაღლაკელიძე** - მთავარი რედაქტორის მოადგილე

**მარინე აროშიძე, რევაზ ბალანჩივაძე, იმერ ბასილაძე, ლუბა ბიბილეიშვილი, ჯამბუ ავალიანი, როზა გაბეჩავა, ლია მენთეშაშვილი, ეკატერინე ბაკარაძე, ალექსანდრე მღებრიშვილი, ინდირა ძაგანია.**

ჟურნალის გამოცემა უზრუნველყო გორის სახელმწიფო უნივერსიტეტმა (რექტორი ალექსანდრე მღებრიშვილი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრი).

**Scientifically Reviewed and Referenced Periodical Journal “Moambe of the Georgian Academy of Education Sciences“ issued by the decision of the Georgian Academy of Education Sciences**

### **Editorial Board:**

**Zurab Khonelidze** - Head of the Editorial Board, President of the Georgian Academy of Education Sciences, rector of Sokhumi State University, **Roin Metreveli** –president of the Science Academy of Georgia, **Natela Vasadze** – Honored president of the Georgian Academy of Education Sciences, **Avtandil Asatiani** – Co-president of the Georgian Academy of Education Sciences, **Giorgi Sosiashvili** - Vice- President of the Academy of Educational Sciences of Georgia, **Ludmila Bezhenaru** – Professor at IAS University (Romania), **Sergey Bogdanov** – Rector of St. Petersburg Gertsen University (Russia), **Rafael Gusman-Tirado** – Professor at Granada University (Spain), **Dan Davidson** – President of the American Councils for International Education (USA), **Yan Ke** – Professor at Guanjo University (China), **Claudia Lasorsa** – Emeritus Professor at Rome University (La Sapienza) (Italy), **Svetlana Ter-Minasova** – Honored President of Moscow Lomonosov State University, President of Russia’s United Association of Teachers.

### **Editors:**

**Avtandil Asatiani** – editor in chief

**Natela Maghlakelidze** – deputy editor in chief

**Marine Aroshidze, Revaz Balanchivadze, Lia Menteshashvili, Ekaterine Bakaradze, Imer Basiladze, Luba Bibileishvili, Jambu Avaliani, Roza Gabechava, Aleksandre Mgebrishvili, Indira Dzaganian.**

The journal was published by Gori State University (Rector – Aleksandre Mgebrishvili, Member of the Academy of Educational Sciences of Georgia)

# ს ა რ ჩ ე ვ ი

## ზოგადი პედაგოგიკა

თეიმურაზ გიორგაძე - ინტერვიუ, როგორც ერთ-ერთი სასწავლო მეთოდი .....	8
ირინე გოგიბერიძე - მოსწავლეთა ეფექტურ შეფასებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის შესახებ .....	12
მამული ბუჭუხიშვილი - თამაშის როლი სწავლება-სწავლის პროცესში .....	17
ავთანდილ ასათიანი, ეკა მგელაძე, - მეწარმეობის საფუძვლების სწავლების პრობლემები საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში .....	21
არჩილ სამადაშვილი, ქეთევან ილურიძე - ციფრული პედაგოგიკა - დღევანდელი საგანმანათლებლო პარადიგმის საფუძველი .....	27

## დაწყებითი სკოლა

ჯამბუ ავალიანი, თეიმურაზ ქურციკიძე - დაწყებითი სკოლა - სწავლა-აღზრდის ძირი და ფუძე .....	33
ქეთევან არჩვაძე, ქეთევან ქუთათელაძე - მასწავლებელთა თანამშრომლობა - გზა პროფესიული წინსვლისა და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესისა ---	40
ირმა ჩხიკვაძე - რიცხვითი უტოლობების გამოყენება განმავითარებელი და საძიებო ტექსტური ამოცანების ამოხსნისას დაწყებით კლასებში .....	50
ნანა ონიანი - დაწყებით კლასებში საძიებო, საოლიმპიადო და არასტანდარტული ამოცანები, როგორც ლოგიკური უნარ-ჩვევების განვითარების საშუალება .....	57
მალვინა შანიძე - გრამატიკის ელემენტარული საკითხების შესწავლა ტექსტებზე მუშაობისას და დამოუკიდებელი სავარჯიშოების მეშვეობით დაწყებითი საფეხურის II – III კლასებში .....	63
გიორგი ბრეგაძე, გიორგი ბერძულიშვილი - ტექსტური ამოცანების ამოხსნის სწავლების ზოგიერთი მეთოდიკური თავისებურება დაწყებით კლასებში .....	71

## საგანთა სწავლების მეთოდიკა

ნოდარ ცაგარეიშვილი, თორნიკე ხეცურიანი - ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში: ისტორიის სწავლების გაძლიერება თანამედროვე ტექნოლოგიების მეშვეობით .....	78
ლია მენტემაშვილი - ვაჟა-ფშაველას „შელის ნუკრის ნაამბობის“ სწავლებისათვის ----	85
გიორგი ბერძულიშვილი - ფუნქციური განტოლებების ამოხსნის ერთი მეთოდის შესახებ .....	91
ბაკურ ბაკურაძე - ხდომილობის ალბათობის გამოთვლის ერთი ხერხის შესახებ .....	98
იაგორ ბალანჩივაძე - მოსწავლეთა სწავლის ხარისხის გაუჯობესება სხვადასხვა აქტივობებით მათემატიკის გაკვეთილზე .....	105

## უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა

იმერი ბასილაძე, მაია ახვლედიანი, ლალი აბდალაძე - რეფლექსიურ-შეფასებითი აქტივობის საკითხისათვის უმაღლეს სასწავლებელში .....	110
--	-----

## განათლების ფსიქოლოგია

ლია ქურხული - რეფლექსიურ-შეფასებითი აქტივობის საკითხისათვის უმაღლეს სასწავლებელში .....	119
ნინო მოდებაძე, დავით მახაშვილი - ქცევითი ინტერვენციების ეფექტურობა ინტელექტუალური დარღვევის მქონე მოსწავლეებისათვის .....	129

## განათლების და პედაგოგიკის ისტორია

იმერი ბასილაძე, შალვა კირთაძე - ახალი სკოლის იდეების გავრცელება XX საუკუნის დასაწყისის საქართველოში და მათი დანერგვის მეთოდოლოგია ქუთაისის რეალური სასწავლებლის მაგალითზე .....	135
თამარ დოგრაშვილი - დაწყებითი სკოლების მასწავლებლები XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში .....	144
თამარ დოგრაშვილი - დაწყებითი სკოლების მასწავლებლების კადრებით უზრუნველყოფა და ინსპექტირება XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში ----	150
ავთანდილ ასათიანი, თეიმურაზ ქურციკიძე - მასწავლებლობა, როგორც უძველესი საქმიანობა და პროფესია.....	155
ნოდარ ბასილაძე - ზაქარია ჭიჭინაძე და აჭარა .....	165

## რელიგიური პედაგოგიკა

ავთანდილ ასათიანი - აღზრდის იდეები თორაში .....	177
---	-----

## განათლების მენეჯმენტი

გელა ცაავა - ადამიანური პოტენციალის განვითარება თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემაში .....	189
---	-----

## ჩვენი იუბილარები

რეზო ბალანჩივაძე .....	195
ლიანა ასათიანი .....	196
ლალი ბოჭორიშვილი .....	197
გივი ლობჯანიძე .....	198
ვახტანგ სართანია .....	200
კახა ქორიძე .....	202
გიორგი მათიაშვილი .....	204
მურადი მთვარელიძე .....	205

## გამოსათხოვარი

ინეზა იამანიძე .....	208
აკაკი ზოიძე .....	210

# Contents

## GENERAL PEDAGOGY

Teimuraz Giorgadze - Interview as one of the teaching methods -----	8
Irine Gogiberidze - About some issues related to the effective assessment of students -----	12
Mamuli Buchukhishvili - The role of the game in the teaching-learning process -----	17
Avtandil Asatiani, Eka Mgeladze - Problems of teaching the basics of entrepreneurship in secondary schools in Georgia -----	21
Archil Samadashvili, Qetevan Iluridze - Digital pedagogy - the basis of today's educational paradigm -----	27

## ELEMENTARY SCHOOL

Jambu Avaliani, Teimuraz Kurtsikidze - The Foundation and Roots of Primary Education -----	33
Ketevan Archvadze, Ketevan Kutateladze - Teacher cooperation - the way to professional advancement and student-centered learning process -----	40
Irma Chkhikvadze - Use of numerical inequalities in solving the developmental and exploratory word problems in the primary grades -----	50
Nana Oniani - The exploratory, olympiad, and non-standard problems in the primary grades as a means of developing logical skills -----	57
Malvina Shanidze - Studying elementary grammar issues while working on texts and through independent exercises in grades II-III of the primary level -----	63
Giorgi Bregadze, Giorgi Berdzulishvili - Some methodological features of teaching to solve the word problems in the primary grades -----	71

## METHODOLOGY OF TEACHING DISCIPLINES

Nodar Tsagareishvili, Tornike Khetsuriani - In the age of digital technologies: Enhancing historical learning through modern technology -----	78
Lia Menteshashvili - For Teaching Vazha-Pshavela's "The Young Deer's Narrated" -----	88
Giorgi Berdzulishvili - On one method of solving functional equations -----	91
Bakur Bakuradze - About one method of calculating probability of event -----	98
Iagor Balanchivadze - Improving the quality of students' learning through various activities in math class -----	105

## HIGHER EDUCATION PEDAGOGY

Imeri Basiladze, Maia Akhvlediani, Lali Abdaladze - For the issue of reflective-evaluative activity in higher education -----	110
--	-----

## PSYCHOLOGY OF EDUCATION

Lia Kurkhuli - The role of the social network in the formation of the child's aggressive behavior -----	119
Nino Modebadze, Davit Makhashvili - Efficiency of behavioral interventions for students having intellectual disorders -----	129

## HISTORY OF PEDAGOGY AND EDUCATION

Imeri Basiladze, Shalva Kirtadze - The spread of New School Ideas at the beginning of the 20th century in Georgia and the introduction of methodology in the Kutaisi Real School -----	135
Tamar Dograshvili - Primary school teachers in Georgia in the second half of the 19 th century ---	144
Tamar Dograshvili - Staffing and inspection of primary schools in Georgia in the second half of the 19 th century -----	150
Avtandil Asatiani, Teimuraz Kurtsikidze - Teaching as an ancient activity and profession -----	155
Nodar Basiladze – Zakaria Chichinadze and Adjara -----	165

## RELIGIOUS PEDAGOGY

Avtandil Asatiani - Parenting ideas in the Torah -----	177
--	-----

## EDUCATION MANAGEMENT

Gela Tsaava - Development of Human Potential in the Modern Educational System -----	189
---	-----

## JUBILEES

Rezo Balanchivadze -----	195
Liana Asatiani -----	196
Lali Bochorishvili -----	197
Givi Lobzhanidze -----	198
Vakhtang Sartania -----	200
Kakha Khoridze -----	202
Giorgi Matiashvili -----	204
Murad Mtvarelidze -----	205

## FAREWELL

Ineza Iamanidze -----	208
Akaki Zoidze -----	210

# ზოგადი პედაგოგიკა

თეიმურაზ გიორგაძე  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ასოცირებული პროფესორი

## ინტერვიუ, როგორც ერთ-ერთი სასწავლო მეთოდი

**რეზიუმე:** ინტერვიუ, ეს არის მიზანმიმართული საუბარი, რომლის ამოცანაა პროგრამით გათვალისწინებული კითხვებისადმი გაცემული პასუხების საშუალებით საჭირო ინფორმაციის მღება.

ინტერვიუ არ არის მხოლოდ საინფორმაციო ჟანრი, არც მხოლოდ ერთი ადამიანის მეორესთან საუბრის გადმოცემის სალიტერატურო ხერხი, რაც მკითხველთა ფართო აუდიტორიისთვის არის განკუთვნილი. ინტერვიუ ამავდროულად არის საკუთარი თავის შესახებ ინფორმაციის მატარებელი და ამავდროულად სხვისგან მიღებული ინფორმაციის გადმოცემა.

სტატიაში მოყვანილია კონკრეტული მაგალითი და ჩამოყალიბებულია ინტერვიუს შესაბამისი კითხვები.

**საკვანძო სიტყვები:** ინტერვიუ; ემპირიული; კომუნიკაციის უნარები; სოციალური უნარები; საკვლევი კითხვა.

ინტერვიუ, ეს არის მიზანმიმართული საუბარი, რომლის ამოცანაა პროგრამით გათვალისწინებული კითხვებისადმი გაცემული პასუხების საშუალებით საჭირო ინფორმაციის მღება. ინტერვიუ ფართოდ გამოიყენება სოციალური პრაქტიკის მრავალ სფეროსა და სხვადასხვა მეცნიერებაში (ფსიქოლოგიაში, ჟურნალისტიკაში, მედიცინაში, კრიმინოლოგიაში და ა.შ). ემპირიულ სოციოლოგიაში ინტერვიუ ვერბალური სოციალური ინფორმაციის მოპოვების ერთ-ერთი ძირითადი მეთოდია. ინფორმაციის მიღება ხდება ინტერვიუერის რესპოდენტთან მიზანდასახული საუბრის საშუალებით. საუბრის მიმართულებას განსაზღვრავს საკვლევი პრობლემა, რომელიც აინტერესებს მკვლევარს და რომელიც მოცემული კონკრეტული სოციალური კვლევის საგანია.

ინტერვიუ არ არის მხოლოდ საინფორმაციო ჟანრი, არც მხოლოდ ერთი ადამიანის მეორესთან საუბრის გადმოცემის სალიტერატურო ხერხი, რაც მკითხველთა ფართო აუდიტორიისთვის არის განკუთვნილი. ინტერვიუ, ამავდროულად არის საკუთარი თავის შესახებ ინფორმაციის მატარებელი და ამავდროულად სხვისგან მიღებული ინფორმაციის გადმოცემა.

არაერთ ახალ სახელმძღვანელოში შევხვდებით დავალებებს, რომელიც ინფორმაციის შეგროვების სხვადასხვა მეთოდის გამოყენებას ითხოვს. მასწავლებელი ინფორმაციის მოსაპოვებლად იყენებს სხვადასხვა მეთოდებს და ამ მეთოდებს შორისაა ინტერვიუც.

ინტერვიუ, ეს არის მეთოდი, რომელიც ავითარებს: კომუნიკაციის უნარებს, სოციალურ უნარებს, კრიტიკულ აზროვნებას, ანალიტიკურ აზროვნებას, შემოქმედებით აზროვნებას ტრანსფერულ უნარებს.



ინტერვიუს სახეებია:

ინტერვიუ თვითმხილველთან - თუ კი რაიმე საგნისათვის მნიშვნელოვანი, საინტერესო რამ მოხდა და მას ჰყავს თვითმხილველები. ამ შემთხვევაში მიმართავენ ინტერვიუს ამ ფორმას. ბუნებისმეტყველებაში ეს შეიძლება იყოს მაგალითად, ბუნებრივი მოვლენების (ან კატასტროფის) თვითმხილველი, მათემატიკაში შეიძლება იყოს მათემატიკის ოლიმპიადის მონაწილეებთან ინტერვიუ, ლიტერატურაში კი - რომელიმე მწერლის წიგნის პრეზენტაციის მონაწილე და ა.შ. ინტერვიუ შეიძლება დავიწყოთ კითხვებით: რა? სად? როდის? როგორ? თუკი თვითმხილველის პასუხებიდან ამა თუ იმ მოვლენის შესახებ გვინდა შევქმნათ გარკვეული სურათი, სასურველია სხვა თვითმხილველებიც მოვიძიოთ და მათაც დავუსვათ ანალოგიური კითხვები.

აზრის გამოკითხვა რაიმეს შესახებ - ნებისმიერი სოციალურ-ეკონომიკური, ეკოლოგიური საკითხების ირგვლივ საინტერესოა აზრის შესწავლა. ამ შემთხვევაში კითხვა იწყება „რატომ?“ კითხვითი სიტყვით და ცდილობენ სრულად გაიგონ გამოკითხულის აზრი, რაიმე ობიექტის თუ მოვლენის შესახებ.

მაგალითად, მოსწავლეს მასწავლებელმა თხოვა მოეთხრო, გაკვეთილების შემდეგ დარჩენილი დრო როგორ გაატარა.

მოსწავლე - გაკვეთილების შემდეგ სახლში მივედი. დედამ და მეზობელმა მთხოვეს მაღაზიაში წასვლა

მასწავლებელი - რატომ?

მოსწავლე - იმიტომ, რომ უნდა მეყიდა ძეხვი, შაქარი და პური.

მასწავლებელი - პროდუქტების ოდენობა რამდენი იყო?

მოსწავლე - დამავალეს მეყიდა 14 კგ. ძეხვი, 18 კგ. შაქარი და 12 ცალი პური. ჩვენ დიდი ოჯახები გვყავს.

მასწავლებელი - მაინც რამდენი ადამიანი ცხოვრობს თქვენს და მეზობლის ოჯახში?

მოსწავლე - ჩვენი ოჯახი სულ 9 სულისგან შედგება, ხოლო მეზობლის სულ 11 სულისგან.

მასწავლებელი - ხომ არ ჩამოთვლით თქვენი ოჯახის წევრებს.

მოსწავლე - დედა, მამა, ბებია, ბაბუა, ასევე მყავს 2 და და 2 ძმა.

მასწავლებელი - რა თანხა დაგიჯდა პროდუქტების ყიდვა?

მოსწავლე - ძეხვი დამიჯდა 210 ლარი, შაქარი 27 ლარი, ხოლო პური 16 ლარი და 80 თეთრი; ე.ი სულ 253 ლარი და 80 თეთრი.

მასწავლებელი - ასე სწრაფად როგორ იანგარიშე?

მოსწავლე - მე ვიცი 20-ის ფარგლებში სწრაფი გამრავლების წესი.

მასწავლებელი - შეგიძლიათ უფრო დეტალურად ახსნათ?

მოსწავლე - რა თქმა უნდა, მაგალითად ძეხვი 1 კგ ღირდა 15 ლარი და უნდა მეყიდა 14 კგ, ამიტომ მოვიქეცი ასე: 15-ს მივუმატე 4 და მიღებულ რიცხვს მივუწერე 0, შემდეგ ამ შედეგს დავუმატე 5-ისა და 4-ის ნამრავლი და ანუ  $15 \cdot 14 = (15+4) \cdot 10 + 5 \cdot 4 = 210$ ; ანალოგიურად, შაქარი ღირდა 1 ლარი და 50 თეთრი ანუ 1,5 ლარი და აქაც ჯერ 15 გავამრავლე 18-ზე იგივე წესით -  $15 \cdot 18 = (15+8) \cdot 10 + 5 \cdot 8 = 230 + 40 = 270$ , ხოლო შემდეგ თუ 10-ობით ნიშანს მოვაცილებთ დაგვრჩება 27 ლარი და პური ღირდა 1,4 ლარი; აქაც  $14 \cdot 12 = (14+2) \cdot 10 + 2 \cdot 4 = 168$  თუ 168-ს 10-ობით ნიშანს მოვაცილებთ დაგვრჩება 16,8 ლარი და მათი ჯამი კი არის 253,8 ლარი.

მასწავლებელი - თანხა რამდენი წაიღე და მერე როგორ განაწილდა პროდუქტი?

მოსწავლე - 150 ლარი დედამ გამატანა და 150 ლარი მეზობელმა, ამიტომ დარჩენილი ხურდა 46 ლარი და 20 თეთი გავანაწილე ასევე 7-7 კგ ძეხვი, 9-9 კგ შაქარი და 6-6 ცალი პურიც აიღეს, მოკლედ ყველაფერი თანაბრად განაწილდა.

ამრიგად, ამ ინტერვიუთი გავიგეთ მოსწავლის და მისი მეზობლის ოჯახის სულადობა; 20-ის ფარგლებში ზეპირი სწრაფი გამრავლების წესი, რომელსაც ასე კარგად ფლობდა მოსწავლე; პროდუქტების ოდენობა, რომელიც თანაბრად გაინაწილეს ოჯახებმა.

ინტერვიუ პორტრეტი - თუ გვინდა რომელიმე გამორჩეულ ადამიანზე წარმოდგენა ინტერვიუთი შევქმნათ, ამისათვის საჭიროა წინასწარ შევავროვოთ ინფორმაცია რესპონდენტზე, რათა შეხვედრამდე შევქმნათ გარკვეული შთაბეჭდილება ობიექტზე; უნდა შევძლოთ კითხვების მომზადება და გაუგებარი დეტალების დაზუსტება. ასეთი მოსამზადებელი სამუშაო საბოლოო ჯამში მასალას უფრო მრავალფეროვანს ხდის.

სასწავლო პროცესში ინტერვიუს ჩართვა თავისი ეტაპები გააჩნია: მოსამზადებელი სამუშაო, კითხვების ჩამოყალიბება, ინტერვიუ, მასალის დამუშავება და ანალიზი, კვლევის შედეგების ნაშრომის სახით ჩამოყალიბება, პრეზენტაცია, შეფასება.

დავახასიათოთ თითოეული ეტაპი:

მოსამზადებელი სამუშაო - ამ ეტაპზე მასწავლებლის როლი მნიშვნელოვანია. იგი უნდა დაეხმაროს მოსწავლეებს ინტერვიუს სწორად დაგეგმვაში. რაც უფრო ზედმიწევნით დაიგეგმება სამუშაო, მით უფრო ნაკლები წინაღობები იქნება უშუალოდ მუშაობის პროცესში.

კითხვების ჩამოყალიბება - მოსამზადებელი სამუშაოს დასრულების შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეს ავალეს, მოიფიქროს ინტერვიუს ორი ან სამი კითხვა. ამის შემდეგ მასწავლებელი ატარებს გონებრივ იერიშს, რომლის დროსაც უნდა შეჯერდეს მოსწავლეთა მიერ მოფიქრებული საკვლევი კითხვები. თავდაპირველად ყველა კითხვა აღინუსხება დაფაზე, ხოლო შემდეგ ხდება ამ კითხვების მიზანშეწონილობის გარკვევა: ხომ არ შეიძლება მათი უკეთ ფორმულირება, ხომ არ იმეორებენ კითხვები ერთმანეთს. ამ მიზნის მისაღწევად მასწავლებელი მოსწავლეებს ეკითხება, თუ რატომ აირჩიეს ესა თუ ის საკვლევი კითხვა და რომელ მათგანს ანიჭებენ პრიორიტეტს. თითოეული საკვლევი კითხვა საფუძვლად უნდა დაედოს ინტერვიუს კითხვარს.

ის, თუ რამდენად კარგადაა მომზადებული კითხვები, ინტერვიუს მიზნის რეალიზების საშუალებას იძლევა; თუკი კითხვაში პასუხი იკითხება, ასეთი კითხვა ინტერვიუსთვის უვარგისია.

ინტერვიუ - ინტერვიუს ჩაწერა თუ ელექტრონული გზით ვერ ხერხდება, მაშინ აუცილებელია მოსწავლეებმა წყვილებში იმუშაონ: ერთი სვამს კითხვებს, ხოლო მეორე აკეთებს ჩანიშვნებს (ინტერვიუს დასრულებიდან, რაც შეიძლება სწრაფად უნდა მოხდეს ჩანიშვნების საფუძველზე რესპოდენტის პასუხებს წერილობის ჩამოყალიბება).

მასალის დამუშავება და ანალიზი - ინტერვიუს დამუშავებასა და ანალიზის დროს მოსწავლეებმა უნდა გაითვალისწინონ შემდეგი საკითხები:

- ა) რამდენად კარგი იყო რესპონდენტის მეხსიერება;
- ბ) შეიძლება თუ არა მიღებული პასუხები სანდოდ მივიჩნიოთ;
- გ) რესპონდენტის მიერ გაეცა თუ არა პასუხი შეკითხვებს;
- დ) საჭიროა თუ არა გადამოწმდეს რესპონდენტის მიერ მოწოდებული ინფორმაცია
- ე) იყო თუ არა რესპონდენტი აშკარად ტენდენციური, თავის რომელიმე პასუხში.
- ვ) რამდენად ღირებულია კონკრეტული ინტერვიუ.

ინტერვიუს შედეგების ნაშრომის სახით ჩამოყალიბება - მოსწავლეებმა ნაშრომში უნდა წარმოაჩინონ, თუ რა არის მთავარი მიგნება, ნაშრომს აუცილებლად უნდა ჰქონდეს სტრუქტურა:

ა) შესავალი - არჩეული თემის მოკლე მიმოხილვა (რატომ არის ეს თემა მნიშვნელოვანი? რატომ დაინტერესდნენ ისინი ამ თემით?);

ბ) ძირითადი ნაწილი - როგორ და რატომ მივიდნენ მოსწავლეები ამ მიგნებამდე; საჭიროა დაერთოს კითხვარის რაოდენობრივი ანალიზი;

გ) საურველია მომზადდეს თვალსაჩინოებები;

დ) დასკვნა - თემის ძირითად ნაწილში გამოთქმული არგუმენტებისა და მოსაზრებების შეჯამება.

პრეზენტაცია - პრეზენტაციის მომზადებისას გათვალისწინებული უნდა იყოს რა აუდიტორიისთვის მზადდება იგი. მას უნდა დაერთოს მომზადებული თვალსაჩინოებები, ინტერვიუდან საინტერესო პასაჟები, მთავარი მიგნებები.

შეფასება - საბოლოო შეფასება ხდება წინასწარ მომზადებული კრიტერიუმების გამოყენებით, რომელშიც ასახულია, როგორც მოსწავლის მიერ ჩატარებული ინტერვიუ, ასევე, კვლევის შედეგად შექმნილი ნაშრომი და ნაშრომის წარმოადგენის ფორმატი (პრეზენტაცია, ესსე, ქეისი და ა.შ)

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. მასწავლებლის ბიბლიოთეკა 2014: მასწავლებლის ბიბლიოთეკა ინტერაქტიური სწავლების მეთოდები თბილისი, 2014.
2. <http://mastsavlebeli.ge>

**Teimuraz Giorgadze**  
**Akaki Tsereteli State University**

### **Interview as one of the teaching methods**

#### **Abstract**

An interview is a purposeful conversation, the task of which is to obtain the necessary information through the answers given to the questions provided by the program.

The interview is not just a news genre, nor just a literary way of conveying one person's conversation with another, intended for a wide audience of readers. An interview is at the same time a carrier of information about oneself and at the same time a transfer of information received from others.

The article gives a specific example and formulates relevant questions.

**Keywords:** interview; empirical; communication skills; social skills; research question;

## მოსწავლეთა ეფექტურ შეფასებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის შესახებ

*რეზიუმე:* სწავლის თანამედროვე შეფასებების სტრატეგია კომპლექსურია და ერთდროულად რამდენიმე როლს ასრულებს. ის ავლენს, თუ რა ისწავლა მოსწავლემ, რამდენად კარგად ახსნა ეს მასალა მასწავლებელმა, გვიჩვენებს მიღწევების გასაუმჯობესებელ გზას და სხვ. შეფასების მექანიზმი ასახავს მასწავლებლის და მოსწავლის მიღწევებს, თუ რა უბიძგებს ბავშვებს, უკეთ ისწავლონ, რისი შეცვლაა საჭირო, იქნება ეს შინაარსის გადამუშავება, ღირებულებები, უნარები თუ სხვ. შეფასებამ შეიძლება სწავლაზე ნეგატიური გავლენაც მოახდინოს და პოზიტიურიც. სტატიაში გაანალიზებულია შეფასების სტრატეგიები და მოყვანილია მათი ორ ათეულზე მეტი განსხვავებული სტრატეგია. პრაქტიკით დადასტურებულია, რომ უკეთესია უფრო მეტი შეფასების სტრატეგიის გამოიყენება და შესაძლებელია სწავლებისა და შეფასების შერწყმა, რომ დაეხმაროს სწავლებას ზედმეტი ემოციური დაძაბულობის გამოწვევის გარეშე.

*საკვანძო სიტყვები:* სწავლის შეფასება, სტრატეგია, უკუკავშირი, რუმბიკები, ტესტი.

მასწავლებლის სამუშაო სხვადასხვა დღეს სხვადასხვანაირი შეიძლება იყოს, ზოგჯერ წარმატებული, ზოგჯერ კი ჩავარდნებსაც ჰქონდეს ადგილი. ჩვენი საუკეთესო მოსწავლეები შეიძლება ძალიან კარგად სწავლობდნენ, მაგრამ მათაც აქვთ ისეთი დღეები, როცა ან/ვერ ახერხებენ გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები. ამიტომ მასწავლებელს შეფასებისთვის ჭირდება ახალი მეთოდები. სიტყვა შეფასებას ბევრი იყენებს როგორც გამოცდის, ტესტის ან მოკლე ტესტის სინონიმს. თანამედროვე მსოფლიოში ეს შორსაა სიმართლისგან. დღევანდელი შეფასებები ბევრად უფრო კომპლექსურია, უფრო მეტ სიახლეს გვთავაზობს და უფრო საჭიროა, ვიდრე ოდესმე. კარგი შეფასება ასრულებს რამდენიმე როლს. ის აფასებს, თუ რა ისწავლა მოსწავლემ და რამდენად კარგად ახსნა ეს მასალა მასწავლებელმა. ამავე დროს, ის გვიჩვენებს მიღწევების გასაუმჯობესებელ გზას. შეფასების მექანიზმი ასახავს მასწავლებლის და მოსწავლის მიღწევებს, თუ რა უბიძგებს ბავშვებს, უკეთ ისწავლონ, რისი შეცვლაა საჭირო, იქნება ეს შინაარსის გადამუშავება, ღირებულებები, უნარები თუ სხვ.

მიმდინარე შეფასებამ შეიძლება სწავლაზე ნეგატიური გავლენაც მოახდინოს და პოზიტიურიც. შეფასება გვაძლევს მნიშვნელოვან ინფორმაციას, რომელიც დაგვეხმარება სწავლების და სასწავლო აქტივობების გაუმჯობესებაში. ჩვეულებრივ, მასწავლებლები იყენებენ პირველადი შეფასების მონაცემებს, როდესაც ცდილობენ გამოარკვიონ, თუ რა სახის ცვლილებაა საჭირო სასწავლო პროცესში მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად. [2].

ბევრი სპეციალისტი ამბობს, შეფასების დანიშნულებაა მოსწავლეთა მიღწევების გაუმჯობესება და არა მხოლოდ მათი კონტროლი. შეფასების უმნიშვნელოვანესი მიზანია მოსწავლის სწავლის ხელშეწყობა და არა ძველი სტრატეგია, რომელიც მიზნად ისახავდა მოსწავლის გამოჭერას, თუ ის ვერ ჩააბარებდა ტესტს ან გამოცდას. ეფექტური შეფასებები,

თუ მათ ხშირად და სწორად ჩავატარებთ, გაზრდის მოსწავლეთა სწავლის დონეს. ფაქტობრივად, შეფასება მასწავლებლის ყველაზე მნიშვნელოვანი ხელსაწყოა და ეხმარება მას სასწავლო მიზნების მიღწევაში, რადგან მოტივაციას უმაღლებს ბავშვებს. მიღებული ინფორმაცია სიგნალებს უგზავნის ტვინის უჯრედებს, რომლებიც თავის მხრივ იწვევს სხვა უჯრედების აქტივობას. სხვა სიტყვებით, ასეთ დროს უჯრედების მიერ ათვისებული ინფორმაციას, თუ რა არ უნდა გააკეთონ მათ, ისეთივე ეფექტი აქვს, რაც იმ ინფორმაციას, რომლითაც უჯრედები იგებენ, თუ რა უნდა გააკეთონ. ამიტომ კონსტრუქციული და კრიტიკული, მაგრამ ნეგატიური შეფასება უფრო დაეხმარება მოსწავლეს, ვიდრე მხოლოდ დადებითი მხარეების აღნიშვნა, რაც, მართალია, მორალურად ამხნეებს მას, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სწავლაში საუკეთესო შედეგების მიღწევა მხოლოდ შეცდომების დაშვებითა და მათი გამოსწორებით შეიძლება.

შეცდომებზე სწავლა საუკეთესო მეთოდია. მუშაობის შესახებ უწყვეტად ინფორმაციის მიწოდების იდეას მხარს უჭერენ ფსიქოლოგები. მისი მთავარი აზრი დეტალებშია. როდესაც მასწავლებელი აწვდის მოსწავლეს ინფორმაციას მისი მუშაობის შესახებ, ამ უკუკავშირის განხორციელების უამრავი გზა არსებობს, მათ შორის ლოკალური, გლობალური, პერსონალური და შედეგზე გათვლილი.

იდეალურ შემთხვევაში პასუხი იქნება ლოკალური, სპეციფიკურ საკითხზე კონცენტრირებული ან გლობალური, განზოგადებული. ასევე შესაძლებელია როგორც რომელიმე კონკრეტული პიროვნების, ისე მთლიანი დავალების შეფასება. შეფასებებიდან ლოკალური უარყოფითი შეფასება ყველაზე ეფექტურია, ხოლო გლობალური უარყოფითი - ყველაზე არაეფექტური. გასათვალისწინებელია, რომ შეფასების და განხილვის ობიექტი არის დავალება და არა მისი შემსრულებელი.

დადებითი უკუკავშირი ეფექტურობის სკალის შუაში მდებარეობს. შეფასება ნაკლებად ეფექტურია, როდესაც ის აფასებს მთლიანად შესრულებულ სამუშაოს. ყველა ადამიანი სხვადასხვაგვარად რეაგირებს შეფასებაზე და ამ შემთხვევაში უფრო მისაღები, ცხადია, დადებითი შეფასებაა, ვიდრე - უარყოფითი. მაგრამ დადებითი შეფასებასთან ერთად არსებობს უარყოფითი შეფასებაც, რომელიც ზოგჯერ დადებით შეფასებაზე უკეთესია. რატომ არის უარყოფითი შეფასება დადებით შეფასებაზე უკეთესი? დადებითი შეფასებისას მოსწავლე იღებს ინფორმაციას უკვე მიღწეული წარმატების შესახებ. ამ შემთხვევაში საჭირო არ არის ცვლილება ან შესწორება, ამიტომ ის არ გააუმჯობესებს სწავლას მომავალში. უარყოფითი შეფასებებისას კი დრო უმნიშვნელოვანესი ფაქტორია: ნეგატიური უკუკავშირი უნდა მივიღოთ წარმატების წინ. ამ გზით, წარუმატებლობას ტვინი აფიქსირებს და მომავალში შეცდომას აღარ იმეორებს. ამრიგად, ნეგატიური ინფორმაცია უფრო დიდ გავლენას ახდენს მოსწავლეზე, ვიდრე - პოზიტიური. ასევე, ნეგატიური შეფასება უფრო მეტ მოტივაციას აძლევს მოსწავლეს სწავლისთვის. ეს ინფორმაცია უნდა მიაწოდოთ ბავშვებს სწორად, ზუსტად ისე, როგორც მათ მისი მიღება ურჩევნიათ. მასწავლებლებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ შეფასების და განხილვის ობიექტი დავალებაა და არა ავტორი [4].

შეფასების სტრატეგიები შესაძლებელია გამოყენებული იქნეს როტაციის პრინციპით, რაც საშუალებას იძლევა უფრო მეტ მოსწავლეს მივაწვდინოთ ხმა. გამოცდილებით დასტურდება, რომ ზოგიერთ მოსწავლეს უადვილდება წერა, ზოგს - საუბარი, ზოგს - პრეზენტაცია ან ტესტირება. რაც უფრო მეტი შეფასების სტრატეგიას გამოიყენებთ, მით

მეტი შესაძლებლობა ექნებათ მოსწავლეებს, თავი გამოიჩინონ. ქვემოთ ჩამოთვლილია შეფასების რამდენიმე საშუალება:

- მოსწავლეებისთვის მიცემული დავალების მიხედვით უნდა აიგოს შეფასების მოდელი, რომელიც თავსებადი იქნება შეფასების არსებულ სტანდარტებთან.
- გამოიყენეთ მოსწავლეთა ურთიერთშეფასება, მაგალითად, მოსწავლეები აქვეყნებენ საკუთარ ნაშრომებს, შემდეგ კლასი ქმნის შეფასების რუბრიკებს და ერთმანეთის ნაშრომებს უკეთებენ კომენტარებს.
- შეიძლება შემოღოთ ავტორთან სასაუბრო დღე. ერთი მოსწავლე იქნება ავტორი, ხოლო დანარჩენები მოსწავლეები დაუსვამენ მას კითხვებს.
- შესაძლებელია სხვადასხვა თამაშების შემუშავება, რომლებშიც მოსწავლეები ერთმანეთს შეეჯიბრებიან. თამაში შეიძლება შეფასდეს ქულებით.
- შეიმუშავეთ სხვადასხვა ჰიპოთეზა შესაფასებელი საკითხის მიმართ და გამოსცადეთ ისინი კლასში.
- შესაძლებელია ურთიერთშეფასების გამოყენება. მოსწავლეთა ნამუშევრები მივაწოდოთ სხვა მოსწავლეებს, რომლებიც მათ შეაფასებენ სხვადასხვა კრიტერიუმით.
- მოახდინეთ შეფასებები მოსწავლეთა ნამუშევრების პრეზენტაციების დროს.
- შეფასებისას შეიძლება გამოვიყენოთ აუდიო/ვიდეო ჩაწერა. შემდეგ ჩავატაროთ განხილვები და ვაჩვენოთ მათ ჩანაწერები, საკუთარი ქცევის დანახვა ბევრ მოსწავლეს გააოცებს და დააფიქრებს, რაც მათთვის კარგი გაკვეთილი იქნება.
- შეიძლება გამოყენებული იქნეს გრაფიკული დღიური. მოსწავლეები ალაგებენ და ახარისხებენ ყველა გუშინდელ კარგ აზრს, რითაც ჩვენ ვიღებთ ინფორმაციას მათი ცოდნის შესახებ.
- შესაძლებელია მოსმენის, ათვისების და განხილვისათვის წერილი პრინციპის გამოყენება. როდესაც მოსწავლეთა ერთი ჯგუფი მზად იქნება, მივცეთ ნება, მეორე ჯგუფს მოუსმინონ, ასე ისინი ერთმანეთისგან ბევრს ისწავლიან.
- დავალების მიცემისას შეიძლება გაცდეთ სტანდარტებს. დავალება შეიძლება მივცეთ წიგნიდან, ვებგვერდიდან ან რუბრიკიდან, მაგრამ მნიშვნელოვანია გარკვეული მიმართულების და რჩევების მიცემა.
- მიეცით მცირე მოცულობის საშინაო დავალება, რომლის შესრულებასაც სულ ცოტა 10-15 წუთი მაინც დაჭირდება.
- გამოიყენეთ ტესტირება ყოველი თავის გავლის შემდეგ ახალი თავის დაწყებამდე. მოსწავლეები მიიღებენ მნიშვნელოვან ინფორმაციას თავიანთი ცოდნის შესახებ, მიეცემათ საშუალება შეაფასონ საკუთარი თავი.
- შესაძლებელია რუბრიკების დაწესება. მოსწავლეები მიეჩვევიან და ისწავლიან, თუ რა არის საჭირო რუბრიკის გაძღოლისათვის.
- შესაძლოა გამოყენებული იქნეს ყოველკვირეული მოკლე ტესტები, ვთქვათ, ყოველ ორშაბათს ან ხუთშაბათს. მასწავლებელი ამ დღეს დაარქმევს მოკლე ტესტის დღეს. მოსწავლეებმა შეიძლება შეადგინონ კითხვების ნახევარი, მასწავლებელმა კი-მეორე ნახევარი.
- გამოიყენეთ მშობლებთან კავშირი. მოსწავლეებმა შეიძლება მიიღონ იდეები სხვაგან და გამოიყენონ ისინი კლასში.
- დაყავით კლასი მცირე სადისკუსიო ჯგუფებად. როდესაც ჯგუფურ განხილვას უძღვება გამოცდილი ლიდერი, მცირე ჯგუფებმა შეიძლება ძალიან კარგი უკუკავშირი დაამყარონ და შეაფასონ ერთმანეთი.

- გამოიყენეთ გონებრივი იერიში. მოსწავლეები გამოთქვამენ აზრებს, ხოლო შემდეგ აფასებენ გამოთქმულიდან საუკეთესო იდეებს.

- შეიძლება ჩაატაროთ ექსპერიმენტები. გამოიყენოთ ყოველდღიური ნივთები რათა მოსწავლეებმა დაინახონ კავშირი მოქმედებასა და შედეგს შორის.

მიუხედავად იმისა, რომ ეს სია შორს არის სრულყოფილებისაგან, მასში ნათლად ჩანს მთავარი გზავნილი - შეფასებამ ბავშვებს არ უნდა აურიოს გონება. მასწავლებლის დანიშნულებაა შეარჩიოს კლასზე მორგებული რამდენიმე ეფექტური შეფასება, რომელსაც შემდეგში გამოიყენებს როგორც საფუძველს და ნელ-ნელა დაუმატებს ახალ მეთოდებსა და სტრატეგიებს.

ზოგჯერ შეფასების შემდგომმა უკუკავშირმა მოსწავლეებში გარკვეული სტრესი შეიძლება გამოიწვიოს. პედაგოგიურ ლიტერატურაში განიხილავენ უკუკავშირით გამოწვეული სტრესის რეგულირების გზებს. მოსწავლეთა უმრავლესობა დიდ ყურადღებას უთმობს მასწავლებლის კომენტარებს, ზოგიერთისთვის კი თანაკლასელთა კომენტარები უფრო მნიშვნელოვანია. მასწავლებელმა ყურადღება უნდა მიაქციოს მოსწავლეებს, რომ ყველას მიეცეს თავის გამოჩენის საშუალება. ინტერაქტიული უკუკავშირი მასწავლებლის კომენტარზე ბევრად უკეთესია. პრაქტიკით დასტურდება, რომ მოსწავლეების მიერ შექმნილი რუბრიკების გამოყენებას კარგ შედეგებზე გავყავართ, ისევე, როგორც კრიტიკულობით განსაზღვრული უკუკავშირს. უკუკავშირის გამოყენება ძალიან აადვილებს ჩატარებული ტესტირებს შემდგომ სამუშაოს, მაგრამ არ არის აუცილებელი, უკუკავშირი მასწავლებლიდან პირდაპირ მოსწავლისაკენ იყოს მიმართული. ხშირ შემთხვევაში ფარული უკუკავშირი უკეთეს შედეგს იძლევა აშკარა უკუკავშირზე. მოსწავლეებისთვის იმის თქმა, რომ მათ 15 კითხვაზე არასწორად გასცეს პასუხი, არაეფექტურია. ამის მაგივრად, უმჯობესია უთხრათ მათ, რომ გაიმეორონ ის მეთოდები, რომლებიც შემდგომი ტესტირებისას დაეხმარება დავალების შესრულებაში. როდესაც მოსწავლეები ამ მეთოდებს ერთმანეთთან განიხილავენ, დისკუსიის ბოლოს მასწავლებელმა უნდა გამოხატოს თავისი პოზიცია. მოსწავლეთა ჩართულობა გაიზრდება და ის ფაქტი, რომ პირველი შეფასება და კომენტარები მათ თანაკლასელებისგან მიიღეს, შეარბილებს მასწავლებლის უკუკავშირს.

მიზანშეწონილია უკუკავშირის შეთავაზება მოსწავლეებისთვის ყოველ 30 წუთში. ეს დაეხმარებათ მოსწავლეებს გამოასწორონ შეცდომები, ხოლო მასწავლებლებმა შეაჯამონ მოსწავლეების შესრულებული დავალება. უკუკავშირისთვის საჭირო აქტივობების რაოდენობა შეზღუდული არ არის. ერთი რომელიმე უკუკავშირის გამოყენება არაეფექტურია, ასე, რომ, ნუ მიაწიჭებთ უპირატესობას ერთ ან ორ კონკრეტულ აქტივობას.

შეამოწმეს სხვადასხვა უკუკავშირის გამოყენების სტრატეგია მიღწევებისა და განვითარების კუთხით [3]. მათ აღმოაჩინეს, რომ უკუკავშირის სტრატეგიის სხვადასხვა დონე სხვადასხვაგვარად მუშაობს, თუმცა ყველა მათგანი ზრდის მოსწავლის მიღწევებს. თუ თქვენი მოსწავლეების 60 %-ს მოსწონს ერთი კონკრეტული სტრატეგია, გამოიყენეთ ის, დაიმახსოვრეთ, მაგრამ მასთან ერთად სხვა სტრატეგიებსაც ნუ დაივიწყებთ. სამწუხაროდ, არც ერთ სტრატეგიას არ ექნება 100 %-იანი შედეგი ყოველი გამოყენებისას. ზოგისთვის უკუკავშირი ისეთი მარტივი სტრატეგიით მიიღება, როგორცაა მასალის შეჯამება. კიდევ ერთი რამ უკუკავშირის შესახებ: ის უფრო მეტია, ვიდრე, უბრალოდ, კარგი იდეა. ის მოსწავლეს უჩენს სურვილს, გახდეს უკეთესი, ვიდრე არის.

ყოველთვის შეუძლებელია თითოეული ბავშვი ზუსტად მოერგოს ტესტის პირობებს. ასევე, ყოველთვის შეუძლებელია შერჩეულ იქნეს იდეალური სტრატეგია და შედეგი მაშინვე

დადგეს, მაგრამ, დროთა განმავლობაში, შესაძლებელია სწავლებისა და შეფასების შერწყმა, რომ დაეხმაროს სწავლებას და არც ზედმეტი ემოციური დაძაბულობა გამოიწვიოს.

კარგ შედეგს იძლევა პრაქტიკაში მასწავლებლის მიერ ერთი კვირის ან ერთი თვის განმავლობაში შერჩეული იქნეს ერთი რომელიმე სტრატეგია და დანერგოს ის. როგორც კი მასწავლებელი ამ მეთოდს კარგად მოირგებს, მზად იქნება მეორის გამოსაყენებლად. დროთა განმავლობაში მასწავლებელი სხვადასხვა სტრატეგიის ერთდროულად გამოყენებასაც ისწავლის, რაც აისახება მოსწავლეთა შეფასებების გაუმჯობესებაში.

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ერიკ იანსენი-სუპერსწავლება 2010: ერიკ იანსენი-სუპერსწავლება 1000-ზე მეტი პრაქტიკული სტრატეგია. მეოთხე გამოცემა. სსიპ ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, წიგნი ითარგმნა საქართველოს განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტისთვის საერთაშორისო განვითარების ასოციაციის (IDA) შუამდგომლობით. გამოსაცემად მომზადდა გამომცემლობა „დიოგენეში“. თბილისი, 2010.

2. Black, P. J., & William. D. (1998). Assessment and classroom learning. *Assessment in Education*, 5, 7- 74.

3. Lee, D. D., & Francis, M. (1994). The effect of varied feedback strategies on students' cognitive and attitude development. *International Journal of Instructional Media*. 21(1), 13-21.

4. Kluger, A., & DeNisi, A. (1996). The effects of feedback interventions on performance: A historical review, a meta-analysis, and a preliminary feedback intervention theory. *Psychological Bulletin*, 119, 254- 284.

Irine Gogiberidze

**Assistant Professor of Akaki Tsereteli State University**

### **About some issues related to the effective assessment of students**

#### **abstract**

The strategy of modern learning assessments is complex and plays several roles simultaneously. It reveals what the student learned, how well the teacher explained the educational material, shows ways to improve achievement, and so on. The assessment mechanism reflects the teacher's and student's achievements, what motivates the children to learn better, what needs to be changed, be it content revision, values, skills, etc. Assessment can have both negative and positive effects on learning. The article analyzes the assessment strategies and lists more than two dozen different strategies. Practice has shown that it is better to use more assessment strategies and it is possible to combine teaching and assessment to support learning without causing excessive sensations of emotional stress.

**Keywords:** learning assessment, strategy, feedback, rubrics, test.



## თამაშის როლი სწავლება-სწავლის პროცესში

**რეზიუმე:** თამაში არის აქტივობის სახეობა სიტუაციებში, რომელიც მიზნად ისახავს სოციალური გამოცდილების ხელახლა შექმნას და ათვისებას, რომელშიც ყალიბდება და უმჯობესდება ქცევის თვითმართვა. თამაშების უმეტესობას აქვს რამდენიმე ძირითადი მახასიათებელი კრეატიული, („შემოქმედების სფერო“); („ემოციური დაძაბულობა“); ხელმისაწვდომობა.

თამაშის ფორმებს შორის განსაკუთრებით გამოირჩევა საქმიანი თამაში. რომელიც არის ტრენინგის საკმაოდ შრომატევადი და რესურსების ინტენსიური ფორმა, ამიტომ ის უნდა იქნას გამოყენებული მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც შეუძლებელია სწავლების სხვა ფორმებითა და მეთოდებით დასახული საგანმანათლებლო მიზნების მიღწევა.

თამაშის მთავარ მნიშვნელობას წარმოადგენს „გააკეთე თვითონ“, აქედან გამომდინარე, სტატიაში განვიხილეთ კონკრეტული მათემატიკური ამოცანა, რომელიც არასტანდარტულია. ასეთი ტიპის ამოცანები მოსწავლეებში აღძრავს გარკვეულ ინტერესს და მისი ამოხსნა ხდება გარკვეული ლოგიკური თამაშით. ასეთი ამოხსნით ყველა კითხვას გაეცემა პასუხი რასაც გვეკითხებიან ამოცანაში.

**საკვანძო სიტყვები:** თამაში; ერუდიცია; მოდელირება; სახალისო; კვლევა-ძიება; არასტანდარტულია; კვლევისთვის.

თამაში მუშაობასთან და სწავლასთან ერთად ადამიანის საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი სახეობაა, თამაში არის აქტივობის სახეობა სიტუაციებში, რომელიც მიზნად ისახავს სოციალური გამოცდილების ხელახლა შექმნას და ათვისებას, რომელშიც ყალიბდება და უმჯობესდება ქცევის თვითმართვა. თამაშების უმეტესობას აქვს რამდენიმე ძირითადი მახასიათებელი კრეატიული, („შემოქმედების სფერო“); („ემოციური დაძაბულობა“); ხელმისაწვდომობა; თამაშის ფორმებს შორის განსაკუთრებით გამოირჩევა საქმიანი თამაში, რომელიც არის ტრენინგის საკმაოდ შრომატევადი და რესურსების ინტენსიური ფორმა. ამიტომ ის უნდა იქნას გამოყენებული მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც შეუძლებელია სწავლების სხვა ფორმებითა და მეთოდებით დასახული საგანმანათლებლო მიზნების მიღწევა.

თამაშისთვის მომზადებისას მოსწავლეებმა ნათლად უნდა გაიგონ, როგორ და სად გამოიყენებენ შეძენილ პროფესიულ უნარებს მომავალში. მაგალითად, ბიზნეს თამაში „მათემატიკა და ბიზნესი“ ეფექტურია ტექნიკური და სოციალურ-ეკონომიკური პროფილის პროფესიებისა და სპეციალობებისთვის. ამ თამაშის მიზანია, მათემატიკის დარგში მოსწავლეების (სტუდენტების) ჰორიზონტის გაფართოება, ორი მეცნიერების - მათემატიკისა და ეკონომიკის ელემენტების გაერთიანების, კაპიტალის, ღირებულების, ბანკის ცნებების დაუფლებისას, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეების (სტუდენტების) ლოგიკური აზროვნების სწავლებას.

საინტერესოდ განიხილება სწავლება, დიდაქტიკური თამაშის მსვლელობისას, სადაც შემცნებითი ინტერესის ჩამოყალიბების კიდევ ერთი ფაქტორი არის პრობლემური სიტუაცია. ამ დროს მოსწავლემ უნდა ახსნას თამაშის არსის მეცნიერული თვალსაზრისი,

სადაც ზოგიერთი კითხვა და დავალება მოითხოვს ადრე შეძენილი ცოდნის გამოყენებას, გამომგონებლობის გამოვლენას; ზოგი კი ერუდიციას და დამატებითი ინფორმაციის გამოყენებას. აღსანიშნავია, რომ დიდაქტიკურ თამაშში მოსწავლეები ცოდნას იღებენ არა მხოლოდ მასწავლებლისგან, არამედ ისინი თვითონაც მონაწილეობენ ძიებაში, დამოუკიდებლად მოიპოვებენ და ერთმანეთს უცვლიან მოპოვებულ ინფორმაციას. საინტერესო მაგალითები გამოიყენება ფიზიკის, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და მათემატიკის სწავლებისას. აღნიშნულ დისციპლინებში თამაშის უპირატესობები მდგომარეობს გონებრივი აქტივობის მოძრაობასთან შერწყმაში და გამოკითხვის ინდივიდუალიზაციის სიმარტივეში.

საინფორმაციო ტექნოლოგიების სწავლებისას დიდაქტიკური თამაშების აქტივობების ტიპების შეცვლა აცოცხლებს აღქმას, ინტერესს, ხელს უწყობს სასწავლო მასალის უფრო ძლიერ დამახსოვრებას, ეხმარება მასწავლებელს მოდუნებული თამაშის შესვენებები შეცვალოს აქტივობის ტემპით. თამაში საგანმანათლებლო პროცესში მოსწავლეებისათვის (სტუდენტებისათვის) არის მასწავლებელთან ერთობლივი სასწავლო საქმიანობის ტექნოლოგია და მიზანმიმართული დამოუკიდებელი აქტივობა, რომელიც მიზნად ისახავს კონკრეტული ცოდნის, უნარების დაუფლებას, რათა მოხდეს მისი გამოყენება გარკვეული მიზნის მისაღწევად.

თამაშის მეორე მნიშვნელობას წარმოადგენს „გააკეთე თვითონ“, რომლის დროსაც სპონტანურად იქმნება ყველა აუცილებელი პირობა პრობლემური სიტუაციების წარმოქმნისა და გადაწყვეტისთვის. ამ დროს სასწავლო პროცესი ხდება პრობლემური და პიროვნულად მნიშვნელოვანი მოსწავლისათვის (სტუდენტებისთვის), პრობლემა შეიძლება გადაწყვიტოს მოსწავლემ დამოუკიდებლად ან მასწავლებლის დახმარებით. თამაშის მესამე მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ მოსწავლე მიზანმიმართული დამოუკიდებელი აქტივობის დროს, თამაშის პრობლემური სიტუაციების გადასაჭრელად, ხდება დამოუკიდებლად მოაზროვნე ადამიანი, რომელსაც შეუძლია აქტიური ქმედებები.

თამაშს ასევე გააჩნია მთავარი მიზანი, რომელიც უნდა განხორციელდეს სპეციალურ გარემოში, რათა მასწავლებელმა შეძლოს ასწავლოს მოსწავლეებს გუნდში ეფექტური მუშაობა. პედაგოგიკურ და ფსიქოლოგიურ მეცნიერებებში დადასტურებულად შეიძლება ვთქვათ, რომ ჯგუფურ მუშაობას სწავლების პროცესში გააჩნია გარკვეული უპირატესობა, ინდივიდუალურ მუშაობასთან შედარებით, რომელიც მოიცავს სწავლების ორ ტიპს, სწავლასა და სხვა ადამიანებთან ურთიერთობას.

სათამაშო ტექნოლოგიების მნიშვნელოვანი ფუნქციაა მონაწილეთა შორის ჯანსაღი დაპირისპირების (კონკურენცია) დაბადება, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა კონკურენტუნარიანობის და თავდაჯერებულობის ჩამოყალიბებას. ასევე, თამაშით შეიძლება მოსწავლემ მართოს საკუთარი იმიჯი, რომლითაც ის შეიძლება გახდეს კონკურენტუნარიანი. მასწავლებელმა, რომელიც ნერგავს სათამაშო ტექნოლოგიებს, საჭიროა ყურადღებით დაგეგმოს თავისი პროგრამა და განსაზღვროს არა მხოლოდ მისი შინაარსი, არამედ ანალიზისთვის საჭირო დროის ხანგრძლივობა. თამაშით სწავლება და მოდელირება შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც შემეცნების საშუალება, რომელიც გამოიყენება როგორც კვლევისათვის, ასევე სწავლებისათვის. თამაშის მოდელირება სასწავლო პროცესში, წყვეტს ძალიან მნიშვნელოვან პედაგოგიურ მიზნებს. ის ხელს უწყობს პროფესიული, ანალიტიკური და პრაქტიკული აზროვნების განვითარებას. პლატონის თქმით, „პიროვნების შესახებ გაცილებით მეტს გაიგებ მასთან ერთი საათით თამაშისას, ვიდრე ერთი წლით საუბრისას“. საინტერესოა, მაინც რა არის „ასეთი“ თამაში და როგორ შეიძლება მისი გამო-

ყენება სწავლა-სწავლების პროცესში? თუ გამოკითხვას ჩავატარებთ ბაღის აღსაზრდელებთან, რა არის მათთვის თამაში, დაახლოებით ასეთ პასუხებს მოვისმენთ: თოჯინები; კუბიკების აწყობა; სრიალი და საქანელებზე თამაში და ა.შ. სკოლის დაწყებითი კლასის მოსწავლეები პასუხობენ: ეზოში ჩასვლა; მეგობრებთან თამაში; სატელეფონო თამაშები და ა.შ. უფროსი კლასის მოსწავლეები პასუხობენ: თამაში მრავალგვარია (გასართობი, ინტელექტუალური, შემეცნებითი და სხვა); თამაში არის სახალისო და საინტერესო პროცესი; მაგალითად, კომპიუტერში თამაში არის რაღაც ახლის აღმოჩენა და ა.შ. სტუდენტები პასუხობენ: თამაში ნეტარებაა, როცა რაიმეს არა რუტინებით, არამედ თამაშ-თამაშით სწავლობ; თამაში ეს ისეთი შემეცნებაა, რომელსაც ასაკი არ აქვს, თამაში არის ხელოვნება, ხოლო მოთამაშეები ამ თამაშით რაღაც კონკრეტულს იმეცნებენ ან ქმნიან და ა.შ. მშობლები პასუხობენ: თამაში ჯადოსავითაა, რომელზეც ბავშვები სულ მიჯაჭვულები არიან; თამაში არის რაღაც ახლის შესასწავლად ბავშვისათვის გასაგებ ენაზე; თამაში არის ისეთი განტვირთვა; რომლის დროსაც რაღაცას სწავლობ და ა.შ. მასწავლებლები პასუხობენ: თამაში არის მეთოდი, რომლითაც ბავშვს შეგიძლია ასწავლო კეთებით; თამაში საინტერესო და ინტერაქტიული აქტივობაა, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა საგაკვეთილო პროცესში ჩართულობას; თამაში ეს ისეთი მეთოდია, რომელიც ხელს უწყობს ბავშვის ჰოლისტიკური უნარების განვითარებას. და ა.შ

მათემატიკაში ამოცანების ამოხსნის ზოგადი მეთოდების გარდა, არსებობს ამოცანების ამოხსნის სხვა მეთოდებიც, მაგრამ მათ უფრო შემოსაზღვრული პრაქტიკული გამოყენება აქვთ. ერთ-ერთ ასეთ მეთოდის სახელწოდებაა „ამოწურავი სინჯვების მეთოდი“, მას გადარჩევის მეთოდსაც ეძახიან. ამ მეთოდის საფუძველია ყველა ლოგიკური შესაძლებლობის გამოვლენა და მათგან ისეთების გადარჩევა, რომლებიც ამოცანის პირობას აკმაყოფილებს; სხვა სიტყვებით აქ ხდება ამოცანის ცნობილი კომპონენტების ანალიზი, მათ შორის შესაძლო კავშირების გამოვლენა და მათგან ისეთების შერჩევა, რომელიც აუცილებელია ამოცანის ამოხსნის უზრუნველსაყოფად. შეიძლება ამოცანის პირობა ისე შევარჩიოთ და ჩამოვაყალიბოთ, რომ მას თამაშის სახე მივცეთ,

მაგალითად: იყიდეს რამდენიმე ერთნაირი წიგნი და ერთნაირი ალბომი. წიგნებში გადაიხადეს 96 ლარი. რამდენი წიგნი იყიდეს, თუ ერთი წიგნის ფასი 10 ლარით მეტია ერთი ალბომის ფასზე, ხოლო წიგნი იყიდეს 6-ით მეტი, ვიდრე ალბომი? იყიდეს 8 ცალი წიგნი. როგორ გამოიცანი?

ასეთნაირად მიწოდებული ამოცანა, მოსწავლეებში აღძრავს ინტერესს ამ ამოცანის მიმართ, თანაც ამოცანა არასტანდარტულია და ისინი აუცილებლად ეცდებიან გამოთქვან თავიანთი ვარაუდები და დასკვნა, სწორია თუ არა პასუხი. ყველა მოსაზრების მოსმენის შემდეგ მასწავლებელმა შეიძლება მოსწავლეებს გააცნოს ამოცანა. ჩვენი მაგალითის საფუძველზე, ამოცანის პირობაში „წიგნი იყიდეს 6-ით მეტი ვიდრე ალბომი“, ჩვენ დავასკვნით, რომ წიგნები იყიდეს არანაკლებ 7-ისა; ხოლი იქიდან, რომ „ერთი წიგნის ფასი 10 ლარით მეტია ალბომის ფასზე“, გავაკეთებთ დასკვნას: ყოველი წიგნი ღირს 10 ლარზე მეტი, რადგანაც მათში გადაიხადეს 96 ლარი. აქედან გამომდინარეობს, რომ წიგნები იყიდეს არაუმეტეს 9-ის. მართლაც, შევამოწმოთ საეჭვო რიცხვები (7, 8, 9):

$96 \div 7 = 13, (714285)$  - არ გამოდგება წიგნის ფასად, რადგან პერიოდული რიცხვია;

$96 \div 8 = 12$  - ერთი წიგნის ფასი 12 ლარი მისაღებია;

$96 \div 9 = 10, (6)$  - არ გამოდგება წიგნის ფასად, რადგან არ შეიძლება წიგნის ფასი პერიოდული რიცხვით გამოისახოს. ამიტომ მისაღებია მხოლოდ ერთადერთი პასუხი: იყიდეს 8 ცალი

წიგნი. ამ შემთხვევაში ალბომის ფასი 2 ლარი გამოდის და შეგვიძლია ისიც გავიგოთ, რომ იყიდდნენ 2 ცალ ალბომს ე.ი სულ დაიხარჯებოდა 100 ლარი და გვაქვს:  $12 \cdot 8 + 2 \cdot 2 = 96 + 4 = 100$ .

ამრიგად, თითქმის ყველაფერს გაეცა პასუხი. იმ კითხვაზეც, რასაც გვეკითხებოდნენ და დანარჩენ საკითხებზეც.

სწავლა-სწავლების პროცესში თამაში ეხმარება მოსწავლეებს განავითარონ შემდეგი უნარები:

მიზნის გაცნობიერება - მოსწავლე ამ დროს მიმართულია კონკრეტული მიზნის მიღწევაზე და ხალისით აცნობიერებს სწორედ ამ მიზანს;

ადრე მიღებული ცოდნის აქტიური რეპროდუქცია - მოსწავლეს თამაშით მიღებული წინარე ცოდნაზე, კვლავ თამაშის ელემენტების გამოყენებით შეუძლია ახალი ცოდნის დაშენება და რეპროდუქცია;

კლავა-ძიების დამოუკიდებლად წარმართვა - მოსწავლე პრაქტიკულად ერთვება რაღაც ახლის შესწავლასა და აღმოჩენის საქმეში;

შზა რესურსებზე დაყრდნობით ცოდნის შევსება-მოსწავლეს რესურსების გამოყენებით შეუძლია მოახდინოს ცოდნის კონსტრუირება.

თამაში ეხმარება მოსწავლეებს, განცდებისა და ემოციების საშუალებით უფრო მარტივად, ხალისით და დამოუკიდებლად ააშენონ ახალი ცოდნა და გამოცდილება უკვე არსებულზე დაყრდნობით.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. [http:// dictionary.css.ge](http://dictionary.css.ge)
2. <http:// WWWmci.ge>
3. მერაბ ჯულაყიძე 2018: მერაბ ჯულაყიძე თამაშთა თეორია ეკონომისტებისათვის. სალექციო კურსი (ელექტრონული ვერსია), 2018 წელი.
4. Petrosian L.A.; Zenkevich N.A.; Shevkoplyas E.V 2012: Petrosian L.A.; Zenkevich N.A.; Shevkoplyas E.V; game theory. manual publishing house, 2012.

**Mamuli Buchukhishvili**  
**Akaki Tsereteli State University**

### **The role of the game in the teaching-learning process**

#### **Abstract**

Game is a type of activity in situations aimed at recreating and mastering social experiences in which self-management of behavior is formed and improved. Most games have some basic characteristics creative, (“realm of creativity”); (“emotional tension”); availability.

Business game stands out among the forms of the game, which is a rather time-consuming and resource-intensive form of teaching. Accordingly, it should be used only in cases where it is impossible to achieve the educational goals set by other forms and methods of teaching.

The main meaning of the game is “do it yourself”, therefore, in the article we discussed a specific mathematical task, which is non-standard. Such tasks arouse a certain interest among students and its solution is undertaken by a certain logical game. With such a solution, all the questions asked in the task will be answered.

**Keywords:** game; erudition; modeling; funny; research-search; is non-standard; for research;

## მეწარმეობის საფუძვლების სწავლების პრობლემები საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში

*რეზიუმე:* ტექნოლოგიების ეპოქაში განსაკუთრებული როლი აკისრია მოსწავლეთა სამეწარმეო უნარების ფორმირებას. ამ ამოცანის გადაჭრას ემსახურება არჩევითი საგანი „მეწარმეობის საფუძვლები“, რომლის სწავლება ახალი ეროვნული სასწავლო გეგმით (2018-2024) გათვალისწინებულია X, XI, XII კლასებში.

ჩატარებული კვლევის შედეგად (გამოიკითხა 4 საჯარო სკოლის დირექციის წარმომადგენელი და 120 მოსწავლე) გამოიკვეთა საგნის არჩევასთან და სწავლებასთან დაკავშირებით მთელი რიგი პრობლემები. მონაცემების გაანალიზების საფუძველზე ნაშრომში შემოთავაზებულია მათი გადაჭრის გზები.

*საკვანძო სიტყვები:* ეროვნული სასწავლო გეგმა, სამეწარმეო უნარი, მეწარმეობის საფუძვლები, ინოვაცია.

თანამედროვე მსოფლიოში ადამიანის კეთილდღეობას მრავალი ფაქტორი განაპირობებს, რომელთა შორის წამყვანი ეკონომიკური მდგომარეობაა. აქედან გამომდინარე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, სკოლის ასაკიდან აუცილებელია მოსწავლეთა სამეწარმეო უნარების განვითარებაზე ზრუნვა. ამ პრობლემის გადასაჭრელად, ეროვნული სასწავლო გეგმით, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში არჩევით საგნად გათვალისწინებულია „მეწარმეობის საფუძვლების“ სწავლება, რომელიც მიზნად ისახავს მოსწავლეთავე საბაზო ცოდნის მიღებას და შესაბამისი უნარების განვითარებას მეწარმეობასა და თანამედროვე ინოვაციებში.

საგანმანათლებლო დაწესებულებებში მეწარმეობის საფუძვლების სწავლების უდიდეს მნიშვნელობაზე მეტყველებს ის გარემოება, რომ მეწარმეობის უნარები მხოლოდ წარმოებას და წარმოებით ურთიერთობებს არა ემსახურება, ის არის აუცილებელი და სპეციფიკური ცხოვრებისეული კომპეტენცია, რომელიც მოსწავლეებს უქმნის საკუთარი ინიციატივების რეალიზებისა და თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობას. მეწარმეობის საფუძვლების ცოდნა, მოსწავლე/სტუდენტებს აძლევს დიდ ასპარეზს ინოვაციური იდეების დაგეგმვა, განვითარებასა და განხორციელებაში. ამ უნარის მქონე თითოეული ადამიანი, საკუთარი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ხელშემწყობი ხდება. ეს კი თავისთავად, თითოეული მოქალაქის მოვალეობისა და პასუხისმგებლობის ზრდასაც განაპირობებს.

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრულია საგნის სწავლების მიზნები და ამოცანები, რომლის მიხედვითაც საგანი მიზნად ისახავს მეწარმეობის საფუძვლების სწავლების გზით მოსწავლეს განუვითაროს სამეწარმეო კომპეტენციები, მოსწავლემ უნდა იცოდეს როგორ აქციოს ბიზნეს იდეა საქმედ. გაიგოს ბიზნეს საქმიანობაში არსებული ხელმისაწვდომობის შესაძლებლობების შესახებ. შეიძინოს და გამოიყენოს მეწარმეობის საფუძვლების შესახებ ცოდნა პირადი და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის.

უნარების განვითარების თვალსაზრისით, მოსწავლეს უნდა განუვითარდეს გუნდური მუშაობის, საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრის უნარი, პროფესიული კარიერის დაგეგმვის უნარი, ინიციატივის - სამეწარმეო იდეად გარდაქმნის და იდეის რეალიზებისთვის საჭირო უნარები - დაგეგმვა, ორგანიზება, ანალიზი, კეთება, კომუნიკაცია, ინსტრუქტაჟის გაგება და შეფასება.

რაც შეეხება ღირებულებებსა და დამოკიდებულებებს: მოსწავლეს უნდა ჩამოუყალიბდეს სიახლისადმი ინიციატივის განცდა, გამოიმუშაოს ინოვაციებისა და რისკებისადმი რაციონალური დამოკიდებულების უნარი-ჩვევები, ხოლო შრომითი საქმიანობისადმი დადებითი განწყობა.

ეროვნული სასწავლო გეგმით არჩევითი საგანი „მეწარმეობის საფუძვლები“ წარმოდგენილია შემდეგი მიმართულების სახით:

- **ინიციატივა და ინოვაცია**
- **სამეწარმეო საქმიანობა**
- **თავისუფალი ეკონომიკა და საბაზრო ურთიერთობები.**

ხოლო „მეწარმეობის საფუძვლების“ შინაარსობრივი პრიორიტეტები და მეთოდური ორიენტირები ასეთია:

1. მეწარმეობის არსი და ფორმები
2. სამეწარმეო საქმიანობის დაგეგმვა
3. საწარმოს მატერიალური ხაზის დაგეგმვა
4. მარკეტინგი - როგორ გავყიდოთ პროდუქტი
5. პერსონალის დაგეგმვა
6. პროდუქტის ფასის დადგენა
7. საწარმოს ფინანსური უზრუნველყოფა
8. საწარმოს მართვა
9. სამეწარმეო საქმიანობა და საგადასახადო გარემო
10. სამეწარმეო რისკები და მათი დაზღვევის ღონისძიებები
11. ბიზნესგეგმის მომზადება და პრეზენტაცია

**ჩვენი კვლევის მიზანია** მეწარმეობის საფუძვლების სწავლების პრობლემების გამოკვეთა და იდენტიფიცირება საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში. აქედან გამომდინარე, დაკონკრეტდა **საკვლევი შეკითხვებიც:**

- ✓ რა საგანს უფრო ხშირად ირჩევენ საშუალო საფეხურის მოსწავლეები და რა არის ამის მიზეზი - საგნის საინტერესო სტანდარტი, მიმზიდველი სილაბუსი, მოსწავლეთა კარგი ინფორმირება საგნების არჩევამდე? ან კიდევ, რა აბრკოლებს სხვადასხვა საგნის არჩევას: არაკვალიფიციური მასწავლებლები, რის გამოც სკოლა მოსწავლეს სთავაზობს იმ საგანს, რისი სწავლების შესაძლებლობაც მას გააჩნია?
- ✓ ახდენს თუ არა არჩეული საგანი გავლენას მომავალი პროფესიის არჩევაზე და სკოლის დამთავრების შემდეგ ხდება თუ არა მისი რეალურ ცხოვრებაში (პრაქტიკაში) გამოყენება?
- ✓ როგორია სასკოლო საზოგადოების შეხედულება ინოვაციური პროცესების განვითარების პერსპექტივებზე, საგნის „მეწარმეობის საფუძვლების“ სწავლების მეშვეობით?
- ✓ როგორია ჩვენს სკოლებში მეწარმეობის საფუძვლების სწავლების ხარისხი, რაზეც დამოკიდებულია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერე?
- ✓ სწორად ესმის თუ არა მოსწავლეებს მეწარმეობის საფუძვლების ცნების არსი და ის სარგებელი, რასაც მისი შესწავლით მიიღებენ მომავალში?

- ✓ არის თუ არა საქართველოს საგანამანათლებლო სისტემა ინოვაციების ადგილი, სადაც მოსწავლეებს რეალურ ინიციატივებს შესთავაზებენ?
- ✓ რამდენად არსებობს საგანამანათლებლო რესურსები - სახელმძღვანელოები, ადამიანური რესურსი (მასწავლებლები), ტექნიკა და სასწავლო საშუალებები?

კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 4 საჯარო სკოლის დირექციის წარმომადგენელი და 120 მოსწავლე.


დირექციის წარმომადგენელთა გამოკითხვის შედეგად შედეგები ასეთია:

- ✓ **რა საგანს უფრო ხშირად ირჩევენ საშუალო საფეხურის მოსწავლეები და რა არის ამის მიზეზი?** - სკოლების დირექციის წარმომადგენლებს თითქმის ყველას ერთი პასუხი ჰქონდა - საათებით დაუკმაყოფილებელი პედაგოგები და არასაკმარისი ადამიანური რესურსი. არჩევით საგანს ძირითადად იყენებენ საათების შესავსებად. სწორედ ამიტომ სთავაზობს სკოლა მოსწავლეს იმ საგანს, რისი სწავლების შესაძლებლობაც მას აქვს.
- ✓ **მოახდენს თუ არა არჩეული საგანი გავლენას მომავალი პროფესიის არჩევაზე?** - სკოლების დირექციის წარმომადგენლებს ერთმანეთისგან განსხვავებული აზრი ჰქონდათ, იყო პასუხი, რომ მნიშვნელობა ჰქონდა პედაგოგს, რომელსაც შეეძლო საინტერესო თემებით ინტერესი გამოეწვია მოსწავლეებში და სრულიად შესაძლებელი იყო მოსწავლის პროფესიის არჩევაში წვლილი შეეტანა, თუმცა მეორე აზრიც დაფიქსირდა - რომ ძირითადად მშობელი წყვეტდა მოსწავლის მიერ პროფესიის არჩევას. და კიდევ ერთი გარემოებაც, არჩევით საგანს, მნიშვნელობას არ ანიჭებენ მოსწავლეები, რადგან მასში შეფასება იწერება ჩათვლის სახით.
- ✓ **საგანი - მეწარმეობის საფუძვლები** - დირექციის ყველა წევრისთვის მისაღები იყო, როგორც იმ პერსპექტივების სწავლება, რომელიც ინოვაციური აზროვნებას განავითარებს და რომელზეც არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერე, რადგან სწორედ სკოლა უნდა იყოს ინოვაციური აზროვნების სწავლების ადგილი, სადაც მოსწავლეებს შეეძლებათ რეალური ინიციატივების შემოთავაზება.
- ✓ **რამდენად არსებობდა სკოლებში საგანამანათლებლო რესურსები?** - სკოლების დირექციის წარმომადგენლებს ამ კითხვაზეც ყველას ერთი პასუხი ჰქონდა - არსებობს მხოლოდ ერთი სახელმძღვანელო და სკოლას არ გააჩნია ადამიანური რესურსი (მასწავლებლები), და არც სხვა სასწავლო საშუალებები მეწარმეობის საფუძვლების საგნის სწავლებისთვის;
- ✓ **ხდებოდა თუ არა მეწარმეობის საფუძვლების სწავლების პროცესში ინოვაციური იდეების ჩამოყალიბება, განხორციელება?** - სკოლების დირექციის წარმომადგენლებმა ერთხმად აღიარეს, რომ ამ საგნის შესწავლისას აუცილებლად მოხდებოდა, რადგან ეს თაობა ინოვაციების საუკუნეში იზრდება, მათთვის უფრო მარტივია ახალი იდეების შემოთავაზება, რომლის სწორად ჩამოყალიბებაში და ხორცშესხმაში სკოლა უნდა დაეხმაროს. მოქმედი სახელმძღვანელო ამ საგნის პროექტებით სწავლებას ითვალისწინებს. იმის მიუხედავად, რომ ამჟამად ყველა სკოლა ჩართულია ახალი სკოლის მოდელში, მაგრამ პროექტებით სწავლება სრულფასოვნად მხოლოდ რამდენიმე სკოლაში ხორციელდება. ეს ის სკოლებია, რომლებიც პილოტირების დროს ჩაერთვნენ ახალი სკოლის მოდელში და მასწავლებლებმაც გაიარეს პროექტებით სწავლების ტრენინგები.
- ✓ **სწორად ესმის თუ არა მოსწავლეებს მეწარმეობის საფუძვლების ცნების არსი, მათთვის ის მხოლოდ სამეწარმეო კომპეტენციების ცოდნაა, თუ ამით მოსწავლეები**

შეიძენენ ისეთ უნარებს, რაც დაეხმარება ბიზნესიდების საქმედ ქცევაში? - ამ კითხვაზე დირექციის წამომადგენლებს პასუხი დადებითი იმ შემთხვევაში იქნებოდა, თუ სკოლას ეყოლებოდა ამ საგნის სწავლებისთვის მომზადებული მასწავლებლები.

საშუალო საფეხურის გამოკითხულ მოსწავლეთა 33% მდებდრობითაა, 67 % - მამრობითი. გამოკითხულ მოსწავლეთა 5%-მა არ იცის, რომ საშუალო საფეხურზე ახალ საგნად ემატებათ არჩევითი საგანი და რომ სკოლამ უნდა შესთავაზოს და გაითვალისწინოს მათი სურვილი, რადგან მათ შორის 10% ამბობს, რომ სკოლის მხრიდან არ ყოფილა შემოთავაზება საგნების ასარჩევად, მაგრამ თუ ყოფილა ასეთი შეთავაზება, მოსწავლეთა 30% -ის აზრით, იგი ფორმალურია, რადგან სკოლა არ ითვალისწინებს მათ არჩევანს. ცხრილი N1 - მოსწავლის არჩევანის გათვალისწინება


"არჩევითი საგნის" შერჩევის დროს, რამდენად გაითვალისწინა სკოლამ თქვენი (როგორც მოსწავლის) არჩევანი



გააკეთებდა თუ არა მოსწავლე არჩევანს ისეთ საგანზე, რომელიც მის მომავალ პროფესიასთან იქნებოდა კავშირში - მოსწავლეთა უმრავლესობამ (85%) აირჩია პასუხი „დიახ“ და სასურველ პროფესიებად 62%-ს აზრით დასახელდა ტექნიკური სპეციალობები. თუ რა არჩევანს გააკეთებენ მოსწავლეები სკოლის მიერ შეთავაზებულ არჩევითი საგნებს შორის - 22,7% ირჩევს მეწარმეობის საფუძვლებს, ხოლო საგნის შერჩევის მიზეზად - მოსწავლეების 50%, მომავალი პროფესიის სწორ განსაზღვრას ასახელებს.

ცხრილი N2 - დიაგრამაზე ნაჩვენებია მისცემს თუ არა მოსწავლეებს სკოლაში, არჩევითი საგანი - „მეწარმეობის საფუძვლების“ სწავლა, რაიმე სახის გამოცდილებას თუ ისინი უმაღლეს სასწავლებელში სწავლას გააგრძელებენ ეკონომიკის ან/და ბიზნესის ფაკულტეტებზე?


როგორ ფიქრობთ, სკოლაში, არჩევითი საგანი - მეწარმეობის საფუძვლების სწავლა მოგცემთ თუ არა გამოცდილებას, თუ უმაღლეს სასწავლებელში... ეკონომიკის ან/და ბიზნესის ფაკულტეტებზე?





### ცხრილი N3 - უნარების გამომუშავების შესახებ


თქვენი აზრით, გამოიწვევს თუ არა სამეწარმეო საფუძვლების სკოლაში სწავლება მოსწავლეებში ინოვაციური ბიზნესიდეების ჩამოს...იბეზღად საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებას



გამოკითხულ მოსწავლეთა ნახევარს დადებით პასუხი აქვს, ნახევარს კი აღნიშნულ კითხვაზე პასუხი არ აქვს.

### ცხრილი N4 - არჩევითი საგნის პროგრამის გაცნობა

თვლით თუ არა საჭიროდ, არჩევითი საგნის არჩევამდე მოხდეს მოსწავლეებისათვის საგნების პროგრამის გაცნობა



ჩატარებული კვლევიდან გამომდინარე, არჩევითი საგნის „მეწარმეობის საფუძვლების“ სწავლებაში გამოვლინდა მთელი რიგი პრობლემები, რომელიც მოკლედ ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს:

- როგორც სკოლის ადმინისტრაცია, ისე სკოლის მასწავლებლები ერთობლივად აღიარებენ, რომ ამ საგნის არჩევამდე საჭიროა მოხდეს მოსწავლეთა სწორი ინფორმირება და საგნობრივი პროგრამების გაცნობა.
- მოსწავლეთა უმრავლესობა აირჩევდა ისეთ საგანს, რომელიც **მომავალ პროფესიასთან იქნებოდა კავშირში** და სკოლის დამთავრების შემდეგ მოხდებოდა მისი რეალურ ცხოვრებაში (პრაქტიკაში) გამოყენება.
- საგნის მიმართ სასკოლო საზოგადოების მაღალი ინტერესის მიუხედავად, სკოლები ვერ უზრუნველყოფენ „მეწარმეობის საფუძვლების“ სათანადო დონეზე სწავლებას ვერც მეთოდური და ვერც ადამიანური რესურსით,
- მოსწავლეთა უმრავლესობას სწორად ესმით საგნის - მეწარმეობის საფუძვლების არსი, თუმცა ირკვევა, რომ ისინი სრულად არ არიან ინფორმირებულ-

ლნი საგნის პროგრამაზე და იმ პერსპექტივებზე, რომელსაც შესძენდა აღნიშნული საგნის სწავლება.

კვლევის შედეგად გამოვლენილი პრობლემების გადასაწყვეტად და ახალგაზრდებში ინოვაციური იდეების პოპულარობისა და მეწარმეობის უნარების განვითარების ხელშეწყობის მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია:

- ✓ სკოლების ადმინისტრაციამ საპროფორიენტაციო მუშაობის გეგმის ფარგლებში პოპულარობა გაუწიონ არჩევითი საგნის „მეწარმეობის საფუძვლების“ სწავლების მნიშვნელობას მეწარმეობის უნარების განვითარებასა და პროფესიის არჩევაში. ამ მიზნით, მშობელთა ჩართულობით, მასწავლებლისა და მოსწავლეების მიერ, პერიოდულად შემუშავდეს ისეთი აქტივობები, რომელიც გამოიწვევს „მეწარმეობის საფუძვლების“ გაცნობიერებულ არჩევას.
- ✓ „მეწარმეობის საფუძვლების“ ეფექტიანი სწავლების მიზნით, სასურველია აქტიური თანამშრომლობა სკოლასა და უნივერსიტეტებს შორის;
- ✓ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დახმარება აღმოუჩინოს საჯარო სკოლებს შესაბამისი საგნის მასწავლებელთა მომზადებასა ტრენინგების მოწყობაში;

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა, 2018-2024. ხელმისაწვდომია: <https://mes.gov.ge/content.php?id=3929&lang=geo>
2. „მეწარმეობის საფუძვლები“ 2015: „მეწარმეობის საფუძვლები“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, თბილისი, 2015.
3. ლელა თავდგირიძე, ნატო შეროზია 2017: ლელა თავდგირიძე, ნატო შეროზია, პროფესიული ორიენტაცია პიროვნული ზრდისა და კარიერული წინსვლის ერთ-ერთი ფაქტორი. მოამბე, 2017, #16, გვ.10-15.
4. გიორგი ჭანტურია 2023: გიორგი ჭანტურია, სამეწარმეო განათლების სკოლებში შეტანა ჩაკეტილი სისტემის ერთ-ერთი გასაღებია, გაზეთი „ფაქტ-მეტრი“, 1/01/2023, <https://factcheck.ge/ka/story/41546-giorgi-chanturia-sametsarmeo-ganatilebis-skolebshishetana-chaketili-sistemis-ert-erti-gasaghebia>

**Avtandil Asatiani**

**Associate Professor of Georgian Technical University**

**Eka Mgeladze**

**Doctoral student of Georgian Technical University**

## **Problems of teaching the basics of entrepreneurship in secondary schools in Georgia**

### **Abstract**

In the era of technology, developing students' entrepreneurial skills has a special role. The solution to this problem is the elective subject "Fundamentals of Entrepreneurship," the teaching of which is provided in the new national curriculum (2018-2024) in grades X, XI, XII.

As a result of the study (representatives of 4 public school directorates and 120 students were interviewed), a number of problems related to the electing and teaching of subjects were identified. Based on data analysis, the article suggests ways for their solution.

**Key words:** national curriculum, entrepreneurial skills, fundamentals of entrepreneurship, innovation.

## ციფრული პედაგოგიკა - დღევანდელი საგანმანათლებლო

### პარადიგმის საფუძველი

**რეზიუმე:** მე-4 ინდუსტრიულმა რევოლუციამ იქონია საკმაოდ დიდი ტრანსფორმაციული გავლენა განათლებაზე, რაც საჭიროებს ციფრული ინსტრუმენტებითა და სწავლების ინოვაციური მეთოდებით ადაპტაციას. ეს ნაშრომი განიხილავს ხელოვნური ინტელექტის როლს განვითარებადი სამუშაო ძალისთვის განათლების ჩამოყალიბებაში ChatGPT მოდელის მაგალითზე. პანდემიამ დააჩქარა ციფრული სწავლების მეთოდები, რაც ხაზს უსვამს მათ მნიშვნელობას ვირტუალურ და ჰიბრიდულ სწავლებაში. ჰარვარდის ბიზნეს სკოლის ჰიბრიდული მიდგომა ხაზს უსვამს სინქრონული და ასინქრონული ელემენტების გაერთიანების ეფექტურობას. ნაშრომი რეკომენდაციას უწევს ციფრულ ინსტრუმენტებს - წინასწარ ჩაწერილ ლექციებს, Zoom-ს, სადისკუსიო დაფებს, სიმულაციას, მულტიმედიას და კურიერებულ კონტენტს - სწავლის გასაუმჯობესებლად.

**საკვანძო სიტყვები:** მეოთხე ინდუსტრიული რევოლუცია, განათლება, სწავლების ციფრული ინსტრუმენტები, ჰიბრიდული და ონლაინ სწავლება

გავლენა, რომელსაც ახდენს ამჟამად მიმდინარე ე.წ. მეოთხე ინდუსტრიული რევოლუცია როგორც ბიზნესზე, ისე საზოგადოების ცხოვრების პრაქტიკულად ნებისმიერი სხვა ასპექტზე, განუზომელია. შესაბამისი ტექნოლოგიები ცვლის უამრავი სამუშაოს ხასიათსა და შინაარსს. შესაბამისად განათლების სისტემის ვალი ხდება ამ ცვლილებებისთვის მოამზადოს როგორც დღევანდელი სტუდენტები, ისე ადრინდელი კურსდამთავრებულები. ეს ამოცანა იმდენად მასშტაბურია როგორც შინაარსობრივად, ისე რაოდენობრივად, რომ მოითხოვს იმ პარადიგმის - იდეათა და შეხედულებათა ერთობლიობის არსებით გადახედვას, რომლის საფუძველზეც წყვეტდა ტრადიციულად მსგავს ამოცანებს განათლების სისტემა.

ასეთი გავლენის მქონე ტექნოლოგიათა ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ ახალი ცოდნის გენერაციისთვის განკუთვნილი ხელოვნური ინტელექტის (Artificial Intelligence, AI) სისტემები. ბოლოდროინდელმა კვლევებმა აჩვენა, რომ მათთან დაკავშირებულმა ChatGPT<sup>1</sup>-მ და სხვა მსგავსმა მოდელებმა შეიძლება გავლენა მოახდინოს აშშ-ს სამუშაო ადგილების 80 პროცენტზე და დასაქმებულთა თითქმის 20 პროცენტს შეუცვალოს შესასრულებელ სამუშაო დავალებათა შინაარსი [1].

საყურადღებოა ის როლი, რომელსაც ამ საქმეში სწავლების ახალი, ე.წ. “ციფრული” ფორმების სისტემური გამოყენება შეასრულებს. პანდემიის პერიოდში განათლების სფეროს ერთ-ერთ მთავარ ამოცანად სხვადასხვა სასწავლო გარემოს და შესაბამისი

<sup>1</sup> ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული ე.წ. ჩატბოტია, რომელსაც შეუძლია რეალურ დროში კომუნიკაცია, თუნდაც არგუმენტირების სახით, შეცდომების აღმოჩენა კოდში და ტექსტური სახის სკრიპტების წერა

ტექნოლოგიების იმ პოტენციალის კვლევა და გამოყენება გახდა, რომელიც მოსწავლეთა მაღალ ჩართულობას შეგვანარჩუნებინებდა სწავლაში. დღეს, როდესაც ამ მძიმე დღეებმა გადაიარა და წინ ვიყურებით, მნიშვნელოვანია მიღებული შედეგების და გამოცდილების გამოყენება არა მარტო მსგავსი ახალი კრიზისების დაძლევისთვის, არამედ მათი შესაძლებლობების მისადაგებლად სწავლების ახალ მიზნებთან. მათ შორის ერთ-ერთი უმთავრესად სპეციალისტების მომზადება და გადამზადება გვეჩვენება იმ სამუშაო ადგილების დასაკავებლად, რომელთა გაჩენა და გავრცელება ბიზნესის დიჯიტალიზაციამ - ციფრულმა ტრანსფორმაციამ განაპირობა.

სწავლების ჩვეულ, „ნორმალურ“ ფორმებთან დაბრუნებისას, ღირს იმ სასარგებლო ტექნოლოგიური ინსტრუმენტების და სასწავლო მიდგომების გამოყენებაც, რომლებიც ვირტუალურმა სწავლებამ განავითარა და დაგვიტოვა. თითოეული მათგანის დადებითი და უარყოფითი მხარეების გულდასმით შესწავლით და გათვალისწინებით უნდა აირჩეს სწავლების ის ციფრული ინსტრუმენტები, რომლებიც საუკეთესოდ მოერგებიან არსებულ სასწავლო გეგმებს და უფრო ეფექტურად და სტუდენტებისთვის დასამახსოვრებლად გახდიან მათში გათვალისწინებული კურსების მიწოდებას.

სწავლების ყველა ციფრული რეჟიმის უბრალო უარყოფას “ფიზიკურ” კლასში დაბრუნებისთანავე ვერაფრით ჩავთვლით სტუდენტების ან პედაგოგების ინტერესების შესაბამისად. სწორ გზად გვეჩვენება თითოეული ციფრული ინსტრუმენტის გამოყენების გაერთიანება სწავლების მიწოდების სხვა გამოცდილებასთან, რასაკვირველია კონკრეტული სასწავლო კურსის დანიშნულებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. ამასთანავე, არსებობს საერთო პირობებიც და გარემოებებიც, რომელთა მხედველობაში მიღება სასარგებლოა ნებისმიერ შემთხვევაში. შესაბამის რეკომენდაციებად ციფრული საგანმათლებლო ინსტრუმენტების ექვსი ნაირსახეობის გამოყენებისთვის შეიძლება ჩაითვალოს მათი უპირატესობებისა და უარყოფითი მხარეების შეჯამება, მოყვანილი მომდევნო ტექსტში.

თავის დროზე იძულებითმა გადასვლამ ვირტუალურ და ჰიბრიდულ ფორმებზე დაგვანახა, რომ ჩვენ არ შეგვიძლია სწავლების იმავე შინაარსით და მოცულობით დისტანციურად მიწოდება, რასაც საკლასო ოთახებში “ცოცხალი” ურთიერთობისას ვახერხებთ. პროფესორის ის ნაწილი, რომელიც საკუთარ ძველ სასწავლო გეგმებს უბრალოდ გადაიტანს Zoom-ის გარემოში სარეალიზაციოდ, მალევე აღმოაჩენს, რომ აღარ ყოფნის დრო მათი ღირსეულად მიწოდებისთვის. დასტანციური და ჰიბრიდული სწავლებისას აუცილებელია აქცენტების გადანაწილება ონლაინ სინქრონულ და ასინქრონული<sup>2</sup> მეცადინეობების შინაარსში და ცოდნის იმ “უღუფების” შემცირება, რომელთა ათვისებაც ნავარაუდევია თითოეულის მსვლელობაში.

იმის გამო, რომ Zoom-ის ხანგრძლივ გამოყენებას ხშირად თანსდევს როგორც მოსწავლეების, ისე პედაგოგთა დაღლილობა, უნდა ვიფიქროთ პროგრამების რესტრუქტურისა-ციაზეც, სწავლების დაყოფით უფრო ხანმოკლე დროით პერიოდებად. მაგალითად პროგრამა, რომლის გავლა ჩვეულებრივ, „ფიზიკურ“ ციკლში ხუთ ინტენსიურ დღეს მოითხოვს, შეიძლება ვირტუალურ და ჰიბრიდულ ვარიანტში ორ-სამ კვირაზე გადანაწილდეს დღეში ორი ან სამი სასწავლო სესიის ჩატარებით, კვირაში ორჯერ ან მაქსიმუმ სამჯერ.

<sup>2</sup> სინქრონული - როდესაც ონლაინ ლექცია პირდაპირ რეჟიმში მიმდინარეობს და ყველა სტუდენტი ერთდროულად ესწრება მას; ასინქრონული - როდესაც სტუდენტები ლექტორის მიერ წინასწარ მომზადებულ მასალას: ლექციის ვიდეო/აუდიო ჩანაწერს ან სკრიპტს, პრეზენტაციას, დავალებას და ა.შ. , მათთვის მოსახერხებელ დროს ეცნობიან

დისტანციურ და ჰიბრიდულ სწავლებაზე გადასვლისას დიდი თავსატეხია მოსწავლეთა ინტერაქტიურობის შენარჩუნება ვირტუალურ გარემოშიც, რასაც მარტივად და ბუნებრივად ვაღწევთ აუდიტორიაში. აღიარებულია, რომ სწავლის პროცესის შედეგების თითქმის ნახევარს სტუდენტები თანატოლებთან და პედაგოგებთან ურთიერთობის მსვლელობაში აღწევენ. დისტანციურ სტუდენტებს შორის ინტერაქცია და დისკუსია კი მაშინვე წყდება, როგორც კი ისინი ვირტუალური კლასიდან „გავლენ“. ამით იკარგება კოლექტივში სწავლის მთელი სოციალური სტრუქტურა, სტუდენტებს ხშირად გარიყულობის და უიმედობის განცდები ეუფლებათ.

ვირტუალურ და ჰიბრიდულ პროგრამებში სწავლების სოციალურობის შენარჩუნების ერთ-ერთი გზაა ჯგუფურად შესასრულებელი აქტივობების და გუნდური პროექტირების დაგეგმვა. შესაბამისი დავალებების შესრულებისას მოსწავლეებს შორის რეგულარული ინტერაქცია შეიძლება ჩატის გამოყენებით მოეწყოს. ამიტომ ისეთი აპლიკაციები, როგორცაა Slack და WhatsApp, ციფრული სწავლების სოციალური სტრუქტურირების მნიშვნელოვან კომპონენტი აღმოჩნდა.

ჩატის აპები როგორც პროფესორებს, ისე სტუდენტებს აძლევს წვდომას მათში მონაწილეთა ნააზრვის გაზიარებაზე, რაც მეტად ღირებულია საკლასო დისკუსიების დროს. მეტიც, ერთ-ერთი დაკვირვებით [2] სტუდენტები, რომლებიც ჩვეულებრივ არ რეაგირებდნენ კლასში თხოვნაზე – გაეცათ სიტყვიერი პასუხი, ჩატით სარგებლობისას მოულოდნელად აქტიური ხდებოდნენ, რადგანაც ვირტუალური გარემო მათ “უსაფრთხო” მონაწილეობის შეგრძნებას უქმნიდა. ავტორების თქმით, მსგავსი მონაწილეობა და ჩართულობა არა მხოლოდ ხელს უწყობდა კოლექტიურ სწავლას კლასში, არამედ მეცადინეობის დასრულების შემდეგაც ხშირად გადადიოდა არაფორმალურ დისკუსიებსა და საუბრებში.

ჰარვარდის ბიზნეს სკოლის (Harvard Business School, HBS) მესვეურების აზრით, ჰიბრიდული კურსები ძალიან კარგად მუშაობენ ბიზნესის ადმინისტრირების - MBA-ს ტიპის პროგრამებში [3]. შესაბამისად, ისინი სულ უფრო აფართოებენ შესაბამისი შესაძლებლობების გამოყენებას პირველ რიგში იმ პირთა სწავლებაში, რომლებსაც მიზეზთა გამო არ შეუძლიათ ინსტიტუციაში მეცადინეობებზე რეგულარული დასწრება. თუმცა ნაშრომის ავტორები იმასაც მიუთითებენ, რომ ზოგიერთი კატეგორიის აღმასრულებელ ხელმძღვანელთათვის განკუთვნილ ხანმოკლე პროგრამებში მიზანშეწონილი აღმოჩნდა ჰიბრიდულის სანაცვლოდ ყურადღებით შემუშავებული სრულიად ვირტუალური სწავლების გამოყენება.

როდესაც სამუშაო და საოჯახო დროის განრიგი ხელს უშლის სტუდენტებსა და მათ ინსტრუქტორებს სასწავლებელში რეგულარულად სიარულში, გამოსავალი HBS-ის პროგრამების მრავალრიცხოვანი ვირტუალური ვარიანტებით [4] სარგებლობაშია. საკუთარი ცოცხალი ონლაინ გაკვეთილებით, დამოუკიდებლად შესასრულებელი სამუშაოებით, სადისკუსიო ჯგუფებითა და მოსწავლეთა ვირტუალური ქსელები, ეს პროგრამები შესაძლებელს ხდიან მსმენელების დისტანციურ მომზადებას სწავლების მაღალი ხარისხით.

ჰიბრიდულმა სწავლებამ მეტად ღირებული გაკვეთილები მოგვცა პედაგოგიური პროცესის, თანამშრომლობის პოტენციალის და განათლების სოციალური ელემენტის შესახებ, შეგვიქმნა ადეკვატური შეხედულებები როგორც ფიზიკურ, ასევე ვირტუალურ კლასებთან მიმართებაში. მიუხედავად იმისა, რომ ჰარვარდი სრულად დაუბრუნდა ინსტიტუციაში დასწრებულ სწავლებას, რაც სტუდენტებისთვის მეტი შესაძლებლობების შეთავაზებას მოასწავებს, HBS-ში არ უგულვებელყოფენ კრიზისის პერიოდში შემუშავებულ ინსტრუმენტების და ინოვაციების გამოყენებას. პირიქით, ისინი ცდილობენ მათი

უდიდესი პოტენციალის გამოყენებას საკუთარი პროგრამების დისტანციური ვარიანტების პრაქტიკულად შეუზღუდავი მიწოდებით გლობალური საზოგადოებისთვის[2].

შესაბამისად, ჰიბრიდული და შერეული სწავლება კვლავაც რჩება HBS-ის სამუშაო პრაქტიკაში, ხოლო სასწავლებელში დასწრებულად მისაწოდებელი პროგრამები გაუმჯობესდა ონლაინ სინქრონული და ასინქრონული სწავლების ელემენტების მათში ჩართვით. სასწავლებელთან და ერთმანეთთან ურთიერთობის ახალი ორგანიზაცია მისცემს სტუდენტებს შესაძლებლობას დისტანციურად, სასწავლებელში მისვლამდე შეხვდნენ ერთმანეთს და დაამყარონ კავშირები ჩატის მეშვეობით. ყველა ამ შესაძლებლობების სისტემური გამოყენებით, HBS-ში გეგმავენ ისეთი ბაზრის შექმნას, რომელიც უპირატესობას ჰიბრიდს მიანიჭებს, წმინდა “ინსტიტუციურ” პროგრამებთან შედარებით.

შესაბამისი ცვლილებების ინიციატორების ვარაუდით, უწყვეტ განათლებაში ჩვენ სულ უფრო ხშირად ვიხილავთ ციფრული უნარების განვითარებაზე მიმართულ სასწავლო პროგრამებსა და განცალკევებული კურსებს, რომელთა მიწოდება ასევე ციფრულად იქნება. უწყვეტი განათლების მოსწავლეები შეძლებენ მათთვის საინტერესო ცალკეული სასწავლო კომპონენტების ათვისებას, ნაცვლად რომელიმე ტრადიციული პროგრამის სრული გავლისა. თუმცა, რა თქმა უნდა, ორივე შესაძლებლობის არსებობის საჭიროება ყოველთვის დარჩება.

HBS-ში თვლიან, რომ შეუძლებელია რვა მილიარდი ადამიანისგან შემდგარი გლობალური მოსახლეობისთვის საკმარისი უნივერსიტეტების აშენება. როგორ უნდა შეიქმნას ადამიანებისთვის საკმარისი საგანმანათლებლო შესაძლებლობები, თუ კი ეს „ფიზიკური“ კლასებით ვერ მოხერხდება? დიჯიტალიზაცია მკვეთრად გააფართოებს შესაბამის ბაზარს და საშუალებას მისცემს HBS-საც და სხვა ინსტიტუციებს მოიცვან ბევრად უფრო ფართო სასწავლო საზოგადოება, ვიდრე ეს ჩვეულებრივ სივრცეებშია შესაძლებელი.

ასინქრონული სწავლის შესაძლებლობა ონლაინ სწავლების ერთ-ერთი დიდი უპირატესობაა. სტუდენტებს მასში ჩართვის შესაძლებლობა მაშინაც აქვთ, როდესაც მეცადინეობები არ ტარდება რეგულარული ციკლებით. შესაბამისი კურსების საკითხთა უმეტესობის გაცნობას ისინი იმ დროს შეძლებენ, რომელიც საუკეთესოდ “ჯდება” მათ ყოველდღიურ განრიგში. პრაქტიკამ აჩვენა, რომ სულაც არ არის აუცილებელი, რომ წინასწარ ჩაწერილი ლექციების ყურება/მოსმენა, კეისების გაცნობა, სიმულაციური თამაშების გარკვეულ ნაირსახეობებში მონაწილეობა და სადისკუსიო ზოგიერთ კითხვებზე პასუხის გაცემა კი მოსწავლეთა ჯგუფში ერთდროული მუშაობით ეწყობოდეს. რასაკვირველია, ასეთ სწავლებაზე მეტად დაყრდნობა მისი დამგეგმავისგან მეტ დეტალიზაციას მოითხოვს, მაგალითად, მკაფიო ვადების განსაზღვრას სადისკუსიო ფორუმის მონაწილეთაგან პასუხების მისაღებად. მაგრამ საბოლოო ჯამში იგი შესანიშნავი ინსტრუმენტია როგორც პროფესურისთვის, ისე სტუდენტებისთვის, ზოგჯერ კი უალტერნატივოც.

აუცილებელია ასევე ზომიერების დაცვა. როდესაც HBS-ის რომელიმე პროგრამა ბევრი ასინქრონული სამუშაოს შესრულებას ითვალისწინებს, მისი ონლაინ სწავლების მართვის სისტემა (online learning management system, LMS), აუცილებლად მოითხოვს ჯგუფური პერიოდული შეკრებების მოწყობასაც. თუმცა HBS-ში მიაჩნიათ, რომ სწავლების ასეთი პერიოდები - სინქრონული, არ უნდა იხარჯებოდეს ლექციებზე. რეკომენდებულია ამ დროის გამოყენება სტუდენტების ჯგუფური აქტივობების გასატარებლად, მაგალითად, ერთობლივად შესასრულებელ სასწავლო დავალებებზე მუშაობისას. ასეთი შეიძლება იყოს მოვლენების და პროცესების განსაკუთრებით საინტერესო სიმულაციების შედეგების ერთობლივი განხილვა ან დისკუსიის გამართვა რამდენიმე განსხვავებულ ამოცანას შორის კავშირების მოსაძიებლად. ყველა შემთხვევაში პედაგოგი უნდა იყოს დარწმუნებული, რომ სინქრონული მეცადინეობის დრო ღირებულია როგორც მისთვის, ასევე კლასისთვის და წინასწარ გააცნოს მისი მნიშვნელობა საკუთარ მოსწავლეებს.



„ფიზიკურ“ კლასში ადვილია იმის დანახვა, თუ რამდენად აქტიურები არიან მეცადინეობებზე სტუდენტები და როგორ რეაგირებენ ისინი სადისკუსიო შეკითხვებზე. სამწუხაროდ, ონლაინ კლასში მათი რეაქციის შეფასება გაცილებით უფრო რთულია. ამიტომ მნიშვნელოვანია, თუ კი ონლაინ სინქრონულ დისკუსიას ე.წ. ციფრული საკლასო დაფის (digital *whiteboard*) მეშვეობით ვატარებთ. მასზე გამოსატანად საგანგებოდ უნდა შეირჩეს ისეთი კითხვები, რომლებიც საინტერესოა სტუდენტებისთვის და ჩაღრმავებული განხილვისკენ უბიძგებს. უნდა შეირჩეს დასასმელი კითხვების შესაბამისი ტიპებიც - ღია თუ დახურული, ზოგჯერ განზრახ პროვოკაციული შინაარსითაც კი, რადგან ისინი ხშირად იწვევენ აქტიურ დისკუსიას.

ონლაინ სასწავლო გარემო უადვილებს მორცხვ ან პასიურ სტუდენტებს დისკუტირებისგან თავის არიდებას. პედაგოგის მათდამი უშუალო, ე.წ. „ცივი“ მიმართვების გარდა, არსებობს ონლაინ ჯგუფის სტუდენტების მეტად გააქტიურების სხვა გზებიც. მაგალითად, სინქრონული დისკუსიების თემების სადისკუსიო დაფებზე გამოქვეყნებისას უნდა შეირჩეს დრო, რომელიც მეტ შესაძლებლობას უტოვებს მოსწავლეებს მიიღონ მონაწილეობა საუბარში. წინასწარ უნდა დგებოდეს ონლაინ „კლასში“ გამომსვლელთა სია, იმის გათვალისწინებით თუ ვის შეუძლია დისკუსიის დაწყებისთანავე მასში ჩართვა და ვის მოგვიანებით. დასაშვებია ზოგიერთ სტუდენტს ინდივიდუალურად მივმართოთ თხოვნით მიიღოს მონაწილეობა მსჯელობაში კონკრეტულ, მისთვის საინტერესო საკითხზე. ისევე, როგორც ტრადიციულ კლასშია, ონლაინ სწავლით მიღებული გამოცდილება ყველასთვის გაცილებით უფრო მდიდარი ხდება, როდესაც უკლებლივ ყველა აქტიურადაა ჩართული დისკუსიაში,

უკვე ითქვა, რომ ონლაინ სწავლება გვთავაზობს ისეთ სტუდენტებამდე მისვლის გზას, რომლებიც მიზეზთა გამო, სხვაგვარად ვერ შეძლებდნენ სწავლას. საზოგადოდ ეს სფერო ახალია, ღია ინოვაციებისთვის და სავსებით სავარუდოა, რომ პედაგოგი იპოვის მისი მიწოდების საკუთარ ეფექტურ შესაძლებლობებს, რომლებიც ჯერ არ გამოყენებულა. ეს გარემოება შეიძლება ყველაზე მიმზიდველია კრეატიული ადამიანებისთვის: მიუხედავად იმისა, რომ ონლაინ სწავლება მეტ წინასწარ მუშაობას მოითხოვს, ვიდრე „ჩვეულებრივი“, შედეგად ნაპოვნი თითქმის ყველა მიგნებები მრავალჯერადად გამოყენებადი ხდება. დროთა განმავლობაში ამას მოსდევს მათ ირგვლივ ძალიან კარგი პერსონალური ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება ხარისხიანი ონლაინ სწავლების მისაწოდებლად.

ყველა ზემოხსენებული რეკომენდაციების და მოსაზრებების გაზიარების საფუძველზე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საწარმოო ინოვაციების და ოპერაციათა მენეჯმენტის“ დეპარტამენტში შეიქმნა მოკლევადიანი სასწავლო პროგრამა „ენერჯია, როგორც სერვისი“. იგი განკუთვნილია იმ მცირე კომპანიების თანამშრომელთა მოსამზადებლად, რომლებიც დაკავდებიან ბიზნესით ე.წ. „ჰკვიანი“ ენერგოქსელების და არატრადიციული ენერგოგენერაციის გავრცელებით შექმნილ ახალი სამეწარმეო მიმართულებებით. ესენია ქალაქების უბნების და ცალკეული ობიექტების „ჰკვიანი“ ენერგომომარაგება დევიზით: მაშინ, როცა საჭიროა, იქ, სადაც საჭიროა და იმდენით, რამდენიც საჭიროა. მსგავს მიმართულებებს მიეკუთვნება ახალი ტიპის ენერგომომხმარებლების - ე.წ. „პროსიუმერების“ (ინგლ. Production+Consumer) მომსახურება, რომლებიც იმავდროულად ენერგომწარმოებლებიც არიან.

პროგრამა მთლიანად ონლაინ მიწოდებისთვისაა განკუთვნილი, დანიშნულების მიხედვით მისი კურსები ორ ჯგუფად იყოფა - ტექნიკური საკითხების შესწავლის და

ბიზნესის ორგანიზების გაცნობის. ყველა კურსში გათვალისწინებულია როგორც ასინქრონული, ისე სინქრონული მეცადინეობების ჩატარება. პირველებისთვის ჩაწერილია ლექციები, მომზადებულია კითხვები ინდივიდუალური დავალებების შესრულების შესამოწმებლად და ა.შ. სინქრონული მეცადინეობები ძირითადად ჯგუფური პროექტების შესრულებას და დისკუსიებს დაეთმობა. კომპანია „მონტაჟ ჯორჯია“-ს თანამშრომლებისთვის წარმატებით ჩატარდა პირველი ასეთი კურსი „პროექტების მენეჯმენტში“.

მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის გავლენა განათლებასა და სამუშაო ძალის დინამიკაზე მოითხოვს პარადიგმის ცვლილებას სასწავლო მეთოდოლოგიაში. კვლევები ხაზგასმით მიანიშნებენ ახალი ციფრული ინსტრუმენტებისა და ინოვაციური პედაგოგიური მიდგომების გამოყენების აუცილებლობას ამ ამოცანის გადასაჭრელად. გლობალურმა პანდემიამ დააჩქარა ციფრული პედაგოგიკის განვითარება, ყურადღება გაამახვილა ტექნოლოგიური ინოვაციების შერწყმის აუცილებლობაზე პედაგოგიურ მახვილგონიერებასთან, განსაკუთრებით ვირტუალური (ონლაინ) და ჰიბრიდული სასწავლო ჩარჩოების კონტექსტში.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Acar, O. A. (2023, June 15). Are Your Students Ready for AI? A Four-Step Framework to Prepare Learners for a ChatGPT World. Harvard Business Review.
2. Lakhani, K. R., & Viceira, L. M. (2021, July 1). 5 Key Lessons from HBS's Pandemic Teaching Transformation And What Learnings Will Stick Moving Forward. Harvard Business Review.
3. Schiano, B., & Andersen, E. (2019, March 29). 8 Tips for Teaching Online. Harvard Business Review.
4. Harvard Business School Executive Education. (n.d.). Retrieved from <https://www.exed.hbs.edu/virtual-programs>

Archil Samadashvili

Professor, Georgian Technical University

Qetevan Iluridze

Doctoral Student, Assistant, Georgian Technical University

## Digital pedagogy - the basis of today's educational paradigm

### Abstract

The 4th industrial revolution has had quite a transformational impact on education, which requires adaptation with digital tools and innovative teaching methods. This paper examines the role of artificial intelligence in shaping education for the emerging workforce using the ChatGPT model as an example. The pandemic has accelerated digital learning methods, highlighting their importance in virtual and hybrid learning. Harvard Business School's hybrid approach emphasizes the effectiveness of combining synchronous and asynchronous elements. The paper recommends digital tools—pre-recorded lectures, Zoom, discussion boards, simulations, multimedia, and curated content—to enhance learning. Fostering engagement remains key, bridging gaps and preparing learners for an AI-driven future.

**Keywords:** 4th Industrial Revolution, Education, Educational digital tools, Hybrid and online learning.



## დაწყებითი სკოლა

ჯამბუ ავალიანი  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ასოცირებული პროფესორი  
თეიმურაზ ქურციკიძე  
სსიპ ქ. ზესტაფონის მე-3 საჯარო სკოლის  
წამყვანი მასწავლებელი

### დაწყებითი სკოლა-სწავლა - აღზრდის ძირი და ფუძე (მცირე ისტორიული ექსკურსი, ფაქტობრივი მდგომარეობა, პრობლემები და პერსპექტივები)

*რეზიუმე:* დაწყებითი განათლება სწავლა-აღზრდის საძირკველია; სკოლის ამ ეტაპზე ეყრება საფუძველი იმ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, რომელიც მომავალში მოზარდის პროფესიული და მოქალაქეობრივი სრულყოფის საყრდენი უნდა გახდეს.

1957 წლიდან იუნესკოს ეგიდით, უმაღლეს პედაგოგიურ სასწავლებლებში დაარსდა დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდოლოგიის ფაკულტეტები; გასული საუკუნის 90-იან წლებამდე ათეულობითი პედაგოგიური ინსტიტუტი და უნივერსიტეტი ამზადებდა დაწყებითი კლასების (I-IV) მასწავლებლებს;

ამ თვალსაზრისით მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა ჩვენი საუკუნის დასაწყისიდანვე: სახელმწიფომ შეასუსტა, ზოგიერთ შემთხვევაში, უარი თქვეს განათლების კონტროლსა და მართვაზე; უნივერსიტეტებმა შეწყვიტეს პედაგოგიურ სპეციალობებზე აბიტურიენტთა მიღება.

ვგეჟრობთ, გონივრული გადაწყვეტილებაა სახელმწიფო უნივერსიტეტებში 300 კრედიტული მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო აკადემიური პროგრამის დანერგვა, რომლის კურსდამთავრებულსაც მიენიჭება განათლების მაგისტრის კვალიფიკაცია, საგნის/საგნების სწავლების უფლების მითითებით.

პროგრამა, მთელი რიგი პრობლემების (შესაბამისი საგნობრივი მეთოდური სახელმძღვანელოების უქონლობა) მიუხედავად, წარმატებით ხორციელდება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

**საკვანძო სიტყვები:** მასწავლებლის მომზადება; მოსწავლის გონებრივი, ფიზიკური ემოციური და სოციალური განვითარების ხელშეწყობა; საბაზისო უნარების განვითარება.

ყველასათვის ცხადია, რომ დაწყებითი განათლება საძირკველია სწავლა-აღზრდისა; დაწყებით კლასებში იწყება შეგნებულად შეთვისება ცოდნისა ბუნებისა და საზოგადოებრივ მოვლენათა შესახებ. სკოლის ამ ეტაპზე ეყრება საფუძველი იმ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, რომელიც მომავალში მოზარდის პროფესიული და მოქალაქეობრივი სრულყოფის საყრდენი უნდა გახდეს.

დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდოლოგიის ფაკულტეტები, რომელიც დაწყებითი კლასების მასწავლებლებს ამზადებს, ერთ-ერთი უძველესია ქართული უმაღლესი სასწავლებლების ისტორიაში.

უმაღლესი სკოლის ისტორია საქართველოში შორეულ საუკუნეებში იღებს სათავეს. განათლების მკვლევრები ვარაუდობენ, რომ პირველი ცნობა ეკუთვნის რომაელ ისტორიკოსს კორნელიუს ტაციტუსს (დაახლოებით 56-117 წწ.), ხოლო კოლხეთში უმაღლესი რიტორიკული სკოლის (III-IV სს.) არსებობას ადასტურებს ბიზანტიელი ფილოსოფოსი თემისტოისი (დაახლოებით 317-388 წწ.) (ბასილაძე 2012:4).

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ჯერ კიდევ მეხუთე საუკუნეში, სირიაში, დიდმა ქართველმა ფილოსოფოსმა პეტრე იბერმა (411-491 წწ.) დააარსა უმაღლესი განათლების ცენტრი, რომლის მსმენელთა უმრავლესობა ქართველები იყვნენ და სკოლაც სირიის ქართული სკოლის სახელითაა ცნობილი.

საერთაშორისო მნიშვნელობის მოვლენა გახლდათ პეტრიწონის ქართული მონასტერი (ბულგარეთი), სადაც, ქართველ მოღვაწეთა ინიციატივით მძლავრი სამეცნიერო-პედაგოგ-გიური კერა ჩამოყალიბდა (პედაგოგიკის ისტორია 2004).

განათლების განვითარების საქმეში განსაკუთრებით აღსანიშნავია გელათისა და იყალთოს აკადემიების როლი.

საქართველოში მასწავლებელთა მომზადების დაწესებულებებს XIX საუკუნიდან ვხვდებით. ამავე საუკუნის I ნახევრიდან საქართველოს სახალხო სკოლებისთვის მასწავლებლებს ამზადებდა **თბილისის სასულიერო სემინარია (1817 წ.)**, თბილისის, ქუთაისის და თელავის წმინდა ნინოს სასწავლებლები და კერძო პანსიონები.

საქართველოში პირველი სპეციალური პედაგოგიური სასწავლებელი შეიქმნა 1866 წელს. სკოლა, რომელიც მართლმადიდებელ ქრისტიანობის აღმდგენელმა საზოგადოებამ დაარსა, გამიზნული იყო ამ საზოგადოების სკოლებისთვის მასწავლებელთა მოსამზადებლად. სკოლა, თავისი პროფილითა და გონივრულად გააზრებული პროგრამებით, მთელ ქვეყანაში პოპულარული გახდა და 1871 წლიდან იგი გადაკეთდა საოსტატო სამასწავლებლო ინსტიტუტად და ალექსანდრე II-ის სახელი ეწოდა (**გაგუა 1974**).

თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტმა იარსება 1919 წლამდე, ხოლო 1919 წელს დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის პერიოდში შეუერთდა ახლადდაარსებულ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, რომლის ხელმძღვანელად დაინიშნა ცნობილი ფსიქოლოგი, პროფესორი **დიმიტრი უზნაძე**.

დაწყებითი სკოლებისთვის მასწავლებელთა მომზადების საქმეს საქართველოში ემსახურებოდა **გორისა და ხონის საოსტატო სემინარები**.

**გორის საოსტატო სემინარია გაიხსნა 1876 წელს**. სემინარიაში დაწყებითი სკოლის მასწავლებლები მზადდებოდა არა მარტო საქართველოსთვის, არამედ ამიერკავკასიის დაწყებითი სკოლებისთვისაც. სემინარიაში, ქართველების გარდა, ლებულობდნენ რუსებს, სომხებს, აზერბაიჯანელებს..., მოგვიანებით მას „**ამიერკავკასიის საოსტატო სემინარია**“ ეწოდა.

**ხონის საოსტატო სემინარია გაიხსნა 1881 წელს**, მას ოფიციალურად ქუთაისის საოსტატო სემინარია ეწოდებოდა. სემინარიასთან არსებობდა დაწყებითი სასწავლებელი, სადაც გადიოდნენ პედაგოგიურ პრაქტიკას. სასწავლებელი დაიხურა 1921 წელს (ვაჭრიძე 2000).

XX საუკუნის დასაწყისიდან საქართველოს სახალხო განათლების სისტემაში სერიოზული ცვლილებები დაიწყო. 1909 წელს, თბილისში, კერძო პირთა ინიციატივით, დაარსდა პირველი უმაღლესი სკოლა „**ქალთა უმაღლესი კურსები**“, რომელიც შემდგომში ამიერკავკასიის კერძო ინსტიტუტად გადაკეთდა, იარსება 1920 წლამდე.

საქართველოში უმაღლესი განათლების განვითარების სრულიად ახალი ეტაპი დაიწყო 1918 წელს, როცა ივანე ჯავახიშვილისა და სხვა ქართველ მეცნიერთა და მოღვაწეთა ინიციატივით დაარსდა თბილისის უნივერსიტეტი. მალე, თბილისის პირველი სამასწავლებლო ინსტიტუტი (1919 წ.) გადაკეთდა „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საპედაგოგო ინსტიტუტად“.

1930 წელს ჩატარდა თსუ-ს რეორგანიზაცია. უნივერსიტეტის ბაზაზე შეიქმნა რამდენიმე სასწავლო ინსტიტუტი, მათ შორის პედაგოგიურიც.

1933 წელს მთავრობის დადგენილებით პედაგოგიური ინსტიტუტი გადატანილ იქნა ქუთაისში (ზასილაძე ი., ახვლედიანი მ., 2023).

ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის გახსნას მოჰყვა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე პედაგოგიური ინსტიტუტების დაარსება, კერძოდ, გაიხსნა ცხინვალის (1932 წ.), სოხუმის (1932 წ.), თბილისის (1935 წ. პუშკინის სახელობის), ბათუმის (1935 წ.), გორის (1935 წ.), თელავის (1939წ), ზუგდიდის (1939 წ, იარსება 1952 წლამდე) პედაგოგიური ინსტიტუტი.

1957 წლიდან იუნესკოს ეგიდით, უმაღლეს პედაგოგიურ სასწავლებლებში დაარსდა დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდოლოგიის ფაკულტეტები; გასული საუკუნის 90-იან წლებამდე ათეულობითი პედაგოგიური ინსტიტუტი და უნივერსიტეტი ამზადებდა დაწყებითი კლასების (I-IV) მასწავლებლებს; ჩამოყალიბდა და გაძლიერდა სამეცნიერო-პედაგოგიური სეგმენტი, დაიხვეწა მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და დახელოვნების სისტემა, ჩამოყალიბდა დაწყებითი განათლების მეცნიერული პედაგოგიკა და მეთოდოლოგია, გამოიცა მეთოდოლოგიური რეკომენდაციები და სახელმძღვანელოები.

ამ თვალსაზრისით მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა ჩვენი საუკუნის დასაწყისიდანვე: სახელმწიფომ შეასუსტა, ზოგიერთ შემთხვევაში, უარი თქვეს განათლების კონტროლსა და მართვაზე; უნივერსიტეტებმა შეწყვიტეს პედაგოგიურ სპეციალობებზე აბიტურიენტთა მიღება, გასაქანი მიეცა უნივერსიტეტების დამფუძნებელთათვის უფრო სარფიან ფაკულტეტებსა და სპეციალობებს, ქვეყანაში შეიქმნა კვალიფიციური პედაგოგების დეფიციტი, დაწყებით კლასებში გაიზარდა არასპეციალური განათლების მქონე მასწავლებელთა რაოდენობა, თანაც გართულდა სწავლა-აღზრდის სისტემა, და ასეთ ვითარებაში საგრძნობლად შეიზღუდა მასწავლებლებისადმი მეთოდოლოგიური ლიტერატურით დახმარება; პედაგოგები უმეტესად „იკვებებიან“ თარგმნილი, უცხოური განათლების სისტემაზე მორგებული მეთოდოლოგიური რეკომენდაციებით, ათასგვარი მეთოდებითა და სწავლების ინოვაციური სტრატეგიებით, რომელიც დემოკრატიზმისა და საჯაროობის იარაღით საღდება და, სამწუხაროდ, ხელშეუხებელ „სიბრძნედაც“ ითვლება, რასაც დეზორიენტაცია შეაქვს სწავლა-აღზრდის არსებულ სისტემაში. მასწავლებლის პროფესია სახელმწიფომ რეგულირებად პროფესიად გამოაცხადა. ეს ნიშნავს, რომ მასწავლებლობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროფესიაა და იგი სახელმწიფო დონეზე უნდა დარეგულირდეს.

საქართველოს განათლების კანონსა და სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებებში გარკვევითაა განსაზღვრული როგორც დაწყებითი სკოლის სტრუქტურა, ისე მისი მუშაობის უმთავრესი ამოცანები: დაწყებით სკოლაში (I-IV კლასები) სწავლის ხანგრძლივობა გაიზარდა ორი წლით და მოიცავს ექვსწლიან ციკლს; სკოლის ეს პერიოდი მოითხოვს სწავლების ამოცანების წარმოდგენას ინტეგრირებული, კოორდინირებული

სახით, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ ბავშვებს უფრო საფუძვლიანად შევასწავლოთ კითხვა, წერა, გაგზადოთ ისინი წიგნიერი მოქალაქეები (ესგ 2018-2024წწ.).

დაწყებითი საფეხურის ორი კლასით (V-VI) გაზრდა, არა მარტო სტრუქტურულად ცვლის დაწყებით სკოლას, არამედ თვისებრივად და შინაარსობრივად ცვლის ამ კლასებისათვის მასწავლებლის მომზადების სტრატეგიას, სასწავლო პროგრამებს, სწავლების მეთოდოლოგიას, სახელმძღვანელოებს, კორექტივები შეაქვს დაწყებით საფეხურზე სწავლების წესში, მათგან მნიშვნელოვანია საგნობრივი სწავლების წესი, როგორც პირველ ეტაპზე (I-IV კლ), ისე V-VI კლასებში.

ფაქტია, რომ დაწყებით კლასებში, განსაკუთრებით ბოლო წლებში, საკმაოდ ფეხმოკიდებულია საგნობრივი სწავლების წესი: მშობლიურ ენას ასწავლის (უკეთეს შემთხვევაში) ფილოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებული; მათემატიკას - ფიზიკა - მათემატიკის ფაკულტეტის, ბუნებისმეტყველებას - ქიმია-ბიოლოგიის სპეციალისტი და ა. შ. შეიძლება აქ გასაკვირიც არაფერი იყოს, რომ არა, დაწყებითი სკოლის სპეციფიკა: ფილოლოგმა შეიძლება ჩინებულად იცოდეს ლიტერატურის ისტორია, მათემატიკა, ენათმეცნიერება, ფოლკლორი.... სამაგიეროდ, მას წარმოდგენა არ აქვს წერა-კითხვის სწავლების მეთოდიკაზე, დაწყებით კლასებში მოსახმარ თვალსაჩინო დიდაქტიკურ მასალებზე, უმცროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეთა პედაგოგიკაზე, ფსიქოლოგიაზე, ჰიგიენის წესებზე.... მას პედაგოგიური პრაქტიკა არ გაუვლია დაწყებით კლასებში... ე.ი. მისთვის სრულიად უცხოა დაწყებით კლასებში მშობლიური ენის სწავლების წესები, პროგრამა, სახელმძღვანელოები, მათი აგებისა და გამოყენების პრინციპები, მითუმეტეს, რომ I-IV კლასებში საგნები ისწავლება **კონცენტრული წესით**. (კონცენტრიზმი-პედაგოგიური სწავლების სისტემა, რომლის დროსაც სასწავლო პროგრამის ერთი და იმავე განყოფილებანი ისწავლება ორჯერ ან სამჯერ (სხვადასხვა კლასში) თანდათანობით მზარდი მოცულობითა და მეტი სიღრმით).

ამავე დროს გასათვალისწინებელია მცირეკომპლექტიანი სკოლების პრობლემა, რომელთა რიცხვით, განუწყვეტელი მიგრაციისა და საგანგაშო დემოგრაფიული მდგომარეობის გამო, ასეთი ტიპის სკოლების რიცხვი იზრდება. არის სკოლები, სადაც ერთი მასწავლებელი ერთდროულად ასწავლის 2-3 და ზოგჯერ ოთხ კლასსაც კი. ამ სკოლებში, ამავე მიზეზით (კონტინენტის სიმცირე), ვერ მოხერხდება V და VI კლასების გახსნა; ანდა, სად გვყავს მასწავლებელი, რომელიც ყველა საგნის სწავლებას შეძლებს V და VI კლასებში?!

განათლების რეფორმა ჩვენს ქვეყანაში დიდი ხანია მიმდინარეობს. ამ დროის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა. რეფორმამ ბევრი სასიკეთო ცვლილება მოიტანა ჩვენს სკოლებში, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რეფორმა საკმაოდ მტკივნეულია გარკვეული თვალსაზრისით. მიღებულია ბევრი ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც, გამორიცხული არ არის, მოგვიანებით გადასახედი გახდეს გარკვეული სოციალური და ფსიქოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებით. სიახლე ბევრია, საგანმანათლებლო სივრცე კი ძნელად ითავისებს ახალ ინოვაციებს. ამაში უჩვეულო არაფერია, განათლების სისტემა საკმაოდ კონსერვატიული სფეროა და თითოეული სიახლის სათანადოდ გათავისებას გარკვეული დრო სჭირდება, მით უმეტეს, რომ ამ სიახლეებში ბევრი რამ სათუთაა, რომელიც, რბილად რომ ვთქვათ, ეწინააღმდეგება განათლების ეროვნულ მიზნებსა და სტრატეგიებს.

რაც შეეხება მცირეკომპლექტიანი სკოლებსა და საგნობრივი სწავლების პრობლემას I-IV კლასებში, ჩვენი აზრით, მოიძებნა გონივრული გამოსავალი - **უკვე ხორციელდება მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო აკადე-**

მიური პროგრამა, რომლის კურსდამთავრებულსაც მიენიჭება განათლების მაგისტრის კვალი-ფიკაცია, საგნის/საგნების სწავლების უფლების მითითებით.

მასწავლებლის მომზადების ახალი პროგრამით, დაწყებითი საფეხურის I ეტაპზე (I-IV), ერთი მასწავლებლის ხელში მოიყრის თავს ყველა საგნის სწავლება და აღმზრდელი მუშაობა ერთ დაწყებით კლასში, ამავე დროს, ამ პროგრამის კურსდამთავრებულებს ექნება კომპეტენცია, რათა ასწავლოს საგანი (საგნები) დაწყებითი საფეხურის II ეტაპზე (V- VI კლ.). ორეტაპიანი დაწყებითი საფეხური გარკვეულ სირთულეს უქმნის მასწავლებელს და მისგან სწავლა/სწავლების აქტივობებისა და სტრატეგიების მრავალფეროვნებას მოითხოვს. ამიტომ დღის წესრიგში დადგა დაწყებითი სკოლისთვის ორი ტიპის მასწავლებლის მომზადება: ა) მულტიდისციპლინარული სწავლების (I-IV კლ), სადაც მასწავლებელი ერთდროულად ასწავლის რამდენიმე საგანს (მშობლიური ენა, მათემატიკა, ბუნებისმცოდნეობა) და ბ) საგნობრივი, როცა მასწავლებელი სპეციალიზებულია მხოლოდ ერთ დისციპლინაში I-დან VI კლასამდე.

დაწყებითი საფეხურის ორი კლასით გაზრდა, არამარტო სტრუქტურულად, არამედ თვისობრივად და შინაარსობრივად ცვლის ამ კლასებისთვის მასწავლებლის მომზადების სტრატეგიას, სასწავლო პროგრამებს, სწავლების მეთოდოლოგიას, სახელმძღვანელოებს, უნდა გამოიცეს დამხმარე მეთოდიკური ლიტერატურა სპეციალურად დაწყებითი (ექვსწლიანი ციკლის) განათლების ფაკულტეტებისთვის; მნიშვნელოვნად უნდა გადიდდეს სასწავლებლებისთვის დაფინანსება, უნდა გამოიყოს საბაზო დაწყებითი სკოლები; ფაკულტეტმა, შესატყვისი დეპარტამენტის (კათედრების) მეშვეობით, უნდა შეძლოს კაბინეტ-ლაბორატორიების შექმნა ყველა ძირითად საგანში; დაწყებითი განათლების ფაკულტეტზე სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობას უნდა წარმართავდეს მხოლოდ ის პროფესორ-მასწავლებლები, რომლებიც იცნობენ დაწყებით განათლების სპეციფიკას; კატეგორიულად უნდა აღიკვეთოს პედაგოგიური პრაქტიკის ჩასატარებლად იმ პირის მიწვევა, რომელსაც დაწყებით სკოლაში არასოდეს უმუშავია...

აქვე ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთ ყოვლად მიუღებელ ტენდენციას: უკანასკნელ ხანებში პედაგოგიურ პრესაში, საჯარო გამოსვლებში, რეკომენდაციებში, ხშირად გამოითქმის ასეთი სურვილები: ხელი ავიღოთ ტრადიციულ პედაგოგიკაზე, როგორც მოძველებულსა და მიუღებელზე. მათი ჭკუით „**მოძველებულში**“ კლასიკური პედაგოგიკა იგულისხმება, რომლის ბარბაროსულმა უარყოფამ სანამდეც მიგვიყვანა ყველასთვის ნათელია.

ასევე დაუსაბუთებლად „ტრადიციულად“ ნათლავენ სწავლების მეთოდებს და მოუწოდებენ მასწავლებლებს ხელი აიღონ მათ გამოყენებაზე. ამას უმეტესად ქადაგებენ ის პირები, რომლებიც საგნის სწავლების სპეციალისტები არც არიან; როგორც დეაწლმოსილი პედაგოგი და მეცნიერ-მეთოდისტი, პროფესორი **მ. ჩინჩალაძე** ბრძანებდა, **უსაგნო სწავლების მეთოდიკა კი არ არსებობს.**

ძველია, მაგრამ პროგრესულია კლასიკური პედაგოგიკის მემკვიდრეობის ნააზრევი, ძველია დიდაქტიკური პრინციპები, რომელთაც მარადიული ჭეშმარიტების კანონის ძალა აქვს, ხელაღებით არც კლასიკური პედაგოგიკის გაფეტიშება შეიძლება და არც ბარბაროსული უარყოფა. კლასიკური პედაგოგიური მემკვიდრეობა ჩვენი ინტელექტუალური სიმდიდრეა და მისი თანამედროვეობასთან დაკავშირება მხოლოდ გაამდიდრებს სწავლა-აღზრდის სისტემას. მაგალითისთვის: ძველია ქართული წერა-კითხვის სწავლების „**ბგერითი ანალიზურ-სინთეზური მეთოდი**“. იგი საუკუნეზე მეტია გამოყენებულია ქართულ, რუსულ და სხვა ენებში წერა-კითხვის შესასწავლად, როგორც ობიექტთან

ყველაზე უფრო მისადაგებული, გამოცდილი, მარჯვე მეთოდი; ახალი იყო მის ნაცვლად შემოღებული სხვა ენისთვის ბუნებრივი, მაგრამ ქართული წერა-კითხვისათვის სრულიად არაბუნებრივი, მოდური „მთლიან სიტყვათა“ (ამერიკული) მეთოდი, რომელიც ახალი კი იყო, მაგრამ ქართული ენის თავისებურების სრულიად უგულვებლყოფილი, ჩვენი სკოლისთვის თავზე ძალად მოხვეული. დიდი დრო და ძალისხმევა დასჭირდა ქართულ სკოლას, რომ „მთლიან სიტყვათა“ (ამერიკული) მეთოდი უკუაგდო. ასე რომ, მიუღებელ, უვარგის მოხერხებულად მიაკერებენ „ძველის“, „ტრადიციულის“ იარლიყს და თეთრს შავად მოგვაჩვენებენ. ამის თაობაზე ი. ჭავჭავაძე წერდა „იღებენ და რისი და ვისი ათვალწუნებაც უნდათ, იმას მიაკერებენ ხოლმე მარტო ერთს სიტყვას „ძველიაო“ და საქმეც მათის ფიქრით გათავებულა..... ეგ იარაღი მეტისმეტად ძველია და ბავშვებსღა აქვთ ხელში სათამაშოდ და მარტო მათი შესაფერია და მოსახდენი.... არაფერი ქვეყანაზე არც იმით დაიწუნება, რომ ძველია და არც იმით მოიწონება, რომ ახალია. ამ სადა ჭეშმარიტებას დიდი ლარი და ხაზი არ უნდა, არც მეტი გონების გახსნილობა, რომ კაცმა ახალი ტალახი ძველ ვარდს ამჯობინოს მარტო იმის გამო, რომ ტალახი ახალია და ვარდი კი ძველი.... კაცო, რა ვუყოთ რომ ძველია! იქნებ კარგი, იქნებ მართალი მაგ ძველშია!“...

უნდა ითქვას იმაზეც, რომ თანამედროვე სკოლა, მასწავლებლობა დინების საწინააღმდეგოდ ვერ ივლის, ჩვენ ირგვლივ არსებული რეალობა . ინფორმაციის მძლავრი ნაკადი მეცნიერების სხვადასხვა დარგებში, ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ, საყოველთაო გლობალიზაცია თავისი პოზიტიური და ნეგატიური ასპექტებით, ყველა-სგან ერთნაირად მოითხოვს საკუთარ ცნობიერებაში ღრმად გავიაზროთ და დავნერგოთ სწავლების აქტიური მეთოდები, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მოსწავლეს, არსებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით მოახდინოს ახალი ცოდნის კონსტრუირება (კონსტრუქტივიზმის თეორია სულ უფრო მეტად გამოიყენება, როგორც თანამედროვე სასწავლო გარემოსადმი ყველაზე უკეთ მისადაგებული. კონსტრუქტივიზმის მოკლე განმარტების მიხედვით, მოსწავლე ახდენს ახალი ცოდნის დაშენებას არსებული ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით).

დაწყებით საფეხურზე უნდა ეზიაროს მოზარდი ზნეობრივსა თუ ესთეტიკურ იდეალებს - სიკეთეს, მეგობრობას, სამშობლოს სიყვარულს... გონებრივ წვრთნასთან ერთად პიროვნების მაღალი სულიერი თვისებების ჩამოყალიბება დიდი ქართველი მამულიშვილის ილია ჭავჭავაძის ფიქრის საგანი იყო: „დღეს ყველაფერი შეწირული აქვს მარტო გონების გახსნას და დავიწყებულია, რომ ადამიანს ჭკვა-გონების გარდა გულიც აქვს, რომელსაც კაი-კაცობისთვის ისეთივე წვრთნა და გახსნა უნდა, როგორც ცოდნისთვის ჭკვა-გონებას“ .

ამრიგად სწავლა-აღზრდის ფუძე დაწყებითი განათლებაა; თუ ამ ფუძეს გავამაგრებთ, მყარ საფუძველს შევქმნით წარმატებით განვახორციელებთ, დაწყებითი საფეხურის მისიას, რომლის არსია:

- ა) საგანთა თანმიმდევრული სწავლა-სწავლების გზით მოსწავლის გონებრივი, ფიზიკური ემოციური და სოციალური განვითარების ხელშეწყობა;
- ბ) საბაზისო უნარების - წიგნიერებისა და რაოდენობრივი წიგნიერების განვითარების ხელშეწყობა;
- გ) სასკოლო გარემოსა და სწავლის მიმართ დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბება, ცნობისმოყვარეობის ცოდნისმოყვარეობაში გადაზრდა და მოსწავლეთა მომზადება საბაზო საფეხურისათვის.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბასილაძე 2012: ბასილაძე ი., პედაგოგიური ფაკულტეტი-წარსული, აწმყო, მომავალი (1933-2013), ქუთაისი, 2012.
2. ბასილაძე, ახვლედიანი 2023: ბასილაძე ი., ახვლედიანი მ., პედაგოგიკის დეპარტამენტი (კათედრა), ქუთაისი, 2023.
3. გაგუა 1974: გაგუა ვ., სახალხო განათლება მე-19 საუკუნის რეფორმის შემდგომ საქართველოში, თბილისი, 1974.
4. ესგ 2018-2024წწ.: ეროვნული სასწავლო გეგმა და დაწყებითი საფეხურის საგნობრივი პროგრამები, თბილისი, 2018.
5. ვაჭრიძე 2000: ვაჭრიძე პ., ხონის საოსტატო სემინარია(1881-1921), ქუთაისი, 2000.
6. პედაგოგიკის ისტორია 2004: პედაგოგიკის ისტორია, რედაქტორი აკად. ნ. ვასაძე, თბილისი, 2004.

**Jambu Avaliani**  
**Associate Professor of the Pedagogical**  
**Faculty of Akaki Tsereteli State University**  
**Teimuraz Kurtsikidze**  
**LEPL Zestaponi Public School No 3**  
**Teacher of Georgian language and literature**

## **The Foundation and Roots of Primary Education** **(Short Historical Excursion, Actual Situation, Problems and Prospects)**

### **Resume**

Primary education is the foundation of learning and education; Since 1957, under the auspices of UNESCO, faculties of pedagogy and methods of primary education were established in higher educational institutions; Until the 90s of the last century, dozens of pedagogical institutes and universities trained primary teachers.

From this point of view, the situation has changed radically since the beginning of our century. The state weakened, and in some cases refused to control and manage education. Universities have stopped accepting entrants for pedagogical specialties... This time, not a single higher pedagogical institution is functioning in the country.

We think it is a wise decision to introduce a 300-credit integrated bachelor's-master's academic program of teacher training in state universities, the graduates of which will be awarded the qualification of Master of Education, indicating the right to teach the subject/subjects. The program is successfully implemented at Akaki Tsereteli State University.

**Keywords:** teacher training; promotion of mental, physical, emotional and social development of the student; Development of basic skills.

ქეთევან არჩვაძე  
სსიპ იოსებ ოცხელის სახელობის ქ.ქუთაისის N2 საჯარო სკოლის  
წამყვანი მასწავლებელი  
ქეთევან ქუთათელაძე  
სსიპ იოსებ ოცხელის სახელობის ქ.ქუთაისის N2 საჯარო სკოლის  
წამყვანი მასწავლებელი

## მასწავლებელთა თანამშრომლობა - გზა პროფესიული წინსვლისა და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესისა

*რეზიუმე:* ჩვენი მიზანი იყო გამოგვეკვლია, თუ როგორ აისახება პარალელური კლასის მოსწავლეთა შედეგებზე ერთობლივად დაგეგმილი გაკვეთილები.

სამიზნე ჯგუფად შერჩეული იქნა სსიპ იოსებ ოცხელის სახელობის ქ.ქუთაისის N2 საჯარო სკოლის წამყვანი მასწავლებლების ქეთევან არჩვაძისა და ქეთევან ქუთათელაძის სადამრიგებლო კლასები.

მსოფლიო პანდემიით განპირობებულმა მოსწავლეთა დაბალმა სასკოლო მზაობამ გააძლიერა ჩვენში თანამშრომლობისა და სირთულეების ერთობლივად დაძლევის სურვილი.

სასწავლო პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა თამაშით სწავლებამ, კვლევა-ძიების უნარების განვითარებასა და მოტივაციის ამაღლებაზე ორიენტირებულმა აქტივობებმა (ვატარებდით დამატებით გაკვეთილებს კითხვაში თამაშის ელემენტებით, ვიქტორინებს, არქეოლოგიური კვლევის იმიტაციებს და ა.შ.).

კვლევამ გვაჩვენა, რომ მასწავლებელთა თანამშრომლობა ეფექტური სტრატეგიაა. ის საშუალებას გაძლევს გაინაწილო საქმე, განახორციელო აქტივობები და მიღებული შედეგების ანალიზზე დაყრდნობით უზრუნველყო სასწავლო პროცესში მუდმივი პროგრესი.

*საკვანძო სიტყვები:* თანამშრომლობა, მოტივაციის ამაღლება, ვიქტორინა, სტრატეგია, ერთობლივი.

მნიშვნელოვანია, გავიაზროთ, რომ სწავლა მხოლოდ ცოდნის მიღებას არ ნიშნავს. საჭირო და აუცილებელია თითოეულმა მოსწავლემ ინდივიდუალურად გადაამუშავოს მიღებული ინფორმაცია და მოახდინოს ინტეგრირება საჭირო სიტუაციასა და დროში. ამისათვის აუცილებელია მასალა მოსწავლეს მიეწოდოს საინტერესოდ, სახალისოდ, მიზანმიმართულად. ყველაფერ ამას კი გაკვეთილის კარგად დაგეგმვა სჭირდება; ფიქრი, მსჯელობა, კეთება, მოძიება. მასწავლებელთა თანამშრომლობა აადვილებს და ახალისებს მასალის მიწოდების ხერხებს.

კვლევის მიზანია - მასწავლებელთა თანამშრომლობის გავლენა მათ საქმიანობასა და სწავლა - სწავლების პროცესზე. აქედან გამომდინარე, თუ როგორ აისახება პარალელური კლასის მოსწავლეთა შედეგებზე ერთობლივად დაგეგმილი გაკვეთილები.

კვლევის საგანი



კვლევის საგანს წარმოადგენს ქუთაისის N2 საჯარო სკოლის 1-ლ, მე-2 და მე-3 პარალელურ კლასებში, რა ფორმით და რომელი მეთოდებით წარიმართება ერთობლივად დაგეგმილი გაკვეთილები. რა გავლენას ახდენს ერთი და იგივე აქტივობები პარალელური კლასის მოსწავლეთა შედეგებზე.

### **კვლევის მეთოდოლოგია**

შესწავლილი იქნა საგანმანათლებლო სივრცეში არსებული ლიტერატურა. გამოვიყენეთ შედარებითი და აღწერითი მეთოდი.

### **კვლევის საიხლე**

რამდენად ახდენს თანამშრომლობა გავლენას მასწავლებელთა საქმიანობასა და სწავლა-სწავლების ხარისხზე. მნიშვნელოვანია რამდენად ღიაა მასწავლებელი, რამდენად მზადაა მიიღოს და გასცეს რჩევა და თანამშრომლოს კოლეგებთან, რადგან თანამშრომლობა ორგანიზებულობას აყალიბებს. რამდენად მოსახერხებელია ერთობლივად დაგეგმილი გაკვეთილების პრაქტიკული გამოყენება. როგორ აისახება მოსწავლეთა შედეგებზე ორი სხვადასხვა მასწავლებლის ერთი გეგმითა და რესურსით ჩატარებული გაკვეთილები.

### **კვლევის სტრატეგია**

კვლევა მოიცავდა ხარისხობრივ და რაოდენობრივ კომპონენტებს. ხარისხობრივი კომპონენტის ფარგლებში პერიოდულად ვატარებთ სადიაგნოსტიკო წერებს, რომლის მიზანია ინფორმაციის შეგროვება სამიზნე ჯგუფებიდან. პერიოდულად ვატარებთ მოსწავლეთა გამოკითხვას მათთვის საინტერესო და სახალისო აქტივობების გამოვლენისთვის, რომლის მოხედვითაც ვგეგმავთ სასწავლო პროცესს.

### **შერჩევის მეთოდი**

სამიზნე ჯგუფად შერჩეული იქნა სსიპ იოსებ ოცხელის სახელობის ქ.ქუთაისის N2 საჯარო სკოლის წამყვანი მასწავლებლების ქეთევან არჩვაძისა და ქეთევან ქუთათელაძის სადამრიგებლო კლასები.

### **გამოყენებული მიდგომა**

სტატისტიკური მეთოდებით ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ერთობლივად დაგეგმილი გაკვეთილები გამოირჩევა მეტად მრავალფეროვანი აქტივობებითა და სათანადო რესურსებით, რაც ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას და დადებით გავლენას ახდენს მათ შედეგებზე. პედაგოგებისათვის კი ერთობლივად დაგეგმილი გაკვეთილები გამოცდილების გაცვლის კარგი საშუალებაა, რომელიც გვეხმარება დავზოგოთ დრო მძიმე და დამღლევი სამუშაო დღის ბოლოს.

### **კვლევის ეტაპები**

**I ეტაპი** - კლასებში მოსწავლეთა სასკოლო მზაობის შესწავლა, ცოდნის დონის შეფასება და შედარება. სამოქმედო გეგმის შემუშავება.

**II ეტაპი** - სამოქმედო გეგმის განხორციელება. ერთობლივად დაგეგმილი გაკვეთილების, შექმნილი რესურსების გამოყენება, უკუკავშირების შედარება პარალელური კლასების მაგალითზე.

**III ეტაპი** - შედეგების შეფასება და რეკომენდაციების ჩამოყალიბება.

### **კვლევის აღწერა შეფასება და რეკომენდაციები**

**კვლევა დაიგემა** სსიპ. ი.ოცხელის სახელობის ქ. ქუთაისის N2 საჯარო სკოლის დაწყებითი განათლების კათედრის მასწავლებლების ქეთევან არჩვაძისა და ქეთევან ქუთათელაძის მიერ.

### **კვლევის ეტაპი**

სხვადასხვა ლიტერატურის გაცნობამ დაგვარაწმუნა, რომ მოსწავლეს სწავლის პროცესში აქვს გარკვეული პრობლემა, უჭირს მასალის ათვისება, ან პირიქით ადვილად უმკლავდება დასახულ ამოცანებს. საჭიროა, მასწავლებელმა აქტიურად ითანამშრომლოს კოლეგებთან, იკვლიოს არსებული სიტუაცია და დააკვირდეს, მოსწავლე ყველა საგანში აწყდება პრობლემას, თუ მხოლოდ რომელიმე კონკრეტულ საგანში უჭირს მასალის ათვისება. თუ მასწავლებელი თანამშრომლობს კოლეგებთან, ეკითხება რჩევას და თავადაც უზიარებს გამოცდილებას სხვებს, ყოველთვის გადის მიზანზე. „მასწავლებლები, რომლებიც საკუთარი თვითშეფასების შედეგებს ხედავენ, ნაკლებად აქვთ ზედმეტად მაღალი ან, ზედმეტად დაბალი თვითშეფასებისკენ მიდრეკილება, რეალურად აფასებენ საკუთარ შესაძლებლობებს და გეგმავენ ქმედით აქტივობებს საკუთარი სუსტი მხარის გასაუმჯობესებლად“. [https://mastsavlebeli.ge/?p=19319#\\_ftn5](https://mastsavlebeli.ge/?p=19319#_ftn5)

„თანამშრომლობითი სწავლება არის ქოლგა სხვადასხვა და განსხვავებული მიდგომებისა, რომელიც მოიცავს ერთობლივ ინტელექტუალურ ძალისხმევას, მცირე პროექტებს და ჯგუფურ მუშაობას. მასწავლებლებს შორის თანამშრომლობა გვთავაზობს ადამიანებთან ურთიერთობის გზას, რომელიც ასახავს პატივისცემას, ინდივიდუალურ ჯგუფურ შესაძლებლობას და საკუთარ წვლილს“. ავტორები იქვე ხაზს უსვამენ მისი გამოყენების მნიშვნელობას: „რატომ ვიყენებთ ჩვენ ერთობლივ სწავლებას? რადგან ჩვენ გვჯერა, რომ ეს მიდგომა ეხმარება მოსწავლეებს ისწავლონ მეტად ეფექტურად“. <https://mastsavlebeli.ge/?p=20729>

საკუთარმა მრავალწლიანმა გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ყოველი ახალი კლასის მიღება გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული. ამიტომ დავიჭირეთ თადარიგი და ერთობლივად დავგეგმეთ ისეთი სადიაგნოსტიკო აქტივობები, რომლებმაც მოგვცეს შესაძლებლობა გამოგვევლინა მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეები. <https://nsportal.ru/nachalnaya-shkola/obshchepedagogicheskie-tekhnologii/2018/10/13/startovaya-diagnostika-dlya-1-klassa>

პირველადმა დაკვირვებამ გვაჩვენა მოსწავლეთა დაბალი სასკოლო მზაობა, რაც განაპირობა მსოფლიოში შექმნილმა ვითარებამ. პანდემია გახდა მიზეზი მოსწავლეთა ფსიქოემოციური, მოტორული და სოციალური უნარების განვითარების შეფერხებისა.

ჩვენი თანამშრომლობა ონლაინ სწავლების პერიოდში კიდევ უფრო გაძლიერდა. განათლების მესვეურთა სწორი გადაწყვეტილების შედეგად პირველკლასელთა სწავლა 2021-22 სასწ.წ. 4 ოქტომბერს საკლასო ოთახებში დაიწყო, თუმცა მაინც მოგვიხდა ონლაინ ფორმატით მუშაობა, რაც მასწავლებლის დიდ ძალისხმევას მოითხოვს. სწავლების პროცესში მოულოდნელად შეტანილი ცვლილებები დიდ გამოწვევად მიმაჩნია. მასწავლებელს არანორმალურ რეჟიმში უწევს საქმიანობა. იგი ეთიკური გამოწვევების წინაშეც დგება. რთულია ისე დაგეგმო გაკვეთილი სხვადასხვა საგანში, რომ ეკრანს მიღმა მყოფი პატარა, ჯერ კიდევ გამოუცდელი, ცელქი მოსწავლე დააინტერესო და გასაგები გახადო ახალი მასალა მისთვის. შინ სწავლის პირობებში შეუქმნა მოტივაცია და განაწყო სწავლისათვის.

ერთად დაგეგმილმა გაკვეთილებმა და გადანაწილებულმა საქმემ თითქოს შრომა შეგვიმსუბუქა და თავდაჯერებულობა შეგვმატა. ჩვენმა ერთობლივმა გადაწყვეტილებებმა მიზანზე გაგვიყვანა. ყოველი გაკვეთილის შემდეგ სულმოუთქმელად ვუზიარებდით შედეგებს ერთმანეთს; ვაწყობდით პრეზენტაციებს, ვადგენდით ონ-ლაინ ტესტებს და ვაგებდით გაკვეთილებს ისე, რომ მოსწავლის ინტერესი გამოგვეწვია და მასალაც თვალსაჩინო გაგვეხადა.

აკადემიური უნარების გაუმჯობესების მიზნით ფორმალური განათლების გაძლიერება მოიცავდა გაკვეთილების ერთობლივად დაგეგმვას, მრავალფეროვანი რესურსის შერჩევასა და შექმნას, გაკვეთილის შემდგომ შეხვედრებს და განხილვებს. მოსწავლეთა სოციალური გააქტიურებისა და ინტეგრაციის ხელშეწყობისთვის შემოვიტანეთ დამატებითი გაკვეთილი, რომელიც სწორი კითხვის, მსჯელობის უნარის განვითარებაში გვებმარებოდა.

ცხადია, რომ თამაშის ელემენტებით სწავლების დროს გაკვეთილი ხდება საინტერესო, სახალისო და შემოქმედებითი. იხსნება მოსწავლეებში დამაბულობა და სასწავლო პროცესს პოზიტიურსა და სასურველს ხდის. ამის გათვალისწინებით და კითხვის უნარის გასაუმჯობესებლად, წაკითხულის გაგება-გააზრებისა და შემოქმედებითი უნარების განვითარებისათვის შემოვიყვანეთ კითხვის გაკვეთილზე პერსონაჟი თავი-ლეონიდა, რომელიც ბავშვების დახმარებას საჭიროებდა, რათა მკაცრი ზამთარი გადაეგორებინა. საბავშვო ლიტერატურის გაცნობისას აღმოვაჩინეთ მეგობარი მთარგმნელის მათა ტურაბელიძის ნათარგმნი იტალიური ზღაპრები. სურვილი გაგვიჩნდა თანამედროვე საბავშვო ლიტერატურა ჩვენს მოსწავლეებსაც წაეკითხათ. ამიტომ ერთ-ერთი ზღაპრის გმირი - თავი ლეონიდა თამაშში შემოვიყვანეთ. ამ თამაშის გამოყენებით კითხვის გაკვეთილები გახდა ბევრად სახალისო, საინტერესო, სასურველი, მხიარული.

ჩვენთვის - პედაგოგებისათვის თამაშის ელემენტებით სწავლება არც თუ ისე ადვილია და სერიოზულ წინასწარ მომზადებას საჭიროებს, აქტივობების შერჩევა ისე უნდა მოხდეს, რომ რაც შეიძლება მეტი უნარის განვითარებას უწყობდეს ხელს. თანამშრომლობამ გაგვიადვილა გაკვეთილის დაგეგმვა და რესურსების შექმნაზე მუშაობა. ეს ყველაფერი კი მოსწავლეთა უნარების განვითარებაზე აისახა.

აღსანიშნავია, რომ სწორი კითხვის ჩვევების გამომუშავებაზე მუშაობა მოსწავლეთათვის არ იყო რუტინული, მოსაბეზრებელი, დამქანცველი. პირიქით, ისინი ხალისით ერთვებოდნენ „კითხვის გაკვეთილში“, ინტერესით ელოდნენ რა ისტორია და როგორი აქტივობები მიეწოდებოდა მათ.

ვიქტორინა ეხმარება მოსწავლეებს უკეთ დაიმახსოვრონ ინფორმაცია გრძელვადიან პერსპექტივაში. წახალისოს მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნება. კითხვებზე პასუხის გაცემისას მოსწავლეებმა უნდა გაანალიზონ ინფორმაცია, დაამყარონ კავშირები და გამოიყენონ ნასწავლი რეალურ სიტუაციაში. ეს კი კრიტიკული აზროვნებისა და პრობლემების გადაჭრის უნარის განვითარებას უწყობს ხელს. პროცესი სახალისოა, საინტერესო და მასწავლებელი ახერხებს სხვადასხვა საგანში გადაცემული ცოდნის გამეორებას.

კონკურენცია და გართობა - ასე აღიქვამს მოსწავლე ვიქტორინას, რაც მისთვის სასიამოვნოა. გაზრდილია ჩართულობა და მოტივაცია. გუნდი იბრძვის გამარჯვებისათვის და არჩევს სტრატეგიას; რა მიმართულებით აიღოს გეზი. გამარჯვება სტაბილური, დაბალქულიანი კითხვებით დააგროვოს, თუ მაღალქულიანი კითხვარებით სწრაფად

მოპოვონ გამარჯვება. ამ დროს ხდება ცნებების უკეთ გააზრება, რაც ინფორმაციის უკეთ აღქმის და შენარჩუნების საშუალებას გვაძლევს. ყოფილა შემთხვევა, როდესაც კითხვები გავიმეორეთ, ბავშვებმა იქვე ამოიცნეს და გააჟღერეს, ეს კი იმის მაჩვენებელია, რამდენად მკაფიოდ რჩებათ მეხსიერებაში ინფორმაცია.

გზას გამარჯვებისაკენ გუნდი თავად ირჩევს, ამიტომ პასუხისმგებლობას წევრები თანაბრად ინაწილებენ და მოგება - წაგებაც მათთვის ის შედეგია, რაც თავად შექმნეს.

გაცილებით მარტივია ორი მასწავლებლის ერთობლივი მუშაობა ვიქტორინის კითხვარების შედგენასა და ტექნიკურ აგებაზე. თითოეულ კითხვას შესაბამისი ქულა ენიჭება და სხვადასხვა საგანში მიღებული ცოდნის გამოყენების საშუალებაა. პროცესის შემდეგ გვაქვს შეხვედრა და მსჯელობა; როგორ წარიმართა აქტივობა და რა ემოციები გამოიწვია, რა შედეგზე გავედით. ხშირად ერთმანეთის აზრის მოსმენისას ვხვდებით, რომ სწორად დავგვემეთ ან პირიქით, რაღაც გვაქვს გასათვალისწინებელი.

საინტერესოდ წარიმართა ერთობლივად დაგეგმილი და წინასწარ მომზადებულ არაფორმალურ გარემოში ჩატარებული ბუნების გაკვეთილი თემაზე: „რას გვიმალავს მიწა?“ მოსწავლეები გაეცნენ ინფორმაციას არქეოლოგიაზე, გაიაზრეს ტერმინები: "არტეფაქტები", "არქეოლოგია", "მუზეუმი".... მოსწავლეებმა მასწავლებელთა დახმარებით გააანალიზეს არქეოლოგიური გათხრების მნიშვნელობა და გადაინაცვლეს სკოლის ეზოში მოწყობილ ველზე, სადაც სიმულაციური თამაშებით აღმოაჩინეს, შეისწავლეს და დაახარისხეს არტეფაქტები.

ჩვენი ყოველდღიური თანამშრომლობა მოიცავს თითოეული აქტივობის რეფლექსიას, მსჯელობას მიღებულ შედეგზე. ყოველი ახალი დღე წინა დღის შეჯერების გათვალისწინებით იგეგმება. არ ვართ თვითკმაყოფილები. ზოგჯერ გვაქვს იმედგაცრუებაც, რაც მეტი სტიმულის მომცემია ვიფიქროთ და ვიშრომთ თავდაუზოგავად. ყოველი დღის შეჯამებისას გულისფანცქალით ვუზიარებთ ერთმანეთს მიღებულ შედეგებს. აღმოვაჩინეთ, რომ ერთნაირად იმუშავა მოსწავლეებზე კონკრეტულმა აქტივობამ, ან მარტივად გაგვიყვანა შედეგზე, პროცესი იყო სახალისო, ჩართულობა მაღალი, ან პირიქით, მოლოდინი მეტი გვექონდა, ვიდრე უშუალოდ საგაკვეთილო პროცესი წარიმართა.

ჩვენი ერთობლივი მუშაობის წარმოჩენის მიზანია, კოლეგებს ვაჩვენოთ თანამშრომლობითი ურთიერთობის უპირატესობები. „ძალა ერთობაშია“ პრინციპი ყველა საქმეში შედეგის მომტანია. თანამშრომლობა ეფექტური სტრატეგიაა მიაღწიო წარმატებას ერთობლივი ძალისხმევით. გადაინაწილო საქმე და მიღებულ შედეგებზე იმსჯელო და გამოიტანო სწორი დასკვნები უკეთესის მისაღებად.

ჩვენი აზრებისა და იდეების გაზიარების შესაძლებლობა, თანამოაზრეების პოვნა, გვეხმარება პროფესიონალური მარტოობის გრძნობებთან ბრძოლაში და უზრუნველყოფს კმაყოფილებას შესრულებული სამუშაოთი.

გთავაზობთ ჩვენს მიერ ერთობლივად, ბუნებისმეტყველებაში ჩატარებული ერთ-ერთი გაკვეთილის გეგმას.

### გაკვეთილის გეგმა

**მასწავლებლის გვარი, სახელი:** ქეთევან არჩვაძე, ქეთევან ქუთათელაძე

**საგანი:** ბუნებისმეტყველება

**სწავლების საფეხური / კლასი:** დაწყებითი/ კლასი II

**მოსწავლეთა (მათ შორის სსმ მოსწავლეთა 0) რაოდენობა:**

**გაკვეთილის თემა:** „რას გვიმალავს მიწა“

**გაკვეთილის მიზანი:** შესწავლილი მასალის პრაქტიკაში გადატანა; შესასწავლ ობიექტზე დაკვირვება; მარტივ პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა; სხეულის ამოცნობა, აღწერა-შესწავლა. იმის გაცნობიერება, რომ მიწაში აღმოჩენილი ნივთები გვეხმარება ქვეყნის ისტორიული წარსულის შესწავლაში.

**გაკვეთილის მიზნისა და თემის შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან**

**მიმართულება:** მეცნიერება -კვლევა-ძიება

**ბუნ.II.1.** მოსწავლემ უნდა შეძლოს პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა და ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების დემონსტრირება.

**მიმართულება:** სხეულები და მოვლენები

**ბუნ.II.5.** მოსწავლემ უნდა შეძლოს სხეულის და მისი შემადგენელი ნივთიერების/მასალის თვისებების დაკავშირება ამ სხეულის დანიშნულებასთან.

N	აქტივობის მიზანი და აღწერა	გამოყენებული მეთოდი/მეთოდები	კლასის ორგანიზების ფორმა/ფორმები	სასწავლო რესურსები(დაასაბუთეთ შინაარსობრივი რესურსების მიზანშეწონილობა სასწავლო მიზანთან მიმართებით)	დრო (წთ)
1	<p><b>აქტივობის აღწერა</b></p> <p>მოსწავლეები მასწავლებლის მიერ წინასწარ მომზადებულ გარე სივრცეში ზედაპირულად აკვირდებიან „ველს“, სადაც „არქეოლოგიური გათხრები უნდა“ აწარმოონ.</p> <p><b>აქტივობის მიზანი:</b> ყურადღების კონცენტრაცია. წინარე ცოდნაზე დაყრდნობით დასკვნების გამოტანა; რას შეიძლება გვიმალავდეს მიწა.</p>	ვერბალური	საერთო საკლასო	სკოლის ეზოში წინასწარ მოწყობილი „ყორდანი“	4-5 წთ
2	<p><b>აქტივობის აღწერა</b></p> <p>შემთხვევითობის პრინციპით მოსწავლეთა გადანაწილება ჯგუფებში და თითოეული ჯგუფის წევრის როლის და სამუშაო დროის ლიმიტის განსაზღვრა (ორი</p>	პრაქტიკული	ჯგუფის წევრები მუშაობენ წყვილებში	სამუშაო ფურცლები, კალამი, ერთჯერადი ხელთათმანები, პატარა ნიჩაბი, ფუნჯები,	30 წთ

	<p>მოსწავლე საჭირო იარაღების გამოყენებით აწარმოებს არქეოლოგიურ გათხრებს, ორი მოსწავლე ასუფთავებს და გამოთქვანს ვარაუდს ჯგუფთან ერთად, ორი მოსწავლე ახდენს ექსპონატზე ნუმერაციის მინიჭებას და წინასწარ გამზადებულ ცხრილში განათავსებს ინფორმაციას მოპოვებულ ექსპონატზე.)</p> <p><b>აქტივობის მიზანი</b>  უსაფრთხოების წესების დაცვით მარტივ პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა;  სხეულების ამოცნობა, აღწერა და დახარისხება.  აქტიური კომუნიკაციისა და საკუთარი მოსაზრების დასაბუთების უნარის გამომუშავება.</p>			<p>აღმოჩენილი სხვადასხვა სახის არტეფაქტები. (ძველი მონეტები, სამკაულები, თიხისა და კერამიკის ჭურჭელი, ნიჟარები)</p> <p><b>მიზანშეწონილობა:</b> მოსწავლეებს ხელი შეეწყობათ ბუნებრივი ინტერესის სტიმულირებაში, დაკვირვების უნარის ხელშეწყობა და მნიშვნელოვანი ინფორმაციის ამოცნობა.</p>	
3	<p><b>აქტივობის აღწერა</b></p> <p>თითოეული ჯგუფი საკუთარ აღმოჩენილ ექსპონატებს წარადგენს კლასის წინაშე, ათავსებს საგამოფენო სივრცეში და ემზადება ნივთის აღდგენითი სამუშაოების შესასრულებლად.</p> <p><b>აქტივობის მიზანი:</b> შესრულებული სამუშაოს წარდგენის უნარის გამომუშავება და საკუთარი როლის მნიშვნელობის ხაზგასმა.</p>	<p>ვერბალური</p> <p>კითხვა - პასუხი</p>	<p>ჯგუფის წევრები მუშაობენ წყვილებში</p>	<p>მიპოვებული არტეფაქტები</p> <p><b>მიზანშეწონილობა:</b> გააცნობიეროს, რომ მიწაში აღმოჩენილი ნივთები გვებმარება ქვეყნის ისტორიული წარსულის შესწავლაში.</p>	8 წთ

4	<p>აქტივობის აღწერა</p> <p>გაკვეთილის შეჯამება. მასწავლებელი მოკლედ შეაჯამებს გაკვეთილზე ჩატარებულ აქტივობებს; ბოლოს მასწავლებელი უბრუნდება დაფაზე დაწერილ სიტყვას „არქეოლოგი“ და სვამს კითხვას, რა გაიგეს, ვინ ყოფილა არქეოლოგი? რა მნიშვნელობა აქვს არქეოლოგიების საქმიანობას?</p>	ვერბალური	საერთო საკლასო	დაფა, ცარცი	2 წთ
---	--	-----------	----------------	-------------	------

გაკვეთილის ბოლოს მისალწევი შედეგები:

მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა და ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების დემონსტრირება.
- სხეულის და მისი შემადგენელი ნივთიერების/მასალის თვისებების დაკავშირება ამ სხეულის დანიშნულებასთან.
- პრეზენტაციისა და კომუნიკაციის უნარების გამომუშავება.

გამოყენებული ლიტერატურა:

- მ. ბლიაძე; რ. ახვლედიანი 2018: ბუნება , ავტ: მ. ბლიაძე; რ. ახვლედიანი. „ბაკურ სულაკაურის“ გამომცემლობა, თბილისი, 2018.

შეფასების რუბრიკა

	საუკეთესო	კარგი	გასაუმჯობესებელი
კვლევითი უნარები	აქტიურად მონაწილეობს პრაქტიკულ საქმიანობაში და ავლენს ელემენტარულ კვლევით უნარ-ჩვევებს.	მონაწილეობს პრაქტიკულ საქმიანობაში და ავლენს ელემენტარულ უნარ-ჩვევებს.	მასწავლებლის დახმარებით მონაწილეობს პრაქტიკულ საქმიანობაში და ავლენს ელემენტარულ კვლევით უნარ-ჩვევებს.

სხეულის აღწერა	აქტიურად აღწერს სხეულს და საუბრობს მის დანიშნულებაზე.	მცირე უზუსტობებით აღწერს სხეულს და საუბრობს მის დანიშნულებაზე.	უჭირს სხეულის აღწერა და საუბარი მის დანიშნულებაზე.
კომუნიკაცია/პრეზენტაცია	საქმიან კომუნიკაციას ამყარებს ჯგუფის წევრებთან და საინტერესოდ წარადგენს ნამუშევარს.	ამყარებს კომუნიკაციას ჯგუფის წევრებთან და წარადგენს ნამუშევარს.	უჭირს კომუნიკაცია ჯგუფის წევრებთან და ნამუშევარის წარდგენა .

### დანართი 1

ნაპოვნი ნივთი	აღწერა	ნივთის შესწავლა/ექსპერტიზა

### გამოყენებული ლიტერატურა:

ორი მასწავლებელი უკეთ ასწავლის. <https://mastsavlebeli.ge/?p=20729>

ეფექტური სასწავლო პროცესის შექმნის ძირითადი ასპექტები – თანამშრომლობა.

[https://mastsavlebeli.ge/?p=19319#\\_ftn5](https://mastsavlebeli.ge/?p=19319#_ftn5)

Стартовая диагностика для 1 класса <https://nsportal.ru/nachalnaya-shkola/obshchepedagogicheskie-tehnologii/2018/10/13/startovaya-diagnostika-dlya-1-klasa>

Стартовая диагностика 1 класс ФГОС школа России с анализом 2022-2023

<https://100ballnik.com/%D1%81%D1%82%D0%B0%D1%80%D1%82%D0%BE%D0%B2%D0%B0%D1%8F->

<https://100ballnik.com/%D0%B4%D0%B8%D0%B0%D0%B3%D0%BD%D0%BE%D1%81%D1%82%D0%B8%D0%BA%D0%B0-1-%D0%BA%D0%BB%D0%B0%D1%81%D1%81->

<https://100ballnik.com/%D1%84%D0%B3%D0%BE%D1%81-%D1%88%D0%BA%D0%BE/>



**Ketevan Archvadze**  
**Leading teacher of Ioseb Otkheli No2 public school in Kutaisi**  
**Ketevan Kutateladze**  
**Leading teacher of Ioseb Otkheli No2 public school in Kutaisi**

**Teacher cooperation - the way to professional advancement and student-centered learning process**

**Abstract**

Our goal was to investigate how collaboratively planned lessons affect student outcomes in parallel classrooms. The tutoring classes of Ketevan Archvadze and Ketevan Kutateladze, the leading teachers of No2 Public School of Kutaisi named after Ioseb Otskheli, were selected as the target group.

The low school readiness of students' due to the global pandemic strengthened our desire to cooperate and overcome difficulties together.

In the educational process, an important place was played by learning through games, activities focused on developing investigation-research skills and increasing motivation (we held additional lessons in reading with game elements, quizzes, simulations of archaeological research, etc.).

Research has shown us that cooperation of teachers is an effective strategy. It allows to share work, carry out activities and, based on the analysis of the obtained results, ensure continuous progress in the learning process.

**Key words:** cooperation, motivation, quiz, strategy, joint.

## რიცხვითი უტოლობების გამოყენება განმავითარებელი და საძიებო ტექსტური ამოცანების ამოხსნისას დაწყებით კლასებში

*რეზიუმე:* სტატიაში განხილულია ტექსტური ამოცანების ამოხსნის ტრადიციულიაგან განსხ-ვავებული ისეთი მიდგომები, რომლებიც მოითხოვს გონებრივი აქტიურობის მაღალ დონეს და განმავითარებელი სწავლების შემადგენელი ნაწილია. განხილულია უტოლობების გამოყენებით ტექსტური ამოცანების ამოხსნის მეთოდოლოგიის ზოგი-ერთი ასპექტი. უტოლობების გამოყენებით განხილულია ისეთი განმავითარებელი ტექსტური ამოცანები რომელთა ამოხსნისთვის:

-საჭიროა ორი გამოსახულების შედარება;

-საჭიროა უტოლობის ან უტოლობათა სისტემების გამოყენება.

სწორად შერჩეული ტექსტური ამოცანებით და მათი სწავლების სწორი ორგანიზებით დაწყებითი კლასების მოსწავლეებს უვითარდებათ დაკვირვების უნარები, ხდებიან გამჭრიახები და გონებამახვილები, რაც ეხმარება მათ კონკრეტული პრობლემების გადაჭ-რაში.

*საკვანძო სიტყვები:* ტექსტური ამოცანა, საძიებო ამოცანა, რიცხვითი უტოლობა, ამოცანის ამოხსნა, ლოგიკური აზროვნება.

მათემატიკის სწავლების ერთ-ერთი მიზანია მოსწავლეებში ამოცანების ამოხსნის უნარების ფორმირება. დაწყებით კლასებში და შემდეგაც ამოცანების საშუალებით მოსწავლეებს აცნობენ ახალ ცნებებს, უყალიბებენ ლოგიკურ აზროვნებას. ამოცანები საშუალებას აძლევს მოსწავლეებს გამოიყენონ მათემატიკის შესწავლისას მიღებული თეორიული ცოდნა ცხოვრებაში წარმოშობილი პრობლემების გადასაჭრელად. ტექსტური ამოცანების ამოხსნის ეტაპები წარმოადგენს მოსწავლეთა გონებრივი აქტიურობის გან-ვითარების ფორმებს. განმავითარებელი და საძიებო ტექსტური ამოცანების ამოხსნის სწავლებით მოსწავლეები ეჩვევიან სხვადასხვა სიტუაციებში ორიენტირებას, რაც მოს-წავლეს ხდის უფრო კომპეტენტურს. მეორეს მხრივ, მოსწავლე რომ კომპეტენტური გახდეს, ამისათვის აუცილებელია გაფართოვდეს სკოლაში განხილული განმავითა-რებელი და საძიებო ტექსტური ამოცანების თემატიკა, განხილული უნდა იქნეს მრავალ-ფეროვანი ასეთი ამოცანები და არ უნდა შემოვიფარგლოთ მხოლოდ სიჩქარეზე, მუშა-ობაზე, ფასსა და ღირებულებაზე ტექსტური ამოცანების განხილვით.

ტექსტური ამოცანა არის რაიმე სიტუაციის (მოვლენის, პროცესის) აღწერა ბუ-ნებრივ ან/და მათემატიკურ ენაზე, რომელშიც მოთხოვნილია სიტუაციის რომელიმე კომ-პონენტის რაოდენობის პოვნა (რომელიმე მონაცემის რიცხვითი მნიშვნელობის განსაზ-ღვრა ცნობილი სიდიდეების რიცხვითი მნიშვნელობებით და მათ შორის თანაფარდო-ბებით), ან დაადგინოს არსებობს თუ არა კომპონენტებს შორის სიტუაციაში აღწერილი თანაფარდობები, ან განსაზღვროს თანაფარდობები, ან დაადგინოს საჭირო მათემატი-კური მოქმედებების თანმიმდევრობა.

ტექსტური ამოცანების ამოხსნის სხვადასხვაგვარი მიდგომები არსებობს. ჩვენ არ შევჩერდებით ტექსტური ამოცანების ამოხსნის ტრადიციულ მიდგომებზე, შევეცდებით გადმოვცეთ ისეთი მიდგომები, რომლებიც მოითხოვს გონებრივი აქტიურობის მაღალ დონეს და განმავითარებელი სწავლების შემადგენელი ნაწილია. განვიხილოთ უტოლობების გამოყენებით ტექსტური ამოცანების ამოხსნის მეთოდოლოგიის ზოგიერთი ასპექტი.

მარტივი ტექსტური ამოცანების ამოხსნა რიცხვითი უტოლობების გამოყენებით მოსწავლეებს უნდა შევასწავლოთ დაწყებითი კლასებიდანვე და კარგად უნდა გავწაფოთ ასეთი ამოცანების ამოხსნაში. ასეთი სახის ამოცანების ამოხსნა განსაკუთრებით კარგ შედეგს იძლევა გონებრივი აქტიურობისათვის. ამოცანის ამოხსნის პროცესში ჩართულია მთელი კლასი. მასწავლებელი ასრულებს მხოლოდ ფასილიტატორის ფუნქციას, ეხმარება და მითითებებს აძლევს იმ მოსწავლეებს, რომლებიც ნაკლებაქტიური არიან. განვიხილოთ რიცხვითი უტოლობის გამოყენებით განმავითარებელი და სამიეზო ტექსტური ამოცანების ამოხსნის შემთხვევები.

**ამოცანა 1.** ჩაის ერთი პაკეტისგან შესაძლებელია მოვამზადოთ ორი ან სამი ჭიქა ჩაი. მაიამ და თამრიკომ ერთი კოლოფი ჩაის პაკეტები თანაბრად გაიყვეს. მაიამ მოამზადა 57 ჭიქა ჩაი, ხოლო თამრიკომ-83 ჭიქა. რამდენი პაკეტი ჩაი იყო კოლოფში?

ეს ამოცანა განხილულ ამოცანაზე რთულია, რადგან აქ ჩაის პაკეტისაგან შეიძლება მომზადდეს ან 2 ჭიქა ჩაი ან სამი ჭიქა ჩაი. ეს ეხება ნებისმიერ პაკეტს. მაგრამ შესაძლებელია დავადგინოთ პაკეტების უმცირესი ან უდიდესი რაოდენობა. მართლაც, რადგან მაიამ მოამზადა 57 ჭიქა ჩაი, ეს ნიშნავს, რომ მას ჰქონდა არანაკლებ 57 : 2 = 28,5 ჩაის პაკეტი. თამრიკომ მოამზადა 83 ჭიქა ჩაი, რაც ნიშნავს, რომ მას ჰქონდა არაუმეტეს  $83:3 = 27\frac{2}{3}$  ჩაის პაკეტი. ამოცანის პირობის ძალით, მაიას და თამრიკოს ჩაის პაკეტების თანაბარი რაოდენობა ჰქონდათ. ე.ი. თითოეული გოგონას ჩაის პაკეტების რაოდენობა ერთდროულად არ აღემატება 28,5-ს და ნაკლები არ არის  $27\frac{2}{3}$ -ზე. რადგან ჩაის პაკეტების რაოდენობა გამოისახება ნატურალური რიცხვით, ამიტომ თითოეულს ჰქონდა ჩაის 28 პაკეტი. ხოლო კოლოფში სულ იქნებოდა ჩაის 56 პაკეტი.

**ამოცანა 2.** ერთ ავზში 100 ლიტრი წყალია ჩასხმული, მეორეში-150 ლიტრი. პირველ ავზში ყოველ საათში ასხამენ 15 ლიტრ წყალს, მეორე ავზში კი-5 ლიტრს. რამდენი საათის შემდეგ იქნება პირველ ავზში მეტი წყალი, ვიდრე მეორე ავზში.

ვთქვათ, მეტი წყალი პირველ ავზში იქნება  $x$  სთ-ის შემდეგ. ამ დროში პირველ და მეორე ავზებში ჩასახამენ შესაბამისად  $15x$  და  $5x$  ლიტრ წყალს. პირველ და მეორე ავზებში შესაბამისად გახდება  $(100+15x)$  და  $(150+5x)$  ლიტრი წყალი. უნდა ვიპოვოთ  $x$ -ის ისეთი მნიშვნელობები, რომლისთვისაც

$$100+15x > 150+5x.$$

ჩვენი მსჯელობა უნდა წარიმართოს ასე: ვიპოვოთ რა დროის შემდეგ გახდება პირველ და მეორე ავზებში ტოლი რაოდენობის წყალი? ამისათვის უნდა შესრულდეს ტოლობა:

$$100+15x = 150+5x.$$

საიდანაც,

$$x = 5.$$

ამრიგად, პირველ და მეორე ავზებში წყლის რაოდენობა გათანაბრდება ავზებში წყლის ჩასხმის დაწყებიდან 5 საათში. მაგრამ ჩვენ ამოცანა გვეკითხებოდა, როდის გახდებოდა პირველ ავზში მეტი წყალი, ვიდრე მეორე ავზში. ცხადია, ეს მოხდება ავზებში წყლის ჩასხმის დაწყებიდან 5 საათის შემდეგ. ე.ი. როცა  $x > 5$ .

**ამოცანა 3.** მასწავლებელმა მათემატიკის ტურზე მოსწავლეებს შესასრულებლად მიცა 5 ამოცანა და თითოეულ სწორად ამოხსნილ ამოცანაში წერდა 1 ქულას. დათოს გარდა ყველა მოსწავლემ ერთი და იგივე რაოდენობის ამოცანები ამოხსნეს, ხოლო დათომ ამოხსნა ერთი ამოცანით მეტი. პირველი ამოცანა ამოხსნა 9 მოსწავლემ, მეორე-7-მა მოსწავლემ, მესამე 5-მა მოსწავლემ, მეოთხე 3-მა მოსწავლემ, მეხუთე-1 მოსწავლემ. ოლიმპიადის მონაწილე რამდენმა მოსწავლემ დააგროვა 4 ან 5 ქულა?

ამ ამოცანის ამოხსნის დაწყება უნდა მოხდეს ოლიმპიადაზე მონაწილე მოსწავლეების მინიმალური რაოდენობის დადგენით. რადგან ამოცანის პირობით პირველი ამოცანა ამოხსნა 9 მოსწავლემ, ამიტომ ოლიმპიადის მონაწილეთა რაოდენობა 9-ზე ნაკლები არ იქნება. ამის შემდეგ დავუშვათ, რომ დათომ მიიღო არანაკლებ 4 ქულა, (მოსწავლეებს უნდა ავუხსნათ, რომ არანაკლებ 4 ქულის მიღება არ გამორიცხავს რომ დათომ შეიძლება მიიღოს 5 ქულაც). მაშინ ოლიმპიადის დანარჩენმა მონაწილეებმა ამოხსნეს არანაკლებ 3 ამოცანა თითოეულმა. რადგან ოლიმპიადაზე მონაწილე მონაწილეთა რაოდენობა 9-ზე ნაკლები არ არის, ამიტომ ყველა მოსწავლის მიერ ამოხსნილი ამოცანების რაოდენობა ჯამში არის არანაკლებ  $3 \cdot 9 = 27$ . მაგრამ, მეორეს მხრივ ეს რიცხვი ტოლია:  $9 + 7 + 5 + 3 + 1 = 25$ . მივიღეთ წინააღმდეგობა. რაც ნიშნავს, რომ 4 და 5 ქულა არ დაუგროვებია ოლიმპიადის არცერთ მონაწილეს.

**ამოცანა 4.** ერთხელ, დასვენებისას, მეგობარმა მუშკეტერებმა-ათოსმა, პორტოსმა, არამისმა და დ'არტანიანმა გადაწყვიტეს ერთმანეთს შეჯიბრებოდნენ ბაგირის გადაწევაში. პორტოსის და დ'არტანიანის წყვილმა ადვილად გადაწიეს ათოსის და არამისის წყვილი. მაგრამ როდესაც პორტოსი დაწყვილდა ათოსთან, მაშინ არამისმა და დ'არტანიანმა ძლივს გაიმარჯვეს. ხოლო პორტოსი-არამისის და ათოსი-დ'არტანიანის წყვილების ბაგირის გადაწევა ვერცერთმა წყვილმა ვერ შეძლო. განვსაზღვრეთ, მუშკეტერებიდან ვინ არის ყველაზე ძლიერი?

მოსწავლეებს ამოცანის ამოხსნის დაწყებამდე უნდა განვუმარტოთ, რომ მუშკეტერები უნდა დავალაგოთ ძალის მიხედვით. პირველი იქნება ის, ვინც ყველაზე ძლიერია, მეორე იქნება დარჩენილებს შორის ყველაზე ძლიერი, მესამე იქნება დარჩენილ ორს შორის ძლიერი და მეოთხე ყველაზე სუსტი. მივანიჭოთ რიგობრივი ნომერი თითოეულ მუშკეტერს. ე.ი. ყველაზე ძლიერი მუშკეტერი იქნება 1 ნომერი, შემდეგ 2 ნომერი, შემდეგ 3 და შემდეგ 4. ოთხი მუშკეტერის დაწყვილება შესაძლებელია სამი განსხვავებული გზით: (1, 2) - (3, 4); (1, 3) - (2, 4); (1, 4) - (2, 3). ცხა-დია, რომ პირველ ორ შემთხვევაში პირველი წყვილი აუცილებლად გაიმარჯვებს (პირველ შემთხვევაში ეს ძალიან ადვილია, მეორეში უფრო რთულია), ხოლო მესამეში ბრძოლის შედეგი შეიძლება იყოს ნებისმიერი (ჩვენს შემთხვევაში აღმოჩნდა ფრე). შესაბამისად, პირველი და მეორე ადგილები დაიკავეს დ'არტანიანმა და პორტოსმა, პირველი და მესამე-პორტოსმა და ათოსმა, ხოლო მეორე და მეოთხე-დ'არტანიანმა და არამისმა. აქედან გამომდინარეობს, რომ მუშკეტერების სიძლიერის მიხედვით განაწილებულია შემდეგნაირად: პორტოსი, დ'არტანი-ანი, ათონი, არამისი.

**ამოცანა 5.** რამდენიმე მეგობარი სოკოზე წავიდა. ყველას მიერ მოგროვილი სოკოს  $\frac{1}{5}$  ქონდა მას, ვინც მეგობრებს შორის ყველაზე მეტი სოკო მოაგროვა. ხოლო ვისაც ქონდა ყველას მიერ მოგროვებული სოკოს  $\frac{1}{7}$ , მან მეგობრებს შორის ყველაზე ცოტა სოკო მოაგროვა. რამდენი მეგობარი იყო წასული სოკოზე?

ნაწილებზე ტექსტური ამოცანები მოსწავლეებიათვის შედარებით რთულია, ამიტომ მეთოდურად გამართლებულია, რომ მასწავლებელმა დასვას ისეთი კითხვები, რომელიც გაუადვილებს მოსწავლეებს იმის აღქმას, თუ როგორ დამოკიდებულებაშია ერთი მეგობრის მიერ მოგროვილი სოკოს რაოდენობის ფარდობა ყველას მიერ მოგროვილ რაოდენობასთან. კარგია, თუ მოსწავლეები გაიაზრებენ, რომ თუ ერთი მეგობრის მიერ მოგროვებული სოკოების რაოდენობა მთლიანად მოგროვებული სოკოების  $\frac{1}{5}$ -ზე ნაკლებია, ნიშნავს, რომ სოკოზე წასული მეგობრების რაოდენობა 5-ზე მეტია. თუ მოსწავლეები ამას ვერ იაზრებენ, მაშინ მასწავლებელმა უნდა ჩაატაროს შესაბამისი სამუშაო, რომ ამ საკითხებში საფუძვლიანად გაარკვიოს. მეორეს მხრივ, ერთი მეგობრის მიერ მოგროვებული სოკოების რაოდენობა მთლიანად მოგროვებული სოკოების  $\frac{1}{7}$ -ზე მეტია. ეს ნიშნავს, რომ სოკოზე წასული მეგობრების რაოდენობა 7-ზე ნაკლებია. ე.ი. სოკოზე წასულა 6 მეგობარი. შევნიშნოთ, რომ განხილული შემთხვევა შესაძლებელია. მაგალითად, მეგობრებმა მოაგროვეს: 5, 5, 6, 6, 6 და 7 სოკო.

**ამოცანა 6.** მოსწავლეთა 90%-ზე მეტმა იცის ინგლისური და გერმანული ენები და 90%-ზე მეტმა იცის ინგლისური და ფრანგული ენები. დაამტკიცეთ, რომ იმ მოსწავლეებს შორის, რომლებმაც იციან გერმანული და ფრანგული ენები 90%-ზე მეტმა იცის ინგლისური ენაც.

ვთქვათ,  $a$  მოსწავლემ იცის სამივე ენა,  $b$  მოსწავლემ მხოლოდ ინგლისური და გერმანული ენები,  $c$  მოსწავლემ მხოლოდ ინგლისური და ფრანგული ენები,  $d$  მოსწავლემ მხოლოდ გერმანული და ფრანგული. ამოცანის პირობის ძალით:  $a+b > 9(c+d)$ ,  $a+c > 9(b+d)$ . შევკრიბოთ უტოლობები წევრ-წევრად, გვექნება:  $2a+b+c > 9b+9c+9d+9d$ ,

მსგავსი წევრები შევკრიბოთ და მიღებული შედეგი 2-ზე გავყოთ:  $a > 9d + 4(b+c)$ , საიდანაც, მით უფრო  $a > 9d$ . რის დამტკიცებაც გვინდოდა.

ზოგჯერ რიცხვითი უტოლობა კონტრ-მაგალითის შედგენისკენ გვიბიძგებს. მეთოდური თვალსაზრისით კი კონტრმაგალითის შედგენა საკმაოდ მაღალი დონის მათემატიკური კულ-ტურის მაჩვენებელია და ყოველი ასეთი მაგალითი საგრძნობლად ამაღლებს მოსწავლეთა მათემატიკური ცოდნის დონეს. განვიხილოთ ერთი ასეთი მაგალითი.

**ამოცანა 7.** ზოოპარკში ყავთ 10 სპილო და აქვთ უზარმაზარი თევზებიანი სასწორია. ცნობილია, რომ თუ ნებისმიერი ოთხი სპილო დადგება სასწორის მარცხენა თევზზე, ხოლო ნებისმიერი სამი სპილო-მარჯვენა თევზზე, მაშინ მარცხენა თევზი გადაწონის. ხუთი სპილო დადგა სასწორის მარცხენა თევზზე, ოთხი სპილო მარჯვენა თევზზე. აუცილებლად გადაწონის მარცხენა თევზი?

**კონტრ-მაგალითი.** ვთქვათ, ზოოპარკის 10 სპილოდან ხუთი სპილო ერთნაირი წონისაა და თითოეული იწონის 7-7 ტონას, დანარჩენი ხუთი სპილოც ერთნაირი წონისაა და თითოეული იწონის 9 ტონას. მაშინ ნებისმიერი ოთხი სპილო ერთად მარცხენა თევზზე იწონის არანაკლებ  $4 \cdot 7 = 28$  ტონას, ხოლო ნებისმიერი 3 სპილო მარჯვენა თევზზე არანაკლებ  $3 \cdot 9 = 27$  ტონას და მარცხენა თევზში გადაწონის.

მაგრამ თუ სასწორის მარცხენა თევზზე დადგება ხუთი სპილო, რომელთაგან თითოეულის წონა 5 ტონაა, მაშინ მათი წონა ჯამში იქნება  $5 \cdot 7 = 35$  ტონა, ხოლო თითოეული 9 ტონის სპილოს წონა იქნება  $4 \cdot 9 = 36$  ტონა და სასწორის მარჯვენა თევზში გადაწონის. ე.ი. პასუხია-არა.

კარგი იქნება თუ მასწავლებელი პარალელს გაავლებს კონტრმაგალითის მოძებნის განხილულ შემთხვევასა და ამოცანა 4-თან, სადაც მუშკეტერების მიერ ბაგირის გადაწვევით მათი ძალის დადგენა ხდება. ამის შემდეგ მოსწავლეებს დავალებად მიცემს ანალოგიურ ამოცანებს.

უტოლობების გამოყენებით ტექსტური ამოცანების ამოხსნა უნდა დავიწყოთ მის მერე, რაც მოსწავლეები საფუძვლიანად შეისწავლიან ერთცვლადიანი უტოლობების და ერთცვლადიან უტოლობათა სისტემების თვისებებს, ორცვლადიან უტოლობების და ორცვლადიან განტოლებათა სისტემების თვისებებს. ტექსტური ამოცანები, რომელთა ამოხსნას იყენებენ უტოლობებს, ძირითადად ორი სახისაა:

- ამოცანები, რომელშიც საჭიროა ორი გამოსახულების შედარება;
- ამოცანები, რომლებიც ამოიხსნება უტოლობის ან უტოლობათა სისტემების გამოყენებით.

ასეთი სახის ამოცანების ამოხსნისას უტოლობის ან/და უტოლობათა სისტემის შედგენის შემდეგ მეთოდურად მოსახერხებელია უტოლობის ან/და უტოლობათა სისტემაში შემავალი უტოლობის ან/და უტოლობების შეფასება. უტოლობის ერთი რომელიმე ნაწილის შეფასება შეიძლება გაკეთდეს მოსწავლეებისათვის ცნობილი სიდიდეებს შორის არსებული ბაზისური დამოკიდებულებების გამოყენებით, ან ნაკარნახევი იყოს უტოლობის ამ ნაწილის ფორმით.

ერთცვლადიანი უტოლობის შეფასება საშუალებას იძლევა განსაზღვროთ ცვლადის ის ერთადერთი მნიშვნელობა, რომლის დროსაც მივიღებთ უტოლობის ორთავე ნაწილის ჭეშმარიტ ტოლობას. ამის შემდეგ უტოლობის ნაცვლად ვირჩევთ მის შესაბამის ტოლობას და ამოხსნით განტოლებას სტანდარტული გზით. უტოლობის შეფასებისათვის გამოიყენება რიცხვითი უტოლობების სხვადასხვა თვისებები. ჩვეულებრივ ასეთ ამოცანებში მოცემულია ერთი ან მეტი საწყისი უტოლობა, რომლებიც შეიცავს ცვლადებს.

ჩვენს მიერ განხილული განმავითარებელი და სამიეზო ტექსტური ამოცანების ამოხსნის თეორიული ასპექტები უტოლობების და შეფასების გამოყენებით ფართოდ გამოიყენება სკოლის მათემატიკის კურსში. ასეთი სახის ამოცანებისათვის არსებობს ამოხსნის სხვადასხვა ვარიანტი. განვიხილოთ რამდენიმე მათგანი.

**ამოცანა 8.** სოფლიდან რკინიგზის სადგურამდე 20 კმ-ია. მატარებელი გადის 11 სთ-ზე. სოფელში მცხოვრები ადამიანი რა დროს უნდა გამოვიდეს სახლიდან, რომ მან მატარებელს მიუსწროს, თუ ის მთელი გზის მანძილზე იმოდრავებს 5 კმ/სთ სიჩქარით?

თუ სოფელში მცხოვრებელი ადამიანი, რომელიც ფეხით მიდის რკინიგზის სადგურზე, სახლიდან გამოვა დილის  $x$  საათზე, მაშინ 11 საათამდე ის იმოდრავებს (11 -

$x$ ) საათი. ამ დროის განმავლობაში ის გაივლიდა  $5(11-x)$  კმ-ს. იმისათვის, რომ მან მიუსწროს მატარებელს, ეს მანძილი უნდა იყოს არანაკლებ 20 კმ, ანუ უნდა შეასრულდეს უტოლობა  $5(11-x) \geq 20$ .

ჩვენ ვმსჯელობთ შემდეგნაირად: ვიპოვოთ რა დროს უნდა გადმოვიდეს სოფლიდან ქალაქში ფეხით მიმავალი ადამიანი იმისათვის, რომ ზუსტად მიუსწროს მატარებელს? ამისათვის უნდა შესრულდეს ტოლობა:  $5(11-x) = 20$ . ამ განტოლების ამოხსნით ვიღებთ:  $x = 7$ . ე.ი მგზავრმა, რომელსაც სურს მიუსწროს მატარებელს, სახლიდან უნდა გამოვიდეს 7 საათზე.

თუ მგზავრი გამოვა 7 საათზე უფრო ადრე ის მატარებელს არა თუ მიუსწრებს, არამედ ექნება დრო სადგურში გაისეირნოს კიდევ. თუ ის სახლიდან გამოვა 7 საათის შემდეგ, მაშინ, ის მატარებელს ვერ მიუსწრებს. ეს ნიშნავს, მგზავრმა რომ მატარებელს მიუსწროს, ის უნდა გამოვიდეს არა უგვიანეს დილის 7 საათისა. მათემატიკის ენაზე ეს ნიშნავს, რომ უტოლობის  $5(11-x) \geq 20$  ამონახსნს აქვს სახე:  $x \leq 7$ .

**ამოცანა 9.** მინიმუმ რამდენი წევრი უნდა იყოს მათემატიკურ წრეში, თუ ცნობილია, რომ გოგონები წრეში 50%-ზე ნაკლები, მაგრამ 40%-ზე მეტი არიან.

ვთქვათ, მათემატიკის წრის წევრთა რაოდენობაა  $n$ , ხოლო გოგონების რაოდენობაა  $d$ . ამოცანის პირობები შეიძლება ჩავწერთ სახით:  $2d < n < 2,5d$ . რაც ნიშნავს, რომ  $0,5d > 1$ , მაშინ  $d > 2$ . როცა  $d = 3$ , მივიღებთ  $6 < n < 10$ , და უმცირესი  $n$  არის 7-ის ტოლი. ე.ი. მათემატიკის წრეში უნდა იყოს 7 წევრი. შევნიშნოთ, რომ ამოცანის ამოხსნა შესაძლებელია გადარჩევითაც.

უტოლობებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მათემატიკის სასკოლო კურსში. მათი ამოხსნა ხელს უწყობს ლოგიკური აზროვნების, ინტელექტის და დაკვირვების უნარების განვითარებას, ავითარებს კვლევების დამოუკიდებლად ჩატარების უნარს.

რიცხვითი უტოლობების გამოყენებით განმავითარებელი და საძიებო ტექსტური ამოცანების ამოხსნა ხელს უწყობს, ერთი მხრივ, პრაქტიკაში შეძენილი უნარების განმტკიცებას, მეორე მხრივ, მოსწავლეთა ლოგიკური აზროვნების განვითარებას. სკოლაში ტექსტური ამოცანების ამოხსნა მათემატიკის სწავლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა. მათი დახმარებით მოსწავლეები იძენენ სხვადასხვა სახის სიდიდეებთან მუშაობის გამოცდილებას, იაზრებენ მათ შორის დამოკიდებულებებს იძენენ გამოცდილებას მათემატიკაში მიღებული თეორიული ცოდნა გამოყენონ პრაქტიკული პრობლემების გადაჭრაში. დაკვირვებები ცხადყოფს, თეორიული ცოდნის პრაქტიკაში რეალიზების პროცესში შეინიშნება მოსწავლეთა გონებრივი აქტივობა და მამიებლობის უნარების ფორმირება. სწორად შერჩეული ტექსტური ამოცანებით და მათი სწავლების სწორი ორგანიზებით მოსწავლეებს უვითარდებათ დაკვირვების, გამჭრიახობის, გონებამახვილობის უნარები, რაც ეხმარება მოსწავლეებს კონკრეტული პრობლემების გადაჭრაში.

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. გ.ბერძულიშვილი, გ.ბრეგაძე 2016: გ.ბერძულიშვილი, გ.ბრეგაძე, საოლიმპიადო მათემატიკური ამოცანები დაწყებით კლასებში. აწსუ გამომცემლობა. თბილისი, 2016.

2. გ.ბერძულიშვილი, გ. ბრეგაძე, ი.გოგიბერიძე, თ.დოგრაშვილი 2021: გ.ბერძულიშვილი, გ. ბრეგაძე, ი.გოგიბერიძე, თ.დოგრაშვილი, საძიებო და საოლიმპიადო ამოცანები დაწყებით კლასებში. აწსუ გამომცემლობა. ქუთაისი, 2021.

3. გ.ბერძულიშვილი, გ.ბრეგაძე 2021: გ.ბერძულიშვილი, გ.ბრეგაძე, საშუალო სკოლაში არასტანდარტული მათემატიკური ამოცანების ამოხსნის ზოგიერთი მეთოდიკური ასპექტი. აწსუ გამომც. ქუთაისი. 2021.

4. გ.ბერძულიშვილი 2108: გ.ბერძულიშვილი-სასკოლო და საოლიმპიადო მათემატიკური ამოცანების ამოხსნის მეთოდები. აწსუ გამომცემლობა. ქუთაისი. 2018.

5. გ.ბერძულიშვილი, გ.ბრეგაძე 2015: გ.ბერძულიშვილი, გ.ბრეგაძე-მათემატიკური ამოცანების ამოხსნის სპეციალური ხერხე-ბის სწავლების მეთოდიკური თავისებურებები. აწსუ გამომცემლობა. თბილისი, 2015.

6. ი. ჩხიკვაძე 2009: ი. ჩხიკვაძე, განმავითარებელი სწავლების სისტემაში დაწყებითი კლასებისათვის ტექსტური ამოცანების შედგენისა და გამოყენების დიდაქტიკური ასპექტები. გამომც. „თეკა & კომპანია“, ქუთაისი, 2009.

7. Столяр 1981: Столяр А. А. Методы обучения математике: Учебное пособие для пединститутов/А. А. Столяр. -Минск: Народная асвета, 1981.

**Irma Chkhikvadze**

**Assistant Professor of Akaki Tsereteli State University**

### **Use of numerical inequalities in solving the developmental and exploratory word problems in the primary grades**

#### **Abstract**

The article discusses different approaches to solving the word problems that require a high level of mental activity and constitute developmental education. Some aspects of the methodology of solving the word problems using inequalities are discussed. The developmental word problems are discussed using inequalities, for the solution of which it is necessary to do the following:

- compare two images;
- use inequality or systems of inequalities.

Using the properly selected word problems and with proper organization of teaching to solve them, primary school students develop their observation abilities, they become more perceptive and thoughtful, which helps them to solve specific problems.

**Key words:** text problem, research problem, numerical inequality, problem solving, logical thinking.



## დაწყებით კლასებში საძიებო, საოლიმპიადო და არასტანდარტული ამოცანები, როგორც ლოგიკური უნარ-ჩვევების განვითარების საშუალება

**რეზიუმე:** დაწყებითი კლასის მოსწავლეებში ლოგიკური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების და განვითარებისთვის, ვასწავლით მათ საძიებო, საოლიმპიადო და არასტანდარტული ამოცანების ამოხსნის ისეთ მეთოდებს და ხერხებს, რომლებიც მჭიდრო კავშირშია ლოგიკასთან და მოსწავლეებში ახდენს ლოგიკური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას და განვითარებას. განხილულია სხვადასხვა სახის ლოგიკური ამოცანები და გაკეთებულია მეთოდური დასკვნები, რომ სწავლება უნდა ხორციელდებოდეს ისეთი მეთოდებით ან/და ხერხებით, როცა ბავშვები ცოდნას მზა ფორმით კი არ იღებენ, არამედ აღმოაჩენენ მათ დამოუკიდებელი კვლევითი აქტივობის პროცესში. მასწავლებელი მოსწავლეებს დაუსვამს ამოცანის ირგვლივ წინასწარ შემუშავებულ კითხვებს, რომლითაც ისინი მიჰყავთ ამოცანის პირობაში მოცემული ობიექტის ახალი თვისებების აღმოჩენამდე. მოყვანულია ლოგიკურ ამოცანათა სახეები, რომლებიც არ განიხილება სკოლაში მათემატიკის სწავლების პროცესში. გაკეთებულია დასკვნა, რომ არ უნდა შემოვიფარგლოთ სახელმ-ძღვანელოში მოთავსებული ამოცანებით, აუცილებლად სასწავლო პროცესში უნდა ჩავრთოთ განხილული და კიდევ სხვა სახის საძიებო, საოლიმპიადო და არასტანდარტული ამოცანები, რომლებიც ამაღლებენ მოსწავლეთა ცოდნისადმი ინტერესს, ზრდიან მათი მაძიებლობის უნარს, მოსწავლეებში ავითარებენ ლოგიკურ აზროვნებას.

**საკვანძო სიტყვები:** დაწყებითი კლასები, საოლიმპიადო ამოცანა, ამოხსნის მეთოდი/ხერხი, სასკოლო კურსი, ლოგიკური აზროვნება.

ოცდამეერთე საუკუნეში საზოგადოება იმყოფება მუდმივად განვითარების მდგომა-რეობაში, შესაბამისად სკოლას სულ უფრო გაზრდილი მოთხოვნების დაკმაყოფილება უხდება. განათლების სფეროში წინა პლანზე წამოიწია იმ საკითხების სწავლებამ, რომელთა გადაწყვეტა მოსწავლეებს უხდებათ/ან შემდეგში მოუხდებათ რეალურ ცხოვრებაში. სასწავლო პროცესი მასწავლებლებსაც გაზრდილ მოთხოვნებს უყენებს, აუცილებელია მასწავლებელთა მუდმივი თვითგანათლება, ინტელექტუალური განვითარება, კრეატიულობას, შემოქმედებითი აზროვნება, ლოგიკური აზროვნების მაღალი დონე და სხვ. დაწყებით კლასებში ლოგიკური უნარ-ჩვევების პრობლემის აქტუალობა აიხსნება იმით, რომ რეალურ ცხოვრებაში საზოგადოებაში ნორმალურად ადაპტირებისათვის საჭიროა ლოგიკურად მოაზროვნე ადამიანები. ლოგიკური უნარების ჩამოყალიბება უნდა მოხდეს დაწყებით კლასებში, რასაც ხელს უწყობს მათემატიკის შესწავლა. ლოგიკური აზროვნების მაღალი დონე მიიღწევა მათემატიკის გაკვეთილებზე საძიებო, საოლიმპიადო და არასტანდარტული ამოცანების ამოხსნით.

ჩვენ ინტერესს წარმოადგენს დაწყებით კლასებში საძიებო, საოლიმპიადო და არასტანდარტული ამოცანების ამოხსნით ლოგიკური უნარ-ჩვევების განვითარების თავისებურებების შესწავლა. დაწყებითი კლასის მოსწავლეებში ლოგიკური უნარ-ჩვევების

ჩამოყალიბების და განვითარებისთვის, ვასწავლით მათ საძიებო, საოლიმპიადო და არასტანდარტული ამოცანების ამოხსნის ისეთ მეთოდებს და ხერხებს, რომლებიც მჭიდრო კავშირშია ლოგიკასთან და მოსწავლეებში ახდენს ლოგიკური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას და განვითარებას.

დაწყებითი კლასების მათემატიკის სასკოლო სახელმძღვანელოები ორიენტირებული უნდა იყოს მოსწავლის გონებრივი შესაძლებლობების განვითარებაზე, მათემატიკის სასწავლო მასალა კი-პრაქტიკასთან კავშირზე, გარე სამყაროს რეალური პრობლემების გადაჭრაზე და სხვ.

სწავლების პროცესში მოქმედებს მინიმალის პრინციპი. იგი შემდგომში მდგომარეობს: სკოლა სახელმწიფო სტანდარტის შესაბამისად ვალდებულია მოსწავლეებს შესთავაზოს განათლების შინაარსი მაქსიმალურ დონეზე საგნების მიხედვით, ხოლო მოსწავლე შეითვისებს სასწავლო მასალას გარკვეული მოთხოვნების მინიმალურ დონეზე. რომელსაც ადგენს სახელმწიფო სტანდარტი. სუსტი მოსწავლეები კმაყოფილდებიან სტანდარტით მოთხოვნილი ცოდნის მინიმუმით, ხოლო ძლიერი მოსწავლეები ცდილობენ შეითვისონ გადაცემული ცოდნის მაქსიმუმი. სხვა დანარჩენი მოსწავლეების შეთვისებული ცოდნა განლაგდება ამ ორ დონეს შორის, თავიანთი უნარებისა და შესაძლებლობების შესაბამისად ისინი თავად აირჩევენ თავიანთ დონეს, თავიანთი შესაძლო მაქსიმუმით.

მიზანშეწონილია სწავლება ხორციელდებოდეს ისეთი მეთოდებით, როცა ბავშვები ცოდნას მზა ფორმით კი არ იღებენ, არამედ აღმოაჩენენ მათ დამოუკიდებელი კვლევითი მოღვაწეობის პროცესში. მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს კითხვებისა და დავა-ლებების სისტემას, რომლითაც ისინი მიჰყავს ახალი თვისებების აღმოჩენამდე. მათემატიკის სასწავლო სახელმძღვანელოში მასალა ორიენტირებულია მათემატიკის შესწავლის ინტერესზე, შემოქმედებითი უნარებისა და აზროვნების განვითარებაზე. მუშაობის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარებისთვის სწავლების პროცესში აუცილებელია ჩავრთოთ სხვადასხვაგვარი სახის საძიებო, საოლიმპიადო და არასტანდარტული ამოცანები, (არ შემოვიფარგლოთ სახელმძღვანელოში განთავსებული მასალებით), რომლებიც ამაღლებენ ცოდნისადმი ინტერესს, ზრდიან მაძიებლობის უნარს, მოსწავლეებში აყალიბებენ ლოგიკურ უნარ-ჩვევებს.

დაკვირვებები გვიჩვენებს, რომ მარტივი საძიებო, საოლიმპიადო და არასტანდარტული ამოცანების ამოხსნის დროსაც მოსწავლეები დიდ დროს ხარჯავენ იმის მსჯელობაში, თუ საიდან დაიწყონ ამოხსნა. იმისათვის, რომ დავეხმაროთ მოსწავლეებს ამოცანის ამოხსნისაკენ გზის ძიებაში, ჩვენ უნდა წარმოვიდგინოთ და დავაყენოთ ჩვენი თავი იმ მოსწავლის ადგილზე, რომელიც ამოცანის ამოხსნას ცდილობს, შევეცადოთ აღვიქვათ მოსწავლის წინაშე წარმოშობილი სიძნელეები. ამის შემდეგ მივცეთ მოსწავლეს სათანადო რჩევა, მითითება და თუ საჭირო გახდა ჩავერთოთ ამოცანის ამოხსნის პროცესში. ჩვენი დახმარება საშუალებას მისცემთ მოსწავლეებს განავითარონ ლოგიკური და შემოქმედებითი უნარ-ჩვევები, მიიღონ და დააგროვონ გამოცდილება, რომლებიც შემდგომში დაეხმარებათ ახალი ამოცანების ამოხსნის გზების ძიებაში. საძიებო, საოლიმპიადო და არასტანდარტული ამოცანების ამოხსნის პირველ ეტაპზე უნდა მოვახდინოთ ამოცანის წარმოდგენა მდგომარეობათა სივრცეში, რათა შესაძლებელი იყოს ყველა შესაძლო შემთხვევის განხილვა, ისე, რომ ყურადღების გარეშე არ დაგვრჩეს ამოცანის ამოხსნის ძიების პროცესის არცერთი ნიუანსი.

მიზანშეწონილია მათემატიკის საგაკვეთილო პროცესში მასწავლებელმა განიხილოს საძიებო, საოლიმპიადო და არასტანდარტული ლოგიკური ამოცანები, რომლებიც უკავშირდება კუნძულზე მაცხოვრებელ ორ ტომს-რაინდებს და მატყუარებს, რაინდები სულ სიმართლეს ამბობენ, მატყუარები სულ ტყუიან. როცა ასეთი სახის ამოცანების ამოხსნაში მოსწავლეები დახელოვნდებიან, მაშინ გაართულოს ლოგიკური ამოცანები და კუნძულზე მაცხოვრებელ ორ ტომს დაუმატოს კუნძულის დასათვალიერებლად მისული ტურისტები, რომლებიც ხან მართალს ამბობენ და ხან ცრუობენ. ასევე, ლოგიკური აზროვნების განსავითარებლად კარგ ეფექტს იძლევა ამოცანები ოთახში დამწყვედეულ ვეფხვებზე და პრინცესებზე, სითხის გადასხმის ამოცანები და სხვ.

**„პროცესული ამოცანების“ სახეობის შესწავლა.**

**ამოცანა 1.** როგორ ავიღოთ ონკანიდან 8 ლიტრი წყალი, თუ გვაქვს 3 ლიტრიანი და 10 ლიტრიანი ჭურჭლები. გაითვალისწინეთ, რომ ონკანში წყალი უწყვეტად მოედინება და ჭურჭლიდან წყლის გადაღვრა შესაძლებელია.

**ამოხსნა.** ცხადია, რომ 3 ლიტრიან ჭურჭელში 8 ლიტრი წყალი არ ჩაეტევა, ამისათვის გამოყენებული უნდა იქნეს 10 ლიტრიანი ჭურჭელი.

ამოხსნის ერთ-ერთი ვარიანტი ასეთია: ავავსოთ 3 ლიტრიანი ჭურჭელი და ჩავასხათ 10 ლიტრიანში 3-ჯერ, მეოთხე ჩასხმის დროს 10 ლიტრიან ჭურჭელში ჩაეტევა მხოლოდ 1 ლიტრი წყალი, 3 ლიტრიანში დარჩება 2 ლიტრი. გადავღვაროთ სავსე 10 ლიტრიანი ჭურჭელი და მასში ჩავასხათ 3 ლიტრიან ჭურჭელში დარჩენილი 2 ლიტრი წყალი, 3 ლიტრიანი ჭურჭელი ცარიელია, გავასოთ და ჩავასხათ 10 ლიტრიანში 2-ჯერ. 10 ლიტრიან ჭურჭელში ჩაისხმება  $2 + 3 + 3 = 8$  ლიტრი წყალი.

ეს ამოცანა შესაძლებელია ამოვხსნათ გრაფებით. შემოვიღოთ ასეთი აღნიშვნა: გრაფის წვეროები გამოვსახოთ წყვილების სახით, სადაც პირველი რიცხვი გამოსახავს 10 ლიტრიან ჭურჭელში ჩასხმული წყლის რაოდენობას ლიტრებში, მეორე რიცხვი-3 ლიტრიან ჭურჭელში ჩასხმული წყლის რაოდენობას ლიტრებში. „→“ სიმბოლო აღნიშნავს ყოველი გადასხმის შესრულების შემდგომ მდგომარეობას, ანუ გრაფის ერთი წვეროდან მეორეზე გადასვლას. ჩვენს მიერ შემოღებული აღნიშვნით გრაფის საწყისი წვეროა (0, 0), ხოლო სამიზნე წვეროა (8, 0) ან (8, 3).

$(0,0) \rightarrow (0,3) \rightarrow (3,0) \rightarrow (3,3) \rightarrow (6,0) \rightarrow (6,3) \rightarrow (9,0) \rightarrow (10,2) \rightarrow (0,2) \rightarrow (2,0) \rightarrow (2,3) \rightarrow (5,0) \rightarrow (5,3) \rightarrow (8,0)$ .

პროცესი აქ დასრულდება. თუ მოსწავლეებს გაუჩნდებათ შეკითხვა, როგორ მივიღოთ (8, 3) მდგომარეობა. ამ შემთხვევისათვის უნდა მოვიქცეთ ასე:

$(0, 0) \rightarrow (10, 0) \rightarrow (7, 3) \rightarrow (7, 0) \rightarrow (4, 3) \rightarrow (4, 0) \rightarrow (1, 3) \rightarrow (1, 0) \rightarrow (0, 1) \rightarrow (10, 1) \rightarrow (8, 3)$ .

ამოცანის ამოხსნის დროს მოსწავლეები შედარებით ადვილად აგნებენ ამოხსნის პირველ გზას, ვიდრე მეორეს, თუმცა პირველ შემთხვევაში ამონახსნის მისაღებად შესასრულებელია 13 ბიჯი, ხოლო მეორე შემთხვევაში 10 ბიჯი. ე.ი. უფრო ოპტიმალურ გზას ამოხსნის მეორე ხერხი წარმოადგენს.

**ამოცანა 2.** თორმეტლიტრიანი ჭურჭელი სავსეა რძით. საჭიროა რძე გაიყოს ორ თანაბარ ნაწილად, რისთვისაც შესაძლებელია გამოვიყენოთ მხოლოდ რვალიტრიანი და ხუთლიტრიანი ჭურჭლები. როგორ გავაკეთოთ ეს? სითხის გადასხმის რა უმცირესი რაოდენობაა საჭირო?

**ამოხსნა.** თორმეტი ლიტრის ნახევარი არის 6 ლიტრი, რომელიც, ცხადია, 5 ლიტრიან ჭურჭელში არ ჩაეტევა, ე.ი. გაყოფის შემდეგ რძე უნდა იყოს 12 ლიტრიან და 8 ლიტრიან ჭურჭლებში. ამოცანის ამოხსნის ერთ-ერთი ვარიანტი ასეთია:

12 ლიტრიანი ჭურჭლიდან გავავსოთ 8 ლიტრიანი ჭურჭელი, 12 ლიტრიანში დარჩება 4 ლიტრი. 8 ლიტრიანი ჭურჭლიდან გავავსოთ 5 ლიტრიანი ჭურჭელი. 5 ლიტრიანი ჭურჭელი ჩავასხათ 12 ლიტრიან ჭურჭელში. ამის შემდეგ 12 ლიტრიან ჭურჭელში გვაქვს 9 ლიტრი რძე, 8 ლიტრიან ჭურჭელში გვაქვს 3 ლიტრი რძე, 5 ლიტრიანი კი ცარიელია. 8 ლიტრიანი ჭურჭლიდან 3 ლიტრი რძე ჩავასხათ 5 ლიტრიან ჭურჭელში და 12 ლიტრიანი ჭურჭლიდან გავავსოთ 8 ლიტრიანი ჭურჭელი. ამის შემდეგ 12 ლიტრიან ჭურჭელში გვაქვს 1 ლიტრი რძე, 8 ლიტრიანი ჭურჭელი სავსეა, 5 ლიტრიან ჭურჭელში კი გვაქვს 3 ლიტრი რძე. 8 ლიტრიანი ჭურჭლიდან გავავსოთ 5 ლიტრიანი ჭურჭელი, მას შესავსებად სჭირდება 2 ლიტრი რძე. 8 ლიტრიან ჭურჭელში დარჩება 6 ლიტრი რძე, 12 ლიტრიანში იქნება 1 ლიტრი რძე, 5 ლიტრიანი სავსეა რძით. ბოლოს, 5 ლიტრიანი ჭურჭელი ჩავასხათ 12 ლიტრიან ჭურჭელში, რომელშიც გახდება 6 ლიტრი რძე. ამოცანის ამოხსნა დამთავრდა. ამ ამოცანის ამოხსნაც შესაძლებელია გრაფების გამოყენებით. წინა ამოცანისაგან განსხვავებით ამ ამოცანის შემთხვევაში გრაფის წვეროები გამოისახება სამეულების სახით, მიზანშეწონილია, რომ გრაფათა გამოყენებით ამ ამოცანის ამოხსნა განხორციელდეს კლასში მასწავლებლის მეთვალყურეობით.

**ამოცანა 3.** კუნძულზე ცხოვრობენ რაინდები და მატყუარები. რაინდები სულ სიმარ-თლეს ამბობენ, ხოლო მატყუარები სულ იტყუებიან. რაინდების და მატყუარების კუნძულის პარლამენტში 101 წევრია. კუნძულის ბიუჯეტის შემცირების მიზნით გადაწყდა კუნძულის პარლამენტი შეამცირონ ერთი დეპუტატით. მაგრამ, პარლამენტში გამოსვლისას თითოეულმა პარლამენტარმა აღნიშნა, რომ თუ მას შეამცირებენ, მაშინ დარჩენილ დეპუტატებს შორის უმრავლესობა იქნებიან მატყუარები. რამდენი რაინდი და რამდენი მატყუარა იყო თავიდან პარლამენტში?

**ამოხსნა.** ვთქვათ, რაინდების და მატყუარების კუნძულის პარლამენტში რაინდების რაოდენობაა  $r$  და მატყუარების რაოდენობაა  $m$ . ამოცანის პირობის ძალით  $r + m = 101$ .

რადგან რაინდი დეპუტატის ნათქვამი მართალია. თუ მისი შემცირებით პარლამენტში უმრავლესობა რჩება მატყუარები, ეს ნიშნავს, რომ მატყუარები თავდაპირველ პარლამენტშიც უმრავლესობაა. დავუშვათ წინააღმდეგი, ვთქვათ პარლამენტში 51 რაინდია და 50 მატყუარა. თუ შეამცირებენ რაინდს, პარლამენტში დარჩება 50 რაინდი და 50 მატყუარა და მივიღეთ წინააღმდეგობა. ე.ი. მაშინ, რაინდი დეპუტატების ნათქვამის ძალით  $r - 1 < 50$ . საიდანაც  $r < 51$ . ეს ნიშნავს, რომ პარლამენტში მართო რაინდები არ არიან. მეორეს მხრივ, მატყუარა დეპუტატის ნათქვამის შესაბამისად,  $m - 1 \leq 50$ . საიდანაც  $m \leq 51$ . ეს ნიშნავს, რომ პარლამენტში მართო მატყუარები არ არიან. ე.ი. პარლამენტში 50 რაინდი და 51 მატყუარაა.

**ამოცანები, რომელთაც რამდენიმე ამონახსნი აქვს.**

**ამოცანა 4.** კომბლეს 13 ცხვარი ჰყავდა, რომელიც დათვმა, მგელმა და ტურამ შეუჭამა. ყველაზე მეტი ცხვარი დათვმა შეჭამა, ყველაზე ცოტა ტურამ. რომელმა ნადირმა რამდენი ცხვარი შეჭამა?

**ამოხსნა.** მასწავლებელი სთხოვს რამდენიმე მოსწავლეს, პასუხი გასცენ ამოცანის კითხვას. მოსწავლეები ასახელებენ სხვადასხვა პასუხს. მასწავლებელი გამოხატავს გაკვირვებას რატომ მოხდა, რომ სხვადასხვა პასუხები იქნა მიღებული. მოსწავლეები ასახელებენ მიზეზს, რომ კონკრეტულად ამოცანის პირობაში ნათქვამი არ არის რამდენი ცხვარი შეჭამა თითოეულმა ნადირმა. ამის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს ეუბნება,

რომ ამოცანა ამოხსნან სრულყოფილად, რისთვისაც ამოცანას წარმოადგენს მდგომარეობათა სივრცეში. ხაზავს ცხრილს, პოულობს ამოცანის ყველა შესაძლო ამონახსნს. მსჯელობის პარალელურად ავსებს ცხრილს.

ნადირი	შეჭმული ცხვრების რაოდენობა							
ტურა	1	1	1	1	2	2	2	3
მგელი	2	3	4	5	3	4	5	4
დათვი	10	9	8	7	8	7	6	6

მასწავლებელი ცხრილის შევსებისას მსჯელობს, რს პირობების დაცვა აუცილებელი ამ ამოცანის ამოხსნის დროს; რომ აუცილებლად გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ყველა ნადირმა სხვადასხვა რაოდენობის ცხვარი შეჭამა; ამასთან ტურამ შეჭამა ყველაზე ცოტა, დათვმა ყველაზე მეტი. საბოლოოდ, დაასკვნიან, რომ ამოცანას აქვს 8 განსხვავებული ამონახსნი.

განხილული ამოცანების მსგავსი ამოცანების ამოხსნის მეთოდების/ხერხების სწავლებით დაწყებით კლასებში მიიღწევა ლოგიკური აზროვნების მაღალი დონე, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს სწავლების შემდგომ საფეხურებზე უკეთ ჩაუღრმავდნენ სასწავლო დისციპლინებს და აქტიურად მოემზადონ არა მარტო არჩეული სპეციალობის მისაღებად, არამედ გადაჭრან ცხოვრებაში წარმოშობილი პრობლემებიც.

ჩვენ დავამუშავეთ და პრაქტიკაში გამოცვადეთ დაწყებით კლასებში საძიებო, საოლიმპიადო და არასტანდარტული ამოცანების ამოხსნის მეთოდების/ხერხების სწავლების მეთოდიკა, რომლის ასაკოლო პრაქტიკაში გამოყენებისას დაცული უნდა იქნეს გარკვეული პირობები. კერძოდ:

1. საძიებო, საოლიმპიადო და არასტანდარტული ამოცანების ამოხსნის მეთოდების/ხერხების სწავლება უნდა განხორციელდეს საკლასო მეცადინეობაზე ამ მიზნისთვის შერჩეული კონკრეტული საძიებო, საოლიმპიადო და არასტანდარტული ამოცანების ამოხსნის დროს;

2. უმრავლეს შემთხვევაში მასწავლებელმა კლასში არ უნდა მოახდინოს საძიებო, საოლიმპიადო და არასტანდარტული ამოცანების ამოხსნის მზა რეცეპტების სახით მიწოდება, მან უნდა ისარგებლოს ისეთი მითითებებითა და კითხვებით, რომლებიც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს თვითონ მივიდნენ ამოხსნის „აღმოჩენამდე“;

3. მასწავლებელმა საძიებო, საოლიმპიადო და არასტანდარტული ამოცანების ამოხსნის პროცესში მონაწილეობა უნდა მიიღოს მთელმა კლასმა, მოსწავლეებს საშუალება უნდა ჰქონდეთ გამოთქვან თავიანთი შეხედულებები, აზრები, თუნდაც მცდარი, დაიცვან საკუთარი აზრი. მასწავლებლებმა პატივი უნდა სცეს მოსწავლის აზრს;

4. მასწავლებელმა საძიებო, საოლიმპიადო და არასტანდარტული ამოცანის ამოხსნის შემდეგ უნდა მოახდინოს გამოყენებული მეთოდის/ხერხის სრულყოფილი მეთოდური ანალიზი და თუ ამოხსნილი ამოცანის სახე იძლევა ამის შესაძლებლობას, მოახდინოს ხერხის განზოგადება სხვა უფრო ფართო კლასის ამოცანებისათვის;

5. მომდევნო ეტაპებზე, როცა მოსწავლეები მიიღებენ საკმაო გამოცდილებას, დახელოვნდებიან საძიებო, საოლიმპიადო და არასტანდარტული ამოცანების ამოხსნაში, მასწავლებლის ჩარევა უნდა შემცირდეს ამოხსნის პროცესშიც. მან ყურადღება უნდა გადაიტანოს იმ მოსწავლეებზე, რომლებსაც შედარებით უმწელებათ საძიებო, საოლიმპიადო და არასტანდარტული ამოცანების ამოხსნა.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. გ. ბერძულიშვილი, გ. ბრეგაძე 2016: გ. ბერძულიშვილი, გ. ბრეგაძე, საოლიმპიადო მათემატიკური ამოცანები დაწყებით კლასებში. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი. 2016.
2. გ. ბერძულიშვილი, გ. ბრეგაძე 2015: გ. ბერძულიშვილი, გ. ბრეგაძე, მათემატიკური ამოცანების ამოხსნის სპეციალური ხერხების სწავლების მეთოდიკური თავისებურებები. აწსუ გამომცემლობა. თბილისი. 2015.
3. გ. ბერძულიშვილი და სხვ. 2023: გ. ბერძულიშვილი და სხვ., საძიებო და საოლიმპიადო მათემატიკური ამოცანები დაწყებით კლასებში (I-VI კლასები). აწსუ-ის გამომცემლობა. თბილისი. 2023.

Nana Oniani

Associate Professor of Akaki Tsereteli State University

### The exploratory, olympiad, and non-standard problems in the primary grades as a means of developing logical skills abstract

To form and develop logical skills in primary school students, we teach them such methods and ways of solving the exploratory, olympiad and non-standard problems that are closely related to logic and help to form and develop logical skills in students. The article describes various types of logical problems and methodical conclusions are made that teaching should be carried out using such methods and/or techniques, when children do not receive knowledge in a ready-made form but discover it in the process of independent exploratory activity. The teacher asks the students pre-designed questions around the problem, which will lead them to the discovery of new properties of the object given in the statement of problem. The article presents the types of logical problems that are not considered in the process of teaching mathematics at school. The conclusion is made that we should not be limited to the problems included in the textbook, we should include in the educational process the discussed and other types of exploratory, olympiad and non-standard problems that increase the interest of students in knowledge, increase their exploratory skills, and develop logical thinking in students.

**Key words:** elementary grades, olympiad task, solution method/skills, school course, logical thinking.

## გრამატიკის ელემენტარული საკითხების შესწავლა ტექსტებზე მუშაობისას და დამოუკიდებელი სავარჯიშოების მეშვეობით დაწყებითი საფეხურის II – III კლასებში

**რეზიუმე:** I-IV კლასებში გრამატიკის ელემენტარული საკითხების შესწავლა უნდა წარიმართოს არა გრამატიკული წესებისა და ენობრივი კანონზომიერებების თეორიული დასწავლით, არამედ, კერძო დებულებების საფუძველზე, პრაქტიკული აქტივობებით. ენობრივი საკითხები უნდა შევასწავლოთ არა მხოლოდ ტექსტის დამუშავებისას, არამედ სპეციალურად შედგენილი, მრავალფეროვანი პრაქტიკული სავარჯიშოების გამოყენების საფუძველზე.

შრომაში გაანალიზებულია ორი (II და III კლასები) აქტივობა. აღწერილია თითოეული მათგანის სამუშაო პროცესი, მოცემულია დამატებითი რეკომენდაციები სპეციალურად შედგენილი სავარჯიშოებისათვის. ამავე დროს, ჩამოყალიბებულია შეფასების კრიტერიუმები და შემუშავებული - მეთოდური მითითებები.

**საკვანძო სიტყვები:** გრამატიკა, ინდუქცია, არსებითი და ზედსართავი სახელები, აქტივობა, მეთოდი, სავარჯიშო.

დაწყებითი საფეხურის I-IV კლასებში ტექსტებზე მუშაობის პარალელურად ისწავლება გრამატიკის ელემენტარული საკითხები. ესგ-ის მიხედვით ენობრივი საკითხების სწავლება ამ საფეხურზე უნდა მიმდინარეობდეს პრაქტიკული აქტივობებით. მიზანშეწონილი არ არის აქცენტების გადატანა გრამატიკული წესებისა და ენობრივი კანონზომიერებების თეორიულ დასწავლაზე. დაწყებით საფეხურზე კერძო დებულებების ანალიზის საფუძველზე ზოგადი დასკვნის მიღების პროცესი **ინდუქციის გზით** მიმდინარეობს, ე. ი. ჯერ საკითხის არსში გავარკვევთ ბავშვებს, შემდეგ კი, მე-3-4 კლასებიდან, გრამატიკულ წესსაც ჩამოვყალიბებინებთ (რომელთა სწავლება, დედუქციური მეთოდის გამოყენებით, V-VI კლასებში სიღრმისეულად გაგრძელდება).

და მაინც ენობრივი საკითხების სწავლა-სწავლების პროცესი საჯარო სკოლებში წლების განმავლობაში პრობლემურ საკითხად იყო ქცეული. ამის ერთ-ერთ მიზეზად ქართული ენის/გრამატიკის სახელმძღვანელოს არარსებობაც მოიაზრებოდა. სახელმძღვანელოში მხოლოდ ზოგიერთ ტექსტს ჰქონდა თანდართული მცირე ენობრივი მასალა. მასწავლებლებს დამოუკიდებლად, პროგრამების მიწოდებისა და ინსტრუქციების მიცემის გარეშე ნაკლებად ხელეწიფებოდათ ამ საკითხის დამოუკიდებლად მოგვარება. საკითხის გადაჭრისთვის კი მნიშვნელოვანია რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინება:

1. მასწავლებლის მზაობა აღნიშნული გრამატიკული კატეგორიის სწავლებისათვის;
2. არსებული მეთოდური ლიტერატურებიდან მიღებული ცოდნის პრაქტიკაში დანერგვის სურვილი და უნარი;
3. ტექსტებზე მუშაობისას იმის განსაზღვრის უნარი, თუ იგი რომელი გრამატიკული მასალის ღრმად შესწავლის შესაძლებლობას გვაძლევს;

4. იმის უნარი, რომ ერთსა და იმავე საკითხის შესწავლისას გამოიყენონ პრინციპი მარტივიდან რთულისაკენ, საკითხის გაცნობიდან მის სრულყოფილ შესწავლამდე. ამისათვის შეარჩიონ ნებისმიერი სასწავლო თუ კლასგარეშე ლიტერატურის ტექსტი;
5. ჰქონდეს უნარი, შესწავლილ ტექსტთან კონტექსტში ან დამოუკიდებლად, თავად შეადგინონ შესაბამისი სავარჯიშოები;
6. სწავლების პროცესი უნდა მიმდინარეობდეს უწყვეტი სწავლების პრინციპით, მოუღლელად და დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით.

წარმოდგენილ ნაშრომში მოკლედაა გააზრებული ორი საგაკვეთილო აქტივობის ნიმუში. იგი მოიცავს როგორც ტექსტიდან გამომდინარე, ასევე საკითხის შესწავლისთვის დამოუკიდებლად შედგენილ სავარჯიშოებს. მნიშვნელოვანია, რომ იგი ცოდნის ათვისების უწყვეტი რეჟიმის ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს.

**არსებითი სახელი** მოსწავლეთათვის 1-ელი კლასიდანვე ხდება ცნობილი, როგორც საგნის აღმნიშვნელი სიტყვა. მესამე - მეოთხე კლასებში მარტივად შეისწავლიან არსებით სახელთა ბრუნებას, ბრუნვის ნიშნებს, ფუძეს, მისი მონახვის ხერხსა და არსებით სახელთან დაკავშირებულ მართლწერის უმარტივეს საკითხებს.

დაწყებითი საფეხურის მეორე კლასში მოსწავლეებს უნდა გავაცნოთ არსებითი სახელი, როგორც მეტყველების საგანი, თუ როგორია ის (სულიერი და უსულო) და მისი დაჯგუფების ფორმები (ვინ? და რა?). ამ საკითხის ენობრივი თვალსაზრისით შესწავლის საშუალებას, პირველ რიგში, თავად შესასწავლი ტექსტი გვაძლევს (ვინ? და რა? ჯგუფის სახელები უხვადაა ნებისმიერ ტექსტში წარმოდგენილი).

ამ ნაშრომის პირველ ნაწილში სწორედ ვინ? და რა? ჯგუფის არსებითი სახელების შესწავლაზე გავამახვილებთ ყურადღებას და წარმოგიდგენთ გაკვეთილის მსვლელობისას ჩასაშენებელ მცირე აქტივობას, თუ რომელ მეტყველების ნაწილს ვაცნობთ, რა არის კონკრეტული საკითხის გაცნობის მიზანი; ადვილად, როგორ დავალებებს შევადგენთ და რა ფორმით წარვუდგენთ ბავშვებს.

**აქტივობა: „ვინ“ და „რა“.**

**აქტივობის შესახებ:** ეს აქტივობა ახალი მასალის აქტიური, ინდუქციური გზით შესწავლასა და ათვისებას ისახავს მიზნად. გარდა იმისა, რომ მოსწავლეები ეცნობიან „ვინ“ და „რა“ ჯგუფის არსებით სახელებს, აქტივობის მიმდინარეობისას საკმარისი ყურადღება დაეთმობა გავარჯიშების, ახლადმიღებული ცოდნის შეჯამებისა და მისი პრაქტიკულად გამოყენების ეტაპებს.

**აქტივობის მიზანი:** მოსწავლეები:

1. დააჯგუფებენ არსებით სახელებს სხვადასხვა ნიშნით;
2. აქტიური სწავლის მეთოდით შეისწავლიან „ვინ“ და „რა“ ჯგუფის არსებით სახელებს;
3. იმუშავენ აზრობრივი რუკების შევსებაზე;
4. მიეჩვენებენ ურთიერთთანამშრომლობას.

**აქტივობის აღწერა:**

1. მხატვრული ტექსტის წაკითხვისა და ლექსიკური დამუშავების შემდეგ, მასწავლებელი დაფაზე დახაზავს ცხრილს და მოსწავლეების დახმარებით შეავსებს მას.



შევსებული ცხრილის ნიმუში:

ადამიანი	ცხოველი	ფრინველი	საგანი
გოგო	ვირი	მტრედი	აივანი
ბებო	ფისო	მერცხალი	მთა
ბაქარი	ძაღლი	ბარტყი	კიბე
მხატვარი	ცხენი	ქორი	ბუდე

2. ამის შემდეგ კლასს ყოფს ჯგუფებად და თითოეულს ურიგებს დავალების ბარათებს - თანდართული ინსტრუქციებით. მაგ.:

**პირველი ჯგუფი:** მოიფიქრეთ და ამ ხაზზე დაწერეთ ადამიანის აღმნიშვნელი სახელები.

---

**მეორე ჯგუფი:** ამ ხაზზე დაწერეთ ცხოველთა სახელები.

---

**მესამე ჯგუფი:** ამ ხაზზე დაწერეთ ფრინველების სახელები.

---

**მეოთხე ჯგუფი:** ამ ხაზზე დაწერეთ საგნის აღმნიშვნელი სიტყვები.

---

**შენიშვნა:** თუ მოსწავლეები წარმატებით დაძლევენ ამ ეტაპს, აქტივობა შეიძლება გაართულდეს შემდეგნაირად:

ამ ხაზზე დაწერეთ ერთი ფრინველისა და ერთი შრომის იარაღის სახელი.

---

ამ ხაზზე დაწერეთ ორი ხილისა და ერთი ცხოველის სახელი და ა. შ.

---

შესაძლებელია აქტივობის კიდევ უფრო გაართულება, თუ მათ დავალებით ისეთი სახელების დაწერასაც, რომლებიც სიაში არ არის წარმოდგენილი. მაგ.:

ამ ხაზზე დაწერეთ ერთი შრომის იარაღისა და ორი ჭურჭლის სახელი.

---

**შეფასება:** ამ აქტივობით შეიძლება შეფასდეს, შეუძლია თუ არა მოსწავლეს:

- ინსტრუქციის დაკვირვებით წაკითხვა/მოსმენა და გაგება;
- ინსტრუქციის მიხედვით დავალების შესრულება.

**მეთოდური მითითება:** მასწავლებელი უნდა ეცადოს, რომ ამ აქტივობაში რაც შეიძლება მეტი მოსწავლე ჩართოს. თუ მასწავლებელი ხშირად გამოიყენებს ამგვარ აქტივობებს, მას შეეძლება თანდათანობით კიდევ უფრო გაართულოს ინსტრუქციები.

3. საკითხის გააზრების შემდეგ ეტაპზე მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს წინასწარ გამზადებულ ბარათებს. მოსწავლეებმა უნდა შეავსონ გამოტოვებული ადგილები და საჭირო ადგილას ჩაწერონ კითხვითი სიტყვები: ვინ? ან რა? მაგ.:

ა) ნინომ აივანზე ჩამოვარდნილი მერცხლის ბარტყი დაინახა.

..... დაინახა მერცხლის ბარტყი?

..... დაინახა ნინომ?

ბ) მერცხალი ბუდეს თავს დასტრიალებდა.

..... დასტრიალებდა ბუდეს თავს?

..... დასტრიალებდა თავს მერცხალი?

გ) ძალმა ყეფა აუტება აივანზე შემოპარულ ფისოს.

..... აუტება ყეფა ძალმა?

..... აუტება ყეფა ფისოს?

4. სამუშაოს დასრულების შემდეგ მოსწავლეები თავიანთ მეწყვილეებს გაუცვლიან შევსებულ ბარათებს და შეამოწმებენ ერთმანეთის ნამუშევრებს. თუ შეცდომა აღმოაჩინეს, გაასწორებენ და უხსნიან თანაკლასელს, რომელი შეცდომა გაასწორა/როს და რატომ.

5. მასწავლებელი წაკითხვებს მოსწავლეებს შესრულებულ დავალებას, თითოეულ მათგანს სთხოვს დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება და თან კითხვების დასმით ცდილობს მიიყვანოს დასკვნამდე, მაგალითად, ასეთი საუბრით:

**მასწავლებელი:** შენი აზრით, რატომ დაესმის ბებოს კითხვა „ვინ?“

**მოსწავლე:** იმიტომ, რომ ბებო ადამიანია.

**მასწავლებელი:** მერცხალს დაესმის კითხვა „რა.“ რა არის მერცხალი?

**მოსწავლე:** მერცხალი ფრინველია. ამიტომ დაესმის კითხვა „რა“.

**მასწავლებელი:** რა კითხვა დაესმის ცხოველებს, კერძოდ ძალს?

**მოსწავლე:** ძალს დაესმის კითხვა „რა?“

**მასწავლებელი:** კითხვა „რა?“ დაესმის ბუდეც. ბუდეც ცხოველი ან ფრინველია? რა არის ბუდე?


**მოსწავლე:** ბუდე არ არის ფრინველი ან ცხოველი. ბუდე საგანია.

**მასწავლებელი:** ე. ი. საგანსაც, ცხოველსაც და ფრინველსაც დაესმის კითხვა „რა?“

**მოსწავლე:** დიახ, საგანსაც, ცხოველსაც და ფრინველსაც დაესმის კითხვა „რა?“.

6. ამას მოჰყვება აქტივობის **შემაჯამებელი ეტაპი:** მასწავლებელი დაფაზე ხაზავს ცარიელ აზრობრივ რუკებს და ავალებს მოსწავლეებს, გამოიცნონ, როგორ უნდა შეავსონ ისინი.

**შევსებული რუკის ნიმუში:**



პედაგოგი უნდა ეცადოს, მოსწავლეები მიახვედროს რუკების შევსების პრინციპს. ამისათვის მან უნდა მისცეს მოსწავლეებს დრო, რათა დააფიქსირონ თავიანთი მოსაზრებები. შესაძლებელია, შეახსენოს, რაზე იმსჯელეს მანამდე და თუკი საჭირო გახდება, მისანიშნებლად ჩაწეროს ერთი სიტყვა რომელიმე წრეში.

**შეფასება:** რადგან ეს აქტივობა ახალი მასალის გაცნობას და გავარჯიშებას ისახავს მიზნად, მისი მიმდინარეობისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განმავითარებელი შეფასების გამოყენება. ამრიგად, ამ აქტივობით შეგვიძლია შევაფასოთ:

- ახერხებს თუ არა მოსწავლე არსებითი სახელების ამოწერას ტექსტიდან და მათ დახარისხებას;
- შეუძლია თუ არა, სათანადო კითხვები დაუსვას არსებით სახელებს;
- ასრულებს თუ არა მოსწავლე დავალებას ინსტრუქციის მიხედვით;
- შეუძლია თუ არა მარტივი დასკვნების გამოტანა;
- ახერხებს თუ არა, შესწავლილი მასალის საფუძველზე აზრობრივი რუკის შევსებას;

- შეუძლია თუ არა დამოუკიდებლად მუშაობა;
- თუ ხელეწიფება, ახსნას თავისი არჩევანი;
- ავლენს თუ არა მოსწავლე თანამშრომლობის უნარს.

**მეთოდური მითითება:** აქტივობა მრავალეტაპიანია და შესაძლებელია, მოსალოდნელზე მეტი დრო მოითხოვოს გაკვეთილზე. ამიტომ, მასწავლებელს შეუძლია გარკვეული მოდიფიცირება შეიტანოს მასში, ან გაანაწილოს ორ და მეტ გაკვეთილზე.

გრამატიკის ელემენტარული საკითხების შესწავლა ნებისმიერი ტექსტის შესწავლისას უნდა მიმდინარეობდეს. აქ არჩევანის უპირატესობა პედაგოგს ენიჭება. სწორედ პედაგოგმა უნდა შენიშნოს და გამოკვეთოს, თუ ტექსტი რომელი გრამატიკული მასალის შესწავლის შესაძლებლობას გვიქმნის, ხოლო შემდეგ დაგვემოს და ჩააშენოს სასწავლო გეგმაში, ერთეულსა თუ მატრიცაში.

**მეორე კლასიდანვე** არსებით სახელზე მიღებულ ცოდნას გავუმდიდრებთ მოსწავლეებს ზედსართავი სახელით. ზედსართავი სახელის არსებითთან მიმართებით ცოდნის გასამდიდრებლად **მესამე კლასშიც** გავაგრძელებთ საინტერესო და სასარგებლო აქტივობების შემუშავებას და გაკვეთილების პროცესში მათ გამოყენებას. მითუმეტეს, როცა ტექსტი ამის შესაძლებლობას გვიქმნის. კონკრეტული მაგალითის სახით წარმოგიდგინებ ერთ-ერთ აქტივობას.

**აქტივობა: ვინ? რა? როგორი?** - წაკითხული ტექსტიდან აღნიშნული მეტყველების ნაწილების ამოკრება და დაჯგუფება.

**აქტივობის შესახებ:** ეს აქტივობა მოსწავლეს საშუალებას აძლევს, შეისწავლოს და დაამუშაოს გრამატიკული საკითხები. იგი სასარგებლოა იმ თვალსაზრისითაც, რომ ხელს უწყობს მოსწავლეთა სხვადასხვა დონის კოგნიტური უნარების (გაგება, გააზრება და გამოყენება) დაუფლებას.

**აქტივობის მიზანი:** მოსწავლეები:

- ივარჯიშებენ არსებითი სახელების ამოცნობაში;
- ივარჯიშებენ ზედსართავი სახელების ამოცნობაში;
- გაიაზრებენ ტექსტის შინაარსს;
- გაიხსენებენ ნაცნობ ზედსართავ სახელებს;
- იმუშავებენ დამოუკიდებლად.

**რესურსები:** საკითხავი ტექსტები, დაფა, ცარცი/მარკერი, რვეული, კალამი.

**აქტივობის აღწერა:**

1. მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს, დაასახელონ წაკითხული ტექსტიდან ყველა არსებითი სახელი, რომლებსაც მოსწავლეების კარნახით ჩამოწერს დაფაზე. მოსწავლეები კი გადაიწერენ მათ რვეულებში.

2. ამის შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დამოუკიდებლად დაძებნონ და არსებით სახელებს გასწვრივ მიუწერონ ის სიტყვა (ან სიტყვები), რომელიც ახასიათებს თითოეულ მათგანს (ზედსართავი სახელი).

3. ბუნებრივია, ტექსტში ყველა არსებით სახელს შესაძლებელია არ ახლდეს ზედსართავი. ამიტომ, მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ასეთ არსებით სახელებს თავად შეურჩიონ შესაბამისი ზედსართავი სახელები ტექსტის შინაარსის გათვალისწინებით.

4. როდესაც ყველა სიტყვას დააწყვილებენ, მოსწავლეებმა უნდა მოიფიქრონ დამატებითი ზედსართავი სახელები არსებითი სახელების დასახასიათებლად, - ოღონდ, ტექსტის შინაარსისგან დამოუკიდებლად.

**დამატებით რეკომენდებულია ამგვარი დავალებების მიეცემა:**

**დავალება 1** - მოცემულ არსებით სახელებს შეურჩიეთ და მიუსადაგეთ შესაბამისი ზედსართავი სახელები: წითელი, ავი, ფერადი, მოზრდილი, ბარაქიანი, თბილი.

- ..... შემოდგომა დადგა.
- დედამ ..... ფანქრები მიყიდა.
- მოსახვევში .... ძალი შევნიშნე.
- ბებომ ..... ჟაკეტი ჩაიცვა.
- თამარს თიხის ..... ქოთანს გამოუწვავს.
- აფრიალდა ..... დროშა.

**დავალება 2** - ჩამოთვლილი სიტყვები გადაანაწილეთ არსებითი სახელებისა და ზედსართავი სახელების ჯგუფში: ექიმი, დიდი, პატარა, ბავშვი, ვიოლინო, გიტარა, ლამაზი, კეთილი, საყვარელი,

არსებითი სახელები	ზედსართავი სახელები

**დავალება 3** - გრამატიკულად სწორად გამართეთ სიტყვები და ჩასვით წინადადებაში (სიკეთე, მწიფე, ილუსტრირებული, დაგრეხილი, ლაჟვარდისფერი, დიდი):

- იხაროს ..... ნერგმა.
- ხეს ..... მსხალი ესხა.
- დემეტრემ ..... კოცონი დაანთო.
- ნინომ ..... წიგნი წაიკითხა.
- თხა თხას ..... რქებით დაეჯახა.
- ბაია ..... ორქიდეებს რწყავს.

**დავალება 4** - გადაიწერეთ წინადადებები, შემდეგ შეარჩიეთ წარმოდგენილი ლექსიკური ერთეულებიდან შესაფერისი სიტყვა, მიუსადაგეთ წინადადებას და ჩასვით მითითებულ/გამოტოვებულ ადგილას:

- ა) “..... მდინარე მრისხანედ ახეთქებდა ტალღებს თეთრ ქვებს” (ვეებერთელა, აქოჩრილი, ადიდებული, მშვიდი, წყნარი, მდორე, ლივლივა).
- ბ) “ექიმმა ავადმყოფს ..... წამალი გამოუწერა გამოსაჯანმრთელებლად (ძველი, ვადაგასული, უებარი, მწარე, საუკეთესო).
- გ) “..... ვარდმა უსუნო ყვავილებს სურნელება შესძინა” (უსუნო, ლამაზმა, ჭრელმა, წითელმა, სურნელოვანმა, ეკლიანმა, ყვითელმა, თეთრმა).
- დ) “..... სიომ წამოუბერა და..... თავთავებმა ზღვასავით დაიწყო ლელვა” (ძლიერმა, სუსტმა, ცელქმა, დამჭკნარმა, დამწიფებულმა, ოქროსფერმა, მკვახემ).

**დავალება 5** – წარმოდგენილ ზედსართავ სახელებს მიუსადაგეთ რაც შეიძლება ბევრი შესაბამისი არსებითი სახელი:

- მამაცი - კაცი, ჯარისკაცი, გოშია, მეომარი, ბავშვი.
- ლამაზი -
- ბეჯითი -
- ყვითელი -
- კეთილი -

**დავალბა 6** – წარმოდგენილ არსებით სახელებს მიუსადაგეთ რაც შეიძლება ბევრი შესაბამისი ზედსართავი სახელი:

ბიჭი - მაღალი, დაბალი, თეთრი, შავგვრემანი, თმახუჭუჭა, ქერა, ნიჭიერი . . .

გოგონა -

ვაშლი -

ყვავილი -

წიგნი -

**შეფასება:** ამ აქტივობებით შეგვიძლია შევაფასოთ, შეუძლია თუ არა მოსწავლეს:

- არსებითი სახელების ამოცნობა;
- ზედსართავი სახელების ამოცნობა;
- ტექსტის შინაარსის გააზრების საფუძველზე ზედსართავი სახელების მისადაგება არსებითი სახელებისათვის;
- წარმოდგენილი ზედსართავი სახელებისთვის რაც შეიძლება მეტი არსებითის შერჩევა და მისადაგება;
- წარმოდგენილი არსებითი სახელებისთვის რაც შეიძლება მეტი ზედსართავის შერჩევა და მისადაგება;
- ნაცნობი სიტყვების (ზედსართავი სახელები) გახსენება;
- დამოუკიდებლად მუშაობა.

**მეთოდური მითითება:** თუ მასწავლებელი ამ ტიპის აქტივობებს უფრო მაღალ კლასებშიც გამოიყენებს, მას შეეძლება გაართულოს იგი და მოთხოვოს მოსწავლეებს, მაგალითად, არსებითი და ზედსართავი სახელების დაჯგუფება შინაარსისა და ფორმის მიხედვით. ამგვარი აქტივობა სხვა მეტყველების ნაწილების დასამუშავებლადაც გამოდგება.

როგორც ვხედავთ, I-IV კლასებში გრამატიკის ელემენტარული საკითხების შესწავლა უნდა წარიმართოს არა გრამატიკული წესებისა და ენობრივი კანონზომიერებების თეორიული დასწავლით, არამედ, კერძო დებულების საფუძველზე, პრაქტიკული აქტივობებით. ენობრივი საკითხები უნდა შევასწავლოთ არა მხოლოდ ტექსტის დამუშავებისას, არამედ სპეციალურად შედგენილი, მრავალფეროვანი პრაქტიკული სავარჯიშოების მეშვეობით.

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ეროვნული სასწავლო გეგმა, 2018-2024 წწ.
2. ვალერიან რამიშვილი 1983: ვალერიან რამიშვილი, ქართული ენის სწავლების მეთოდის საფუძვლები, თბილისი, 1983.
3. მალვინა შანიძე 2021: მალვინა შანიძე, წიგნიერების საფუძვლები (კითხვის, წაკითხულის გააზრებისა და წერთი აზროვნების განვითარების სტრატეგიები დაწყებით საფეხურზე), ქუთაისი, 2021.
4. მანანა მიქაძე, მალვინა შანიძე 2018: მანანა მიქაძე, მალვინა შანიძე, ქართული ენის სწავლების მეთოდის დაწყებით საფეხურზე, ქუთაისი, 2018.
5. ნათელა მაღლაკელიძე 2013: ნათელა მაღლაკელიძე, ქართული ენის სწავლების მეთოდის/დიდაქტიკა, თბილისი, 2013.

**Malvina Shanidze**  
**Faculty of Pedagogy of Akaki Tsereteli State University,**  
**Associate Professor**

**Studying elementary grammar issues while working on texts and through independent exercises in grades II-III of the primary level**

Abstract

In grades I-IV, the study of elementary issues of grammar should be conducted not by the theoretical study of grammatical rules and linguistic regularities but by practical activities based on a private provision. Language issues should be studied not only during text processing, but also based on the use of specially designed, diverse practical exercises.

Two (grades II and III) activities are analyzed in labor. For each of them, the work process is described, additional recommendations for specially designed exercises are given. At the same time, the assessment criteria were established and methodological guidelines were developed.

**Key words:** grammar, induction, nouns and adjectives, activity, method, exercise.

გიორგი ბრეგაძე  
განათლების დოქტორი, ანდრია რაზმაძის სახელობის ქუთაისის 41-ე  
საჯარო სკოლის მენტორი მასწავლებელი  
გიორგი ბერძულიშვილი  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,

## ტექსტური ამოცანების ამოხსნის სწავლების ზოგიერთი მეთოდოლოგიური თავისებურება დაწყებით კლასებში

**რეზიუმე:** განსხვავებით დაწყებითი კლასების მათემატიკის სახელმძღვანელოებში განხილული ტექსტური ამოცანებისა, რომელთა ამოხსნისას ყოველთვის მიიღება ცალსახად განსაზღვრულ პასუხი, ჩვენ უპირატესობას ვანიჭებთ მოსწავლეთა სააზროვნო პროცესის გასააქტიურებლად კლასში განხილული იქნეს ისეთი ტექსტური ამოცანები, რომლებსაც აქვთ არა ერთი, არამედ რამდენიმე ამონახსნი. ასეთი ამოცანების აღგებრული ხერხით ამოხსნისას მიიღება განტოლება ან განტოლებათა სისტემა, რომელშიც ცვლადების რაოდენობა არ ემთხვევა განტოლებების რაოდენობას. განხილულია ასეთი ამოცანების ამოხსნის მეთოდური თავისებურებები. ასეთი მიდგომები მოსწავლეებისაგან მოითხოვს ლოგიკური აზროვნების მაღალ დონეს და სააზროვნო უნარებს გაცილებით უკეთ ავითარებს, ვიდრე ჩვეულებრივი ტექსტური ამოცანები. გაკეთებულია შესაბამისი მეთოდური დასკვნები.

**საკვანძო სიტყვები:** ტექსტური ამოცანა, საძიებო ამოცანა, განტოლება, ამოცანის ამოხსნა, ლოგიკური აზროვნება.

ტექსტურ ამოცანებს უწოდებენ ისეთ მათემატიკურ ამოცანებს, რომელშიც ერთი მაინც რეალური ობიექტია (სიუჟეტური, პრაქტიკული, არითმეტიკული, აღგებრული, გეომეტრიული და ა.შ.). სახელი „ტექსტური ამოცანა“ უკავშირდება ასეთი ამოცანის პირობას-პირობა მოცემულია ტექსტის ან სიუჟეტის (აღწერილია რეალური ობიექტები, მოვლენები, ხდომილობები და სხვ.), ან რაოდენობრივი ურთიერთობების (სიდიდეთა მნიშვნელობებს შორის დამოკიდებულებები) სახით. ასეთი სახის ამოცანებისათვის ყველაზე გავრცელებული ტერმინია ტექსტური ამოცანები. [1]. ტექსტურ ამოცანაში იგულისხმება ისეთი გარკვეული სიტუაცია, პროცესი, რომელიც ბუნებრივ ან/და მათემატიკურ ენაზე აღწერილი, სადაც ამ სიტუაციის შესაბამისად მოცემულია ზოგიერთ კომპონენტებს შორის რაოდენობრივი მახასიათებლები და მის საფუძველზე საპოვნია სხვა სიდიდეები, ან მის სხვა კომპონენტებს შორის რაიმე დამოკიდებულებები, ან დასადგენია მათი სახეები, ჩასატარებელი მოქმედებების თანმიმდევრობა და ა.შ. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ტექსტური ამოცანა არის სიტუაციის, მოვლენის, პროცესის ვერბალური მოდელი, მისი სიტყვიერი აღწერა. როგორც ნებისმიერ მოდელში, ტექსტურ ამოცანაშიც არ ხდება მთელი მოვლენის ან პროცესის აღწერა, არამედ მოცემულია მხოლოდ მისი რაოდენობრივი და ფუნქციური მახასიათებლები. ტექსტური ამოცანების მთავარი მახასიათებელია ის, რომ მათში პირდაპირ არ არის მითითებული რომელი მოქმედება ან მოქმედებები უნდა შესრულდეს ამოცანის კითხვაზე პასუხის მისაღებად. თითოეული ტექსტური ამოცანიდან შეიძლება გამოვყოთ: ა) მოცემულობა, იგივე მონაცემები, სიდიდეთა

მნიშვნელობები, რომლებიც შესაძლოა რიცხვითიც იყოს (მონაცემი უნდა იყოს არანაკლებ ორი); ბ) არაცხადი ფორმით მოცემული რაიმე ფუნქციური დამოკიდებულებები, რომლებიც ერთმანეთთან აკავშირებს მოცემულობას სამეზბ სიდიდესთან/სიდიდეებთან ან ობიექტებთან (მონაცემებსა და სამიებელს შორის კავშირების სიტყვიერი აღწერა); გ) მოთხოვნა ან კითხვა, რომელსაც უნდა გაეცეს პასუხი. სიდიდეთა რიცხვითი მნიშვნელობები და მათ შორის არსებული დამოკიდებულებები, ე.ი. ამოცანის ობიექტებს შორის რაოდენობრივ და თვისობრივ მახასიათებლებს და მათ შორის კავშირებს ამოცანის პირობას (ან პირობებს) უწოდებენ. როგორც წესი, ტექსტურ ამოცანაში არა ერთი, არამედ რამდენიმე პირობაა, რომლებსაც ზოგჯერ ელემენტარულ პირობებსაც უწოდებენ. ტექსტური ამოცანის კითხვა შეიძლება ჩამოყალიბდეს როგორც კითხვითი, ისე თხრობითი ფორმით, ასევე შეიძლება ამოცანაში იყოს ერთზე მეტი კითხვაც. სიდიდეს, რომლის მნიშვნელობა საპოვნია, ეწოდება სამიებელი სიდიდე, ხოლო სამეზბი სიდიდის რიცხვით მნიშვნელობას-სამიებელი, ან უცნობი. ტექსტურ ამოცანაში ერთმანეთთან დაკავშირებულ პირობის მონაცემებს და სამიებელს/სამიებლებს შორის არსებული კავშირების სისტემას უწოდებენ ამოცანის მოდელს, რაც შემდგომში გვეხმარება ამოცანის სტრუქტურის დადგენაში. ხოლო ამოცანის სტრუქტურა ამომხსნელს ეხმარება ამოცანის ამოხსნის გზის მოძებნაში [1].

მეთოდურ ლიტერატურაში ამოცანის ამოხსნის პროცესის დაყოფის სხვადასხვა მიდგო-მებს იყენებენ. მეცნიერთა ნაწილი ამ პროცესს ყოფს 4 ეტაპად: 1. დასმული ამოცანის გაგება; 2. ამოცანის ამოხსნის გეგმის შედგენა; 3. შედგენილი გეგმის შესრულება; 4. მიღებული შედეგის შემოწმება. [5], [6], [7]. ზოგი კი ყოფს 3 ეტაპად: 1. ამოცანის ფორმალიზაცია; 2. პრაქტიკული რეალიზაცია; 3. ინტერპრეტაცია. [1], [2], [3].

დაწყებითი კლასების მათემატიკის სახელმძღვანელოებში განხილული ტექსტური ამოცანების ამოხსნისას ყოველთვის მიიღება ცალსახად განსაზღვრულ პასუხი. ასეთი ამოცანების განხილვა მართალია, ავითარებს გარკვეულწილად მოსწავლეთა სააზროვნო უნარებს, მაგრამ ანალიზური აზროვნების ჩამოყალიბებას ბევრს ვერაფერს მატებს. გაცილებით უკეთესია მოსწავლეთა სააზროვნო პროცესის გასააქტიურებლად ისეთი ტექსტური ამოცანების განხილვა, რომელსაც ექნება არა ერთი ამონახსნი, არამედ ამოცანის პირობას დაჭირდება ანალიზის ჩატარება და გაირკვევა, რომ ამოცანას აქვს კიდევ სხვა ამონახსნებიც. ასეთი მიდგომები მოსწავლეებისაგან მოითხოვს ლოგიკური აზროვნების მაღალ დონეს და სააზროვნო უნარებს გაცილებით უკეთ ავითარებს, ვიდრე ჩვეულებრივი ტექსტური ამოცანები, რომელთა ამოხსნის შემდეგ მოსწავლეთა უმრავლესობა პასუხის შემოწმებას არც კი ახდენს; რადგან დარწმუნებულია, რომ მიღებული ამონახსნი ამოცანის პირობას აკმაყოფილებს. აქვე გვინდა გავაკეთოთ ერთი არსებითი ხასიათის შენიშვნა, რომელიც უკავშირდება სამიებო და საოლიმპიადო ტექსტური ამოცანების ამოხსნის ხერხების შერჩევას. პრაქტიკით დასტურდება, რომ დაწყებითი კლასების მასწავლებელთა უმრავლესობა ტექსტური ამოცანების ამოხსნისას თითქმის არ იყენებს ამოცანების ამოხსნისას არითმეტიკულ ხერხებს, რომლებიც გაცილებით უკეთესად ავითარებენ დაწყებითი კლასის მოსწავლეების ანალიზური აზროვნების უნარებს, ვიდრე ალგებრული ხერხი. ჩვენი მეთოდური რეკომენდაციაა, რომ დაწყებით კლასებში აქტიურად იქნას გამოყენებული ტექსტური ამოცანების ამოხსნისას არითმეტიკული ხერხი, ვიდრე ალგებრული ხერხი. უმჯობესია, თუ ტექსტური ამოცანის არითმეტიკული ხერხით ამოხსნის შემდეგ იმავე ამოცანას ამოხსნით ალგებრული ხერხითაც, რაც ნათელ



წარმოდგენას მიცემს მოსწავლეებს, რომ არითმეტიკული ხერხით ამოხსნისას გაცილებით მეტი გონებახვილობის გამოჩენა იყო საჭირო, ვიდრე ალგებრული ხერხით ამოხსნისას. გარდა ამისა, არითმეტიკული ხერხით ამოხსნისას დროის ეკონომიაც გასათვალისწინებელია. ტექსტური ამოცანების ამოხსნისას არითმეტიკული ხერხის გამოყენების კიდევ ერთი უპირატესობა ალგებრულ ხერხთან არის ის, რომ ამ დროს მოსწავლეები გაცილებით უკეთ ანგარიშობენ ზეპირად. ასეთი მიდგომა მოსწავლეებში უფრო ავითარებს ზეპირი ანგარიშის ჩვევებს, ვიდრე სხვა შემთხვევებში.

**ამოცანა 1.** ორი მეკობრე ერთმანეთს ოქროს მონეტებზე ეთამაშებიან. თავიდან პირველმა წააგო თავისი მონეტების ნახევარი და მისცა მეორეს, შემდეგ მეორემ წააგო თავისი მონეტების ნახევარი და მისცა პირველს. შემდეგ ისევ პირველმა მეკობრემ წააგო თავისი მონეტების ნახევარი და მისცა მეორეს. ამის შემდეგ პირველ მეკობრეს 15 მონეტა ჰქონდა, ხოლო მეორე მეკობრეს – 33 მონეტა. რამდენი მონეტა ჰქონდა თითოეულ მეკობრეს თავდაპირველად?

**არითმეტიკული ხერხი.** I მეკობრეს დარჩა 15 მონეტა, II მეკობრეს დარჩა 33 მონეტა მესამე თამაშის წინ; I მეკობრეს ჰქონდა 30 მონეტა, II მეკობრეს ჰქონდა 18 მონეტა მეორე თამაშის წინ; I მეკობრეს ჰქონდა 12 მონეტა, II მეკობრეს ჰქონდა 36 მონეტა პირველი თამაშის წინ; I მეკობრეს ჰქონდა 24 მონეტა, II მეკობრესაც ჰქონდა 24 მონეტა.

**ალგებრული ხერხი.** ვთქვათ, თავიდან პირველ მეკობრეს ჰქონდა  $x$  ოქროს მონეტა, მაშინ მეორეს ექნებოდა  $(48-x)$  ოქროს მონეტა. რადგან პირველმა მეკობრემ წააგო თავისი მონეტების ნახევარი და მისცა მეორეს, ამიტომ პირველს დარჩებოდა  $\frac{x}{2}$  ოქროს მონეტა, ხოლო მეორეს გაუხდებოდა  $(48-\frac{x}{2})$  ოქროს მონეტა. მეორედ, მეორე მეკობრემ წააგო თავისი მონეტების ნახევარი და მისცა პირველს, მეორეს დარჩებოდა  $(24-\frac{x}{4})$  ოქროს მონეტა, პირველს გაუხდებოდა  $(\frac{x}{4}+24)$  ოქროს მონეტა. ამის შემდეგ პირველმა ისევ წააგო თავისი მონეტების ნახევარი, მას დარჩებოდა  $(12+\frac{x}{8})$  ოქროს მონეტა, ხოლო მეორეს გაუხდებოდა  $(36-\frac{x}{8})$  ოქროს მონეტა. ამოცანის პირობის თანახმად, პირველს დარჩა 15 ოქროს მონეტა, მეორეს-33. საკმარისია ამოვხსნათ ერთ-ერთი შემდეგი ორი განტოლებიდან

$$12 + \frac{x}{8} = 15 \quad \text{ან} \quad 36 - \frac{x}{8} = 33$$

საიდანაც, თუ ჩავატარებთ სათანადო გარდაქმნებს, გვექნება:

$$x = 24.$$

თამაშის დაწყებამდე ორივე მეკობრეს ჰქონდათ 24-24 მონეტა.

არითმეტიკული ხერხის გამოყენებისას კიდევ ერთი არსებითი ხასიათის უპირატესობაზეც შეიძლება ვისაუბროთ. კერძოდ, საკმაოდ რთული საძიებო და საოლიმპიადო ტექსტური ამოცანის ამოხსნის საშუალებას გვაძლევს მაშინაც კი, როცა მოსწავლეებმა ჯერ კიდევ არ იციან წილადი რაციონალური გამოყენებისას. რაც ნიშნავს, რომ იხარჯება შედარებით მცირე სასწავლო დრო და ნაკლები სასწავლო რესურსი.

მოუხედავად იმისა, რომ დაწყებით კლასებში საძიებო და საოლიმპიადო ტექსტური ამოცანების ამოხსნისას უპირატესობას ვანიჭებთ არითმეტიკულ ხერხს, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ასეთი ამოცანების ამოსახსნელად არ გამოვიყენოთ ალგებრული ხერხი. რა თქმა უნდა, გამოვიყენებთ, მაგრამ არა მარტო დაწყებით კლასებში, არამედ საბაზო და საშუალო საფეხურზეც. საძიებო და საოლიმპიადო ამოცანების ამოხსნის დროსაც კი, თუ არსებობს შესაძლებლობა ამოცანა ამოვხსნათ არითმეტიკული ხერხით, ამ შესაძლებლობას გამოვიყენებთ აუცილებლად.

მათემატიკის სასკოლო სახელმძღვანელოები ძირითადად შეიცავენ ისეთ ტექსტურ ამოცანებს, რომელთაც ამოიხსნებიან განტოლების ან განტოლებათა სისტემის გამოყენებით, სადაც ცვლადთა რაოდენობა ემთხვევა განტოლებათა რაოდენობას და მასში შემავალი ყველა უცნობის გამოთვლა ხდება ცალსახად. ჩვენი მიდგომით ასეთი ამოცანების განხილვისას სასწავლო პროცესში უნდა ჩავრთოთ ისეთი საძიებო და საოლიმპიადო ამოცანები, რომელთა ამოხსნისთვის საჭიროა ძიება და ამონახსნის პოვნა ემყარება რეალური, ცხოვრებისეული სიტუაციების გამოყენებას. ეს შეიძლება ეხებოდეს ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობას, მის ფიზიკურ პარამეტრებს და შესაძლებლობებს, დაკავშირებული იყოს რომელიმე ქვეყნის ფულის უმცირეს ერთეულთან და სხვ.

**ამოცანა 2. 9** ერთნაირი რვეული 11 ლარი და რამდენიმე თეთრი ღირს, ხოლო 13 ასეთივე რვეული – 15 ლარი და რამდენიმე თეთრი. რა ღირს ერთი რვეული?

**ამოხსნა.** ვთქვათ, ერთი რვეული  $x$  ლ ღირს. მაშინ ამოცანის პირობა გადავწეროთ ასე:  $11 < 9x < 12$ ,  $15 < 13x < 16$ . პირველი უტოლობიდან შეგვიძლია დავწეროთ:  $1,2222\ldots < x < 1,3333\ldots$ , მეორე უტოლობიდან კი,  $1,1538\ldots < x < 1,2307\ldots$ , რომ დავადგინოთ რვეულის ფასის ღირებულების შუალედი, ამისათვის უნდა განვიხილოთ პირველი უტოლობიდან დამოკიდებულება  $1,2222\ldots < x$ , ხოლო მეორე უტოლობიდან დამოკიდებულება:  $x < 1,2307\ldots$ . საიდანაც მივიღებთ:  $1,2222\ldots < x < 1,2307\ldots$ . რადგან ამოცანაში საუბარია ქართულ ფულზე, რომლის ერთეულია ლარი და 1 ლარი 100 თეთრია. 1 თეთრი კი ფულის უმცირესი ერთეულია. ამიტომ მიღებული უტოლობა პრაქტიკიდან გამომდინარე, შეიძლება გადავწეროთ ასე:  $1,22 < x < 1,24$ . ეს უტოლობა უნდა წავიკითხოთ ასე: ერთი რვეული ღირს არანაკლებ 1 ლ და 22 თ და არაუმეტეს 1 ლ და 24 თ. ერთადერთი შესაძლო ვარიანტია, რომ ერთი რვეული ღირს 1 ლარი და 23 თეთრი.

**პასუხი.** 1 ლარი და 23 თეთრი.

მოსწავლეები დაწყებით კლასებში ეჩვევიან ისეთ ტექსტურ ამოცანებს, რომელთა ამოხსნისას მიიღება ერთუცნობიანი განტოლება, ან განტოლებათა სისტემა, რომელშიც ცვლადთა რაოდენობა ემთხვევა განტოლებათა რაოდენობას და მიიღება ცალსახად განსაზღვრული პასუხი. ამის გამო მოსწავლეთა უმრავლესობისათვის ფსიქოლოგიურად ძნელი აღსაქმელი და გადასაჭრელია ისეთი ტექსტური ამოცანები, რომელთა ამოხსნის დროს მიღებული განტოლების, თუ განტოლებათა სისტემაში ცვლადთა რაოდენობა არ ემთხვევა განტოლებათა რაოდენობას. ჩვენ ვცდილობთ, რომ დაწყებითი კლასებიდანვე მივაჩვიოთ მოსწავლეები ისეთი საძიებო და საოლიმპიადო ამოცანების ამოხსნას, რომელთაც აქვთ არა ერთი, არამედ ორი და ზოგჯერ მეტი ამონახსნიც, ასევე ვიხილავთ ისეთ საძიებო და საოლიმპიადო ამოცანებსაც, რომლის ამოხსნისას ცვლადთა რაოდენობა არ ემთხვევა განტოლებათა რაოდენობას. ასეთი შემთხვევები ზოგჯერ მაშინ ხდება, როცა ტექსტური ამოცანების პირობის ყველა მონაცემის ჩაწერა შეუძლებელია განტოლების სახით. ასეთი ამოცანების ამოხსნის დროს ყოველთვის მიიღება განტოლება, ან

განტოლებათა სისტემა, რომელშიც ცვლადთა რაოდენობა მეტია განტოლებათა რაოდენობაზე. ამ ტიპის ტექსტური ამოცანების ამოხსნა შესაძლებელია დამატებითი პირობით, მაგალითად, ყველა ცვლადი დადებითია, ან ნატურალური რიცხვია. ზოგჯერ, ტექსტურ ამოცანებში ცვლადების არც თუ ისე წარმატებული შერჩევით მიიღება სისტემის  $k$  განტოლება  $n$  უცნობით ( $k < n$ ). ასეთი ტექსტური ამოცანები ახალი ცვლადების შემოღებით დაიყვანება ტექსტურ ამოცანებზე, რომლებშიც ცვლადთა რაოდენობა განტოლებათა რაოდენობის ტოლია. გვხვდება ისეთი ტექსტური ამოცანებიც, რომლებშიც ბოლომდე გამოყენებული ამოცანის პირობის ყველა მონაცემი და მიღებულია განტოლება ან განტოლებათა სისტემა, რომელშიც ცვლადთა რაოდენობა მეტია განტოლებათა რაოდენობაზე, ამასთან ახალი ცვლადების არანაირი გონებამახვილური შერჩევით არ დაიყვანება ისეთ სისტემაზე, რომლებშიც ცვლადთა რაოდენობა განტოლებათა რაოდენობის ტოლია. [1], [2]. ცხადია, ზოგჯერ ასეთი განტოლების ან სისტემის ამოხსნა, ე.ი. ყველა უცნობის პოვნა შეუძლებელია. ასეთ ტექსტურ ამოცანებში მოითხოვება არა ყველა, არამედ უცნობთა გარკვეული რაოდენობის გამოთვლა, კერძოდ, მოთხოვნილი სიდიდის პოვნა შესაძლებელია. განვიხილოთ ამ სახის რამდენიმე ამოცანა.

**ამოცანა 3.** წითელქუდა, ბებია და მგელი გუნდაობენ. პირველი გუნდა ბებიამ ისროლა. შემდეგ, პასუხად ყოველ მოხვედრილ გუნდაზე წითელქუდა ისროდა 6 გუნდას, მგელი-5 გუნდას, ხოლო ბებია-4 გუნდას. გარკვეული დროის შემდეგ გუნდაობა დამთავრდა. განსაზღვრეთ ვის რამდენი გუნდა მოხვდა, თუ მიზანს ასცდა 13 გუნდა.

**ამოხსნა.** თუ წითელქუდას, ბებიას და მგელს შესაბამისად მოხვდათ  $x$ ,  $y$  და  $z$  გუნდა, მაშინ რადგან 13 გუნდა მიზანს ასცდა, ამიტომ სულ ნასროლი იყო  $13+x+y+z$  გუნდა. მეორე მხრივ წითელქუდამ ისროლა  $6x$  გუნდა, მგელმა  $5y$  გუნდა და ბებიამ  $(4z+1)$  გუნდა (პირველ გუნდას-თან ერთად). მივიღებთ განტოლებას:

$$13+x+y+z=6x+5y+4z+1,$$

საიდანაც,

$$5x+4y+3z=12.$$

წინა ამოცანასთან შედარებით, აქ საქმე უფრო რთულადაა, მივიღეთ ერთი განტოლება, რომელიც სამ უცნობს შეიცავს. აქ უნდა გამოვიყენოთ დამატებითი პირობა, რომ ყველა ცვლადი ნატურალური რიცხვებია. რადგან  $x$ ,  $y$ ,  $z$  ნატურალური რიცხვებია, ამიტომ  $x$ -მა შეიძლება მიიღოს მნიშვნელობები 1 ან 2,  $y$ -მა 1 ან 2, ხოლო  $z$ -მა 1, 2, 3 ან 4. გადარჩევით დავრწმუნდებით, რომ განტოლებას აქვს ერთადერთი ამონახსნი

$$x=1, y=1 \text{ და } z=1.$$

**პასუხი.** თითოეულს მოხვდა 1 გუნდა.

გავაკეთოთ ერთი შენიშვნა. განტოლებაში  $5x+4y+3z=12$  კოეფიციენტების ჯამი ტოლია თავისუფალი წევრის, ამიტომ განტოლების ნატურალური ამონახსნები იქნება (1, 1, 1).

ზოგჯერ ტექსტური ამოცანების ამოხსნისას ყურადღებას ამახვილებენ საპოვნი სიდიდის პოვნაზე და სხვა მხარეების მიმართ ნაკლებ ყურადღებას იჩენენ, რასაც ხშირად შეცდომამდე მიყავს ამომხსნელი.

**ამოცანა 4.** სამ ყუთში 200 ვაშლი იყო. როდესაც პირველი ყუთიდან ამოიღეს მასში ჩაწყობილი ვაშლების  $\frac{1}{3}$ , მეორედან- $\frac{2}{5}$  და მესამედან- $\frac{13}{15}$ , სულ ამოღებული აღმოჩნდა 70

ვაშლი. რამ-დენ ვაშლს ამოიღებენ, თუ მეორე და მესამე ყუთებიდან შესაბამისად ამოიღეს ჩაწყობილი ვაშლების  $\frac{1}{10}$  და  $\frac{4}{5}$ .

**ამოხსნა.** ვთქვათ, პირველ, მეორე და მესამე ყუთებში ვაშლების რაოდენობა შესაბამისად იყო  $x, y, z$ . მაშინ ამოცანის პირობის ძალით გვაქვს:

$$\begin{cases} x + y + z = 200 \\ \frac{x}{3} + \frac{2y}{5} + \frac{13z}{15} = 70 \end{cases}$$

უნდა ვიპოვოთ  $\frac{y}{10} + \frac{4z}{5}$ . სისტემის მეორე განტოლების ორთავე მხარე გავამრავლოთ 3-

ზე და გავითვალისწინოთ პირველი განტოლება, გვექნება:  $\frac{y}{10} + \frac{4z}{5} = 5$ . ე.ი. მეორე და მესამე

ყუთები-დან ამოუღიათ 5 ვაშლი. აქ მათემატიკური თვალსაზრისით ყველაფერი წესრიგშია, საძებნი სიდიდე საკმაოდ მარტივად იქნა მიღებული. ჩავატაროთ ანალიზი. იგულისხმება, რომ ყუთებში ვაშლების რაოდენობა გამოსახება ნატურალური რიცხვებით, მაშინ რადგან მესამე ყუთიდან ამიღეს მასში ჩაწყობილი ვაშლების  $\frac{13}{15}$ ,

ამიტომ ამ ყუთში ვაშლების რაოდენობა უნდა იყოს  $15n$ ,  $1 \leq n \leq 13$ . ე.ი. მესამე ყუთში უნდა იყოს არანაკლებ 15 ვაშლისა. მეორედ მესამე ყუთიდან ამოიღეს მასში ჩაწყობილი ვაშლების  $\frac{4}{5}$  და მეორე ყუთში ჩაწყობილი ვაშლების  $\frac{1}{10}$ . ამიტომ მარტო მესამე ყუთიდან

ამოღებული ვაშლების რაოდენობა იქნება  $\frac{4}{5} \cdot 15n = 12n$ ,  $1 \leq n \leq 13$ .

ე.ი. არანაკლებ 12 (?). ამოცანის ამოხსნით კი ჩანდა, რომ მეორე და მესამე ყუთებიდან სულ ამოღებული იყო 5 ვაშლი, რაც, ცხადია, შეუძლებელია. განხილული მაგალითი ნათელ წარმოდგენას იძლევა, რომ მიღებული შედეგის შემოწმება აუცილებელია.

ტექსტური ამოცანის ამოხსნის დროს ზედმეტი განტოლება მიიღება იმ შემთხვევაში, როცა ამოცანა შეიცავს ზედმეტ პირობას, რომელიც დანარჩენ მონაცემებს არ ეწინააღმდეგება. ასეთი ტექსტური ამოცანების ამოხსნა შესაძლებელია, რადგან მიღებული სისტემა შეიცავს განტოლებებს, რომელთა ამოხსნით გამოითვლება ამოცანის პირობით მოთხოვნილი ყველა უცნობი, რომელიც ამავე დროს ზედმეტ განტოლებასაც აკმაყოფილებს. ასეთი ამოცანების განხილვა მეთოდური შინაარსით არაფერს არ იძლევა და მასზე არ შევჩერდებით.

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. გ. ბერძულიშვილი, გ. ბრეგაძე 2021: გ. ბერძულიშვილი, გ. ბრეგაძე, საშუალო სკოლაში არასტანდარტული მათემატიკური ამოცანების ამოხსნის ზოგიერთი მეთოდიკური ასპექტი. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნი-ვერსიტეტის გამომცემლობა. ქუთაისი. 2021.

2. ბერძულიშვილი და სხვ. 2019: გ.ბერძულიშვილი, გ.ბრეგაძე, გ.მარგველაშვილი-საოლიმპიადო მათემატიკური ამოცანების ამოხსნის სწავლების მეთოდიკა. აწსუ-ის გამომცემლობა. თბილისი, 2019.

3. ბერძულიშვილი 2018: გ.ბერძულიშვილი-სასკოლო და საოლიმპიადო მათემატიკური ამოცანების ამოხსნის მეთოდები. აწსუ-ის გამომცემლობა. ქუთაისი. 2018.

4. გ. ბერძულიშვილი, გ. ბრეგაძე 2016: ბერძულიშვილი, გ. ბრეგაძე, საოლიმპიადო მათემატიკური ამოცანები დაწყებით კლასებში. აწსუ-ის გამომცემლობა. თბილისი. 2016.

5. მორალიშვილი 1991: თ. მორალიშვილი, ამოცანათა ამოხსნის ძიების სწავლება საშუალო სკოლაში. „განათ-ლება“. თბილისი. 1991.

6. Пойа 1959: Пойа Д. Как решать задачу. Пер. с англ. В. Г. Звонаревой и Д. Н. Белла; Под ред. Ю. М.Гайдука.- М., Учпедгиз, 1959.

7. Столяр 1981: Столяр А. А. Методы обучения математике: Учебное пособие для пединститутов/А. А. Столяр. -Минск: Народная асвета, 1981.

**Giorgi Bregadze**  
**Doctor of Education, mentor teacher of Kutaisi Andria Razmadze Public School No 41**  
**Giorgi Berdzulishvili**  
**Professor of Akaki Tsereteli State University,**  
**Academician of the Georgian Academy of Education Sciences**

**Some methodological features of teaching to solve the word problems in  
the primary grades  
abstract**

Unlike the word problems addressed in the mathematics textbooks of primary grades, the solution of which always gives a uniquely defined answer, we prefer, with a view to intensifying the students' thought process, to discuss such word problems in the class that have more than one solution. When solving such problems algebraically, an equation or a system of equations is obtained, in which the number of variables does not match the number of equations. The article considers methodological features of solving such problems. Such approaches require students to have a high level of logical thinking and they develop thinking skills much better than conventional word problems. The appropriate methodical conclusions have been made.

# საგანთა სწავლების მეთოდოლოგია

ნოდარ ცაგარეიშვილი  
თორნიკე ხეცურიანი  
ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში: ისტორიის სწავლების გაძლიერება თანამედროვე ტექნოლოგიების მეშვეობით

**რეზიუმე:** ისტ-ის გამოყენება გაკვეთილზე ისტორიის სწავლების დროს არის საკმაოდ სასარგებლო, როგორც მასწავლებლის ფუნდამენტური მხარდაჭერი სასწავლო ამოცანის შემუშავების საკითხში. მასწავლებელს უნდა ესმოდეს, რომ ტექნოლოგია არის საშუალება და არა თვითმიზანი. ისტ-ით სარგებლობისას სხვადასხვა სასწავლო სტრატეგიების გამოყენება იძლევა სხვა ადამიანებთან ურთიერთობის საშუალებას. ახალგაზრდებში ხელს უწყობს წერის, კითხვის, ზეპირი გადმოცემის უნარებს, რაც ეხმარებათ მონაწილეობა მიიღონ ცოდნის აგებაში, კრიტიკული აზროვნების განვითარებაში, თვითსწავლებაში, თანამშრომლობით მუშაობაში, ცოდნის ძიებასა და გამომუშავებაში, შემოქმედებითობაში და სიახლეების ძიებაში. გარდა ამისა, საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება მასწავლებელს ეხმარება, გამოიმუშავოს ის მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევები, რომლებიც აუცილებელია თანამედროვე პროფესიონალური პედაგოგიური საქმიანობისათვის. ყოველდღიურად სულ უფრო მეტი მასწავლებელი იყენებს საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს საკლასო ოთახში ისტორიის სწავლებისას. ისტ-ის საკლასო ოთახში დანერგვის დადებითი გავლენა უმეტესად დამოკიდებულია სწავლების პრაქტიკის ხარისხზე, ციფრული კონტენტის დიზაინის ხარისხზე, რომლებიც მოიცავენ ინოვაციურ და შემოქმედებით დიდაქტიკურ შემოთავაზებებს.

**საკვანძო სიტყვები:** ციფრული ტექნოლოგიები. ისტორიის სწავლება. რესურსები. სწავლება. ისტ.

სოციალურ მეცნიერებათა დიდაქტიკის სფეროში, ისტორიის საგნის სწავლება ჩვეულებრივ დაკავშირებულია ქცევათმეცნიერებაზე (ბიჰევიორიზმი) დაფუძნებულ სწავლა-სწავლების პროცესთან. აღნიშნულის გათვალისწინებით, ჩვენი ნაშრომით ვეცდებით საგანმანათლებლო სიახლეებზე და ასევე თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული გამოცდილების გაზიარებას. ამ მხრივ, გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ისეთ თანამედროვე მეთოდოლოგიების გამოყენებაზე: როგორც არის ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (ისტ) და მათი დანერგვა საკლასო ოთახში, ისტორიის სწავლების პროცესში.

### ისტ-ის გამოყენება ისტორიის გაკვეთილებზე

ისტორიის გაკვეთილებზე მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლე აღიქვამდეს ისტორიულ დროს, ერკვეოდეს ქრონოლოგიაში, უნდა გააჩნდეს უნარი ამოიცნოს ისტორიულ

პროცესში განსხვავებული ხასიათის ცვლილებები და უწყვეტობა. ასევე უნდა გამოავლინოს სხვადასხვა მიზეზები და ფაქტორები, რომლებიც ახსნიან ამა თუ იმ მოვლენას.

ამ თვალსაზრისით ისტორიის მასწავლებელი ვალდებულია შეძლოს დაეხმაროს მოსწავლეს დროში, ადამიანური პროცესების აღქმისთვის საჭირო უნარ-ჩვევების შექმნაში. მოსწავლეებს უნდა მიუვდგეთ წარსულის შესწავლის აქტიურად აღსაქმელი პერსპექტივის კუთხით, რასაკვირველია, მოსწავლეებისთვის შესაბამისი კოგნიტური განვითარების დონის გათვალისწინებით. ეს მიდგომა ისტორიული დისციპლინის სწავლების დაწყებამდე კონსტრუქტივიზმთან, როგორც დიდაქტიკის ძირითად სასწავლო თეორიასთან, დაკავშირების საშუალებას იძლევა.

ისტ-ის ისტორიასთან დაკავშირება ხსნის სამოქმედო ასპარეზს, რომელიც ხელს უწყობს, რომ მოსწავლეები იყვნენ უფრო აქტიურები, შეიძინონ ურთიერთ თანამშრომლობითი ფორმით მუშაობის უნარები, გაუზიარონ ერთმანეთს აზრები, დავალებები, გამოიყენონ სხვადასხვა სახის დიდაქტიკური საშუალებები. ისტი არის ძალიან მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, რომლის საუკეთესოდ გამოყენების გზები უნდა განსაზღვროს ისტორიის სწავლების მეთოდოლოგიამ.

სკოლებში, სადაც ინფორმაციული საკომუნიკაციო ტექნოლოგიები ემსახურება ისტორიის სწავლებას, უმეტესწილად ისტორიული რუკები და ასევე ხელოვნების ნიმუშები არის ციფრულ ფორმატში, რაც აძლიერებს მასწავლებლის მიერ გაკვეთილის ახსნას Power point პრეზენტაციებით. იშვიათად ხდება მოსწავლის აქტიური მონაწილეობა მასალის შესწავლაში. Web 2.0-ის გამოჩენასთან ერთად ისტ-ის გამოყენების ფორმა მნიშვნელოვნად უნდა შეიცვალოს. აღნიშნული სისტემა თითქმის არანაირ ტექნიკურ ცოდნას არ საჭიროებს. ის ეფუძნება თანამშრომლობით გარემოს, სადაც მომხმარებლები ერთმანეთს უზიარებენ ინფორმაციასა და რესურსებს. ისტ-ის გამოყენება საგაკვეთილო პროცესში საშუალებას აძლევს მასწავლებელს ისტორიული მოვლენები თუ სხვა დოკუმენტები მოარგოს საკლასო გარემოს და კლასიდან გაუსვლელად მისცეს მოსწავლეებს რაიმე კონკრეტულ მოვლენაზე მრავალფეროვანი, ღრმა და ამომწურავი ინფორმაცია. ასევე შესაძლებელია, სხვადასხვა ისტორიული ვითარებების, ან არქეოლოგიური ნიმუშების წარმოსახვითი გაცოცხლება. ისტი გვეხმარება, მოვამზადოთ ვირტუალური ლაბორატორიული სივრცე, რომელიც მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის ხელმისაწვდომი იქნება ქსელში ჩართული კომპიუტერებით ან სხვა მსგავსი მოწყობილობებით. აქედან გამომდინარე, მასწავლებელს უნდა შეეძლოს და უნდა ერკვეოდეს, ინტერნეტში განთავსებული უამრავი მასალიდან გაარჩიოს სასარგებლო და მეორეხარისხოვანი მულტიმედიური მასალა. სწორედ ასეთ მასწავლებელს შეუძლია პროგრამის შეტყობინებების მეშვეობით ისაუბროს მოსწავლეებთან, მიიღოს და გააგზავნოს დავალებები ვირტუალური კამპუსის მეშვეობით, ასევე მიჩვეულია თავის მოსწავლეებთან ელექტრონული ფოსტის გამოყენებას.

საკლასო ოთახში ისტ-ის გამოყენების სხვადასხვა ხერხი არსებობს, რომელთა შორის შეიძლება აღინიშნოს: მულტიმედიური პრეზენტაციები, ციფრული ვიდეო რედაქტირება, ვირტუალური ტურები, ვიდეოები, ისტორიული რეპროდუქციები (ინფოგრაფიკა და 3D დიზაინი), ციფრული ფოტოგრაფია, ინტერნეტი როგორც საინფორმაციო რესურსი, ისტორიული სიმულაციური პროგრამები, სტრატეგიული თამაშები, გრაფიკული დიზაინი (რუკები, ესკიზები, ქრონოლოგიური ხაზები.), მასწავლებლის ბლოგები, მოსწავლეთა თუ კლასის ბლოგები, Web 2.0 ინსტრუმენტები... ამასთან არ უნდა დაგვავიწყდეს

მოსწავლის მიერ ინფორმაციის კრიტიკულად აღქმის უნარის განვითარება. ხშირ შემთხვევაში აუცილებელია ამ სამუშაოში მოსწავლის მხარდაჭერა, მაგალითად კითხვარების საშუალებით, ასევე აუცილებელია ამ უნარის დამოუკიდებლად განვითარება.

### ისტ-ის უპირატესობები

სასწავლო პროცესში ისტ-ის სწორი გამოყენება ქმნის ცოდნის მრავალფეროვან სპექტრს, დიდ შესაძლებლობებსა და უპირატესობებს. ისტ-ის სასწავლო პროცესში გამოყენების უპირატესობებია:

- ხელს უწყობს აქტიურ სწავლას, რადგან ის მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას, იყოს სწავლის რეალური მოქმედი პირი და რეალურად ჩაერთოს ახალი ცოდნის შეძენის პროცესში.
- აქტიურდება მოტივაციური ფაქტორი, რომელიც წარმოიშობა მოსწავლის მიერ ისტ-ის გამოყენებისას სასწავლო პროცესში. უფრო მეტად დინამიური სწავლება იწვევს მეტ ინტერესს, ცნობისმოყვარეობას მოსწავლეებში.
- შედეგიანობის თვალსაზრისით მიიღწევა გაუმჯობესება, რამდენადაც ახალი ტექნოლოგიების სწორმა გამოყენებამ შესაძლოა გაუადვილოს როგორც მოსწავლეებს, ასევე მასწავლებლებს თავიანთი საქმიანობა. ახალი ხელსაწყოები, რესურსები, რომლის მეშვეობითაც ვიქნებით უფრო შედეგიანები, დავზოგავთ ყოველდღიური ამოცანებისა და პრობლემების გადაჭრისათვის საჭირო დროს და შეგვეძლება მისი სხვა აქტივობებისათვის გამოყენება.
- ისტ-ს შეუძლია დაარღვიოს სახელმძღვანელოს, როგორც საგანმანათლებლო რესურსის, შეზღუდულობა. შეიტანოს ცვლილებები სასწავლო პროცესში, როგორებიც არის ტაბლეტების ან ციფრული წიგნების გამოყენება. ეს მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს ჰქონდეთ წვდომა არა მარტო ტრადიციული ნაბეჭდი წიგნის მიერ შემოთავაზებულ შინაარსზე, არამედ უფრო მრავალფეროვან და საინტერესო რესურსებზე. თუმცა ინფორმაციული ტექნოლოგია არ უნდა ვაქციოთ ახალ ტექსტურ წიგნად. პირიქით, მასწავლებელი მასში უნდა ხედავდეს იმ ცოდნის აუდიოვიზუალურ დამხმარე საშუალებას, რომელსაც თვითონ გადასცემს და მთლიანად მასზე არ უნდა იყოს დამოკიდებული.
- აუცილებელია ხაზი გაესვას მოსწავლეებისათვის ისტ-ის მნიშვნელობას ციფრული წიგნიერებისაკენ მიმავალ გზაზე. ისტ-ის ჩართვა სასწავლო პროცესში შესაძლებელია გახდეს მოსწავლეებს შორის არსებული შესაძლო სოციალურ-ეკონომიკური განსხვავების შემსუბუქების მიზეზი და ჩაატაროს ანალოგურ-ციფრული ხარვეზების არსებობის პირობებში საკომპენსაციო სამუშაოები, მათთვის ვისთვისაც ჯერ კიდევ უცნობია ტექნოლოგიები საგანმანათლებლო სფეროში (სოციალურ ქსელის მიღმა).
- ისტი ხელს უწყობს ადაპტირებას. ცხადი გახდა, რომ ჩვენი საზოგადოება მუდმივად განიცდის ცვალებადობას, თანამედროვე სინამდვილე მოითხოვს ადაპტინებს, რომლებიც მზად იქნებიან მასთან დაპირისპირებისათვის. უნდა ითქვას, რომ მიუხედავად იმისა, მოგვწონს თუ არა ტექნოლოგია, ჩვენ უნდა გვქონდეს უნარი მისი მართვისა.
- საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებას შეუძლია ხელი შეუწყოს როგორც მოსწავლეებს, ასევე მასწავლებლებს უცხო ენების შესწავლაში, შეცვალოს სკოლაში



ბილინგვიზმი ისეთი აუდიოვიზუალური რესურსებითა და საშუალებებით როგორებიც არის: ფილმები, აუდიო მასალები, სუბტიტრები, გემიფიკაცია..., რომლებიც უცხო ენების შესწავლას აქცევენ სახალისო საგანმანათლებლო გამოცდილებად, ისეთი პროგრამის არჩევით, როგორიც არის - **CLIL (Content and Language Intergrated Learning)**.

- ისტ-ის საკლასო ოთახში დანერგვამ შესაძლოა ხელი შეუწყოს განათლების გამჭირვალობას, რამდენადაც მათი და მათთან დაკავშირებული აპლიკაციების მეშვეობით როგორც მშობლებს, ასევე მოსწავლეებს ექნებათ უფრო მოხერხებული ინფორმაციული წვდომა საგანმანათლებლო დაწესებულებაზე, მის საქმიანობაზე, უფლება მოვალეობებზე.
- ისტ-ს აქვს უნარი ადაპტირდეს სსსმ მოსწავლეებთან. ის ჩვენ გვაძლევს საშუალებას, წავიდეთ უფრო შორს სსსმ მოსწავლეებთან მუშაობაში, განსაკუთრებით იმ მოსწავლეებთან მიმართებაში, რომლებიც საჭიროებენ სასწავლო გარემოს აკომოდაციას. მაგალითად, სმენადაქვეითებული მოსწავლეები ვიდეოპროექციის ან სუბტიტრებიანი ვებრუნებული საკლასო ოთახის (flipped classroom) მეშვეობით შეძლებენ იმავე რესურსებით სწავლას, როგორებიცაა მათი ამხანაგები.
- საჭიროა ხაზი გაესვას იმ მნიშვნელოვან დადებით შედეგს, რაც ისტ-ის სასწავლო პროცესში დანერგვას ახლავს თან. ის ამარტივებს ბრძოლას სასკოლო ბუღინგის წინააღმდეგ, რამდენადაც მას არ გააჩნია საზღვრები და დამოკიდებულია მის შემოქმედებითობაზე. მაგალითისთვის შეიძლება ვახსენოთ ფინეთის შემთხვევა, სადაც ტურკუს უნივერსიტეტის მიერ განათლების სამინისტროს მხარდაჭერით შეიქმნა ისტ-ზე დაფუძნებული პროექტი - KiVa (Kiusaamista Vastiaan – ბუღინგის წინააღმდეგ), ბუღინგისთვის წერტილის დასასმელად. იგი დაფუძნებულია სამ ძირითად პრინციპზე: პრევენცია, ინტერვენცია, მონიტორინგი. შემუშავებულია სხვადასხვა თამაშებსა და აქტივობებზე დაყრდნობით, ამაღლებს მოსწავლეების ცნობიერებას. პროექტი გახდა ისეთი პოპულარული, რომ ის ექსპორტზე გავიდა სხვადასხვა ქვეყნებში - დიდ ბრიტანეთში, ესპანეთში, იტალიაში, ნიდერლანდებში.

#### **ისტ - ის არასწორად გამოყენების შედეგად გამოწვეული შესაძლო ნაკლოვანებები**

აუცილებელია ვიცოდეთ ყველაზე გავრცელებული უარყოფითი შედეგები, რომლებიც დაკავშირებულია მოსწავლეებში ისტ-ის არასწორად გამოყენებასთან.:

არასწორი გამოყენებით გამოწვეული პირველი ნაკლი, რომელსაც შესაძლოა გადავწყდეთ, არის მარტოობა და მის მომხმარებლებს შორის გაუცხოება. გადაჭარბებულმა ტექნოლოგიამ და მისმა თანამდევმა იზოლაციამ შესაძლოა, ხელი შეუშალოს კარგ ურთიერთკავშირს, ჯანსაღ ურთიერთობას თავად მოსწავლეებს შორის ან მათ ოჯახებთან; შესაძლოა, გახდეს ფსიქოლოგიური პრობლემების მიზეზი, როგორებიც არის თვითშეფასების ნაკლებობა, დეპრესიული ქცევები, სოციალური უნარების ნაკლებობა თანატოლებთან პირისპირ ურთიერთობის შეუძლებლობის გამო. ამიტომ საჭიროა ვიცოდეთ, როგორ დავაწესოთ შეზღუდვები ჩვენ მიერ ტექნოლოგიების მოხმარებაზე, უპირატესობა მივანიჭოთ ადამიანურ ემოციებს, პირისპირ ურთიერთობებს. ინფორმაციულ ტექნოლოგიებს უნდა მივუდგეთ როგორც ურთიერთობებში დამხმარე და არა მის დამაბრკოლებელ ან გამყალბებელ საშუალებას.

ამ ფაქტს გარკვეულწილად განაპირობებს მოსალოდნელი საფრთხის უგულებელყოფა როგორც მოსწავლეების, ასევე მასწავლებლების მხრიდან. მოსწავლეებს არ გააჩნიათ საკმარისი გამოცდილება ქსელიდან მომავალი შესაძლო საფრთხეების ასარი-დებლად. ამიტომ მასწავლებლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა, შეამოწმოს ინ-ტერნეტ წყაროები, გაფილტროს მისი შიგთავსი და აარიდოს მოსწავლეებს ტექნოლო-გიების ბოროტად გამოყენების შედეგად მოსალოდნელი შესაძლო პრობლემები. ასევე მშობლების მნიშვნელოვანი ამოცანაც არის, გააქტიურონ ინტერნეტიდან მომავალი შესაძლო საფრთხეების ფილტრი ბავშვების დასაცავად.

კიდევ ერთი ნაკლოვანება არის ის, რომ მასწავლებლები მიჰყვებიან სასწავლო გეგმას, ბავშვებს აძლევენ ბევრ დავალებას, როგორც სწავლების ფორმით, ასევე ციფრული მეთოდებითაც, რის გამოც მოსწავლეებს არ აქვთ დრო მეგობრებთან განტვირთვისთვის, ისინი გადართულები არიან აკადემიური მოსწრების ამალლებისკენ. აქედან გამომდინარე ბავშვის სოციალურ-ემოციური განვითარება უგულებელყოფილია.

ისტ-ის არასწორი გამოყენების შედეგად მოსალოდნელი შესაძლო უარყოფითი შედეგების შერბილება ისწავლება შესაბამის ტრენინგებზე. საჭიროა მათი თანდათანობით ჩართვა კლასებში იმ კონტენტის გათვალისწინებით, რომელშიც აპირებს მუშაობას მასწავლებელი.

#### **ისტ-ის განსაკუთრებული უპირატესობები - ისტორიის საგნის სწავლების საკითხში**

გვჯერა, რომ ისტ-ის დანერგვა ისტორიის საგნის სწავლებაში წარმოქმნის განსაკუთრებული უპირატესობების მთელ რიგს, რომლებიც შეგვიძლია გამოვიყენოთ. მათ შორის უპირველესად უნდა ვახსენოთ, რომ მას შეუძლია გააადვილოს და ხელმისაწვდომი გახადოს სივრცულობა. ვიდეოებით, ვირტუალური ვიზიტებით, მოსწავლეებს შეუძლიათ დააკვირდნენ შესასწავლი შინაარსის რეალობას, თავისი მასშტაბებით, კონტექსტით, ის უკვე აღარ იქნება სახელმძღვანელოთი შემოსაზღვრული პატარა გამოსახულება, არამედ იმოქმედებენ, როგორც ნამდვილი სასწავლო შემავსებელი. მოსწავლეებისა და სასწავლო დაწესებულების განკარგულებაში არსებული სხვადასხვა რესურსების მეშვეობით შეიძლება ეწვიონ ისტორიულ ადგილებს, ძეგლებს, მუზეუმებს. ამ თვალსაზრისით ვირტუალური მოგზაურობა, იქნება ის Google Street View, 360° ვიდეო ფორმატში, თუ კატალოგში, საშუალებას იძლევა დინამიურად დაუახლოვოს სასწავლო შინაარსი მოსწავლეებს, გააფართოვოს შემეცნებითი თვალსაწიერი და გაამარტივოს ეს პრობლემა, თუ კი შესაძლებელი იქნება საველე მოგზაურობის განხორციელება. ანალოგიურად, ისტორიის სწავლებაში ისტ-ის ჩართვა ავითარებს მოსწავლეების შემოქმედებითობისა და ანალიზის უნარს.

**საინტერესო საგანმანათლებლო რესურსების ტიპები, რომლებსაც შეუძლიათ შექმნან მნიშვნელოვანი და აქტიური სწავლის შესაძლებლობები ბლოგები და ვებ რესურსები.** თუკი ყურადღებას გავამახვილებთ ისტორიის სწავლებაზე, შეგვიძლია მოვიძიოთ უამრავი რესურსი მაღალი ხარისხით ქსელში - ბლოგის ფორმატში, რომლებიც თავის საგანმანათლებლო მეთოდოლოგიაში აერთიანებენ ინფორმაციულ საგანმანათლებლო ტექნოლოგიებს. ისინი მოქმედებენ, როგორც სასწავლო კონტენტის საცავი სხვადასხვა ფორმატში. (ტექსტი, ვიდეო, აუდიო...)

**გემიფიკაცია და ვიდეო თამაშები** იძლევა კარგ შესაძლებლობას მიმზიდველად და საინტერესოდ მივუდგეთ ისტორიული წარსულის შემეცნებას. თამაშების სასწავლო პროცესში ჩართვამ ისეთი აპლიკაციების საშუალებით, როგორებიც არის- Kahoot! და

Simbaloo - მოსწავლეებისთვის შექმნა სწავლების სახალისო გზით წარმართვის შესაძლებლობა. მოსწავლეები არ ეწინააღმდეგებიან სწავლა-სწავლების პროცესს.

**მუზეუმების მიერ შექმნილი რესურსები.** მუზეუმების მიერ შექმნილი, ციფრული საგანმანათლებლო საშუალებები უდავოდ მნიშვნელოვანია, რადგან შორს არიან ინფორმაციის მხოლოდ წიგნით გადმოცემისგან. ისინი ცოდნას აზიარებენ მრავალფეროვანი ვიდეოების, ფოტოების, პრეზენტაციების მეშვეობით.

**ვირტუალური რეალობა, გაფართოებული რეალობა, რუკები და 3D მოდელები.** ვირტუალურმა და გაფართოებულმა რეალობამ ასევე მიაღწია საკლასო ოთახებს. ახალი მიმზიდველი საგანმანათლებლო გამოცდილების დანერგვა ხელს უწყობს სასწავლო შინაარსის საინტერესოდ ათვისებას, რადგან მოსწავლე იქცევა ნამდვილ მთავარ მოქმედ გამირად, ხელს უწყობს მას მიუახლოვდეს ისტორიას შუამავლის გარეშე.

**ვიდეოების და ფილმების საცავი.** ცნობილ ვიდეო რესურსებზე, როგორებიც არის YouTube, Vimeo - ისტორიის სწავლებისთვის საჭირო მასალების საკმაოდ დიდი არჩევანია. საჭიროა მათი გონივრულად გამოყენება.

**ციფრული ბიბლიოთეკები და სახელმძღვანელოები.** ასევე ამ რესურსებს, შეუძლიათ მოსწავლეებისათვის და მასწავლებლებისათვის დიდი დახმარების გაწევა, დავალებების მომზადება-შესრულებაში.

#### **გამოყენებული რესურსები:**

1. mastsavlebeli.ge - თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების როლი სწავლა-სწავლების პროცესში - ქეთევან ტაბატაძე
2. riull.ull.es Utilización de las TIC para la Enseñanza de la Historia y la Historia del Arte
3. researchgate.net
4. La enseñanza de la Historia a través de las tecnologías, la creatividad y el trabajo
5. colaborativo
6. scribd.com
7. El uso de las TICs para resignificar la enseñanza de la historia en las aulas.
8. Area, M. (2017).
9. La metamorfosis digital del material didáctico tras el paréntesis Gutenberg. RELATEC: Revista Latinoamericana de Tecnología Educativa, 16 (2), 13-28. Recuperado de <https://relatec.unex.es/article/view/3083> [Último acceso en 18/05/2019]
10. Marqués, P. (2012).
11. Impacto de las TIC en la educación: funciones y limitaciones. 3C TIC, 2 (1), 4. Recuperado de <https://www.3ciencias.com/wpcontent/uploads/2013/01/impacto-de-las-tic.pdf> [último acceso en 18/05/2019]
12. De la Torre Díaz., director de educahistoria.com, en la ponencia que presentó en el congreso internacional "Taula d'Història" organizado por el grupo de investigación DHIGECS y celebrado en la Universitat de Barcelona ( 20 de mayo de 2013)

**In the age of digital technologies:  
Enhancing historical learning through modern technology**

**Abstract**

The use of ICT in teaching history in the classroom is quite useful as a fundamental support for the teacher in the development of the learning task. The teacher should understand that technology is a means and not an end in itself. When using ICT, the use of different learning strategies allows interaction with other people. Fosters writing, reading, and oral communication skills in young people that help them participate in knowledge construction, critical thinking, self-learning, collaborative work, knowledge seeking and production, creativity, and innovation. In addition, the use of communication technologies helps the teacher to develop the important skills necessary for modern professional pedagogical activities. Every day, more and more teachers are using communication technologies to teach history in the classroom. The positive impact of implementing ICT in the classroom depends mostly on the quality of teaching practices, the quality of digital content design, which include innovative and creative didactic suggestions.

**Keywords:** digital technologies. Teaching history. resources. teaching. Ist.

## ვაჟა-ფშაველას „შვლის ნუკრის ნაამბობის“ სწავლებისათვის

**რეზიუმე:** ქართული ლიტერატურის ყველა პერიოდის ნაწარმოებს უხვად ასაზრდოებს ჰუმანისტური იდეები. ქართველ კლასიკოს მწერალთა შემოქმედების შესწავლა მოსწავლეებს გააცნობს მრავალ ისტორიულ ფაქტს, მოვლენას, გმირთა სახეებს, რომლებიც ჰუმანიზმის აღზრდის უშრეტი წყაროა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია დიდი ქართველი მწერლის ვაჟა-ფშაველას შემოქმედება, რომელიც ჰუმანიზმის სულისკვეთებით აღზრდის საშუალებას იძლევა. V კლასში შეისწავლება ვაჟა-ფშაველას მოთხრობა „შვლის ნუკრის ნაამბობი“. მწერალს ისე ოსტატურად აქვს გადმოცემული პატარა ნუკრის დედის დაკარგვით გამოწვეული წუხილი, რომ მკითხველი თანაგრძნობით იმსჯელება ობლად დარჩენილი არსებისადმი. ნუკრთან ერთად ისიც წუხს მომხდარი ამბის გამო და ღრმად იხედება არაადამიანური მოქმედების არსში. ავტორი თითქმის მთელ ნაწარმოებში კაცთმოძულებით გამოწვეულ ბოროტებაზე მოგვითხრობს, მაგრამ მასში ნათლად მოჩანს სიკეთის მნიშვნელობა და აუცილებლობა.

**საკვანძო სიტყვები:** ჰუმანიზმი, აღზრდა, მოსწავლე, შვლის ნუკრი, ტყე, დაობლებული ნუკრი, სწავლების პროცესი.

სიტყვა „ჰუმანიზმი“ წარმომდგარია ლათინური სიტყვიდან „ჰუმანუს“, რაც ქართულად ადამიანურს ნიშნავს. ამ სიტყვის მნიშვნელობაში ერთმანეთთან არის შერწყმული ადამიანისადმი დახმარება, თანაგრძნობა, ყურადღება, მზრუნველი დამოკიდებულება, ხელის შეწყობა, ადამიანის პატივისცემა და დაფასება.

ჰუმანიზმი XIV-XVI საუკუნეების პროგრესული მსოფლმხედველობრივი მიმდინარეობაა, რომელიც ფეოდალიზმის ნგრევის პერიოდში წარმოიშვა და ქადაგებდა ადამიანის თავისუფლებას, პიროვნებაზე ფეოდალიზმისა და კეთილდღეობის ბატონობის მოსპობას, ადამიანისადმი პატივისცემის დამკვიდრებას.

მომავალი თაობის ჰუმანიზმის სულისკვეთებით აღზრდა ნიშნავს იმას, რომ მათში აღვზარდოთ და მტკიცედ დავნერგოთ ადამიანისადმი პატივისცემა, თანაგრძნობა, მისი სიყვარული და დაფასება, გამოვუმუშაოთ გულისხმიერი, მზრუნველი დამოკიდებულება პიროვნებისადმი. ყველა ამ კეთილშობილური თვისების გამომუშავებას, ჩამოყალიბებასა და განვითარებას სკოლის მერხიდან ეყრება საფუძველი. ამიტომ მოსწავლეთა ჰუმანიზმის სულისკვეთებით აღზრდაში სკოლას გადამწყვეტი როლი ენიჭება. მართლაც, ბავშვს, მოზარდს უნდა უყვარდეს და აფასებდეს ადამიანს, პატივს სცემდეს მას, ეხმარებოდეს გაჭირების ჟამს, იყოს ერთგული, გულისხმიერი, მზრუნველი. იმის მიხედვით თუ რა პიროვნულ თვისებებს ავლენს საზოგადოებაში ადამიანი, იქმნება წარმოდგენა მისი ღირსების შესახებ და ფასდება იგი. თუ პიროვნება კაცთმოყვარეა, ის არასდროს არ უნდა იყოს პირადი ინტერესებით შემოფარგლული, ვიწრო ეგოისტურ ჩარჩოში მოქცეული. ჭეშმარიტად ჰუმანური ადამიანი სხვისი ჭირისა და ლხინის მოზიარე უნდა იყოს, სხვის გასაჭირს საკუთარივით განიცდიდეს, მზად უნდა იყოს დახმარებისათვის.

ქართული მწერლობის ნებისმიერი პერიოდი მდიდარია ჰუმანიზმის იდეებით. ჯერ კიდევ XII საუკუნეში ჩვენი სახელოვანი წინაპარი, დიდი ჰუმანისტი შოთა რუსთაველი შთაგვაგონებდა: „ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად, გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად“ (3, 138).

დიდი ქართველი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი კი ბედნიერად თვლიდა ისეთ, ადამიანს, რომელიც „თავის გარეშე ჰვენს ზნეობრივს მადლსა და სითბოსა. ამისთანა ადამიანები შთაგონებენ მოციქულებს და შეადგენენ მარილს ქვეყნისასა“ (1, 202).

ჰუმანისტ პედაგოგს ადამიანის ჭეშმარიტი სიყვარული, მისდამი დახმარება და თანაგრძნობა დიდ ძალად მიაჩნდა. ამიტომ იგი თავის ერთ-ერთ სტატიასში წერდა: „კაცთმოყვარეობა შორსა შლის თავის ფრთებს, უწევს კიდით-კიდემდინ და შვება-ლხენის იმედს უბადებს გულში ყველა ერსა – შევიწროებულსა, დაბრიყვებულსა და დამონავებულს (2, 284).

ქართველ კლასიკოს მწერალთა შემოქმედების შესწავლა მოსწავლეებს გააცნობს მრავალ ისტორიულ ფაქტს, მოვლენას, გმირთა სახეებს, რომლებიც ჰუმანიზმის გრძნობის აღზრდის უშრეტი წყაროა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია დიდი ქართველი მწერლის ვაჟა-ფშაველას შემოქმედება, რომელიც ჰუმანიზმის სულისკვეთებით აღზრდის საშუალებას იძლევა.

V კლასში შეისწავლება ვაჟა-ფშაველას მოთხრობა „შვლის ნუკრის ნაამბობი“. მოთხრობის შინაარსი მოკლედ ასეთია: პაწაწა შვლის ნუკრი ნაადრევად დაობლდა. გზააბნეული შიშით, კანკალით დადის დედის სიკვდილის შემდეგ ტყეში. სანამ დედა ცოცხალი ჰყავდა, მის კალთას ამოფარებული თავს კარგად გრძნობდა, არაფრისა არ ეშინოდა. დედა ასწავლიდა ვინ იყო მისი მტერი და მოკეთე. ბოროტი ადამიანის ხელმა მისი მზრუნველი დედა სიცოცხლეს გამოასალმა და უპატრონოდ დარჩენილი, სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი დატოვა მარტო.

„შვლის ნუკრის ნაამბობი“ ბრწყინვალე ნაწარმოებია, რომელსაც დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. მაღალი მხატვრული დონე და შინაარსის დიდაქტიკური სიღრმე ამ მოთხრობას ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობაში ერთ-ერთ მოწინავე ადგილს ანიჭებს. ამ პატარა მოთხრობით ვაჟა შთამბეჭდავად, ნათლად გვიჩვენებს კეთილი ნების, უმწეო, სუსტი არსების საშინელ ხვედრს, გვაგრძნობინებს მის ტრაგიკულ ბედს. ნაწარმოების ამგვარი შინაარსი შესაძლებლობას გვაძლევს მისი სწავლებისას წინა პლანზე გადმოვიტანოთ კეთილი, სუსტი არსებისადმი თანაგრძნობის თემა. ეს გრძნობა ჰუმანიზმის ერთ-ერთი უპირველესი გამოვლენაა.

ვაჟა-ფშაველას ისე ოსტატურად აქვს გადმოცემული პატარა ნუკრის დედის დაკარგვით გამოწვეული წუხილი, რომ მკითხველი თანაგრძნობით იმსჭვალეობა ობლად დარჩენილი არსებისადმი. ნუკრთან ერთად ისიც წუხს მომხდარი ამბის გამო და ღრმად იხედება არაადამიანური მოქმედების არსში. ავტორი თითქმის მთელ ნაწარმოებში კაცთმოძულეობით გამოწვეულ ბოროტებაზე მოგვითხრობს, მაგრამ მასში ნათლად მოჩანს სიკეთის მნიშვნელობა და აუცილებლობა.

წლების მანძილზე ქ.თბილისის ერთ-ერთ სკოლაში ვმუშაობდი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. ზემოთ აღნიშნული მოთხრობის სწავლებისას ზოგიერთ მომენტზე ყურადღების გამახვილებით შევეცადე ამეხსნა მოსწავლეებისათვის, როგორი მოქმედებაა კაცთმოყვარული, როგორი უნდა იყოს კეთილშობილი პიროვნება და რის გაკეთებაა დაუშვებელი ადამიანის მიერ. მოთხრობის შესწავლისას თავიდანვე დავავალე

მოსწავლეებს, ყურადღება გაემახვილებინათ ნუკრის განცდებზე, მის გულისტკივილზე, ჩივილზე. თითოეული თავის ახსნა (სულ ხუთი თავისაგან შედგება მოთხრობა) წარმართე თანმიმდევრულად, სათანადო განმარტებების საფუძველზე. კიდევ ერთხელ შევახსენე მოსწავლეებს, რომ პაწაწა ნუკრივით სუსტი, უძლური არსება კი არ უნდა დაჯაბნონ, არამედ – დაეხმარონ მათ. ტექსტზე მუშაობის დაწყებისთანავე დავავალე მათ, ამოეწერათ მოთხრობიდან ის ადგილები, სადაც პატარა, დაობლებული ნუკრის წუხილი და განცდებია გადმოცემული. მოსწავლეებმა დავალება რვეულებში თითოეული თავის მიხედვით შეასრულეს.

1. „... საბრალო დედაჩემი! სანამ დედა მყავდა ცოცხალი, სულ ალერსში ვყავდი...“ (5, 329).

2. „უპატრონოდ რომ ვარ, სულ მეშინია, ვკანკალებ, მუდამდღე სიკვდილს ველი, გზაარეული დავეხეტები... ღმერთო, რამდენი მტერი გვყავს“ (5, 329).

3. „გენაცვალე, ტყეო! შენ ბევრს მშველი, თორემ აქამდე ჩემი ქათიბის ბეწვიც არ იქნებოდა. გული მეუბნება, რომ მტრის მსხვერპლი გავხდები. ჯერ მე გამოუცდელი ვარ, მხოლოდ ერთი კვირა ვიყავი დედასთან, ის მასწავლიდა ვინ იყო ჩემი მტერი და ვინ მოკეთე. ეხლა ვინლა მასწავლის, სულ შამში ვწვები, ვიმალები, მუმლისა და კოლოებისაგან მოსვენება აღარა მაქვს, დედასთან კარგად ვცხოვრობდი, თავისუფლად ვსუნთქავდი“ (5,330).

4. „ოჰ, რამდენი მტერი გვყავს! ოჰ, ადამიანო... რატომ არ გებრალეები მე, პატარა? რატომ არ მაძლევ თავისუფლებას, რომ გულდასვენებულმა თავისუფლად ვიარო, ვთელო ლამაზი მწვანე ბალახი, გადავდგე სერზე და დავსტკბე სადამოს ნიავის სიოთი (5,330).

5. „ვერ გავცილებივარ ტყეს. თუ გავედი ველად, უნდა ტყის პირს არ მოვცილდე, მაშინაც ნახევარი სიცოცხლე მაკლდება! სულ აქეთ–იქით უნდა ვიყურო, ვეფარო ხეებს, კლდეებს, ბალახებსა და კანკალით ვჭამო საჭმელი, შიშისგან ზეზეულად უნდა დავდნე!.. რას გიშავებ, ადამიანო, მითხარი, რას? რა დაგიშავა საბრალო დედაჩემმა, რა შეგისვა, რა შეგიჭამა, რომ მოჰკალი და უპატრონოდ დამაგდე, დამაობლე?! ოჰ,ადამიანებო! თქვენს ხერხსა და ღონეზე ხართ დაიმედებულნი და ჩვენი ჯავრი არა გაქვთ... არა გრძნობთ, რომ ჩვენც გვიყვარს სიცოცხლე, ბუნება: ფოთლის შრიალი, წყლის ჩქრიალი, რომელსაც სულგანაბული ეგრე ხშირად ყურს ვუგდებ ხოლმე, ბალახის ბიბინი და ტყის ცხოველებთან ერთად ნავარდობა... შენ კი, ოჰ. ადამიანო!.. თვალბდასისხლიანებული, დაფაციცებული დამეძებ მე და ჩემ ფერს სუსტსა და უპატრონოს ათასს სხვას. იარადი გაქვს, მოგვეპარები მუხთლად, გვკრავ ტყვიას და გამოგვასალმებ წუთისოფელს (5, 330-331).

6. როგორ არ უნდა მეშინოდეს... ჯერ სულ ერთი კვირაა, რაც მე წუთისოფელს ვხედავ, და რამდენი შიში და ვაება გამოვიარე! გუშინწინ წვიმიანი დღე იყო. სიცოცხლითა და სიმშვენიერით აღსავსე დედაჩემი წიფლის გვერდზე იდგა და გემრიელად იცოხნებოდა... მეც გვერდით ვედექი, მიხაროდა დედასთან დგომა, მტერი და სიკვდილი არც კი მაგონდებოდა დედის იმედით (5, 331).

7. „ოჰ, რამდენი გამოცდილება მაკლია ჯერ კიდევ მე, საცოდავსა...“ (5, 332).

8. „უცებ, როგორც ცის ჭექამ, იგრიალა თოფმა. მისმა ხმამ დაიარა მთები და კლდეები. ხის ფოთლებმა და მცენარეებმა კანკალი დაიწყეს, ბოლი გაერთხა ნამიან ბალახზე, დედაჩემმა ერთი კი ამოიკვნესა და წაიქცა. ვაიმე! მე იქვე გავისხიპე. დედაჩემი მიგორავდა, ვხედავდი, თავქვე და სისხლიან კვალს სტოვებდა ბალახზე. არყების უკან გამობტა ახალგაზრდა ბიჭი, ლეგა ჩოხის კალთები აეკვალთა. „გაუმარჯოსო“ დაიძახა და

სასწრაფო წკრიალით გამოეკიდა დედაჩემს უკან. საწყალი დედაჩემი ცდილობდა ადგომას, წამოიწევდა ხოლმე, მაგრამ ისევ ჩაიხვეოდა მუხლებში, დაეცემოდა და გაგორდებოდა. მე მოვკვდი, ტანში დავიშალე, როდესაც შეჩვენებულმა მონადირემ ამოიძრო პრიალა ხანჯალი და გამოუსვა დედას ყელში. სისხლმა იფეთქა და გადაერწყია ხეებზე. ვაჰმე! სულ ცხადად ვხედავდი, მაგრამ რით ვუშველიდი მე საცოდავი?! აგერ ძუძუებზე, იმ ძუძუებზე, რომლებსაც მე ვწოვდი, დაუსო ხანჯალი და გამომუშხა; შეიძლო კისერზე და გასწია. მე დავიწყე ტირილი. გული შემიწუხდა. მას აქეთ ცოცხალ-მკვდარი ვარ; ვტირი და ეს არის ჩემი ნუგეში; დავდივარ და შევტირი ხეებს, მთასა და კლდეებს, დავტირი წყალსა და ბალახს, მაგრამ ჩემთვის დედა არ ჩნდება, დედაჩემს ვეღარა ვხედავ, ვარ ობოლი და, ვინ იცის, ვინ დამეპატრონება, ვინ შეიღებავს ჩემის სისხლით ხელებს (5, 336).

მოთხრობის ტექსტის შესწავლით მიღებული ცოდნის სისტემაში მოყვანა, განმტკიცება-შეჯამება, ბოლო ეტაპზე მოვახდინეთ კითხვა-პასუხის გზით, სადაც გამომჟღავნდა აღმზრდელობითი სწავლების თვალსაზრისით ჩვენ მიერ გაწეული მუშაობაც.

ეს კითხვები შემდეგი იყო:

1. რას უჩივის ადამიანს ნუკრი?
2. დაობლებული ნუკრი ვის უხდის მადლობას და რატომ?
3. ვინ იყო ნუკრის დაობლების მიზეზი?
4. რას განიცდის ნუკრი დედის სიკვდილის შემდეგ?
5. როგორ გადმოგვცა პაწაწა ნუკრმა დედის სიკვდილი?
6. რას ფიქრობს უდედოდ დარჩენილი ნუკრი?

მოსწავლეთა პასუხების მიხედვით დავასკვნენ: მათ სწორად ჰქონდათ შეგნებული ის, რომ ადამიანი არ უნდა იყოს ბოროტი, მან არ უნდა ჩაიდინოს ძალმომრეობა და მკვლელობა.

ბოლოს ასეთი კითხვით მივმართე მოსწავლეებს: „რომელიმე თქვენგანს მოგიკლავთ თუ არა ფრინველი ან ცხოველი?“

კლასში სიჩუმე გამეფდა. პირველად ისინი ხმის ამოდებას ვერ ბედავდნენ. ბოლოს ერთი სუსტი აღნაგობის ყმაწვილი, რომლისგანაც ასეთ პასუხს არავინ მოელოდა, ადგა და მორიდებით თქვა: – მასწავლებელო, ზაფხულის არდადეგებზე სოფელში ვიყავი ბებიასთან. ჩემს ტოლებთან ერთად ეზოში ვთამაშობდი. ამ დროს დავინახე, კიბის საფეხურზე დაყრილ პურის ნამცეცებს ჩიტი კენკავდა. მე და ჩემმა ამხანაგებმა შურდულით ქვა ვესროლეთ. ქვა მიზანს მოხვდა. ჩიტმა ერთი შეიფრთხიალა და სული განუტევა. ჩიტის მოკვლის გამო ბებია მისაყვედურა. გუშინ არად ჩავაგდე მისი ნათქვამი. ახლა კი, დაობლებული ნუკრის თავგადასავალს რომ ვსწავლობთ, მის მწარე მოთქმას ვუგდებდი ყურს, ჩემგან მოკლული ჩიტი გამახსენდა. ვფიქრობ, იქნებ მეც ჩემი მოქმედებით პატარა ჩიტს დედა მოვუკალი ან შვილის სიკვდილით დედას ვატკინე გული... მივხვდი, რომ ადამიანმა ასეთი მოქმედება არ უნდა ჩაიდინოს.

მან კლასის წინაშე განაცხადა, რომ ასეთ საქციელს არ გაიმეორებდა.

მოსწავლე გ.ჩ.-მა თქვა: – იანვრის არდადეგების დროს, მე და ჩემი და დედამ ბაკურიანში წაგვიყვანა. არემარე თოვლით იყო დაფარული, ყინავდა. მოზუზული, მშვიერი ბელურები აივანზე და ფანჯრის თაროებზე მოფრინდნენ და გულსაკლავად წიოდნენ. მე და ჩემი და პურის ნამცეცებს ვუყრიდით მათ და ვხარობდით იმით, რომ მათთვის კარგ საქმეს ვაკეთებდით. ჩვენს მეზობელ სახლში კი ჩემს თანატოლებს კაკანათი ჰქონდათ



ეზოში მოწყობილი, ბელურებს ხოცავდნენ და ამაყოფდნენ: ამდენი და ამდენი მოვკალიო. დიდები დამშვიდებით შესქცეროდნენ კაკანათით მონადირე ბავშვების ჟრიამულს. ჩვენს ეზოშიც შეიძლებოდა კაკანათის დადგმა, მაგრამ ეს არც გვიფიქრია.

კიდევ ორმა მოსწავლემ დაასახელა ახლა უკვე შინაური ცხოველებისადმი უდიერი დამოკიდებულების ფაქტები, მათ თქვეს, რომ შვლის ნუკრის ჩივილმა ისინიც დააფიქრა და ამის შემდეგ არასოდეს ცხოველებსა და ფრინველებს მტრულად აღარ მოექცეოდნენ.

პასუხებმა დამარწმუნა, რომ მოსწავლეებმა კარგად გაიგეს ბოროტებისა და სიკეთის არსი, რომ ბოროტებას მოაქვს მწუხარება, ობლობა, უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნა, და, პირიქით, სიკეთე ბედნიერების, სილალის, მხნეობის წყაროა. ადამიანის მოქმედება ყოველთვის მიმართული უნდა იყოს სიკეთის კეთებისაკენ.

„შვლის ნუკრის ნაამბობის“ სწავლების პროცესში ჩატარებული აღმზრდელობითი მუშაობის შედეგად შეიძლება შემდეგი დასკვნების გაკეთება:

1. ამ მოთხრობის სწავლების დროს არ უნდა დავკმაყოფილდეთ მხოლოდ საგანმანათლებლო ამოცანებით, რადგან ნაწარმოების შინაარსი მდიდარ მასალას გვაძლევს მომავალი თაობის ზნეობრივი ჩამოყალიბებისა და, განსაკუთრებით, ჰუმანიზმის სულისკვეთებით მათი აღზრდისათვის. მიზანმიმართული მუშაობის შედეგები ნათლად გამოვლინდა მოსწავლეთა მიერ გაცემული პასუხების შინაარსში.
2. ნათელი გახდა, რომ მოსწავლეებს შეგნებულად, გაცნობიერებულად შეეთვისებინათ არა მარტო მოთხრობის შინაარსი, არამედ მისი ზნეობრივი ღირებულებაც. მოსწავლეთა მსჯელობა ადასტურებდა, რომ მათ შეგნებულად გაუგიათ, რა არის მისაღები და ღირებული ჰუმანურობის თვალსაზრისით და რა – მიუღებელი, დასაგმობი. მიღწეულ იქნა დასახული მიზანი – სწავლების შინაარსის მჭიდროდ დაკავშირება ჰუმანიზმის აღზრდის პროცესთან.
3. ნუკრის მწუხარებამ, მისმა გოდებამ მოსწავლეებში გამოიწვია მისდამი თანაგრძნობა, ძალმომრეობისა და ბოროტებისადმი სიძულვილი, სიკეთის ქმნის სურვილი.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. გოგებაშვილი 1954: გოგებაშვილი იაკობ, თხზ., ტ.2, თბილისი.
2. გოგებაშვილი 1954: გოგებაშვილი იაკობ, თხზ., ტ. 3, თბილისი.
3. რუსთაველი 1966: რუსთაველი შოთა, თბილისი.
4. სამსონოვა 1972: სამსონოვა ტატიანა, ჰუმანიზმი და პიროვნების სულიერი სიმდიდრე. ჰუმანური ურთიერთობის ჩამოყალიბება მოსწავლეებში, ჟურნალი „სკოლა და ცხოვრება“, N6, თბილისი.
5. ჩვენი საუნჯე, 1961: ვაჟა-ფშაველა, რჩეული, N12.

### **For Teaching Vazha-Pshavela's "The Young Deer's Narrated"**

#### **Abstract**

The works of all the periods of Georgian literature are abundantly full of humanistic ideas. Studying the works of Georgian classical writers will introduce students to many historical facts, the events, the faces of the heroes, which are an inexhaustible source of humanism education. In this regard, the work of the great Georgian writer Vazha-Pshavela is important, which allows for education in the spirit of humanism. Vazha-Pshavela's story "The Young Deer's Narrated" is taught in the 5<sup>th</sup> grade. The writer has so skilfully conveyed the anxiety caused by the loss of the Young Deer's mother that the reader feels sympathy for the orphaned. Together with the Young Deer, he is also saddened by the incident and looks deeply into the essence of the inhuman act. In almost the entire work, the author tells us about the evil caused by hatred of man, but the importance and necessity of goodness is clearly seen in it.

**Key words:** humanism, upbringing, pupil, young deer, wood, orphan young deer, teaching process.

## ფუნქციური განტოლებების ამოხსნის ერთი მეთოდის შესახებ

**რეზიუმე:** საძიებო, არასტანდარტული და საოლიმპიადო ამოცანების ამოხსნის არასტანდარტული მეთოდები, ზრდის მოსწავლეთა გონებრივ აქტივობას, რაც მათ შემდგომში დაეხმარება კონკრეტული მათემატიკური ამოცანის ან/და ცხოვრებისეული პრობლემების გადაჭრაში. ამ თვალსაზრისით ეფექტურად მიგვაჩნია საშუალო სკოლის მათემატიკის სასწავლო კურსში ფუნქციური განტოლებების ჩართვა და მათი ამოხსნის მეთოდების სწავლება. ფუნქციური განტოლებების უმარტივეს მაგალითებს მოსწავლეები ეცნობიან ფუნქციის ლუწობის, კენტობის, პერიოდულობის განსაზღვრებების შემოღებისას. ფუნქციური განტოლების ამოხსნა ნიშნავს ვიპოვოთ მისი ყველა ამონახსნი, ან დავადგინოთ, რომ ფუნქციურ განტოლებას ამონახსნი არა აქვს. სტატიაში განხილულია ფუნქციური განტოლებების ამოხსნა ჩასმის მეთოდით. გაკეთებულია შესაბამისი მეთოდური დასკვნები.

**საკვანძო სიტყვები:** ფუნქციური განტოლებები, საოლიმპიადო ამოცანა, ჩასმის მეთოდი, ამოცანის ამოხსნა, სასკოლო კურსი.

მოსწავლეების მიერ ამოცანების ამოხსნა მათემატიკური ცოდნის და უნარ-ჩვევების ფორმირების ყველაზე მნიშვნელოვანი საშუალებაა, რომელიც მათემატიკის შესწავლის წამყვანი ფორმა და მოსწავლეების მიერ მათემატიკური ცოდნის მიღების ერთ-ერთი მთავარი საშუალებაა. საშუალო სკოლაში ამოცანების ამოხსნის სწავლების ძირითადი მიზანია მოსწავლეების შემოქმედებითი და მათემატიკური აზროვნების განვითარება. ამ მიზნის მიღწევა შეუძლებელია მხოლოდ სასკოლო სახელმძღვანელოებში მოცემული ალგორითმულად ამოხსნადი სტანდარტული ამოცანების ამოხსნით. ჩვენი მეთოდური მიდგომით აუცილებელია სასწავლო პროცესში ისეთი არასტანდარტული ამოცანების ჩართვა, რომელთა მიზანია მოსწავლეებმა მიიღონ საფუძვლიანი მათემატიკური განათლება და ჩამოუყალიბდეთ მათემატიკის შესწავლისადმი ინტერესი. ამისთვის საჭიროა სპეციალურად შერჩეული ამოცანათა სისტემები, რომლებიც მოსწავლეებს ჩამოუყალიბებს სასწავლო პროცესში წინააღმდეგობის დაძლევის და დამოუკიდებლად მუშაობის უნარებს, შეასწავლის ამოცანების ამოხსნის ახალ, არასტანდარტულ მეთოდებს, გაზრდის მოსწავლეთა გონებრივ აქტივობას. ეს მათ შემდგომში დაეხმარება კონკრეტული მათემატიკური ამოცანის ან/და ცხოვრებისეული პრობლემების გადაჭრაში. ამ თვალსაზრისით ეფექტურია საშუალო სკოლის მათემატიკის სასწავლო კურსში ფუნქციური განტოლებების ჩართვა და მათი ამოხსნის მეთოდების სწავლება. ფუნქციური განტოლებების უმარტივეს მაგალითებს მოსწავლეები ეცნობიან ფუნქციის ლუწობის, კენტობის, პერიოდულობის განსაზღვრებების შემოღებისას.

ფუნქციური განტოლების ამოხსნა ნიშნავს ვიპოვოთ მისი ყველა ამონახსნი, ან დავადგინოთ, რომ ფუნქციურ განტოლებას ამონახსნი არა აქვს.

განვიხილოთ ფუნქციური განტოლებების ამოხსნა ჩასმის მეთოდით. ამ მეთოდის არსი მდგომარეობს იმაში, რომ  $x$ -ის ნაცვლად მოცემულ ფუნქციურ განტოლებაში ვსვამთ სხვადასხვა მნიშვნელობებს, მიღებულ ფუნქციურ განტოლებებს განვიხილავთ მოცემულ

ფუნქციურ განტოლებასთან ერთად და გამორიცხვის მეთოდით ვღებულობთ საძიებელი ფუნქციის ალგებრულ ჩანაწერს.

**ამოცანა 1.** იპოვეთ  $f$  ფუნქცია, რომელიც აკმაყოფილებს ფუნქციურ განტოლებას

$$f\left(\frac{x+1}{x-2}\right) + 2f\left(\frac{x-2}{x+1}\right) = x.$$

ვთქვით,  $\frac{x-2}{x+1} = z$ . საიდანაც,  $x = \frac{z+2}{1-z}$  ( $z \neq 0$ ,  $z \neq 1$ ).

ჩავსვით მოცემულ განტოლებაში, მივიღებთ:

$$f\left(\frac{1}{z}\right) + 2f(z) = \frac{z+2}{1-z}.$$

მიღებულ განტოლებაში  $z$  შევცვალოთ  $\frac{1}{z}$ -ით. მივიღებთ:

$$f(z) + 2f\left(\frac{1}{z}\right) = \frac{\frac{1}{z}+2}{1-\frac{1}{z}}.$$

თუ გარდავქმნით განტოლების მარჯვენა ნაწილს, მივიღებთ:

$$f(z) + 2f\left(\frac{1}{z}\right) = \frac{1+2z}{z-1}.$$

ამრიგად, მივიღეთ ორი განტოლება:

$$f(z) + 2f\left(\frac{1}{z}\right) = \frac{1+2z}{z-1}.$$

$$f\left(\frac{1}{z}\right) + 2f(z) = \frac{z+2}{1-z}.$$

საიდანაც ვიპოვოთ  $f(z)$ , რისთვისაც გამოვრიცხოთ  $f\left(\frac{1}{z}\right)$ . მივიღებთ:

$$f(z) = \frac{4z+5}{3-3z}.$$

მაშინ,

$$f(x) = \frac{4x+5}{3-3x}.$$

**ამოცანა 2.** იპოვეთ  $f$  ფუნქცია, რომელიც აკმაყოფილებს ფუნქციურ განტოლებას

$$(x-1)f(x) + f\left(\frac{1}{x}\right) = \frac{1}{x}, \quad (x \neq 0).$$

მოცემულ ფუნქციურ განტოლებაში  $x$  შევცვალოთ  $\frac{1}{x}$ -ით. მივიღებთ:

$$\left(\frac{1}{x}-1\right)f\left(\frac{1}{x}\right) + f(x) = x. \quad (1)$$

საიდანაც,

$$f\left(\frac{1}{x}\right) = \frac{1}{x} - xf(x) + f(x).$$

ეს მნიშვნელობა ჩავსვათ (1) განტოლებაში, ჩავატაროთ სათანადო გარდაქმნები. მივიღებთ:

$$f(x) = \frac{x^3 + x - 1}{x^3 - x^2 + x}.$$

**ამოცანა 3.** იპოვეთ  $f$  ფუნქცია, რომელიც აკმაყოფილებს ფუნქციურ განტოლებას

$$f(x) + x \cdot f(1-x) = 1 + x.$$

ფუნქციურ განტოლებაში  $x$  შევცვალოთ  $(1-x)$ -ით. მივიღებთ:

$$f(1-x) + (1-x)f(x) = 2-x.$$

მოცემული და მიღებული ფუნქციური განტოლებებიდან გამოვრიცხოთ  $f(1-x)$ . რისთვისაც მიღებული განტოლების ორთავე მხარე გავამრავლოთ  $x$ -ზე და გამოვაკლოთ მოცემულ განტოლებას. მარტივი გარდაქმნებით მივიღებთ, რომ

$$f(x) = 1.$$

**ამოცანა 4.** იპოვეთ  $f$  ფუნქცია, რომელიც აკმაყოფილებს ფუნქციურ განტოლებას

$$2f(3-x) + 3f(x-1) = 2x-1.$$

ვთქვათ,  $x = 3-t$ , მაშინ განტოლება მიიღებს სახეს:

$$2f(t) + 3f(2-t) = 5-2t.$$

ვთქვათ,  $x = t+1$ , მაშინ განტოლება მიიღებს სახეს:

$$2f(2-t) + 3f(t) = 2t+1.$$

მიღებული ბოლო ორი განტოლებიდან გამოვრიცხოთ  $f(2-t)$ . მივიღებთ:

$$f(t) = 2t - \frac{7}{5}.$$

საძიებელი ფუნქციაა

$$f(x) = 2x - \frac{7}{5}.$$

**ამოცანა 5.** იპოვეთ  $f$  ფუნქცია, რომელიც აკმაყოფილებს ფუნქციურ განტოლებას

$$f(x) + 2f\left(\frac{1}{x}\right) = \frac{3-x^2}{x}, \quad (x \neq 0).$$

მოცემულ ფუნქციურ განტოლებაში  $x$  შევცვალოთ  $\frac{1}{x}$ -ით. მივიღებთ:

$$f\left(\frac{1}{x}\right) + 2f(x) = \frac{3x^2-1}{x}.$$

მოცემული და მიღებული ფუნქციური განტოლებებიდან  $f\left(\frac{1}{x}\right)$ -ის გამოვრიცხვის შემდეგ მივიღებთ:

$$f(x) = \frac{7x^2-5}{x}.$$

**ამოცანა 6.** ამოხსენით ფუნქციური განტოლება

$$f(x) + f\left(\frac{1}{1-x}\right) = x, \quad (x \neq 0, x \neq 1).$$

ვთქვათ,  $y = \frac{1}{1-x}$ . ტოლობიდან  $x$  გამოვსახოთ  $y$ -ით.

$$1-x = \frac{1}{y} \Rightarrow x = \frac{y-1}{y}.$$

ფუნქციური განტოლება მიიღებს სახეს:

$$f\left(\frac{y-1}{y}\right) + f(y) = \frac{y-1}{y}.$$

ამ განტოლებაში  $y$ -ს შევცვალოთ  $x$ -ით, მივიღებთ:

$$f\left(\frac{x-1}{x}\right) + f(x) = \frac{x-1}{x}.$$

ბოლო ტოლობაში ჩავთვალოთ, რომ  $x = \frac{t-1}{t}$ , სადაც  $t$ -ახალი ცვლადია.  $t$ -თი გამოვსახოთ წილადი  $\frac{x-1}{x}$ . გვაქვს:

$$\frac{x-1}{x} = \frac{1}{1-t}.$$

ამის შემდეგ ბოლო ფუნქციური განტოლება მიიღებს სახეს:

$$f\left(\frac{1}{1-t}\right) + f\left(\frac{t-1}{t}\right) = \frac{t}{1-t}.$$

ანუ,

$$f\left(\frac{1}{1-x}\right) + f\left(\frac{x-1}{x}\right) = \frac{x}{1-x}.$$

მივიღეთ სამუცნობიანი სამი განტოლებისგან შემდგარი სისტემა:

$$\begin{cases} f(x) + f\left(\frac{1}{1-x}\right) = x, \\ f\left(\frac{x-1}{x}\right) + f(x) = \frac{x-1}{x}, \\ f\left(\frac{1}{1-x}\right) + f\left(\frac{x-1}{x}\right) = \frac{x}{1-x}. \end{cases}$$

აქ ცვლადებია  $f(x)$ ,  $f\left(\frac{1}{1-x}\right)$  და  $f\left(\frac{x-1}{x}\right)$ .

$f(x)$ -ის საპოვნელად შევკრიბოთ მიღებული სისტემის პირველი და მეორე განტოლებები და გავითვალისწინოთ მესამე განტოლება. გვაქვს:

$$f(x) = \frac{1}{2}x + \frac{x-1}{2x} + \frac{1}{2(1-x)}.$$

ანუ,

$$f(x) = \frac{x^3 - x + 1}{2x(x-1)}.$$

**ამოცანა 7.** ამოხსენით ფუნქციური განტოლება

$$f(x+y) - f(x-y) = 2f(y)\cos x.$$

სადაც  $x$  და  $y$  ნებისმიერი ნამდვილი რიცხვებია.

მოცემულ ფუნქციურ განტოლებაში რიგ-რიგობით ჩავსვათ:

$$x = 0, y = t; \quad x = \frac{\pi}{2}, y = \frac{\pi}{2} + t; \quad x = \frac{\pi}{2} + t, y = \frac{\pi}{2}.$$

სადაც  $t$ -ახალი ცვლადია.

მივიღებთ განტოლებათა სისტემას:

$$\begin{cases} f(t) - f(-t) = 2f(t), \\ f(t + \pi) - f(-t) = 0, \\ f(t + \pi) - f(t) = 2a \sin t. \end{cases}$$

სადაც  $a = f\left(\frac{\pi}{2}\right)$ .

სისტემის პირველი განტოლებიდან გვაქვს:

$$f(t) = -f(-t).$$

თუ მიღებული სისტემის მეორე განტოლებას გამოვაკლებთ მესამე განტოლებას, გვექნება:

$$f(t) - f(-t) = 2a \sin t.$$

საიდანაც,

$$f(t) = a \sin t.$$

უნდა მოვახდინოთ შემოწმება  $f(x) = a \sin x$  ფუნქციის ჩასმით მოცემულ ფუნქციურ განტოლებაში. გვაქვს:

$$a \sin(x + y) - a \sin(x - y) = 2a \sin y \cos x.$$

ეს ტოლობა ნებისმიერი  $a$ -თვის იგივეობაა. გარდა ამისა  $f(x) = a \sin x$  ფუნქციისათვის სრულდება პირობა  $a = f\left(\frac{\pi}{2}\right)$ .

საბოლოოდ დავასკვნით, რომ საძებნი ფუნქციაა  $f(x) = a \sin x$ , სადაც  $a$ -ნებისმიერი მუდმივია.

**ამოცანა 8.** იპოვეთ ნატურალურ რიცხვთა სიმრავლეზე განსაზღვრული  $f$  ფუნქცია, ისეთი რომ  $f(1) = 2$  და ნებისმიერი  $k$  და  $n$  ნატურალური რიცხვებისთვის სამართლიანია ფუნქციური ტოლობა:

$$f(k + n) = f(k) \cdot f(n).$$

მოცემულ ფუნქციურ განტოლებაში  $k$  და  $n$  ნატურალური რიცხვები შევცვალოთ  $x_1$  და  $x_2$ -ით:

$$f(x_1 + x_2) = f(x_1) \cdot f(x_2).$$

სადაც  $x_1$  და  $x_2$  ნებისმიერი ნატურალური რიცხვებია.

მათემატიკური ინდუქციის გამოყენებით მარტივად შეიძლება დავამტკიცოთ (დაამტკიცეთ დამოუკიდებლად), რომ სამართლიანია ტოლობა:

$$f(x_1 + x_2 + \dots + x_n) = f(x_1) \cdot f(x_2) \cdot \dots \cdot f(x_n),$$

სადაც  $n$ -ნებისმიერი 1-ზე მეტი ნატურალური რიცხვია, ხოლო  $x_1, x_2, \dots, x_n$  ნებისმიერი ნატურალური რიცხვებია.

ვთქვათ,  $x_1 = x_2 = \dots = x_n = 1$ , მაშინ

$$f(n) = (f(1))^n = 2^n.$$

$f(n) = 2^n$  ფუნქციის ჩასმით მოცემულ ფუნქციურ განტოლებაში მიიღება სწორი ტოლობა:

$$2^{k+n} = 2^k \cdot 2^n.$$

ამიტომ,  $f(n) = 2^n, (n \in N)$  ფუნქცია არის მოცემული ფუნქციური განტოლების ამონახსნი.

ფუნქციური განტოლებების საშუალებით მეცნიერები ახდენენ მრავალი სამეცნიერო პრობლემის ჩაწერას, მათი ამოხსნით ხდება ჭეშმარიტებასთან მიახლოება და მისი შემეცნება. სამწუხაროდ, მათემატიკის სასკოლო კურსში ფუნქციური განტოლებების შესასწავლად დრო არ გამოიძებნა. მაგრამ, ფუნქციური განტოლებებზე წარმოდგენების შექმნა შეიძლება მოცემული მასალის საგაკვეთილო პროცესში განხილვით, რაც გამოიწვევს სასწავლო დროის გარკვეული ნაწილის დახარჯვას. მაგრამ იმდენად თვალნათლივ შედეგებზე გაყავს მოსწავლეები ასეთი სახის ამოცანების განხილვას, რომ ამ შემთხვევაში მეთოდური თვალსაზრისით მიზანშეწონილია ამაზეც წავიდეთ. უმაღლეს სკოლაში ხანგრძლივი მუშაობის გამოცდილება და მათემატიკის სწავლების მეთოდის კურსებში სასწავლო მასალის ანალიზი საშუალებას გვაძლევს, გავაკეთოთ დასკვნა, რომ მათემატიკის მასწავლებელთა მომზადებაში ფუნქციური განტოლებების სწავლებასთან დაკავშირებული კონკრეტული საკითხები არ განიხილება, ამის გამო მასწავლებლები მოკლებული არიან ასეთი განტოლებების ამოხსნის სწავლების საკითხების მეთოდურ მიდგომებს, ხოლო ქართულ სინამდვილეში არასტანდარტული ფუნქციური განტოლებების ამოხსნის მეთოდების შესახებ მეთოდური ლიტერატურა არ არსებობს. ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ ამ საკითხების შესწავლა შემდგომშიც გავაგრძელოთ და შემოგთავაზებთ აკადემიის მოამბის შემდეგ ნომრებში. დაინტერესებულ მკითხველს ამ თემაზე მასალები შეუძლია იხილოს [1] მონოგრაფიაში.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. გ.ბერძულიშვილი, გ.ბრეგაძე 2021: გ.ბერძულიშვილი, გ.ბრეგაძე, საშუალო სკოლაში არასტანდარტული მათემატიკური ამოცანების ამოხსნის ზოგიერთი მეთოდისკური ასპექტი. აწსუ გამომც. ქუთაისი. 2021.
2. Чучаева, Мемеряков, 1995: Чучаева И.И., Мемеряков С.И., Уравнения вида  $f(g(x)) = f(h(x))$  и методы нестандартных решения. Математика в школе, 1995 №3.
3. Шарыгин 1991: Шарыгин, И.Ф. Факультативный курс по математике: Решение задач: Учеб. пособие для 11 кл. сред.шк. Москва. Просвещение, 1991.

**Giorgi Berdzulishvili**

**Professor of Akaki Tsereteli State University**

### On one method of solving functional equations

#### Abstract

The non-standard methods of solving the exploratory, non-standard and Olympiad problems increase the mental activity of students, which will help them to solve specific mathematical problems and/or life problems. From this perspective, we consider it effective to include functional equations in the high school mathematics curriculum and to teach their solution



methods. Students are introduced to the simplest examples of functional equations when introducing definitions of even parity, odd parity and periodicity of function. Solving a functional equation means finding all its solutions, or determining that the functional equation has no solution. The article discusses solution of functional equations by insertion method. The appropriate methodical conclusions have been made.

**Key words:** functional equations, Olympiad problem, insertion method, solution of the problem, school course.

#### მადლიერება

კვლევა ჩატარებულია საქართველოს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში „მეცნიერება იწყება სკოლიდან-კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“ გამარჯვებული SCR-23-082 პროექტის ფარგლებში.

#### **Acknowledgments**

The research was conducted within the framework of the SCR-23-082 project “Science Begins at School – Research with the Participation of Students”, winner of the grant competition announced by the Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia.

## ხდომილობის ალბათობის გამოთვლის ერთი ხერხის შესახებ

**რეზიუმე:** სკოლაში სკოლაში მოსწავლეები ეცნობიან ხდომილობის ალბათობის კლასიკურ განსაზღვრებას. მისგან გამომდინარე ზოგიერთ შედეგს მოსწავლეები ხშირად სათანადოდ ვერ აღიქვამენ და ეჭვით უყურებენ, რადგან ვერ ხედავენ განხორციელებულ გარდაქმნებს შორის ლოგიკურ ბმებს. რადგან სიმრავლეთა ალგებრას ძალზედ ახლო დამოკიდებულება აქვს ალბათობათა თეორიასთან, ამიტომ ის საშუალებას იძლევა გადავჭრათ არსებული პრობლემა. თუ განვიხილავთ მარტივ მაგალითს, ჩავატარებთ სასრული რიცხვის მქონე ასეთ ექსპერიმენტს: დავუშვათ, რომ ბანქოს კარგად არეული სრული კომპლექტიდან თანაბრად შესაძლებელია ნებისმიერი ბანქოს ამოღება. ამ კომპლექტიდან ამოვიღოთ ალაღბედზე ბანქოს ქაღალდი. თუ ექსპერიმენტის ყველა შესაძლო შედეგთა სიმრავლეს აღვნიშნავთ  $I$ -თი, მაშინ იმის ალბათობა, რომ ექსპერიმენტის შედეგი მიეკუთვნება  $I$ -ს რაიმე  $A$  ქვესიმრავლეს, განისაზღვრება, როგორც შეფარდება, რომლის მრიცხველია  $A$  სიმრავლის ელემენტთა რიცხვი, ხოლო მნიშვნელია  $I$ -ს ელემენტთა რიცხვი. წარმოდგენილი განმარტება ხდომილობის ალბათობის კლასიკური განმარტების ანალოგიურია. ამიტომ, ხდომილობის ალბათობის გამოთვლას სხვადასხვა შემთხვევებშიც ვახდენთ სიმრავლეთა ალგებრის თვისებებზე დაყრდნობით, ერთი მოქმედებიდან მეორეზე გადასვლის ლოგიკური ჯაჭვი თვალსაჩინოს ხდის ხდომილობის ალბათობის გამოთვლას და აღარ აჩენს კითხვებს მოსწავლეებში. რაზეც ნათელ წარმოდგენას ქმნის განხილული პრაქტიკული ამოცანები.

**საკვანძო სიტყვები:** ხდომილობის ალბათობა, უნივერსალური სიმრავლე, ლოგიკის კანონები, სიმრავლეთა ალგებრა, მათემატიკური ინდუქცია.

$I$ -თი აღვნიშნოთ რაიმე სიმრავლე, რომლის ობიექტების ბუნებას ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვს. ამ სიმრავლეს უნივერსალური სიმრავლე ეწოდება, ხოლო  $A, B, C, \dots$  იქნებიან  $I$  სიმრავლის რაღაც ქვესიმრავლეები. თუ  $I$  არის ყველა ნატურალურ რიცხვთა სიმრავლე, მაშინ  $A$  შეიძლება აღნიშნავდეს ყველა ლუწ რიცხვთა სიმრავლეს,  $B$  - ყველა კენტ რიცხვთა სიმრავლეს,  $C$  - ყველა მარტივ რიცხვთა სიმრავლეს და ა.შ. შემდგომში ჩვენთვის მოსახერხებელი იქნება ქვესიმრავლეთა რიცხვში ჩავთვალოთ თვით  $I$  სიმრავლე და აგრეთვე ცარიელი- $\emptyset$  სიმრავლე, რომელიც არცერთ ელემენტს არ შეიცავს. ამბობენ, რომ  $A$  სიმრავლე არის  $B$  სიმრავლის ქვესიმრავლე, თუ  $A$  სიმრავლეში არ არსებობს ისეთი ელემენტი, რომელიც არ იქნება აგრეთვე  $B$  სიმრავლის ელემენტიც. ამ თანაფარდობას შეესაბამება  $A \subset B$  ან  $B \supset A$  ჩანაწერი. მაგალითად,  $A$  - არის ყველა მთელ რიცხვთა სიმრავლე, რომელიც იყოფა 10-ზე,  $B$  - არის ყველა მთელ რიცხვთა სიმრავლე, რომელიც იყოფა 5-ზე. ცხადია, რომ  $A$  სიმრავლე არის  $B$  სიმრავლის ქვესიმრავლე, რადგან ყოველი რიცხვი, რომელიც იყოფა 10-ზე იყოფა აგრეთვე 5-ზეც.  $A \subset B$  თანაფარდობა არ გამორიცხავს  $B \subset A$  თანაფარდობასაც. თუ ადგილი აქვს ერთსაც და

მეორესაც, მაშინ ჩვენ წერენ:  $A = B$ . ეს ნიშნავს, რომ  $A$ -ს ყოველი ელემენტი არის იმავე დროს  $B$ -ს ელემენტი და პირიქით, ასე რომ  $A$  და  $B$  სიმრავლეები შეიცავენ სწორედ ერთსა და იმავე ელემენტებს. სიმრავლეთა  $A \subset B$  დამოკიდებულება ბევრ რამეში ჰგავს რიცხვებს შორის  $a \leq b$  დამოკიდებულებას. კერძოდ, აღვნიშნოთ ამ დამოკიდებულების შემდეგი თვისებები: 1.  $A \subset A$ ; 2. თუ  $A \subset B$  და  $B \subset A$ , მაშინ  $A = B$ . 3. თუ  $A \subset B$  და  $B \subset C$ , მაშინ  $A \subset C$ . ამის გამო  $A \subset B$  და-მოკიდებულებას ზოგჯერ „დალაგების დამოკიდებულებას“ უწოდებენ. განხილული დამოკიდებულებების მთავარი განსხვავება რიცხვებს შორის არსებული  $a \leq b$  დამოკიდებულებისაგან მდგომარეობს იმაში, რომ ყოველ ორ მოცემულ ნამდვილ რიცხვს შორის აუცილებლად ხორციელდება ერთ-ერთი  $a \leq b$  ან  $b < a$  დამოკიდებულებიდან, მაშინ, როცა  $A \subset B$  დამო-კიდებულებისათვის ანალოგიური მტკიცება მართებული არ არის, მაგალითად, თუ  $A$  არის 1, 2, 3 რიცხვებისაგან შემდგარი სიმრავლე,  $A = \{1, 2, 3\}$ , ხოლო  $B = 2, 3, 4$  რიცხვებისაგან შემდგარი სიმრავლე  $B = \{2, 3, 4\}$ , მაშინ ადგილი არა აქვს არც  $A \subset B$  და არც  $B \subset A$  დამოკიდებულებას. ამ მიზეზით ამბობენ, რომ,  $I$  სიმრავლის  $A, B, C, \dots$  ქვესიმრავლეები ნაწილობრივ დალაგებულები არიან, მაშინ როცა  $a, b, c, \dots$ , ნამდვილი რიცხვები ქმნიან სავსებით დალაგებულ ერთობლიობას. შევნიშნოთ, რომ  $A \subset B$  დამოკიდებულების განსაზღვრებიდან გამომდინარეობს, რომ როგორც არ უნდა იყოს  $I$  სიმრავლის  $A$  ქვესიმრავლე: 4.  $\emptyset \subset A$ ; 5.  $A \subset I$ .

განვსაზღვროთ სიმრავლეებზე მოქმედების ორი ოპერაცია, რომელთაც ფორმალურად რიცხვების შეკრებისა და გამრავლების ოპერაციების მრავალი ალგებრული თვისება აქვთ, თუმცა თავისი შინაგანი აზრით ისინი განსხვავდებიან ამ არითმეტიკული ოპერაციებისაგან.

ვთქვათ,  $A$  და  $B$  რაიმე ორი სიმრავლეა.  $A$  და  $B$ -ს გაერთიანების ანუ ლოგიკური ჯამის ქვეშ გვესმის სიმრავლე, რომელიც იმ ელემენტებისაგან შედგება, რომლებიც ან  $A$ , ან  $B$ -ში შე-დიან (იმ ელემენტების ჩათვლით, რომლებიც  $A$ -შიც შედიან და  $B$ -შიც შედიან). ეს სიმრავლე  $A \cup B$  სიმბოლოთი აღინიშნება.

$A$  და  $B$  სიმრავლეების თანაკვეთა ან ლოგიკური ნამრავლი არის სიმრავლე, რომელიც ისე-თი ელემენტებისაგან შედგება, რომელიც  $A$ -შიც და  $B$ -შიც ერთდროულად შედიან. ეს სიმრავლე აღინიშნება  $A \cap B$  სიმბოლოთი. მოყვანილი განსაზღვრებების საილუსტრაციოდ განვიხილოთ მაგალითები. ვთქვათ,  $A$  და  $B$  სიმრავლეებია:  $A = \{1, 2, 3\}$ ,  $B = \{2, 3, 4\}$ . მაშინ

$$A \cup B = \{1, 2, 3, 4\}, A \cap B = \{2, 3\}.$$

$A \cup B$  და  $A \cap B$  ოპერაციების მნიშვნელოვან ალგებრულ თვისებებს შორის ჩამოვთვალოთ შემდეგი თვისებები: 6.  $A \cup B = B \cup A$ . 7.  $A \cap B = B \cap A$ . 8.  $A \cup (B \cap C) = (A \cup B) \cap C$ . 9.  $A \cap (B \cup C) = (A \cap B) \cup C$ . 10.  $A \cup A = A$ . 11.  $A \cap A = A$ . 12.  $A \cap (B \cup C) = (A \cap B) \cup (A \cap C)$ . 13.  $A \cup (B \cap C) = (A \cup B) \cap (A \cup C)$ . 14.  $A \cup \emptyset = A$ . 15.  $A \cap I = A$ . 16.  $A \cup I = I$ . 17.  $A \cap \emptyset = \emptyset$ . 18.  $A \subset B$  დამოკიდებულება ეკვივალენტურია თითოეული შემდეგი ორი დამოკიდებუ-ლების:  $A \cup B = B$ ,  $A \cap B = A$ . მე-6, მე-7, მე-8, მე-9 და მე-12 კანონები გარეგნულად იგივეური არიან ჩვეულებრივი ალგებრის კარგად ცნობილი კომუტაციურობის, ასოციატიურობის და დისტრიბუტიულობის კანონებისა. აქედან ვღებულობთ, რომ ამ კანონებიდან გამომდინარე ჩვეულებრივი ალგებრის ყველა

წესი მართებულია აგრეთვე სიმრავლეთა ალგებრისთვისაც. მე-10, მე-11 და მე-13 კანონებს არ აქვთ ანალოგები ჩვეულებრივ ალგებრაში და ისინი სიმრავლეთა ალგებრას უფრო მარტივ სტრუქტურას აძლევენ. მაგალითად, ნიუტონის ბინომის ფორმულა სიმრავლეთა ალგებრაში დადის უმარტივეს ტოლობამდე:

$$(A + B)^n = (A + B) \cdot (A + B) \cdot \dots \cdot (A + B) = A + B,$$

რაც მე-11 კანონიდან გამომდინარეობს. მე-14, მე-15 და მე-17 კანონებზე დაკვირვებით ჩანს, რომ  $\emptyset$  და  $I$  სიმრავლეების თვისებები სიმრავლეთა გაერთიანებისა და თანაკვეთის მიმართ მსგავსია 0 და 1 რიცხვების თვისებებისა შეკრებისა და გამრავლების რიცხვითი მოქმედებების მიმართ, მაგრამ მე-16 კანონს რიცხვით ალგებრაში ანალოგი არა აქვს.

ვთქვათ,  $A$  არის უნივერსალური  $I$  სიმრავლის რაიმე ქვესიმრავლე. მაშინ  $A$ -ს დამატებად  $I$ -ში გვესმის  $I$ -ს ყველა იმ ელემენტების სიმრავლე, რომელიც  $A$ -ში არ შედიან.  $A$  სიმრავლის დამატებას ასე აღნიშნავენ:  $A^c$  ან  $A'$ . თუ  $I$  არის ყველა ნატურალურ რიცხვთა სიმრავლე, ხოლო  $A$ -ყველა მარტივ რიცხვთა სიმრავლე, მაშინ  $A^c$  არის სიმრავლე, რომელიც შედგება ყველა შედგენილი რიცხვისაგან და რიცხვი 1-გან.  $A$ -დან  $A^c$ -ზე გადასვლის ოპერაციას, რომელსაც არა აქვს ანალოგი ჩვეულებრივ ალგებრაში, შემდეგი თვისებები ახასიათებს: 19.  $A \cup A^c = I$ . 20.  $A \cap A^c = \emptyset$ . 21.  $\emptyset^c = I$ . 22.  $I^c = \emptyset$ . 23.  $(A^c)^c = A$ . 24.  $A \subset B$  დამოკიდებულება ეკვივალენტურია  $B^c \subset A^c$  დამოკიდებულების. 25.  $(A \cup B)^c = A^c \cap B^c$ . 26.  $(A \cap B)^c = A^c \cup B^c$ .

1-26 კანონები საფუძვლად უდევს სიმრავლეთა ალგებრას. მათ ახასიათებთ ე.წ. ორადობის შესანიშნავი თვისება, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: თუ 1-26 კანონებიდან ერთ-ერთში  $\subset$  და  $\supset$ ;  $\emptyset$  და  $I$ ;  $\cup$  და  $\cap$  სიმბოლოებს ურთიერთშევანაცვლებით (რამდენადაც ისინი გვხვდებიან), შედეგად მივიღებთ ხელახლა ერთ-ერთს იმავე კანონებიდან. მაგალითად, მე-6 კანონი გადადის მე-7 კანონში, მე-12-მე-13-ში, მე-17-მე-16-ში და ა.შ. აქედან გამომდინარეობს, რომ ყოველ თეორემას, რომელიც 1-26 წესებიდან უნდა გამოგვეყვანა, შეესაბამება მეორე, მისი ორადი თეორემა, რომელიც პირველიდან მივიღებთ სიმბოლოთა მითითებული გადასმით. მართლაც, რადაგანაც პირველი თეორემის დამტკიცება შედგება (ჩატარებული მსჯელობის სხვადასხვა საფეხურზე) 1-26 კანონების მიმდევრობით გამოყენებისაგან, ამიტომ შესაბამის საფეხურზე ორადი კანონის გამოყენება შეადგენს ორადი თეორემის დამტკიცებას.

სიმრავლეთა ალგებრას ძალზედ ახლო დამოკიდებულება აქვს ალბათობათა თეორიასთან და ის საშუალებას იძლევა ახალი თვალსაზრისით შევხედოთ მას. განვიხილოთ უმარტივესი მაგალითი: წარმოვიდგინოთ ექსპერიმენტი სასრული რიცხვი შესაძლო დასასრულით, რომელთაგანაც ყოველი მოსალოდნელია როგორც „თანაბრადშესაძლებელი“. მაგალითად, ექსპერიმენტი შეიძლება მდგომარეობდეს იმაში, რომ ამოვიღოთ ალაღბედზე ბანქოს ქალაქი კარგად არეული სასრული კომპლექტიდან. თუ ექსპერიმენტის ყველა შესაძლო შედეგთა სიმრავლეს  $I$ -თი აღვნიშნავთ, ხოლო  $A$  აღვნიშნავს  $I$ -ს რაიმე ქვესიმრავლეს, მაშინ იმის ალბათობა, რომ ექსპერიმენტის შედეგი მიეკუთვნება  $A$  ქვესიმრავლეს, განისაზღვრება, როგორც შეფარდება, რომლის მრიცხველია  $A$  სიმრავლის ელემენტთა რიცხვი, ხოლო მნიშვნელია  $I$ -ს ელემენტთა რიცხვი. თუ შევთანხმდებით, რომ  $A$  სიმრავლეში ელემენტთა რიცხვი  $n(A)$  სიმბოლოთი აღვნიშნოთ, ხოლო  $I$  სიმრავლის ელემენტთა რიცხვი  $n(I)$  სიმბოლოთი, მაშინ გვექნება:

$$p(A) = \frac{n(A)}{n(I)} \quad (1)$$

თუ დავუშვებთ, რომ  $A$  არის „გულების“ ქვესიმრავლე, მაშინ:  $n(A) = 13$ ,  $n(I) = 52$ , ამიტომ

$$p(A) = \frac{13}{52} = \frac{1}{4}.$$

სიმრავლეთა ალგებრის იდეები ვლინდებიან ალბათობათა გამოთვლისას იმ დროს, როცა გვიხდება ერთ სიმრავლეთა ცნობილი ალბათობებიდან მეორეთა ალბათობების გამოთვლა. მაგალითად, ვიცით რა  $p(A)$ ,  $p(B)$  და  $p(A \cap B)$ , შეიძლება ვიპოვოთ  $p(A \cup B)$  ალბათობა:

$$p(A \cup B) = p(A) + p(B) - p(A \cap B), \quad (2)$$

დამტკიცება არ წარმოადგენს სირთულეს. ჩვენ გვაქვს:

$$n(A \cup B) = n(A) + n(B) - n(A \cap B),$$

რადგანაც ელემენტები, რომლებიც ერთდროულად შედიან როგორც  $A$ -ში, ისე  $B$ -ში, ე.ი.  $A \cap B$  სიმრავლის ელემენტები,  $n(A) + n(B)$  ჯამის გამოთვლის დროს ორჯერ დაითვლება და მაშასადამე, ამ ჯამიდან გამოვაკლოთ  $n(A \cap B)$ , რომ  $n(A \cup B)$  ჯამის დათვლა სწორი იყოს. ამის შემდეგ ორივე მხარის  $n(I)$ -ზე გაყოფით ჩვენ მივიღებთ (2) დამოკიდებულებას.

უფრო საინტერესო ფორმულა მიიღება, თუ საუბარია  $I$  სიმრავლიდან აღებულ სამ  $A$ ,  $B$  და  $C$  სიმრავლეებზე. (2) დამოკიდებულებით თუ ვისარგებლებთ მივიღებთ:

$$p(A \cup B \cup C) = p[(A \cup B) \cup C] = p(A \cup B) + p(C) - p[(A \cup B) \cap C],$$

მე-12 კანონის თანახმად:  $(A \cup B) \cap C = (A \cap C) \cup (B \cap C)$ . საიდანაც გამომდინარეობს, რომ:

$$p[(A \cup B) \cap C] = p[(A \cap C) \cup (B \cap C)] = p(A \cap C) + p(B \cap C) - p(A \cap B \cap C)$$

წინა დამოკიდებულებაში  $p(A \cup B) = p(A) + p(B) - p(A \cap B)$  და

$$p[(A \cup B) \cap C] = p[(A \cap C) \cup (B \cap C)] = p(A \cap C) + p(B \cap C) - p(A \cap B \cap C) \quad \text{ტოლობების}$$

ჩასმით მივიღებთ:

$$p(A \cup B \cup C) = p(A) + p(B) + p(C) - p(A \cap B) - p(A \cap C) - p(B \cap C) + p(A \cap B \cap C)$$

(3)

მაგალითის სახით განვიხილოთ შემდეგი ამოცანა: სამი ციფრი 1, 2, 3 იწერება ნებისმიერი, შემთხვევითი რიგით, რას უდრის იმის ალბათობა, რომ ამ ციფრებიდან ერთი მაინც აღმოჩნდება (ნუმერაციის მიხედვით) თავის ადგილზე?

ვთქვათ,  $A$ -არის იმ გადანაცვლებათა სიმრავლე, რომელშიც ციფრი 1 დგას პირველ ადგილზე,  $B$  – გადანაცვლებების სიმრავლე, რომელშიც ციფრი 2 დგას თავის ადგილზე,  $C$  -გადა-ნაცვლებების სიმრავლე, რომელშიც ციფრი 3 დგას თავის ადგილზე. ჩვენ უნდა გამოვთვალოთ  $p(A \cup B \cup C)$ . ცხადია, რომ

$$p(A) = p(B) = p(C) = \frac{2}{6} = \frac{1}{3},$$

მართლაც, თუ რომელიმე ციფრი თავის ადგილზე დგას, მაშინ დარჩენილი ორი ციფრისათვის გვაქვს გადაადგილების ორი შესაძლებლობა  $3 \cdot 2 \cdot 1 = 6$  შესაძლო გადაადგილებებიდან. შემდეგ

$$p(A \cap B) = p(A \cap C) = p(B \cap C) = \frac{1}{6}, \quad p(A \cap B \cap C) = \frac{1}{6},$$

რადგანაც თითოეულ ამ შემთხვევაში ადგილი აქვს მხოლოდ ერთ შესაძლებლობას, მაშინ (3) ფორმულა გვაძლევს

$$\begin{aligned} p(A \cup B \cup C) &= p(A) + p(B) + p(C) - p(A \cap B) - p(A \cap C) - p(B \cap C) + p(A \cap B \cap C) = \\ &= \frac{1}{3} + \frac{1}{3} + \frac{1}{3} - \frac{1}{6} - \frac{1}{6} - \frac{1}{6} + \frac{1}{6} = \frac{2}{3}. \end{aligned}$$

ეს ამოცანა შეიძლება ამოგვეხსნა ყველა შესაძლო ვარიანტების დათვლითაც. კერძოდ, გვექნებოდა სულ  $3! = 3 \cdot 2 \cdot 1 = 6$  შესაძლებლობა

ა) 1, 2, 3; ბ) 1, 3, 2; გ) 2, 1, 3; დ) 2, 3, 1; ე) 3, 1, 2; ვ) 3, 2, 1.

რომელთაგან ხელშემწყობ შემთხვევათა რიცხვია 4 - ა), ბ), გ) და ვ), ამიტომ (1) ფორმულის ძალით საძიებელი ალბათობა იქნება

$$p(A \cup B \cup C) = \frac{4}{6} = \frac{2}{3}.$$

თუ გავართულებთ ამოცანას და ნაცვლად სამი ციფრისა განვიხილავთ ოთხ ციფრს, მაშინ ყველა შესაძლო შემთხვევების რიცხვი გაიზრდება და იქნება  $4! = 24$  და ამ შემთხვევაში ყველა შესაძლო შემთხვევათა დაწერა რთულდება, ამიტომ უმჯობესია ალბათობის გამოსათვლელად მივიღოთ (3) ფორმულის მსგავსი ზოგადი ფორმულა ოთხი სიმრავლის შემთხვევაში:

$$p(A \cup B \cup C \cup D) = p[(A \cup B \cup C) \cup D] = -p(A \cup B \cup C) + p(D) - p[(A \cup B \cup C) \cap D], \quad (4)$$

(3) ფორმულის ძალით:

$$p(A \cup B \cup C) = p(A) + p(B) + p(C) - p(A \cap B) - p(A \cap C) - p(B \cap C) + p(A \cap B \cap C) \quad (5)$$

რადგან

$$(A \cup B \cup C) \cap D = ((A \cup B) \cap D) \cup (C \cap D) = (A \cap D) \cup (B \cap D) \cup (C \cap D),$$

ამიტომ  $p[(A \cup B \cup C) \cap D]$  გამოსახულება წარმოდგება შემდეგნაირად:

$$\begin{aligned} p[(A \cup B \cup C) \cap D] &= p[((A \cup B) \cap D) \cup (C \cap D)] = p[(A \cap D) \cup (B \cap D) \cup (C \cap D)] = p(A \cap D) + \\ &+ p(B \cap D) + p(C \cap D) - p(A \cap B \cap D) - p(A \cap C \cap D) - p(B \cap C \cap D) + p(A \cap B \cap C \cap D). \end{aligned}$$

(6)

(4) ფორმულაში გავითვალისწინოთ (5) და (6) დამოკიდებულებები. გვექნება:

$$\begin{aligned} p(A \cup B \cup C \cup D) &= p(A) + p(B) + p(C) + p(D) - p(A \cap B) - p(A \cap C) - \\ &- p(A \cap D) - p(B \cap C) - p(B \cap D) - p(C \cap D) + p(A \cap B \cap C) + \quad (7) \\ &+ p(A \cap B \cap D) + p(A \cap C \cap D) + p(B \cap C \cap D) - p(A \cap B \cap C \cap D) \end{aligned}$$

ჩააღვან,

$$p(A) = p(B) = p(C) = p(D) = \frac{1}{4},$$

$$p(A \cap B) = p(A \cap C) = p(A \cap D) = p(B \cap C) = p(B \cap D) = p(C \cap D) = \frac{1}{12},$$

$$p(A \cap B \cap C) = p(A \cap B \cap D) = p(A \cap C \cap D) = p(B \cap C \cap D) = \frac{1}{24},$$

$$p(A \cap B \cap C \cap D) = \frac{1}{24}.$$

თუ მიღებულ მნიშვნელობებს გავითვალისწინებთ (7) ტოლობაში მივიღებთ:

$$p(A \cup B \cup C \cup D) = 4 \cdot \frac{1}{4} - 6 \cdot \frac{1}{12} + 4 \cdot \frac{1}{24} - \frac{1}{24} = 1 - \frac{1}{2} + \frac{1}{6} - \frac{1}{24} = \frac{15}{24} = \frac{5}{8}.$$

ჟოგად ფორმულას  $n$  სიმრავლის გაერთიანებისათვის აქვს სახე:

$$p(A_1 \cup A_2 \cup \dots \cup A_n) = \sum_1 p(A_i) - \sum_2 p(A_i \cap A_j) + \sum_3 p(A_i \cap A_j \cap A_k) - \dots \pm p(A_1 \cap A_2 \cap \dots \cap A_n) \quad (8)$$

სადაც  $\sum_1, \sum_2, \sum_3, \dots, \sum_{n-1}$  სიმბოლოები აღნიშნავენ შეკრებას ყველა შესაძლო კომბინაცი-ისათვის, რომლებიც შეიცავს  $1, 2, 3, \dots, (n-1)$  ასოს  $A_1, A_2, \dots, A_n$  რიცხვე-ბიდან. ეს ფორმულა შეიძლება მათემატიკური ინდუქციის მეთოდით დავამტკიცოთ. მიზანშეწონილად მიგვაჩნია (8) ფორმულის დამტკიცება მათემატიკის საგნობრივი წრის მეცადინეობაზე, რადგან ის სცილ-დება მათემატიკის სასკოლო კურსის ფარგლებს. (8) ფორმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ თუ  $n$  ციფრი  $1, 2, 3, \dots, n$  დაწერილია ნებისმიერი რიგით, მაშინ ალბათობა იმისა, რომ ერთი ციფრი მაინც თავის ადგილზე მოხვდება, უდრის

$$p_n = 1 - \frac{1}{2!} + \frac{1}{3!} - \frac{1}{4!} + \dots \pm \frac{1}{n!}, \quad (9)$$

სადაც ბოლო წევრთან დგას  $+$  ან  $-$  ნიშანი იმის მიხედვით, ლუწია  $n$  თუ კენტი. კერძოდ,  $n = 5$  შემთხვევისათვის ეს ალბათობა ტოლია

$$p_5 = 1 - \frac{1}{2!} + \frac{1}{3!} - \frac{1}{4!} + \frac{1}{5!} = \frac{19}{30}.$$

მათემატიკური ანალიზიდან ცნობილია, რომ როცა  $n \rightarrow \infty$ , გამოსახულების

$$S_n = \frac{1}{2!} - \frac{1}{3!} + \frac{1}{4!} + \dots \pm \frac{1}{n!}$$

ზღვარი

$$\lim_{n \rightarrow \infty} S_n = \frac{1}{e}.$$

(9) ფორმულიდან ჩანს, რომ:  $p_n = 1 - S_n$ , ამიტომ აქედან გამომდინარეობს, რომ

$$\lim_{n \rightarrow \infty} p_n = \lim_{n \rightarrow \infty} (1 - S_n) = 1 - \frac{1}{e}.$$

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბერძულიშვილი და სხვ. 2013: ბერძულიშვილი გ., და სხვ. სიმრავლეთა და ალბათობის თეორიის ელემენტების სწავლება მათემატიკის სასკოლო კურსში. აწსუ გამომც. ქუთაისი. 2013.

2. ბაკურაძე 2009: ბაკურაძე ბ., სიმრავლეებთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის სწავლების შესახებ. საქართველოს მეცნიერებისა და საზოგადოების განვითარების ფონ-დი. საერთაშორისო პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტი“ თბილისი, №3 (35), 2009. გვ.161-163.

3. Р. Курант, Г. Роббинс 2000: Р. Курант, Г. Роббинс, Что такое математика? (Элементарный очерк идей и методов). Перевод с английского под редакцией А. Н. Колмогорова МЦНМО, 2000.

4. Бажанов 1969: Бажанов М.А.-Из опыта преподавания элементов теории вероятностей. "Математика в школе". 1969 г. №2.

**Bakur Bakuradze**

**Professor of Akaki Tsereteli State University**

### **About one method of calculating probability of event**

#### **Abstract**

At school, students are introduced to the classical definition of probability of event. Some of the results derived from it are often not properly perceived by the students and they have doubts about them, because they do not see the logical links between the implemented transformations. Since an algebra of sets is very closely linked with probability theory, it allows us to solve the existing problem. If we consider a simple example, we will conduct such an experiment with a finite number: suppose that it is equally possible to remove any card from a well-shuffled full pack of cards. Let us remove the card from the deck at random. If we denote the set of all possible results of the experiment by  $I$ , then the probability that the result of the experiment belongs to any sub-set  $A$  of  $I$  is defined as a ratio, the numerator of which is the number of elements of the set  $A$ , and the denominator is the number of elements of  $I$ . The presented definition is similar to the classical definition of probability of event. Therefore, we calculate the probability of event in various cases based on the properties of an algebra of sets, the logical chain of transition from one action to another makes the calculation of the probability of event visible and no longer presented problems for students, of which the discussed practical problems create a clear idea.

**Key words:** probability of occurrence, universal set, laws of logic, algebra of sets, mathematical induction.



## მოსწავლეთა სწავლის ხარისხის გაუჯობესება სხვადასხვა აქტივობებით მათემატიკის გაკვეთილზე

**რეზიუმე:** მათემატიკის სწავლება მოსწავლეებს უფითარებს: ლოგიკურ აზროვნებას, პრობლემის გადაჭრის გზების ძიებას, კრიტიკულ აზროვნებას. სწავლების პროცესში მათემატიკის სწავლის ხარისხს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. პრობლემის მიზეზების დადგენის მიზნით დაიგეგმეთ კვლევა, მიმდინარეობისას სანდოობისა და კვლევის მაღალი ხარისხით შესრულებისთვის გამოყენებული იქნა როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი მეთოდი: მოსწავლეთა ტესტირება, მშობლებთან ანკეტირება, მასწავლებელთან ფოკუსჯგუფი.

პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ შეიმუშავეს ის ინტერვენციები, რომელიც დაეხმარა მოსწავლეებს სწავლების პროცესის გაუჯობესებაში. ინტერვენციების ჩატარების შემდეგ, გაიზარდა მოსწავლეთა სასწავლო პროცესში ჩართულობა. საგაკვეთილო პროცესში მათვის მოსაწყენი აღარ იყო, მეტად თავდაჯერებულები გახდნენ. მნიშვნელოვნად გაიზარდა მშობელთა ჩართულობაც, რამაც ხელი შეუწყო მოსწავლეთა კიდევ უფრო გააქტიურებასა და ხელი შეუწყო შედეგების გაუჯობესებას.

**საკვანძო სიტყვები:** სწავლა, სწავლება, დიაგნოსტიკა, ინტერვენცია, ჩართულობა, მეთოდი, გამოყენება


სწავლების პროცესში სწავლის ხარისხს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მათემატიკის სწავლება მოსწავლეებს უფითარებს: ლოგიკურ აზროვნებას, პრობლემის გადაჭრის გზების ძიებას, კრიტიკულ აზროვნებას. მათემატიკას, როგორც საგანს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ადამიანის ცხოვრებაში. სწავლა-სწავლების პროცესში მნიშვნელოვანია მოსწავლეთა დაინტერესება და მოტივაციის ამაღლება, ასევე მოსწავლისა და მასწავლებლის ურთიერთობა. მნიშვნელოვანია მასწავლებელმა მოახერხოს კლასის მართვა და ეფექტური სასწავლო გარემოს შექმნა.

სწავლა-სწავლების პროცესი ოდითგანვე დიდი გამოწვევის წინაშე იდგა. განსაკუთრებით სირთულეს კი მასწავლებლები მათემატიკის სწავლებისას აწყდებოდნენ. თანამედროვე ტექნოლოგიების ხანაში დიდი ძალისხმევაა საჭირო იმისთვის, რომ მოსწავლე მოწყვიტო გაჯეტებს. მასწავლებელმა არა მხოლოდ კლასი უნდა მართოს, არამედ უნდა შეძლოს მოსწავლეთა დაინტერესება საგაკვეთილო პროცესითაც. ამისათვის უნდა შესთავაზოს მრავალფეროვანი, საინტერესო და მნიშვნელოვანი სტრატეგიები. სწავლა-სწავლების პროცესში ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა მოტივაციას, რომელიც არ უნდა იყოს დამოკიდებული მხოლოდ შინაგან ფაქტორებზე. სწავლა-სწავლების პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მოსწავლეთა განწყობას, რომელიც მნიშვნელოვნად დაკავშირებულია მოტივაციის ამაღლებასა და სწავლის ხარისხის გაუჯობესებასთან. განწყობა არის ინდივიდის მზაობა ქცევის შესასრულებლად.

პრობლემის დადგენისათვის დაკვირვება ხდებოდა ქუთაისის ერთ-ერთი საჯარო სკოლის მეექვსე კლასზე, მოცემულ კლასში საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეები ნაკლებად გამოხატავდნენ ინტერესს სწავლისადმი, მეტწილად იყვნენ პასიური მსწავლეები, არ სურდათ დაფასთან მუშაობა, უჭირდათ მიცემული მაგალითების შესრულება.

კვლევისათვის დავისახეთ მიზანი: დადგინდეს მოსწავლეთა სწავლის ხარისხის ხელისშემშლელი მიზეზები. სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებით ავამაღლოთ მოსწავლეთა სწავლების ხარისხი. კვლევის ამოცანებია: არსებული ლიტერატურის გაცნობა, საკანონმდებლო დოკუმენტების დამუშავება. კვლევის ინსტრუმენტების შემუშავება, მონაცემების ანალიზი, ინტერვენციების დაგეგმვა, მისი განხორციელება, დასკვნების გამოტანა და რეკომენდაციების შემუშავება. კვლევის მთავარი კითხვაა, როგორ გავაუმჯობესოთ მოსწავლეთა სწავლის ხარისხი სხვადასხვა აქტივობებით? ქვეკითხვები: რა მეთოდებს ვიყენებ სწავლის ხარისხის ასამაღლებლად? რამდენადაა დაინტერესებული მოსწავლე მათემატიკით? რამდენადაა მშობელი ჩართული მოსწავლეთა სწავლის პროცესში? რომელი საშუალებების გამოყენებით შეიძლება ავამაღლოთ მოსწავლეს სწავლის მოტივაცია?

პრობლემის მიზეზების დადგენის მიზნით დაიგეგმა კვლევა. კვლევის მიმდინარეობისას სანდოობისა და კვლევის მაღალი ხარისხით შესრულებისთვის გამოყენებული იქნა როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი მეთოდი: მოსწავლეთა-ტესტირება, მიზანი - განვსაზღვროთ მოსწავლეთა ცოდნის დონე. მშობლებთან ანკეტირება, მიზანი - გავარკვიოთ მოსწავლეთა სწავლის ხარისხის გაუარესების გამომწვევი ფაქტორები. მასწავლებელთან ფოკუსჯგუფი, მიზანი - გაგიგოთ კლასის ძლიერი მხარე და საჭიროება, შემუშავდეს ინტერვენციები დახმარებისათვის. მოსწავლეთა პრე-ტესტის შედეგები ასეთია:



განვიხილოთ ანკეტირებისა და ფოკუსჯგუფის დროს მიგნებები. მშობელთა ანკეტირების მიგნებები: მშობელთა ნაწილი არ არის ჩართული სასწავლო პროცესში და არ ფლობენ ინფორმაციას თავიანთი შვილის სასკოლო ცხოვრების შესახებ.

- მოსწავლეები სკოლაში მიღებული ცოდნით ვერ ახერხებენ საშინაო დავალების შესრულებას დამოუკიდებლად.

- ონლაინ სწავლების დანაკარგების მიუხედავად მშობლები არ იყენებენ ბავშვებთან სხადასხვა სამოტივაციო ხერხებს.


მასწავლებლებთან ფოკუს ჯგუფის მიგნებები: მშობელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის ნაკლებობა.

- მასწავლებლები არ იყენებენ აქტიურად მოსწავლეთა ცოდნის განსამტკიცებელ აქტივობებს.
- დაბალია მოსწავლეთა დემოტივაცია.

კვლევის პროცესის სწორად წარმართვამ მოგვცა ამის შესაძლებლობა, რამაც დაგვანახა ის ფაქტორები, რომლებიც ხელს უშლიდა მოსწავლეებში სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. კვლევის პროცესში შეირჩა ინტერვენციები, რომელთა მიზანი იყო მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდა სწავლა-სწავლების პროცესში, სწავლის ხარისხის გაუმჯობესება და მშობელთა აქტიური ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში. შეირჩა შემდეგი ინტერვენციები: საინტერესო კროსვორდები, მიზანი: მოსწავლეს დაეხმარება უკვე არსებული ცოდნის განმტკიცებაში. საგაკვეთილო პროცესი სახალისო, მრავალფეროვანი და საინტერესო გახდება. ინტეგრირებული გაკვეთილი, მიზანი: მოცემული აქტივობა დაეხმარება მოსწავლეს გააერთიანონ ცოდნა ორ საგანში. მიიღებენ და გაილრმავენ ცოდნას თემის ირგვლივ ორივე საგანში. თანატოლი მასწავლებელი, მიზანი: მოცემული ინტერვენცია დაეხმარება მოსწავლეებს თემების უკეთ მომზადებასა და პრეზენტაციის უნარის განვითარებაში, ასევე მოსწავლეები შეძლებენ თავიანთი სიტყვებით აუხსნან თანაკლასებელს მათთვის გაუგებარი. მშობლის როლი მიზანი - გაიზრდება მშობელთა აქტიური ჩართულობა სასწავლო პროცესსა და სკოლის ცხოვრებაში. რომელიც მნიშვნელოვნად გაზრდის მოსწავლეთა მოტივაციასა და მონდომებას.

კვლევის პროცესში მნიშვნელოვანი იყო სწორად მომხდარიყო ინტერვენციების შერჩევა შემუშავება. კვლევის პროცესში განხორციელებულმა ინტერვენციებმა მნიშვნელოვანი შედეგები გამოიღო სწავლა-სწავლების პროცესში, რაშიც მოიზრება მოსწავლეთა, სწავლის და მოტივაციის გაუმჯობესება. მოხდა ერთფეროვანი სასწავლო პროცესის ჩანაცვლება მრავალფეროვანი და მოსწავლეებისთვის საინტერესო აქტივობებით. შემუშავებული ინტერვენციები დაეხმარა მოსწავლეებს, მშობლებსა და მასწავლებლებს აქტიურ კომუნიკაციაში. ინტერვენციების აქტიურად განხორციელების შემდეგ გაიზარდა მოსწავლეთა მოტივაცია, საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობა მეტად საინტერესო გახდა, ასევე გაიზარდა მშობელთა ჩართულობის მაჩვენებელი. მოსწავლეები გახდნენ მეტად თავდაჯერებულნი. ინტერვენციების შედეგებმა ნათლად გვიჩვენა, თუ რამდენად სწორად იყო შერჩეული ინტერვენციები.

კვლევის პროცესის მეორე ეტაპზე განხორციელებული ინტერვენციების შემდეგ, მაისში, ჩატარდა მეორე სადიაგნოსტიკო ტესტი, რომელიც გვიჩვენებს მოსწავლეთა შედეგებს. მოცემულ ცხრილზე ასახულია მოსწავლეთა შედეგები, ინტერვენციების განხორციელებამდე და ინტერვენციების განხორციელების შემდეგ.



მოცემული მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოსწავლეები ინტერვენციების განხორციელების შემდეგ აქტიურად ჩაერთვნენ სწავლა-სწავლების პროცესში. ეს ფაქტი განაპირობა იმან, რომ მოსწავლეები გახდნენ მეტად მოტივირებულები, თავდაჯერებულები. მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებულმა ინტერვენციებმა მოგვცა დადებითი შედეგი. სწავლა-სწავლების პროცესში მნიშვნელოვნად გაიზარდა მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბივერი, ხუნძაყიშვილი 2018: ბივერი ს. ხუნძაყიშვილი მ. - „განმავითარებელი შეფასება და დიფერენცირებული სწავლება“ სახელმძღვანელო მასწავლებლებისთვის, თბილისი, 2018.
2. ეროვნული სასწავლო გეგმა 2018-2024წწ.
3. მგალობლიშვილი 2019: მგალობლიშვილი თ. – „მშობლის ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში“ // მასწავლებელი. 5.05.2019.
4. საქართველოს დაწესებითი განათლების პროექტი 2015: „მშობელთა ჩართულობა“. რეკომენდაცია დირექტორებისა და მასწავლებლებისთვის. საქართველოს დაწესებითი განათლების პროექტი. თბილისი, 2015.
5. საქართველოს დაწესებითი განათლების პროექტი 2017: „სასწავლო მეთოდოლოგიური რესურსების III კრებული“ მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლებისთვის მათემატიკაში V-VI კლასში. საქართველოს დაწესებითი განათლების პროექტი. თბილისი 2017.

## Improving the quality of students' learning through various activities in math class

### Abstract

Teaching mathematics develops students: logical thinking, searching for ways to solve problems, critical thinking. The quality of mathematics learning has an important place in the teaching process. To determine the causes of the problem, a research was planned, and for reliability and high-quality performance of the research, both quantitative and qualitative methods were used: student-testing, questionnaires with parents, focus groups with teachers.

After identifying the problem, interventions were developed to help students improve the learning process. After the interventions, students' engagement in the learning process increased. They were no longer bored during the lesson, they became more self-confident. The involvement of parents has also increased significantly, which has helped to make students even more active and helped to improve results.

**Key words:** learning, teaching, diagnosis, intervention, involvement, method, application.

# უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა

იმერი ბასილაძე

აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,

მაია ახვლედიანი

აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი,

ლალი აბდალაძე

შ. მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი

## რეფლექსიურ-შეფასებითი აქტივობის საკითხისათვის უმაღლეს სასწავლებელში

**რეზიუმე:** ნაშრომში განხილულია სტუდენტებში კრიტიკული აზროვნების განვითარება, რომელიც გულისხმობს ისეთი უნარ - ჩვევების ჩამოყალიბებას, რომელსაც პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში რეფლექსიურ-შეფასებითი აქტივობის სახელით იცნობენ და ადამიანის აქტივობის განსაკუთრებულ, მუდმივად განვითარებად ფორმას წარმოადგენს.

კრიტიკული აზროვნების სტილის მიგნებას მიღწევისა და ამოცანების ფორმირების პირობას სტუდენტების ინდივიდუალური თავისებურებების, მათი უნიკალურობის, სხვადასხვა დონის შენარჩუნება წარმოადგენს. სწავლების კრიტიკული ტიპი განსაზღვრავს ლექტორის თანმხლებ პოზიციას სტუდენტური სასწავლო აქტივობის მიმართ, იგი ეხმარება საგანმანათლებლო მიზნების დასახვასა და მიღწევაში.

საკითხი მნიშვნელოვანია, რადგან კრიტიკულ-რეფლექსიური აზროვნების სტილის ჩამოყალიბების პრობლემები, უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებში, განსაკუთრებით უკანასკნელ ათწლეულში, მეტად აქტუალურია.

**საკვანძო სიტყვები:** რეფლექსია, აზროვნება, შემეცნება, მეთოდი, აქტივობა, ცნება.

კრიტიკული აზროვნების განვითარება სტუდენტებში გულისხმობს ისეთი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, რომელსაც პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში რეფლექსიურ-შეფასებითი აქტივობის სახელით იცნობენ. იგი ადამიანის აქტივობის განსაკუთრებული, მუდმივად განვითარებადი ფორმაა, რომელიც ადამიანის წარმოშობასთან ერთად წარმოიშვა და მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობას წარმოადგენს.

ცნება - შეფასებითი აქტივობა განისაზღვრება, როგორც ადამიანის აქტიური ურთიერთქმედება გარემო სამყაროსთან, რომელიც მიმართულია მისი ხარისხობრივი არაერთგვაროვნების გამორკვევაზე. შეფასებითი აქტივობა დაფუძნებულია ცნებაზე - რეფლექსია, რომელსაც ფსიქოლოგები განმარტავენ, როგორც ადამიანის მიერ აქტივობის ისეთ გააზრებას, რომლის განხორციელების შემთხვევაში ადამიანი საკუთარ თავს ანგარიშს უწევს იმაში, თუ რა და როგორ გააკეთა. ანუ გაიაზრებს იმ ქმედებებს, რომელთა თანხმობაშიც ის მოქმედებდა.

რეფლექსიის აზრი, როგორც განსაკუთრებული შემეცნებითი აქტივობისა, მდგომარეობს ცოდნის დაზუსტებაში, არსის გარკვევაში, თუ როგორ გამოიმუშავდება ესა თუ ის ცოდნა და წარმოდგენები. რეფლექსია მუდმივი პროცესია. ის ყოველთვის მიესადაგება ადამიანის ბუნებას, როგორც შეგნება, აზროვნება, მეხსიერება და ა.შ. მისადმი ინტერესს

ყველაზე მეტად ფსიქოლოგები და ფიზიოლოგები ავლენენ. უკანასკნელ წლებში განმავითარებელი სწავლების იდეების პრაქტიკაში დანერგვით რეფლექსია სულ უფრო და უფრო პედაგოგიკის ყურადღების ობიექტი ხდება.

რეფლექსია დისციპლინათშორისი დარგია, მის მეთოდოლოგიას, არსსა და შესაძლებლობებს პედაგოგიური ანთროპოლოგია შეისწავლის. რეფლექსია ერთ-ერთი ინოვაციური გზაა ადამიანის სულიერი პოტენციალის გახსნისა და გამოვლენისა. იგი განსაკუთრებული ზნეობრივი მოღვაწეობაა, რომელიც სულიერ თვითანალიზში მდგომარეობს როგორც ცხოვრებისადმი დამოკიდებულება, ხერხი საკუთარ ნაკლოვანებებთან ბრძოლაში, საკუთარ ძალებში, შესაძლებლობებში და ეჭვების გადალახვაში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროფესიული რეფლექსიის განხილვა, რომლის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია როგორც მოქმედი, ასევე მომავალი სპეციალისტის მიერ გააზრება იმისა, რომ წარმატებული მუშაობისათვის აუცილებელია ახალი ცოდნის შექმნა და ოპტიმალური გზების მოძებნა. პროფესიული რეფლექსია უმეტესწილად გაწესრიგებულია სპეციალისტთა აქტივობის შინაარსითა და გარემოებებით, რომლებიც ავალდებულებენ მიზნად დასახონ ამოცანა კრიტიკულ-რეფლექსური აზროვნების სტილის ჩამოყალიბებისა უმაღლესი სასწავლებლების სწავლების ყველა ეტაპზე. საჭიროა სპეციალური ტექნოლოგია აზროვნების კრიტიკულ-რეფლექსური სტილისათვის:

1. სტუდენტის კონსტრუქციული დიალოგი ლექტორთან და პარტნიორებთან. საკუთარი თვალსაზრისის დაცვის უნარის გამომუშავება მიუხედავად გარემომდებელი შეხედულებისა; ოპონენტის მიერ არგუმენტირებული კონტრმტკიცებულებების შემდეგ აღიაროს მისი აზრის არამართებულობა;

2. სტუდენტის თვითდიაგნოსტიკა, შეადაროს და შეაფასოს საკუთარი შეხედულები მოცემულ ეტალონებს;

3. სტუდენტის მზაობა ახალი ინფორმაციის და ამოცანების არასტანდარტული ხერხებით გადაწყვეტის მიმართ;

4. სტუდენტის მზაობა მიღებული ინფორმაციის ღრმა, ყოველმხრივ, აღქმის მიღმა ანალიზზე.

უმაღლეს პროფესიულ სასწავლო პროცესზე დაკვირვებისას გამოვლინდა, რომ ამა თუ იმ მტკიცებულების დასაბუთებისა და დამტკიცებისას სტუდენტებმა არ იციან მოქმედებათა მარტივი წესრიგი - დამტკიცების ერთი ელემენტარული რგოლიდან მეორეზე გადასვლის წესები და კრიტერიუმები. უმთავრესად საუბარი მიმდინარეობს სტუდენტთა მსჯელობის ლოგიკაზე, რომლის სისწორე განისაზღვრება, როგორც ამ მსჯელობაში შემავალი შინაარსით.

სწავლების პროცესში წარმოქმნილი სიმძნელების ერთ-ერთი მიზეზი მდგომარეობს, რომ გონებრივი ოპერაციების განხორციელებისას, როგორც წესი, მსჯელობის ფორმა, უკავშირდება კონკრეტულ სიტუაციას, კერძო მოსაზრებით დასაბუთებას. ლექტორი ვერ მოიაზრებს ღრმა, არსობრივ საფუძვლებს, რომელთა მიხედვითაც აკეთებს დასკვნას, ფორმულირებას, განზოგადებას და შედარებას. სტუდენტების მიერ კი სახეზეა არასაკმარისი გააზრება, უუნარობა კითხვა-პასუხებში, გამოიყენონ მსჯელობა და ა.შ. კონკრეტულად პრინციპი, დასაბუთება ნიშნავს დაბეჯითებით მსჯელობას და საკმარისი არგუმენტების მოყვანას. ამასთან დაკავშირებით აქტუალურია:

1. სასწავლო პრაქტიკაში მკვიდრდება მცდელობა შეიცვალოს მოვლენათა მიზეზების ახსნა და დასაბუთება, მათი წარმოშობის მიზეზები და მიღებული ფაქტების ინტერპრეტაციით.

2. სტუდენტებს არ შეუძლიათ განსაზღვრონ მოყვანილი დასაბუთების ხარისხი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში;

3. ვერიფიკაციის პროცესში უფრო უშუალოდ დაკვირვებას აკეთებენ იმ მოვლენებზე, რომლებზეც საუბარია მტკიცებაში. სტუდენტები პრიორიტეტს ანიჭებენ ფაქტს და არა თეორიას. ჰიპერბოლიზირებას უკეთებენ ცდას. ვერ გებულობენ ფაქტების გააზრების როლს.

4. მტკიცებულებების ახსნის პროცესში სტუდენტების პასუხები ხშირად ხასიათდება ეკლექტიკით, ანუ სხვადასხვა სახით, შინაგანად დაუკავშირებელი, ხანდახან შეუთავსებელი იდეების არაკრიტიკული შეერთებით, კავშირებისა და დებულებების შინაარსობრივი ასპექტების უგულვებელყოფით.

5. ხშირად სტუდენტები იყენებენ ე.წ. „ნაჩქარევ განზოგადებას“, უნებლიედ ცვლიან მსჯელობის საგანს, იყენებენ ერთი და იგივე ტერმინს სრულიად განსხვავებული მნიშვნელობით. ნაკლებად გებულობენ აბსოლუტური და ფარდობითობის ჭეშმარიტების დიალექტიკას.

სტუდენტები იშვიათად იყენებენ ლექტორის მიერ შემოთავაზებულ მტკიცებულებებს დასაბუთების პროცესში. ამ მტკიცებულებების გამოკვეთას უფრო ზოგადი მტკიცებულებებიდან და პრინციპებიდან. განსაზღვრებების გამოყენების პროცესში ხშირად უგულვებელყოფენ განსასაზღვრი და განსაზღვრელი ცნებების თანაზომიერების წესს. ცნებებს საკუთარი წარმოსახვით ხსნიან. ცდილობენ წარმოსახული თეზისების მტკიცებულებების ფორმულირებებში პოვნას. მრავალფეროვანი კლასიფიკაციის გამოყენებისას სტუდენტებს უჭირთ სხვადასხვა კლასიფიკაციის შეჯერება განსხვავებული საფუძვლების მიხედვით. კლასიფიცირების სირთულის ურთიერთგამორიცხვისა და უწყვეტობის მოთხოვნები.

სასწავლო პროცესში ხშირად შეიმჩნევა:

ა. სტუდენტი ვერ აცნობიერებს პირდაპირი და უკუმტკიცებულების თანაფარდობის დიალექტიკას და ვერ გებულობს, რომ ერთ-ერთის სისწორე სრულებითაც არ გულისხმობს მეორეს სისწორეს. ერთის მცდარობა არ გულისხმობს მეორის მცდარობას;

ბ. ვერ გებულობენ აუცილებელი და საკმარისი პირობების შეფარდების დიალექტიკას; ვერ აცნობიერებენ, რომ აუცილებელი პირობა შესაძლებელია ამავდროულად იყოს საკმარისიც.

სტუდენტების მიერ შემეცნებითი მოქმედების განხორციელების წესების არსებითი ასპექტების იგნორირებას მივყავართ აზროვნების არაპროდუქტიულ ხერხებთან და სტილთან, რაც საბოლოოდ განაპირობებს სტუდენტების აზროვნებაში წლიდან წლამდე განმეორებითი მცდარი, ფორმალური, არასწორი შეხედულებების და წარმოდგენების არსებობას.

კრიტიკულ-რეფლექსური აზროვნების სტილის ჩამოყალიბების პრობლემები უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების განათლების სწრაფად განვითარებადი დიფერენციის პირობებში, განსაკუთრებით უკანასკნელ ათწლეულში, უპირველეს ყოვლისა, პროფილური დიფერენციაციის კონტექსტში, შეიცავს რამდენიმე კომპონენტს, რომელთა შორის განსაკუთრებით ორი უნდა გამოიყოს:



1. ინვარიანტული სწავლის პროფილთან მიმართება;
2. სპეციფიკური პროფილი.

ინვარიანტულ კომპონენტებს მიეკუთვნებიან: გარე ინფორმაციის შინაარსობრივი და ლოგიკური ასპექტების კრიტიკული ანალიზი; სხვადასხვა მტკიცებულებების შესაბამისობის ხარისხის გამოვლენა საკმარისი საფუძვლის პრინციპის მიმართ; ფაქტების შემოთავაზებულ ინფორმაციაში სხვადასხვაგვარი, შინაგანად დაუკავშირებელი და შეთავსებული იდეების არაკრიტიკული და სხვადასხვა ლოგიკური შეუთავსებლობის გამოვლენა - ნაჩქარევი განზოგადებების, დასამტკიცებელი თეზისების უნებური შეცვლა. ერთი და იმავე ტერმინის სხვადასხვა მნიშვნელობით გამოყენების აუცილებელი და საკმარისი პირობების არევა და ა.შ. დასამტკიცებელი თეზისების დასაბუთებულად მოყვანილი არგუმენტების საკმარისობის ხარისხის გამოვლენა; ანტითეზის გამოყენების უნარი მოყვანილი მტკიცებულებების ჭეშმარიტების დასამტკიცებლად; ამა თუ იმ ხასიათის მოვლენების მიმდინარეობის დასაბუთება, ტავტოლოგიური ინტერპრეტაციით უნებლიე შეცვლის მიზეზების გამოვლენა, აგრეთვე უშუალოდ დაკვირვებადი ფაქტების როლის გადამეტება, რომლებიც მოჰყავთ ამა თუ იმ მტკიცებულებების დასაბუთებლად.

განვსაზღვროთ სტუდენტებისადმი შეთავაზებული სასწავლო ინფორმაციის კრიტიკული გაჯერებულობის კრიტერიუმები.

პირველი - ისეთი ინფორმაციის ფრაგმენტების გამოყენება, რომლებიც სტუდენტებს მისცემს საშუალებას გაიაზრონ კონსტანტირებული შედეგები ერთმანეთისაგან დამოკიდებული მიდგომების თვალსაზრისით. შედეგების დამთხვევის ხარისხი ადასტურებს სტუდენტებისადმი შეთავაზებული დასკვნის სამართლიანობას და დასაბუთებულობას.

მეორე - როგორ შეიძლება შედეგის მიღება, რომ გამოვიყენოთ კერძო ხერხები, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს კანონის და დებულების შედეგს.

მესამე - ვინაიდან კრიტერიუმი ხასიათდება ფორმალურად დამამტკიცებელთან ერთად აზრის მამიებელი ფრაგმენტებით, ეს აიძულებს სტუდენტებს სარწმუნოდ კი არ მიიღონ, არამედ კრიტიკულად შეაფასონ მათთვის წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ამრიგად, მტკიცებულებების ავტორი გვევლინება არა იმ ფიგურის როლში, რომელიც დადადებს უკანასკნელი მსჯელობის ჭეშმარიტებას, არამედ მკვლევარის როლში, რომელიც მიიზიდავს სტუდენტებს ჭეშმარიტების ერთობლივი ძიებისაკენ. მსჯელობა გულისხმობს, როგორც მართებულ ნააზრევს, ასევე მცდარსაც, რომელთა გაანალიზება და გამოსწორება აუცილებელია.

ამ კრიტერიუმებთან დაკავშირებულია ინფორმაციის კრიტიკული გაჯერებულობის კრიტერიუმი: მასში ზომიერების ფარგლებში უნდა იყოს ასახული ისტორიულ-მეცნიერული ცოდნა, ისტორიული ეტაპები მეცნიერების განვითარებაში, რომლებზეც ყალიბდებოდა სახელმძღვანელოში წარმოდგენილი სამეცნიერო ცოდნა. ამასთანავე, მისი „მიღწევის“ პროცესი უნდა აჩვენებდეს სხვადასხვა იდეების ჭიდილს. სტუდენტებისათვის შეთავაზებულ ინფორმაციაში მნიშვნელოვანია მათ ყურადღების აქცენტირება იმაზე, როგორ წარიმართებოდა რეალურად ხილვადი მოვლენები, თუკი ესა თუ ის საბოლოოდ მცდარი თეორიული აგებულება სამართლიანი აღმოჩენილიყო.

ინფორმაციის კრიტიკული გაჯერებულობის მნიშვნელოვანი მოთხოვნაა იმის ასახვა, თუ რასთან შეიძლება მიგვიყვანოს სხვადასხვა ფაქტორის და მოვლენის უგულვებელყოფამ, რომლებიც მოქმედებენ მოვლენის ან პროცესის მსვლელობაზე.

კრიტიკული გაჯერებულობის მოთხოვნების შესატყვის ინფორმაციაში შეძლებისდაგვარად უნდა იყოს ასახული ობიექტებისა და მოვლენების არამართებული გაიგივება. ინფორმაციის კრიტიკული გაჯერებულობის რეალიზების დროს უნდა იყოს დაცული ზომიერება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს არეულობა და ინფორმატიულობის დაკარგვა, მაგრამ მხოლოდ ფორმალურად დამამტკიცებელი კომპონენტებით შემოფარგვლაც. სტუდენტების საყურადღებოდ შეთავაზებული სასწავლო ინფორმაციის კრიტიკული კორექტულობის კრიტერიუმების შემუშავებისას უნდა დაზუსტდეს. რა იგულისხმება განსაზღვრებაში. კრიტიკული კორექტულობა არის ინფორმაციაში ისეთი ფრაგმენტების არქონა, რომლებშიც იქნებოდა შინაარსობრივი ან ლოგიკური შეუსაბამობები როგორც მტკიცებითი, ასევე კრიტიკული.

კრიტიკული კორექტულობის პირველი კრიტერიუმი მდგომარეობს მტკიცებითობით და კორექტულ მტკიცებულებებში, რომლებიც მიეწოდებათ სტუდენტებს სასწავლო ინფორმაციით. ავტორები ამოწმებენ დასამტკიცებელი თეზისის შეცვლის ფაქტს დამტკიცების პროცესში. ეს აქტუალურია იმდენად, რამდენადაც ხშირად ადგილი აქვს ასეთ ცვლილებას და როდესაც ავტორები დამტკიცებას იწყებენ, ერთი თეზისიდან გადახტებიან მეორეზე, ბოლოს კი აღნიშნავენ, რომ დამტკიცებულია რაღაც მესამე.

ინფორმაციის კრიტიკული კორექტულობის მეორე კრიტერიუმი: დასამტკიცებელშიც და კრიტიკულ მტკიცებულებებშიც აუცილებელია არგუმენტების ჭეშმარიტების მოთხოვნის შესრულება, რომლებიც გამოიყენება დამტკიცების პროცესში. ყველა ისინი უნდა იყოს დამტკიცებული მანამდე და უნდა დამტკიცდეს თეზისისგან დამოუკიდებლად. აგრეთვე არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ერთმანეთს. სტუდენტებისთვის მიწოდებულ სასწავლო ინფორმაციაში არ უნდა იყოს ნაჩქარევი განზოგადებები, როდესაც განცალკევებული აქტების მცირე რაოდენობიდან კეთდება მეტისმეტად ვრცელი დასკვნა. გარდა ამისა, კიდევ ერთი გავრცელებული შეცდომაა არგუმენტებსა და თეზისებს შორის ლოგიკური კავშირის არარსებობა, კერძოდ, არამართებული ლოგიკური გადასვლა შედარებით ვიწრო სფეროსგან, რომლებიც გარემოცულია ფართე სპექტრის არგუმენტებით.

კრიტიკული კორექტულობის მესამე კრიტერიუმი ხასიათდება არამართებული გადასვლების არქონით იმ არგუმენტებისგან, რომლებიც სამართლიანია იმ პირობის შესრულებისას, რომელიც ემყარებიან ყოველგვარი პირობების გარეშე ჩამოყალიბებულ თეზისებს.

მეოთხე კრიტერიუმი მდგომარეობს ავტორის მიერ იმ მტკიცების გააზრებაში, რომ მოვლენებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის განსაზღვრისას აუცილებელია დადგინდეს:

1. ჩნდება თუ არა სავარაუდო შედეგი, როდესაც არ არის აღნიშნული მიზეზი;
2. ხომ არ არის ფაქტები, როდესაც აღნიშნული მიზეზი სახეზეა, მაგრამ შედეგი არ არის;
3. ხომ არ არის დადგენილი მიზეზობრივი კავშირი შემთხვევით გაჩენილ მოვლენასა და მის წინ არსებულ მოვლენას შორის.

4. ერთვარიანტული ხომ არ არის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი და ხომ არ შეიძლება აღნიშნული შედეგი აიხსნას სხვა მიზეზებით.

5. კრიტიკული კორექტულობის მეხუთე კრიტერიუმი არის თეზისის დასაბუთება, მისი ინტერპრეტაცია, პირობების სწორი ფიქსაცია, პირდაპირი და უკუმტკიცებულებების დიალექტიკის გააზრება, განსაზღვრა, რომ ერთის სამართლიანობა არ ნიშნავს მეორის სამართლიანობას.

კრიტიკული კორექტულობის მეექვსე კრიტერიუმი ამტკიცებს უარმყოფელ ინფორმაციაში მოვლინებისა და ობიექტების კლასიფიცირების დროს წარმოდგენილი ობიექტების უწყვეტ კავშირს.

სტუდენტების ყურადღებისათვის შეთავაზებული კრიტიკული კორექტულობის კრიტერიუმებზე დაყრდნობა აუცილებელი პირობაა კრიტიკულ-რეფლექსური აზროვნების სტილის ეფექტური ჩამოყალიბებისთვის.

ლექტორისათვის, რომელიც აყალიბებს სტუდენტების კრიტიკულ აზროვნებას, აქტუალურია სასწავლო ინფორმაციის სხვადასხვა წყაროს დიაგნოსტიკა მოცემული კრიტერიუმების შესაბამისობაში მოყვანისათვის, აუცილებლობის შემთხვევაში კი – ალტერნატიული წყაროების მოძიება.

სასწავლო ინფორმაციის შესაბამისობა კრიტერიუმებიდან არის მთავარი პირობა კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებისათვის. ამასთან დაკავშირებით აუცილებელია სპეციალური სავარჯიშოებისა და ამოცანების შემუშავება.

უნდა აღინიშნოს, რომ კრიტიკული შემეცნების ხერხების გამოყენებისას სტუდენტები ხშირად ლეზულობენ ისეთ შედეგებს, რომლებიც არ ემთხვევა ლექტორის მოლოდინს. იქნება წინააღმდეგობა სტუდენტის საგანმანათლებლო პროდუქტსა და ლექტორის ცოდნას შორის, რასაც შედეგად მოჰყვება:

1. სტუდენტური აზრის იგნორირება, რომელიც ხელს უშლის მეცადინეობის ჩატარებას ადრე დასახული გეგმით;

2. სადამსჯელო რეაქცია, რომლის მიზნია საგნის მკაფიო ჩარჩოების დადგენა, მისი შესწავლის ხერხები, სტუდენტის აქტივობების მიმართულებები და ა.შ.

3. მინიმალური ყურადღება, რომელიც უფრო სტუდენტის მიმართ არის მიმართული, ვიდრე მისი საგანმანათლებლო პროდუქტზე. საკუთარი ემოციური კომფორტის შენარჩუნება არა სტუდენტის აზროვნების შედეგზე.

4. სტუდენტური პროდუქტის დაპირისპირება ავტორიტეტულ ცნობებთან ან სხვა ინფორმაციასთან, რომლის მიზანია ყველასათვის სტუდენტის მიერ წარმოდგენილი პროდუქტის დემონსტრაცია. ან ლექტორის მიერ სტუდენტის აზრის არამართებულობის ლოგიკური დამტკიცება საყოველთაოდ მიღებული მასალებისა და საშუალებების გამოყენებით;

5. დასახული გეგმით მუშაობის მოკლევადიანი შეჩერება და სტუდენტის აზრის, ინტერესების გარჩევა და გეგმიურ მუშაობასთან დაბრუნება, მიუხედავად მსჯელობის შედეგებისა;

6. მანამდელი აქტივობის შეწყვეტა და სრული გადასვლა ევრისტიკულ აქტივობაზე.

ლექტორი, რომელიც ემხრობა სწავლების კრიტიკულ ტიპს, აუცილებლად თვითონ ხდება არა მხოლოდ მისი სუბიექტი, არამედ განათლების ობიექტი. სასწავლო მოღვაწეობის ყველა სახეობა, რომლებსაც ახორციელებენ სტუდენტები, დამახასიათებელია

ლექტორებისთვისაც. ეს მოწმობს ლექტორების პროფესიონალიზმზე, წავიდნენ საკუთარი გეგმებისა და წარმოდგენების გადახედვაზე, შეცვლასა და განვითარებაზე.

სტუდენტური აზრის მოულოდნელობისა და არასტანდარტულობის პირველ ეტაპზე ლექტორს მოეთხოვება დაძლიოს ემოციური დისკომფორტი და სურვილი, დაძლიოს სტუდენტისგან გაჩენილი წინააღმდეგობა მისი შეხედულებების მიმართ. ვალდებულია გადალახოს აზროვნების სტერეოტიპი ობიექტურად სწორი და არასწორი პასუხების არსებობის თაობაზე.

ლექტორის პირველი რეაქცია აზრთა სხვადასხვაგვარობაზე არის სტუდენტის მსჯელობის ან სხვა პროდუქტის ფიქსირება, რომელიც ეწინააღმდეგება ან განსხვავდება ლექტორის აზრისაგან, ცოდნისაგან ან გამოცდილებისაგან. ფიქსირების ფორმები სხვადასხვაგვარია - აზრის ჩაწერა დაფაზე ან თვითონ სტუდენტის რვეულში. ამ აზრის ზეპირი განმეორება ან ახსნა, მატერიალური პროდუქტის დამზადება, რომელიც შეიცავს სტუდენტის იდეას და ა.შ. შემდეგ ლექტორი კითხვების, დავალებების და სხვა საშუალებების დახმარებით სთვაზობს სტუდენტს დაასრულოს საკუთარი პირველადი აზრი მყარად და არგუმენტირებულად. ლექტორი გვევლინება კონსულტანტად, ექსპერტად და თანაავტორად. ლექტორის მსგავსი ჩართულობა ხელს უწყობს თანამშრომლობასა და გონებრივ განვითარებას, საშუალებას აძლევს დანარჩენ სტუდენტებს შეუერთდნენ მას ან გამოვიდნენ ოპონენტად საკუთარი შეხედულებებით.

ლექტორი სრულად ახდენს საკუთარი შემეცნებითი შესაძლებლობის რეალიზებას მაშინ, როდესაც სტუდენტთან ერთად შეისწავლის რომელიმე საგანმანათლებლო ობიექტს. როდესაც ერთდროულად არის ძიებაში სტუდენტებთან ერთად, თავის თავს უკეთებს რეალიზებას არა მხოლოდ, როგორც ლექტორი, არამედ, როგორც შემეცნებითი ადამიანი, რადგანაც ყოველთვის ახლებურად აღმოაჩენს თავისთვის ერთი და იგივე შესასწავლი ობიექტის სიღრმეებს.

შესაძლებელია ამ პრობლემის გადაწყვეტის შემდეგი გზები:

1. მეცადინეობებზე სტუდენტებისათვის ინდივიდუალური დავალებები;
2. წყვილებში და ჯგუფური მუშაობის ორგანიზება;
3. სტუდენტებისთვის ღია დავალებების ფორმულირება, რომლებიც მათ შესაძლებლობებს, ინდივიდუალურ მიდრეკილებებს გულისხმობენ.

ტრადიციული პედაგოგიკა არ მოითხოვს მიმდინარე ამბების გააზრებას არც ლექტორებისაგან და არც სტუდენტისგან, მასში ადგილი არ აქვს მოღვაწეობის რეფლექსურ სახეობებს. გამოიყენებს ე. წ. მიღებული ცოდნის განმტკიცებას ან განზოგადებას. ლექტორს ხშირად სთავაზობენ მზა საშუალებების კრებულს ყოველ ეტაპზე ცოდნის ათვისების პროცესის ორგანიზებისათვის. მისგან არ მოითხოვენ სწავლების საკუთარ მიზნებს ან სასწავლო პროცესის შინაარსის შესწორებებს.

კრიტიკული სწავლება ურჩევს ლექტორს გადაწყვიტოს სწავლების მიზნების დასახვის, სწავლების გეგმის შემუშავების, მეცადინეობების სისტემის კონსტრუირების, რეფლექსიის ფორმირების და შეფასების პრობლემა. ამასთანავე კრიტიკული სწავლების დროს ჩნდება სიტუაციური პედაგოგიკის ელემენტების შემუშავების აუცილებლობა, რომელიც დაფუძნებულია ინტუიციანზე, ევრისტიკაზე და პერსონალიზმზე როგორც ლექტორის, ისე სტუდენტების მხრიდან. სიტუაციური პედაგოგიკის შექმნის პრობლემას ჯერჯერობით მხოლოდ აღნიშნავენ მეცნიერები, მაგ. განათლების ინდივიდუალური სტილის შემუშავების აუცილებლობასთან დაკავშირებით, მაგრამ სიტუაციური მეთოდი

უკვე შევიდა ლექტორის სახელმძღვანელოში, როგორც სწავლების ხერხების აღნიშვნა, რასაც იყენებენ ნოვატორი ლექტორები.

სიტუაციური მეთოდი ევრისტიკულია თავისი არსით, რადგან ლექტორი ქმნის მას ყოველთვის ახლებურად, შემოქმედებითი ინტუიციისა და წარმოქმნილ საგანმანათლებლო სიტუაციასთან დამოკიდებულებაში. შეიძლება ითქვას, რომ სიტუაციური მეთოდი არის მასწავლებლის პედაგოგიური პროდუქტი, რომელსაც ის ქმნის ევრისტიკული გზით.

სიტუაციური პედაგოგიკის მეორე ტექნოლოგიური ელემენტია ლექტორის იმპროვიზაცია. შედეგადაც იქმნება სუბიექტურ-ობიექტური ახალი ფაქტორი იმ ლექტორთათვის, რომელიც ახორციელებენ თანმხლებ კრიტიკულ სწავლებას. იმპროვიზაციის პროდუქტი არის სასწავლო მოღვაწეობის ტექნოლოგიური ელემენტები, რომელსაც ის სთავაზობს ან ცვლის სიტუაციასთან დამოკიდებულებაში. სწავლების შინაარსობრივი ელემენტები - კულტურულ-ისტორიული ანალოგიები, საკუთარი საინფორმაციო მსჯელობები. სწავლების კოგნიტური ხერხები - ჩამოსაყალიბებელი საკითხები, წინააღმდეგობები, განზოგადებები, მოქმედებები, რომლებიც სტიმულირებას უკეთებენ სტუდენტის შემოქმედებით მოღვაწეობას - შექებას, აღტაცებას, იძულებას და ა.შ.

ლექტორის საიმპროვიზაციო საბაზი ის საგანმანათლებლო აქტივობაა, როდესაც მიმდინარეობს სტუდენტებისათვის უცნობი საგანმანათლებლო ობიექტების შემეცნება მისთვის უცნობი ხერხებით, ლექტორი ახორციელებს თანმხლებ მოღვაწეობას, სტუდენტს სთავაზობს გამოიყენოს შემეცნების ესა თუ ის მეთოდი. თანდათან თანხლების ხარისხი მცირდება ან იცვლება მისი ხასიათი, თუ სტუდენტი საკმარისად შეიარაღებულია სასწავლო შემეცნების მოღვაწეობის ხერხებით, მაგრამ უძნელდება მათი კონკრეტულ სიტუაციაში გამოყენება. მაშინ ლექტორი ეხმარება სტუდენტს არა მარტო შემეცნების ხერხების ათვისებაში, არამედ თვითგანსაზღვრის ხერხების ათვისებაში - შექმნილი სიტუაციის ანალიზში, შესრულებული სააზროვნო მოქმედებების რეფლექსიაში, მიზნების ფორმულირებაში და ოპტიმალური ხერხების შერჩევაში.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. მასწავლებლები კრიტიკული აზროვნებისთვის. გზამკვლევი. USAID. <https://ewmi-activism.org/ka/teachers-for-critical-thinking-development/>
2. Попков, Коржуев 2004: Попков В. А. Коржуев А. В., Дидактика Высшей Школы. Москва, 2004.
3. ფირჩხაძე მ., კრიტიკული აზროვნების განვითარების ზოგიერთი ტექნოლოგია და სტრატეგია, თბილისი, <http://mastsavlebeli.ge/>  
<https://mastsavlebeli.ge/uploads/kritikuli%20azrovnebis%20ganvitarebis%20zogierti%20teqnologi%20da%20strategiebi.pdf>;

**Imeri Basiladze**  
**Akaki Tsereteli State University, Doctor of Pedagogy, Professor**  
**Maia Akhvlediani**  
**Akaki Tsereteli State University, Doctor of Pedagogy, Assoc. Professor**  
**Lali Abdaladze**  
**Shota Meskhia State Teaching University of Zugdidi,**  
**Acad. Doctor, Assoc. Professor**

### **For the issue of reflective-evaluative activity in higher education**

#### **Abstract**

The article discusses the development of critical thinking among students which involves the formation of skills known in pedagogy and psychology as reflexive-evaluative activity and is a special, constantly developing form of human activity.

Finding a critical thinking style is a condition for achievement and formation of tasks, preservation of individual characteristics of students, their uniqueness, different levels. The critical type of teaching determines the accompanying position of the lecturer in relation to the student learning activity, it helps to set and achieve educational goals.

The issue is important because the problems of forming a critical-reflexive thinking style have become more relevant in higher education institutions, especially in the last decade.

**Key words:** reflection, thinking, cognition, method, activity, concept.

# განათლების ფსიქოლოგია

ლია ქურბული

ფსიქოლოგიის დოქტორი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი (სეუ) პროფესორი

## სოციალური ქსელის როლი ბავშვის აგრესიული ქცევის ფორმირებაში

*რეზიუმე:* თანამედროვე ოჯახში, სამწუხაროდ, ბავშვი ჯდომას ისწავლის თუ არა, მოხერხებულად მოათავსებენ ტელევიზორის ეკრანთან და დღის მნიშვნელოვანი მონაკვეთის განმავლობაში მასთან ურთიერთობისაგან თავისუფლდებიან; იგი სულ უფრო და უფრო აქტიურად ცვლის ბებიის ზღაპრებს, დედის იავნანას, მამის საუბარს... და ბავშვის მთავარ „აღმზრდელ საშუალებად“ გვევლინება.

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით ამერიკაში უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვი კვირაში 25 საათს ე.ი. ყოველდღიურად 3 საათზე მეტს ატარებს ტელეეკრანთან, ტელევიზორის „საზოგადოებაში,“ ამის გამო, უფროსებთან მათი ურთიერთობა შეზღუდულია.

სერიოზული განსჯის საგანია ასევე მოზარდების გადაჭარბებული გატაცება კომპიუტერული თამაშებით, ინტერნეტით და მასთან დაკავშირებული უარყოფითი ფსიქოლოგიური და სოციალური მოვლენებით.

**საკვანძო სიტყვები:** აგრესიული ქცევა, ძალადობა, მასმედია, ტელეეკრანი, კომპიუტერი, თამაშები, მშობელი, ბავშვი.

თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებულმა საკომუნიკაციო საშუალებებმა არსებითი ცვლილებები მოახდინა ინფორმაციის მიღებისა და აღქმის თვალსაზრისით. რეალური გლობალიზაცია ფაქტობრივად ინფორმაციის საშუალებებმა განახორციელა. აღნიშნული თანაბრად ეხება დედამიწის ყველა რეგიონს, მოსახლეობის ყველა კატეგორიას, მიუხედავად მათი სოციალური, ეკონომიკური თუ ასაკობრივი ცენზისა. ამ ფაქტის მიმართ განსაკუთრებით მგრძობიარენი აღმოჩნდნენ ადრეული ასაკის ბავშვები. ისინი, ფაქტობრივად, ცივილიზაციის ამ უმნიშვნელოვანესი მონაპოვრის უნებლიე მძევლებად მოგვევლინენ. აღნიშნულის თვალსაჩინო მაგალითია ის, რომ უმრავლეს ოჯახში, ბავშვი ჯდომას ისწავლის თუ არა, მოხერხებულად მოათავსებენ ტელევიზორის ეკრანთან და დღის მნიშვნელოვანი მონაკვეთის განმავლობაში მასთან ურთიერთობისაგან თავისუფლდებიან; იგი სულ უფრო და უფრო აქტიურად ცვლის ბებიის ზღაპრებს, დედის იავნანას, მამის საუბარს... და ბავშვის მთავარ აღმზრდელ „საშუალებად“ გვევლინება.

სტატისტიკა აჩვენებს, რომ ამერიკაში უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვი კვირაში 25 საათს ე.ი. ყოველდღიურად 3 საათზე მეტს ატარებს ტელეეკრანთან, ტელევიზორის „საზოგადოებაში.“ ამის გამო, უფროსებთან მათი ურთიერთობა იზღუდება. ამგვარი საშუალებით „დროის მოკვლა“ სავსებით აკმაყოფილებს მრავალი მშობლის მოთხოვნილებას. ამ დროს ბავშვის მოთხოვნები მინიმუმზე და ერთსახოვანია, ყურადღება კი – კონცენტრირებული. მშობლების, უფროსების მიერ „არასანქცი-

რებულ“ ქმედებებს ფაქტობრივად ადგილი არა აქვს. ჩვილობიდან გამოსვლის ასაკში, როდესაც თითქმის ყველა ბავშვს დაძლეული აქვს რეზინის „სატყუარასადმი“ მიდრეკილება, პირველ რიგში მშობლების სურვილითა და ძალისხმევით ეს უკანასკნელნი თავიანთ პირმშოს სთავაზობენ ისეთ „სატყუარას“, რომლისადმი მიდრეკილებაც მას შემდგომ, მოზრდილ ცხოვრებაშიც მიჰყვება და, არცთუ იშვიათად, სინდრომატულ დატვირთვას იძენს. საქმე ისაა, რომ ტელევიზორთან პირისპირ დატოვებული ბავშვი არ საჭიროებს (მშობლის აზრით) განსაკუთრებულ, აქტიურ ყურადღებას. ასეთ სიტუაციაში ჩაყენებული პატარა კი იძულებულია „დამოუკიდებლად“ დაიწყოს „გარე სამყაროს“ შეცნობა და ურთიერთობების დამყარება, და რადგან ეს ურთიერთობები გაშუალებული, ანუ სუბსტიტუტი, სუროგატულია, აღნიშნული ურთიერთობების დამყარების უნარ-ჩვევებიც ასევე არასრული, არაჯანსაღი და ფაქტობრივად სუროგატულია. ტელევიზორის ყურებისას ბავშვის მიერ სამყაროს ასეთი გაშუალებული შეცნობისას მისი გრძნობის ორგანოებიდან „აქტიურად მუშაობს“ მხოლოდ ორი – სმენა და მხედველობა, ამიტომ ერთი შეხედვით ამ თითქოსდა სრულიად უწყინარმა „მეცადინეობამ“ შესაძლოა, უახლოეს მომავალში სავალალო შედეგი მოგვცეს არა მხოლოდ ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის მხრივ (სმენადობის დარღვევა, მოძრაობის დეფიციტი, ტანადობის დეფორმაცია...), არამედ მისი ფსიქიკის განვითარების თვალსაზრისითაც. იმასთან დაკავშირებით, რომ ბავშვები მასმედიის საშუალებით ხშირად ხდებიან ძალადობის დემონსტრირების მოწმეები, მსგავსმა „ვიდეოდიეტამ“ შესაძლოა გაზარდოს აგრესიული ქცევისაკენ მათი მიდრეკილება. რაც უფრო იზრდება „ეკრანის ბავშვების“ რაოდენობა, მით უფრო აშკარაა მისგან გამოწვეული უარყოფითი შედეგები.

უკანასკნელ პერიოდში მშობლები და პედაგოგები ხშირად უჩივიან ბავშვებში მეტყველების განვითარების შეფერხებას. ისინი დაგვიანებით იწყებენ ლაპარაკს, აქვთ ხანმოკლე და დამახინჯებული საუბარი. მათი მეტყველება მწირი და პრიმიტიულია. სპეციალური ლოგოპედიური დახმარება ესაჭიროება საბავშვო ბაღის პრაქტიკულად ყველა ასაკობრივი ჯგუფის ბავშვს. ამგვარი სურათი დამახასიათებელია არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის რეალობისათვის, ანალოგიური მდგომარეობაა თითქმის მთელ მსოფლიოში.

შეიძლება დაგვებადოს კითხვები: მეტისმეტად ხომ არ ვამუქებთ სიტუაციას? კომპიუტერი და ტელევიზორი ხომ ინფორმაციისა და შთაბეჭდილებების მიღების ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა და მათდამი ამგვარი ფრთხილი დამოკიდებულებით ხომ არ ვცდილობთ მათი შემეცნებითი და გამოყენებითი ღირებულების დაკნინებას? კომპიუტერთან ან ტელევიზორთან მჯდომი ბავშვი ხომ სისტემატურად ისმენს საუბარს. ნუთუ ეს ხელს არ უწყობს მისი მეტყველების განვითარებას? რა განსხვავებაა, ვინ საუბრობს ბავშვთან – უფროსი, მულტფილმის გმირი თუ ტელეგადაცემის ნებისმიერი პერსონაჟი?

ამასთან დაკავშირებით კატეგორიულად უნდა გავუსვავთ ხაზი იმ გარემოებას, რომ ადრეულ ასაკში მეტყველების დაუფლება ხდება მხოლოდ ცოცხალი ურთიერთობით, უფროსებთან უშუალო კონტაქტით. როდესაც პატარა არამართი ისმენს ცოცხალ სიტყვას, არამედ დიალოგშიც ერთვება უფროსთან, იგი არა მხოლოდ სმენით და არტიკულაციით ამყარებს მასთან კონტაქტს, არამედ აზროვნებით, გრძნობით და მთელი მოქმედებით. მეტყველებითი ბგერები, რომლებიც პირადად პატარა



რასკენ არ არის მიმართული და რომელიც მისგან პასუხის გაცემას არ მოითხოვს, რჩება „ცარიელ ბგერებად“. ეკრანზე მოცემული საუბარი წარმოადგენს ნაკლებად გააზრებულ უცხო სიტყვათა კრებულს და იგი არასოდეს არ გაითავისებს მას. ბავშვები ამჯობინებენ ჩუმად ყოფნას და მხოლოდ შემახილებითა და ქესტიკულაციით გამოხატავენ ემოციებს.

პარალელებს თუ გავავლებთ, ცნობილი ლიტერატურული თუ რეალური პერსონაჟი მაუგლი იმიტომაც ვერ ახერხებდა დანაწევრებული ბგერებით მეტყველებას, და მხოლოდ ცალკეული ბგერების გადმოცემით ცდილობდა თავისი დამოკიდებულებისა და ურთიერთობების გამოხატვას, რომ მას სამეტყველო და საარტიკულაციო აპარატის ჩამოყალიბების ყველაზე აქტიურ, (სენზიტიურ) ასაკში აკლდა, არ ჰქონდა ცოცხალი, უშუალო კონტაქტი ადამიანებთან...

მეტყველება კი მხოლოდ ურთიერთობის საშუალება როდია, მისი საშუალებით ყალიბდება აზროვნება, წარმოსახვა და, საერთოდ, მოქმედებისა და საკუთარი თავის ფლობის, წარმოჩენის უნარი.

ბოლო წლებში პედაგოგები და ფსიქოლოგები სულ უფრო ხშირად აღნიშნავენ ბავშვებში მეცადინეობის მიმართ კონცენტრაციის ნაკლებობას, საქმისადმი უინტერესობას, მოცემული სიმპტომი განზოგადებულია, როგორც ახალი დაავადება - „კონცენტრაციის დეფიციტი“.

ეს დაავადება განსაკუთრებით ნათლად ვლინდება სწავლების პროცესში და ხასიათდება, როგორც ჰიპერაქტიური და სიტუაციური მოქმედება – გაძლიერებული გაფანტულობა. ბავშვები, ერთი მხრივ, გამალებით ისწრაფიან შთაბეჭდილებებისაკენ, მათი მრავალრიცხოვნობის გამო ზედაპირულად იღებენ მას, ყოველგვარი ანალიზისა და უმეტესწილად კრიტიკული შეფასების გარეშე. მათგან ბევრი ძნელად აღიქვამს სმენით ინფორმაციას, არ შეუძლია ნათქვამი ფრაზის მეხსიერებაში შენახვა და წინადადების ჩამოყალიბება. მოსმენილი საუბარი მათში არ იწვევს რაიმე შთაბეჭდილებას, ყოველივე ამის გამო მომავალში მათთვის უინტერესო და მოსაწყენი ხდება ყველაზე საინტერესო წიგნის კითხვაც კი, რადგან მათ არ ძალუძთ მეხსიერებაში შეინახონ ცალკეული სიტყვები და წინადადებები, ვერ იგებენ ტექსტს მთლიანობაში.

პატარა ბავშვის ეკრანული მოქმედების (სიუჟეტის) აღქმის თავისებურება ისიცაა, რომ იგი არ უკვირდება ეკრანზე მიმდინარე შინაარსსა თუ სიუჟეტს, არ ესმის გმირების მოქმედება და მათ შორის დამოკიდებულებები. იგი აღიქვამს მხოლოდ ნათელ, მოძრავ ლაქას, რომელიც მაგნიტივით იზიდავს მის ყურადღებას. ეკრანთან ჯდომით ბავშვს უჩნდება მოთხოვნილება მის მიმართ და ყველგან ეძებს მას. მისთვის სულერთი ხდება, რას უყუროს, ოღონდ ციმციმებდეს, ხმაურობდეს, მოძრაობდეს. ბგერითი და მხედველობითი შთაბეჭდილებების სიუხვე ბავშვს უსუსტებს ნერვიულ სისტემას.

თანამედროვე პერიოდში განსაკუთრებით მახვილდება ყურადღება ბავშვის უფლებების დაცვაზე. მიიჩნევენ, რომ პატარა ბავშვს უნდა მოეპყრან ისე, როგორც მოზრდილ ადამიანს. ბავშვის მთავარი უფლებაა – ჰქონდეს ბავშვობის, ყველა ასაკობრივი პერიოდის სრულფასოვნად გავლის უფლება. ბავშვის ეკრანთან სისტემატური დამაგრებით, უფროსები არღვევენ მათ უფლებას, მისი ფსიქიკის განვითარების ძირითად კანონს, რომლის არსიც ბავშვის შინაგანი სამყაროს მოწესრიგებაა მათი უფროსებთან თანაცხოვრების პირობებში.

ბავშვის ყველა ფსიკური ფუნქცია – განცდა, შთაბეჭდილებები, ინტერესი, წარმოდგენები – დასაწყისშივე არსებობს არა მის შიგნით, არამედ ახლობელი ადამიანების მის მიმართ დამოკიდებულებაში. უფროსი არ უნდა ახვევდეს ბავშვს თავის წარმოდგენებს და ფასეულობებს, არამედ მასთან ერთად უნდა აშენებდეს მის სულიერ სამყაროს. აცნობდეს სინამდვილის ახალ საზღვრებს, რომლებიც თავისთავად შეიძლება შეუმჩნეველი დარჩეს მათთვის.

ადრეულ ბავშვობის პერიოდში ირგვლივ მყოფი საგნები შეიძლება არანაირ რეაგირებას არ იწვევდნენ მათში. ისინი შეიძლება უყურებდნენ შინაურ ცხოველებს, მაგრამ ვერ აცნობიერებდნენ, რომ ისინი ცოცხლები არიან, მათ შეიძლება ეტკინოთ, სციოდეთ და ა.შ. უყურებდნენ ბუნებას, ხეებს, ყვავილებს, მაგრამ ვერ აღიქვამდნენ, რომ ისინი ლამაზები არიან. ჰქონდეთ ასაწყობი კუბიკები, მაგრამ ვერ ხვდებოდნენ, რომ მისგან შესაძლებელია კომპიუტერისა და სახლების აშენება. საგნებისა და მოვლენების შინაგან ბუნებას, მის არსს ბავშვები უფროსებთან ცოცხალი ურთიერთობებით იგებენ. მათთან დიალოგის საშუალებით ხსნიან სამყაროს საიდუმლოებას, უფროსის მიერ აპრობირებული ცოდნა-წარმოდგენები, განცდები შედის ბავშვის ფსიქიკურ ცხოვრებაში და ხდება მათი ორგანული, ძალდაუტანებელი განვითარება.

ბავშვის სრულფასოვანი განვითარება შესაძლებელია მხოლოდ ახლობელ ადამიანებთან მისი ინტენსიური და უწყვეტი ურთიერთობით. ვერანაირი ტექნიკური საშუალება ვერ შეძლებს ცოცხალი ადამიანის შეცვლას და მათთვის გასაგებ ენაზე გარე სამყაროს საიდუმლოებათა გაგებინებას.

თუ ბავშვი ადრეულ ასაკში მოკლებულია უფროსებთან სრულფასოვან ურთიერთობას, ყველანაირი ადამიანური კულტურის ფასეულობები მისთვის დაფარული, უცხო და ამოუცნობი ხდება, შედეგად კი ბავშვის სულიერი სამყარო ცარიელდება. ეს ნაცნობი ჭეშმარიტება მრავალჯერ იქნა დამტკიცებული არა მხოლოდ სამეცნიერო კვლევებით, არამედ ცხოვრებისეული ფაქტებითაც.

ყოველივე ზემოთქმული სრულიადაც არ წარმოადგენს მოწოდებას, რომ ბავშვის ცხოვრებიდან სავსებით გამოვრიცხოთ თანამედროვე ტექნიკური საშუალებები, მათ შორის, ტელევიზორი. ბავშვები ამგვარ ტექნიკასთან ურთიერთობაში უნდა ჩავართოთ მხოლოდ მაშინ, როდესაც ისინი მზად იქნებიან ადეკვატურად აღიქვან მათ მხედველობაზე, ცნობიერებაზე მოქმედი ინფორმაცია, გამოსახულებანი და რომლებიც არ მოახდენენ ნეგატიურ გავლენას მათ ჯანმრთელობაზე, სულიერ და ემოციურ მდგომარეობაზე. ყოველივე ეხება არა მხოლოდ ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვებს, იგი მთლიანად ვრცელდება დაწყებითი სასკოლო ასაკის ბავშვებზეც. ამავე დროს თავი არ უნდა დავიმშვიდოთ, რომ ასაკის მომატებასთან ერთად, ინფორმაციის გავრცელების თანამედროვე ტექნიკური საშუალებები, თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები „ყურადღებას მოაკლებენ“ მოზარდებს.

პრობლემა უფრო გლობალურია და ეხება ჩვენი პატარების, მომავალი თაობის მიერ თანამედროვე ტექნიკური საშუალებების რაციონალურ გამოყენებას ისე, რომ რაიმე ზიანი არ მოუვიდეს მათ ჯანმრთელობას და განვითარებას, შესძლონ მაქსიმალური სარგებელი მიიღონ ამ ტექნიკასთან ურთიერთობით. უფროსი თაობის წარმომადგენლების ვალია დაეხმაროს მათ ამაში, რათა ტექნიკამ არ „ჩაინაცვლოს“ მათი „აღმზრდელის“ ფუნქციები და გახდეს მათი სულების მბრძანებელი...

მეცნიერმა გუზმა დაასაბუთა, რომ სკოლამდელი ასაკის აგრესიულ ბავშვებს, განსხვავებით არააგრესიულებისაგან, მთელი ძალით იზიდავს აგრესიის სტიმულირების მასალა (აგრესიული ელემენტების შემცველი თოჯინების შოუ, მულტფილმები), ეს სტიმულები ბავშვის ყურადღებას იპყრობს, მთლიანად იმორჩილებს მას და მისი სხვა რაიმეთი გართობა გაძნელებულია.

ამერიკის შეერთებული შტატების სატელევიზიო გადაცემების 80%-ზე მეტი შეიცავს ძალადობის ელემენტებს. ტელევიზიით საშუალოდ ერთ საათში 32 ძალადობრივი ქმედების დემონსტრირება ხდება, რაც ძირითადად მულტფილმებშია წარმოდგენილი. მოძალადე გმირის თითქმის 70% დაუსჯელია. ბავშვები იჯერებენ, რომ ძალადობა აუცილებლად მოწონებული იქნება და თვითონაც მიმართავენ ამგვარ ქმედებას, რათა ნებისმიერი საწადელი აისრულონ.

მასობრივი ინფორმაციების საშუალებებისა და აგრესიული ქცევის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ მეცნიერებმა სამი ძირითადი ფაზა გამოყვეს. თითოეული მათგანი გამოირჩევა საკუთარი მეთოდოლოგიური სპეციფიკით.

პირველი ფაზა. კინომატოგრაფიის საშუალებით დემონსტრირებულ ძალადობასა და ადამიანის ქცევაზე მისი გავლენის შესახებ კვლევა ჩაატარეს ალბერტ ბანდურამ და მისმა კოლეგებმა. აღნიშნულ ექსპერიმენტში მონაწილეობდნენ სკოლამდელი ასაკის ბავშვები. ისინი უყურებდნენ მოკლემეტრაჟიან ფილმებს, რომლებშიც უფროსები უჩვეულო მეთოდებით ეპყრობოდნენ დიდ, გასაბერ თოჯინა ბობოს. მაგ., ერთ-ერთ ფილმში მსახიობი ზურგზე აჯდებოდა თოჯინას, ცხვირში და თავში ჩაქუჩს ურტყამდა და ყვიროდა: „აი შენ, აი შენ!“ მსგავსი სცენების ყურების შემდეგ, ბავშვები სხვა ოთახში გადიოდნენ და 20 წუთის განმავლობაში თამაშობდნენ იმ სათამაშოებით, რომლებსაც მათთვის დემონსტრირებულ ფილმებში იყენებდნენ მსახიობები. ბავშვებზე დაკვირვებისას გაირკვა, რომ ისინი ხშირად ახდენდნენ მსახიობის ქცევის კოპირებას. ბანდურას აზრით, ეს იყო მტკიცებულება იმისა, რომ ეკრანიდან დემონსტრირებული ძალადობის აქტები, პირდაპირ ბავშვთა ქცევაზე აირეკლება. თუმცა იგი ასევე აღნიშნავდა, რომ, მართალია, ბავშვები იძენენ აგრესიული რეაგირების ჩვევებს, მაგრამ ეს სრულებითაც არ მოწმობს იმას, რომ ისინი ამ ჩვევებს ყოველთვის გამოიყენებენ პრაქტიკაში.

აღნიშნული კვლევა მეცნიერ-სოციოლოგებისა და ტელეინდუსტრიის წარმომადგენელთა მხრიდან მკაცრი კრიტიკის ობიექტი გახდა. მათ ეჭვქვეშ დააყენეს ექსპერიმენტის მიზანმიმართულობა და ინტერპრეტაციის დამაჯერებლობა. ისინი აღნიშნავდნენ, რომ მოცემულ ექსპერიმენტში ცდის პირები აგრესიულად იქცეოდნენ სპეციალური დანიშნულების მქონე გასაბერი თოჯინისა და არა ერთმანეთის მიმართ. ამ შემთხვევაში რეალური ზიანის მიყენება არ ხდებოდა. ისინი ამტკიცებდნენ ასევე, რომ ექსპერიმენტის ორგანიზატორების მიერ დემონსტრირებული მასალა სხვადასხვა პარამეტრებით განსხვავდებოდა ნამდვილი კინო და ტელეპროდუქციისაგან. კერძოდ: არასრულყოფილი სიუჟეტი, განმარტებები მოქმედი პირების საქციელზე და სხვა. ისინი საკითხს ამგვარად სვამდნენ: რამდენი ბავშვი უყურებს ფილმებს ომსა და მაფიოზ ბანდიტებზე, თვითონ მათ შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ მსგავს ქმედებებში? ამ და სხვა მიზეზთა და გარემოებათა გამო ბანდურას მიერ ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგებმა ვერ მიიღეს მტკიცებულება იმაზე, რომ ტელე და კინო-ფილმებიდან დემონსტრირებული ძალადობის სცენები, აგრესიული ქცევების ურთი-

ერთობაში გადატანის კარგი საშუალებაა. თუმცა მოგვიანებით ზოგიერთი მეცნიერი ამტკიცებდა, რომ ბავშვების მიერ ტელევიზიის საშუალებით ძალადობის ხშირი ყურება, მომავალში მათ უფრო „სქელკანიანს“ ხდის. ისინი მშვიდ დამოკიდებულებას ინარჩუნებენ სხვების მიერ ურთიერთობაში გამოხატული ძალადობის მიმართ. მაგ., ტელევიზორიდან ხშირი ძალადობის სცენებს მიჩვეული ახალგაზრდა აღმზრდელი ორი სკოლამდელი ასაკის ბავშვის ჩხუბისას მათ აძლევს „ორთქლის გამოშვების“ საშუალებას იმიტომ, რომ კონფლიქტის ამგვარი ხერხით გადაწყვეტა მისთვის მისაღებია, აცხადებენ მეცნიერები.

მეორე ფაზა: ლაბორატორიული ექსპერიმენტი. პირველი ფაზის კრიტიკის შემდეგ, მეცნიერებმა განიზრახეს სამი მთავარი მიზნის გათვალისწინებით ჩაეტარებინათ ექსპერიმენტული მუშაობა. ესენი იყო: პირველი - პირობის მოდელირება, რეალობასთან მიახლოება, კერძოდ, სხვა ბავშვისაკენ და არა პლასტმასის თოჯინისაკენ მიმართული აგრესია. მეორე, ცდის პირთათვის ძალადობის რეალური სცენების ან დოკუმენტური კადრების ჩვენება. მესამე, ცდის პირების მიერ აგრესიული ქცევების გამოვლენისათვის საჭირო განსხვავებული გარემო - პირობების შექმნა. აღნიშნულ ექსპერიმენტში მრავალი მეცნიერი მონაწილეობდა. მათი კვლევების შედეგებმა ასევე დაადასტურეს, რომ კინოსა და ტელევიზიის საშუალებით ძალადობის სცენების დემონსტრირება მაყურებელზე აგრესიული ქცევის პროვოცირებას ახდენს.

აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით მეცნიერებმა ლიბერტმა და ბერონმა სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის ბავშვებთან (5-6 და 8-9 წლის) ჩაატარეს ექსპერიმენტული მუშაობა. პირველი ჯგუფის ბავშვებს სამ-ნახევარი წუთის განმავლობაში 60-იანი წლების ამერიკის პოპულარული დეტექტიური ჟანრის ფილმის ნაწყვეტს უჩვენებდნენ. მოცემულ კინოსიუჟეტში წარმოდგენილი იყო დევნის, ჩხუბის, სროლისა და დანის გამოყენების ეპიზოდები.

მეორე ჯგუფის ბავშვები იმავე ხანგრძლივობით უყურებდნენ ნაწყვეტს სპორტული გადაცემიდან, კერძოდ, სირბილს ბარიერზე გადახტომით. ორივე ეპიზოდს ბავშვები დიდი ინტერესით უყურებდნენ.

ფილმების დემონსტრირების შემდეგ ბავშვები გადიოდნენ სხვა ოთახში და სხდებოდნენ პულტებთან, რომლებსაც ორი ლილაკი და ერთი ნათურა ჰქონდათ წარწერებით: მწვანე - „დახმარება“, წითელი - „ზიანის მიყენება“ და თეთრი ნათურა - „მზადყოფნა“. ცდის პირს აცნობდნენ ინსტრუქციას. კერძოდ, ეუბნებოდნენ, რომ მეზობელ ოთახში მათი თანატოლი ბავშვი ვარჯიშობდა ტრენაჟორზე და ცდილობდა პრიზის მიღებას. თეთრი სიგნალის ანთების შემთხვევაში, ისინი უნდა დახმარებოდნენ მას მიზნის მიღწევაში და ლილაკზე - „დახმარება“ დაეჭირათ თითო. დახმარების სურვილის არქონის შემთხვევაში, ზიანის მიყენების მიზნით, უნდა დაეჭირათ ლილაკზე - „ზიანის მიყენება.“ ცდის პირებს უხსნიდნენ აგრეთვე, რომ როდესაც ის თითს აჭერდა წითელ ლილაკს, მეზობელ ოთახში, ტრენაჟორის სახელური, რაზედაც ბავშვი ვარჯიშობდა, საგრძნობლად ცხელდებოდა და მას ხელები ეწვოდა. ზემოთ აღწერილი ექსპერიმენტებისაგან განსხვავებით, სადაც ცდის პირები აგრესიას გამოხატავდნენ თოჯინებთან მიმართებაში, მოცემულ ექსპერიმენტში ბავშვები ეხმარებოდნენ ან ზიანს აყენებდნენ წარმოსახულ ადამიანს.

საექსპერიმენტო ოთახში ბავშვი მარტო რჩებოდა. თეთრი სიგნალი - „მზადება“ 20-ჯერ ინთებოდა. ექსპერიმენტის შედეგებმა აჩვენა, რომ ცდის პირები,

რომლებიც უყურებდნენ აგრესიული სცენების პროგრამას, თავიანთ წარმოსახვით მსხვერპლს შესამჩნევად დიდ ზიანს აყენებდნენ (რაც იზომებოდა ლილაკზე - „ზიანის მიყენება“ თითის დაჭერის რაოდენობის მიხედვით), ვიდრე ის ბავშვები, რომლებმაც სპორტულ შეჯიბრს უყურეს. განსხვავება სქესსა და ასაკში არ შეიმჩნეოდა.

აღნიშნული ექსპერიმენტის შედეგები მოწმობს, რომ ტელევიზიოდებში დემონსტრირებული ძალადობა, მომავალში ბავშვთა აგრესიულ ქცევაში აისახება.

მიუხედავად იმისა, რომ „მეორე თაობის“ ექსპერიმენტატორები შეეცადნენ გამოესწორებინათ ძველი თაობის „თოჯინა ბობოს“ ექსპერიმენტის ნაკლოვანებები, მაინც მეცნიერების კრიტიკის ქარ-ცეცხლში აღმოჩნდნენ. ისინი მიუთითებდნენ აღნიშნული ექსპერიმენტის ნაკლოვანებებზე, კერძოდ, 1. მათი აზრით, ლილაკზე თითის დაჭერით ზიანის მიყენება „არარეალური“ იყო, ვინაიდან აღნიშნული აქტი და ადამიანებს შორის აგრესიული დამოკიდებულება განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. ასევე, ექსპერიმენტით შექმნილი სიტუაცია სამაგიეროს გადახდის შესაძლებლობას არ იძლეოდა. 2. ცდის პირებს შეემლოთ ჩათვალათ, რომ ექსპერიმენტატორი აგრესორს სწყალობს, რადგან ისინი მიწვეულები იყვნენ აგრესიული სცენების სანახავად. 3. ნაჩვენები იყო პროგრამიდან ამოგლეჯილი სიუჟეტები.

ეს და სხვა მსგავსი სახის შენიშვნები ექსპერიმენტის ნაკლზე მიუთითებდა. აღნიშნული კრიტიკული შენიშვნების შემდეგ მეცნიერთა მიერ ამ პრობლემის ირგვლივ ჩატარდა რიგი ექსპერიმენტული სამუშაოებისა, რომელთაც დაერქვა „მესამე“ თაობის ექსპერიმენტები.

მესამე ფაზა: ექსპერიმენტი ბუნებრივ და საველე პირობებში. მეცნიერებმა ლაინსმა, კამინომ, ფარკემ და ბერკოვიცმა შეისწავლეს ტელევიზიით გადმოცემული ძალადობის კადრებისა და სცენების გავლენა აგრესიული ქცევის ფორმირებაზე მცირე და ხანგრძლივი დროის, ათეული წლების განმავლობაში. თავდაპირველად ისინი აკვირდებოდნენ ბელგიის კერძო სკოლა-ინტერნატის ბავშვთა აგრესიულ და არააგრესიულ ქცევებს. ერთკვირიანი დაკვირვების შემდეგ ბავშვები ორ ჯგუფად დაყვეს და ხუთი დღის განმავლობაში ხუთი ფილმი უჩვენეს (დღე-ღამეში ერთი ფილმი). პირველი ჯგუფის ბავშვებს უჩვენებდნენ ფილმებს ძალადობის აქტებით, მეორე ჯგუფის ბავშვებს - მის გარეშე. ფილმები, ძალადობის ეპიზოდების რაოდენობის მიხედვით განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. მეცნიერებს აინტერესებდათ ჰიპოთეზის შემოწმება, ძალადობრივი ხასიათის ფილმების ყურება მოქმედებდა თუ არა თანატოლებისა და უფროსებისაკენ მიმართული აგრესიის დონის ზრდაზე. ფილმების დემონსტრირების პერიოდში, შემდგომ მეცადინეობაზე ხდებოდა ბავშვების ქცევაზე დაკვირვება. კვლევის შედეგებმა ნაწილობრივ დაადასტურა ჰიპოთეზის სისწორე; ცდის პირები, რომლებიც ძალადობის სცენებს უყურებდნენ, განსხვავებით იმ ცდის პირებისაგან, რომლებიც ამგვარ ფილმებს არ უყურებდნენ, აგრესიული ქცევების დემონსტრირებას ახდენდნენ ურთიერთობებში (თუმცა არა ყველა ფორმის).

აღნიშნული ექსპერიმენტებისაგან განსხვავებით მეცნიერები იმავე პრობლემებზე საველე პირობებში ჩატარებული ექსპერიმენტებით ასაბუთებდნენ, რომ ბიჭები, რომლებიც ექვსი კვირის განმავლობაში აგრესიული ტელეფილმების „მკაცრ დიეტაზე“ იყვნენ, გარშემომყოფთა მიმართ ავლენდნენ ნაკლებ აგრესიულობას, ვიდრე ის ბიჭები, რომლებიც ამ დროის განმავლობაში არააგრესიულ პროგრამებს უყურებდნენ.

აღნიშნული ექსპერიმენტის ანალოგიურად მეცნიერებმა მილგრამმა და შოტლანდმა დაასაბუთეს, რომ ტელევიზიის საშუალებით ანტისოციალურ ქცევებზე (ქურდობა, ძალადობრივი აქტები და სხვა), დაკვირვება ან არდაკვირვება არ იწვევს მსგავსი ქმედებების მომატებას ან შემცირებას. თუმცა სავსე ექსპერიმენტით მიღებული კვლევების შედეგები მოწმობს, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიდან ძალადობაზე ხშირი დაკვირვება მათი შემდგომი აგრესიის პროვოცირებას ახდენს. მოცემული ექსპერიმენტების ინტერპრეტაციამ მეცნიერებში სხვადასხვაგვარი გამოხმაურება გამოიწვია. მათ დაასაბუთეს, რომ ექსპერიმენტის პირობებში დემონსტრირებული ძალადობის სცენები ცდის პირზე გაცილებით სუსტად მოქმედებს, ვიდრე ანალოგიური, მაგრამ ტელევიზიით ნაჩვენებ არაექსპერიმენტული სცენები.

მკვლევარებმა ჩაატარეს ორი სხვადასხვა ტიპის ექსპერიმენტი - მათ სთხოვეს სამი-ოთხი წლის ბავშვების მშობლებს დაეწერათ როგორი ფილმების ყურებით იყვნენ დაინტერესებული მათი შვილები და დაკვირვებოდნენ თანატოლებთან მათ სათამაშო სიტუაციებს. მეცნიერები აცხადებდნენ, რომ ბავშვები, რომლებიც სისტემატურად უყურებდნენ ტელეგადაცემებს და განსაკუთრებით მძაფრსიუჟეტის ფილმებსა და მულტფილმებს, ასევე უფროსებისათვის განკუთვნილ გადაცემებს, იყვნენ გაუგონრები, თამაშის პერიოდში ავლენდნენ მოჭარბებულ აგრესიას და გაღიზიანებას. მეცნიერები ამ ფაქტს სხვადასხვაგვარად ხსნიდნენ. კერძოდ, ბავშვების დაბალი სოციალურ-ეკონომიური სტატუსით, ინტელექტის დაბალი IQ კოეფიციენტი და სხვა ფაქტორებით.

მეცნიერმა ფრიდმანმა კვლევების შედეგების კორელაცია ჩაატარა და აღნიშნა, რომ „თუმცა შედეგები არცთუ ისე მყარია, მაგრამ მაინც შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ ბავშვები და მოზარდები, რომლებიც ხშირად უყურებენ ან უპირატესობას ანიჭებენ ძალადობის სცენებს, უფრო აგრესიულები არიან.“

მეცნიერებმა ჰიუსმანმა, ერონმა, ლეფკოვიცმა და უოლდერმა ჩაატარეს კორელაცია 22 წლის განმავლობაში მათ მიერ ტელეპროგრამების ყურებასა და აგრესიულობაზე და დაადგინეს, რომ 8 წლის ასაკიდან აგრესიული ფილმების ყურების ჩვევა 30 წლის ასაკში მძიმე დანაშაულის ჩადენისა და სასჯელის შეფარდების კორელაციას ახდენს. 30 წლის ასაკში მათ ძალიან ფართომასშტაბიანი კრიმინალური დოსიე ჰქონდათ. აღნიშნული ეხებოდა ორივე სქესის წარმომადგენლებს, თუმცა კრიმინალური აქტიურობის საერთო დონე ქალებში ოდნავ დაბალი იყო.

აღნიშნული ექსპერიმენტებიდან შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ მძაფრსიუჟეტის ტელეგადაცემების ყურება ბავშვებში მართლაც იწვევს მოჭარბებულ აგრესიას. ბავშვები, რომლებიც რეგულარულად აკვირდებიან ძალადობას ტელეეკრანიდან, თვითონაც სწადიან ძალადობას სხვების მიმართ, რაც მომავალში შესაძლოა მათთვის სავალალო შედეგით დამთავრდეს. აღსანიშნავია, რომ ბავშვთა სარეჟიმო ცხოვრებაში აუცილებლად უნდა შედიოდეს შთაბეჭდილებათა დოზირება. როგორც კუჭის გადატვირთვა არ შეიძლება ზედმეტი საკვებით, ისე ბავშვის ნერვიული სისტემა არ უნდა გადაიტვირთოს ზედმეტი შთაბეჭდილებებით.

დღესდღეობით ასევე სერიოზული განსჯის საგანი ხდება მოზარდების მასობრივი, მეტისმეტი გატაცება კომპიუტერული თამაშებით, ინტერნეტითა და ამასთან დაკავშირებული თანამდევნი ნეგატიური ფსიქოლოგიური და სოციალური მოვლენებით. ამერიკელ ბავშვებში ჩატარებული ერთ-ერთი ბოლო კვლევის შედეგების

მიხედვით, გოგონების 2/3 და თითქმის 90 % ბიჭებისა დღეში 2-3 საათის განმავლობაში თამაშობს კომპიუტერზე. მრავალ პოპულარულ თამაშებში მოთამაშეები პერსონაჟს უჩვეულო და მეტისმეტად საშინელი მეთოდებით ხოცავენ. ტელევიზიით ნანახი ძალადობის ანალოგიურად, იგივე ხარისხით ახდენს აგრესიის პროვოცირებას ვიდეო ფილმებით გატაცებაც. თანამედროვე პირობებში ტელევიზორი და კომპიუტერი სულ უფრო მეტად ასრულებს გამაშუალებელ სოციალურ-ფსიქოლოგიურ ფუნქციას ბავშვების ერთმანეთთან და უფროსებთან (პირველ რიგში, მშობლებთან) ურთიერთობებში. სამყაროს, საზოგადოების შეცნობა ტელეეკრანისა და კომპიუტერის მეშვეობით, მიუხედავად ამ უკანასკნელის უდიდესი სოციალური ღირებულებისა, უმეტესწილად მაინც ხელოვნური და სუროგატული პროცესია და ვერ ცვლის ამ შეცნობისათვის საჭირო უშუალო და ბუნებრივ ადამიანურ, საზოგადოებრივ ურთიერთობებს. ამასთან, ტელეეკრანი და კომპიუტერული თამაშობები ბავშვებს სთავაზობს პროგრამებსა და ფილმებს ადამიანური დამოკიდებულებების მარგინალური, ექსტრემალური სტერეოტიპებით, გაჯერებულს აგრესიისა და ძალადობის ელემენტებით. სამწუხაროდ, თანამედროვე პირობებში მშობელთა მნიშვნელოვანი ნაწილი აღნიშნული გარემოების საფრთხეს ვერ აცნობიერებს და ნებაყოფლობით გადასცემს მშობლისათვის იმანენტურად დამახასიათებელ აღმზრდელობით-დიდაქტიკურ ფუნქციებს ტელე და კომპიუტერულ ეკრანს.

პრობლემა უფრო გლობალურია და ეხება ჩვენი პატარების, მომავალი თაობის მიერ თანამედროვე ტექნიკური საშუალებების რაციონალურ გამოყენებას ისე, რომ რაიმე ზიანი არ მოუვიდეს მათ ჯანმრთელობასა და განვითარებას, პირიქით, შეძლონ მაქსიმალური სარგებელი მიიღონ ამ ტექნიკასთან ურთიერთობით. ტელეგადაცემებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების ნაკადი – ბავშვთა აგრესიულობის ჩამოყალიბების ერთადერთი მიზეზი არ არის, მაგრამ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია.

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ქურხული, არჩვაძე 2021: ქურხული ლ. არჩვაძე ნ., ბავშვის ემოციების ფსიქოლოგია გამოცემლობა „მწიგნობარი.“ თბილისი, 2021.
2. ქურხული 2006: ქურხული ლ., ბავშვთა აგრესია, გამომცემლობა „საარი“. თბილისი, 2006.
3. Берковец 2002: Берковец Л. Агрессия: причины, последствия и контроль. Санкт-Петербург-Москва, «Олма Пресс», 2002.
4. Бэрон, Ричардсон 2002: Бэрон Р., Ричардсон Д. Агрессия, Секреты причин насилия. «Олма пресс». Москва, 2002.
5. Браун Дж. Кристенсен 2001: Браун Дж. Кристенсен. Теория и практика семейной психотерапии. Изд. «Питер». – Санкт-Петербург, 2001.
6. Выгодский 1983: Выгодский Л.С. Диагностика развития и педагогическая клиника трудного детства. Собр. соч., т.5.- Москва: «Педагогика», 1983.
7. Гаврилова 1984: Гаврилова Т.П.О типичных ошибках родителей в воспитании детей. – «Вопросы психологии», 1984, №1, сс. 58-66.
8. Дети социального риска и их воспитание 2003: Дети социального риска и их воспитание. Под ред. Л.М.Шипицыной. Санкт-Петербург, 2003.

**Lia Kurkhuli**  
**Doctor of Psychology**  
**Professor of Georgian National University (SEU)**

## **The role of the social network in the formation of the child's aggressive behaviour**

### **Abstract**

In most families, as soon as the child learns to sit down, he/she is placed in front of the TV screen and adults avoid contact with him/her for a significant part of the day. Television more actively replaces grandmother's fairy tales, mother's lullaby, father's conversation, etc and appears as the child's main "educational tool".

Statistics show that a child of junior school age in the US spends 25 hours a week in front of the TV screen, that means 3 hours per day in the television "society". Because of this, their relationship with adults is limited. Nowadays, excessive obsession of teenagers with computer games, the Internet and the related negative psychological and social events are also a subject of serious judgment.

**Keywords:** aggressive behaviour, violence, mass media, TV screen, computer, games, parent, child.



ნინო მოდებაძე,  
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი  
დავით მახაშვილი,  
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

## ქცევითი ინტერვენციების ეფექტურობა ინტელექტუალური დარღვევის მქონე მოსწავლეებისათვის

**რეზიუმე:** ინტელექტუალური დარღვევის მქონე მოსწავლეებში, გარდა კოგნიტური ფუნქციონირების სირთულეებისა, შეინიშნება პრობლემები სოციალური განვითარების თვალსაზრისითაც. ინტელექტუალური დარღვევების მქონე მოსწავლისათვის მხარდაჭერ სტრატეგიებში მოიაზრებენ სხვადასხვა ქცევით ინტერვენციებს, რომლებიც მეტად ეფექტურად გვეჩვენება მოსწავლეთა კომუნიკაციური და სოციალური უნარების, საზოგადოებაში აკადემიური უნარ-ჩვევების განვითარებისათვის. ინტელექტუალური დარღვევის მქონე მოსწავლეებს აღენიშნებათ პრობლემური ქცევა, როდესაც მათ არ აქვთ მხარდაჭერა თავიანთი საკომუნიკაციო, სოციალური თუ ემოციური საჭიროებებისადმი. ნაშრომში შემოთავაზებულია რამდენიმე საკვანძო ასპექტი, რომელიც უნდა გავითვალისწინოთ სასწავლო პროცესის მოდიფიკაციისას: მყუდრო, ემოციურად უსაფრთხო და მშვიდი სამუშაო ადგილი, ფუნქციური აქტივობები, სამიზნე ცნებების გააზრებაზე მრავალჯერადი მუშაობა დღის განმავლობაში, მასწავლებელ-მოსწავლის თანაფარდობა, სწავლება კეთებით, მრავალმოდალური სწავლება, უსაფრთხოების ზომები, განრიგი. ინტელექტუალური დარღვევების მქონე მოსწავლესა და სასკოლო სოციუმს შორის პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბების ხელშეწყობის სტრატეგიები, სადაც გამოიკვეთილია ისეთი საკითხები, როგორცაა: ოჯახის, სკოლისა და სოციუმის ურთიერთ-თანამშრომლობა, დიდი მხარდაჭერა ინტელექტუალური დარღვევების მქონე მოსწავლეებისათვის, რომელთაც პირველ რიგში ოჯახის, სკოლისა და საზოგადოების თანადგომა სჭირდებათ.

**საკვანძო სიტყვები:** ინტელექტუალური დარღვევა, მოსწავლე, ინტერვენცია, რთული ქცევა.

„ინტელექტუალური და განვითარების დარღვევის ამერიკული ასოციაციის განმარტებით (AAIDD) ინტელექტუალური დარღვევა არის მდგომარეობა, რომელიც ხასიათდება მნიშვნელოვანი შეზღუდვით, როგორც ინტელექტუალურ ფუნქციონირებაში, ასევე ადაპტურ ქცევაში. „ბავშვს, რომლის ინტელექტუალური ფუნქციონირება შეფერხებულია, ესაჭიროება სწავლების განსხვავებული სტილი, ვიდრე მის თანაკლასელებს, ვინაიდან მას შესაძლოა უჭირდეს რთული ინსტრუქციების გაგება და დამახსოვრება, მსჯელობა, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დანახვა და სხვა. ამიტომ, მასწავლებელი, ან აღმზრდელი სწავლების სტილს აუცილებლად უნდა არგებდეს ბავშვის საჭიროებებს“ (ბაგრატიონი-გრუზინსკი, კ. მ., ჟ, ლორთქიფანიძე, რ., & გაჩეჩილაძე, ნ. 2018).

მკვლევრებმა დაადგინეს, რომ ინტელექტუალური დარღვევის მქონე მოსწავლეებში, გარდა კოგნიტური ფუნქციონირების სირთულეებისა, შეინიშნება პრობლემები სოციალური განვითარების თვალსაზრისითაც. კერძოდ, „ხშირად შეინიშნება თანატოლებს და

მასწავლებლებთან ურთიერთობის პრობლემები, მოუმწიფებელი და ასაკობრივად შეუსაბამო ქცევები, მეგობრობისა და თანამშრომლობის დამყარების პრობლემები, დაბალი თვითღირებულების განცდა და ნეგატიური მე კონცეფცია“ (Gargiulo & Bouck, 2017).

თანამედროვე მიდგომებით მოსწავლეთა საგანმანათლებლო აქტივობებში მნიშვნელოვანი აქცენტი სწორედ მოსწავლის შესაძლებლობით სამყაროს შემეცნებასა და მასთან ინტერაქციაზე კეთდება. „ინტერაქცია კი შესაძლებელია მხოლოდ ინდივიდის ძლიერ მხარეებსა და შესაძლებლობებზე დაფუძნებული მიდგომის საშუალებით, ნაცვლად დეფიციტურ უნარებზე ორიენტირებული მიდგომისა“ (Wehmeyer, Brown, Percy, Shogren, & Fung, 2017).

თავის მხრივ, ინდივიდის ძლიერ მხარეებზე დაფუძნებული მიდგომა გულისხმობს სწავლისას შემდეგი პრინციპებით ხელმძღვანელობას:

**ა) ფოკუსი პიროვნულ განვითარებაზე** - სწავლის ძირითადი ფოკუსი არის არა ის, რა არ შეუძლია ინდივიდს ან რისი მიღწევაა მისთვის წარმოუდგენელი, არამედ ის, თუ რისი მიღწევა შეუძლია.

**ბ) ინდივიდუალური მხარდაჭერის სტრატეგიების გამოყენება** - პიროვნებაზე ორიენტირებული დაგეგმვა, განვითარებისა და ზრდის პიროვნული შესაძლებლობები, თვითდეტერმინაცია, სოციალური ინკლუზია და ა.შ ყველა ეს მხარდაჭერა განისაზღვრება როგორც რესურსი ან სტრატეგია, რომელიც მორგებულია კონკრეტულად ინდივიდზე და მიმართულია მისი ყოველდღიური ცხოვრების პროცესში სწავლის, განვითარების, ფუნქციონირების, ინტერესებისა და კეთილდღეობის მხარდაჭერისკენ“ (Thompson & Spenceley, 2019).

მხარდაჭერის სტრატეგიები არის ძალიან მნიშვნელოვანი რგოლი, რომელიც ასრულებს შემაერთებელი ხიდის როლს „რაც არის“, იმასა და „რა უნდა იყოს“, იმას შორის (Wehmeyer, Brown, Percy, Shogren, & Fung, 2017).

ამ საკითხის სპეციალისტები და მკვლევრები, გამომდინარე თანამედროვე კვლევებზე დაფუძნებული მტკიცებულებებიდან, აღიარებენ, რომ ინტელექტუალური დარღვევების მქონე მოსწავლისათვის, რომელსაც აკადემიური და ადაპტური ფუნქციონირების სხვადასხვა პრობლემები აქვს, დაგეგმილი სასწავლო შედეგების მიღწევისათვის მხარდაჭერის სტრატეგიებში მოიაზრებენ სხვადასხვა ქცევით ინტერვენციებს, რომლებიც მეტად ეფექტურად გვეჩვენება მოსწავლეთა კომუნიკაციური და სოციალური უნარების თუ ყოველდღიური ცხოვრების აქტივობების, საზოგადოებაში აკადემიური უნარ-ჩვევების განვითარებისათვის. მკვლევართა აზრით, როდესაც მათ არ ასწავლიან უნარ-ჩვევებს, რათა ეფექტურად განახორციელონ ესა თუ ის აქტივობა, ამის გამო მოსწავლეებში ისადაგურებს პასიურობა და მოწყენილობა, რაც თავისთავად აისახება ცხოვრების ხარისხზე და ხშირად იწვევს ქცევით სირთულეებს. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ემერსონის და ჰატონის კვლევა (2007 წელს), რომლებიც ასკვნიან, რომ უნარ-ჩვევების განმავითარებელი ქცევითი მეთოდები გამოიყენება იმ უნარ-ჩვევების სწავლისათვის, რითაც ზემოთხსენებულ სიტუაციებს უკეთ მართავენ. მათი აზრით, განვითარებული უნარები აუმჯობესებენ ყოველდღიურობას და შესაბამისად, ცხოვრების ხარისხსაც. ქცევითი ინტერვენციები მაშინაც არის გამოსადეგი, როდესაც ინტელექტუალური დარღვევის მქონე მოსწავლეებს პრობლემური ქცევა აქვთ. ჩრდილოეთ ამერიკაში ჩატარებული კვლევების თანახმად, ინტელექტუალური დარღვევის მქონე მოსწავლეების ერთი მესამედი და ნახევარიც კი ავლენენ პრობლემური ქცევის რაღაც ფორმაც მაინც, რაც თავის მხრივ ზრდის სოციალური იზოლაციის რისკს დ

აქვეითებს ცხოვრების ხარისხს. ინტელექტუალური დარღვევის მქონე მოსწავლეებს უფრო მეტად მაშინ აღვნიშნებთ პრობლემური ქცევა, როდესაც მათ არ აქვთ მხარდაჭერა თავიანთი საკომუნიკაციო, კოგნიტური, სოციალური თუ ემოციური საჭიროებებისადმი. მაგ, პიროვნებებს, რომელთა საკომუნიკაციო მოთხოვნებისადმი მხარდაჭერა არ ექნებათ, სათანადო საკომუნიკაციო სისტემით, შესაძლოა ჰქონდეთ პრობლემური ქცევა, რათა თავიანთი საჭიროებები და სურვილები ყველასთვის ნათელი გახადონ. უფრო მეტიც, ზოგმა ადამიანმა გარკვეული დროის მანძილზე გაითავისა, რომ პრობლემური ქცევა ეფექტური გზაა იმ გარემოში ცვლილებების შესატანად, სადაც მათ არჩევანის თავისუფლების და ძალაუფლების ნაკლებობა აქვთ. ასე რომ, მეტად მნიშვნელოვანია ქცევის შეფასებისა და ინტერვენციების განხილვისას ყურადღება გამახვილდეს პიროვნების მხარდაჭერის საჭიროებებზე და გარემოზე, რომელიც შეამსუბუქებდა პიროვნების მიერ გამოვლენილ პრობლემური ქცევას. მულტინაციონალური მოსახლეობის კვლევაში, რომელიც გამოქვეყნდა 2000-2008 წწ, როჯანმა და მეიერმა აღმოაჩინეს პრობლემური ქცევის ცვალებადი სიხშირე (0.1%-23%). პრობლემური ქცევის მთავარ კატეგორიაში ყველაზე დიდი სიჭარბით გამოიკვეთა აგრესიული ქცევა(6%-32%). შედარებით ნაკლებმა რაოდენობამ გამოავლინა თვითდამაზიანებელი ქცევა(4-21%), კიდევ უფრო ნაკლები რაოდენობა მიენიჭა დესტრუქციულ ქცევას(2-19%). კვლევები ჩატარდა როგორც ბავშვებზე, ისევე მოზარდებზე. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ასეთმა ქცევამ შესაძლოა იმოქმედოს სოციალურ ურთიერთობებსა და ცხოვრების ხარისხზე და გაზარდოს სტრესის დონე; ასევე, ინტელექტუალური დარღვევის მქონეთა მზრუნველთათვის/მეურვეთათვის გაზარდოს საზრუნავიც. ამ სტრესს პირდაპირი გავლენა აქვს ინტელექტუალური დარღვევის მქონე ადამიანებზე და მათ მზრუნველებზე. სანამ ქცევის შეცვლას შევეცდებით, მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ, თუ რატომ წარმოადგენს ის პრობლემას. ეთიკური საქციელი ნამდვილად არ იქნება, მიზნად დავისახოთ ქცევის შეცვლა მხოლოდ იმიტომ, რომ ის „შემაწუხებელია“. თუმცადა, ზოგიერთი ქცევა, შესაძლოა მიჩნეულ იქნას პრობლემურ ქცევად, თუ ის გამოიწვევს მოსწავლის, ან მის გარშემო მყოფის ფიზიკურ დაზიანებას, ან/და სწავლისა და საზოგადოებაში ჩართულობის შესაძლებლობებს შეძლუდავს. სხვა მნიშვნელოვანი მიზეზი, რის გამოც კონკრეტული ქცევის გამოსწორებას უნდა მივმართოთ, არის ის, რომ თვითონ პიროვნება გამოხატავს ცვლილების სურვილს. უნდა ავღნიშნოთ ისიც, რომ უსაქციელობის დროს (როგორცაა დარტყმა, ყვირილი), პასიურობა ქცევაში ასევე საჭიროებს ინტერვენციას. ქცევითი ინტერვენციები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გამოიყენება ახალი უნარ-ჩვევების სასწავლებლად, რომელთა შორისაა: კომუნიკაციური უნარ-ჩვევები, სოციალური უნარები, ჩაცმის, ჭამის და გართობის უნარებიც კი. მოსწავლეთა შეზღუდული შესაძლებლობების სფეროში ექსპერტთა უმეტესობა ხაზს უსვამს სისტემური პროცედურების საჭიროებას ამ მოსწავლეებისათვის, რომელიც გულისხმობს ყურადღებით დაგეგმილ და პირდაპირ სტრატეგიებს, რომლებიც გამოიყენება ქცევისა და უნარების სწავლის, უნარების შესანარჩუნებლად და უნარების განზოგადებისთვის სხვა გარემოზე, საქმიანობაზე და ადამიანებზე.

ინტელექტუალური განვითარების დარღვევის მქონე მოსწავლეებს ესაჭიროებათ გარკვეული მხარდაჭერა და ადაპტაცია როგორც სასწავლო გარემოში, ასევე აქტივობების ტიპოლოგიისა და სპეციფიკის თვალსაზრისით. ქვემოთ შემოთავაზებულია რამდენიმე საკვანძო ასპექტი, რომელიც უნდა გავითვალისწინოთ სასწავლო პროცესის მოდიფიკაციისას (therapytravelers.com, 2020):

**მყუდრო, ემოციურად უსაფრთხო და მშვიდი სამუშაო ადგილი** - მოსწავლეებს სჭირდებათ მშვიდი სასწავლო სივრცე, სადაც შეძლებენ ყურადღების კონცენტრირებას მიზნობრივ პროცესებზე და სწავლის რუტინის გამომუშავებას.

**ფუნქციური აქტივობები** - მოსწავლეების სწავლებისას მნიშვნელოვანი სასწავლო მიზანი არის ფუნქციური და პრაქტიკული უნარებისა და ცოდნის შექმნა, რომელიც დაეხმარება მოსწავლეს ყოველდღიური პრობლემებისა და გამოწვევების გადაჭრაში.

**სამიზნე ცნებების გააზრებაზე მრავალჯერადი მუშაობა დღის განმავლობაში** - ინტელექტუალური განვითარების დარღვევის მქონე მოსწავლეების გაგებისა და გააზრების პროცესები ხშირად გაძნელებული და ატიპიურია განზოგადების და ტრანსფერის პრობლემების გამო. მნიშვნელოვანია მოსწავლეებმა დღის განმავლობაში ცნების დასამუშავებლად განახორციელონ განმეორებითი მცდელობები და აქტივობები. სხვადასხვა გზით და მრავალჯერადად დამუშავებული კონცეფციები უფრო მეტად მისაწვდომია მათთვის.

**მასწავლებელ-მოსწავლის თანაფარდობა** - საერთაშორისო გამოცდილებით, სასურველია ინტელექტუალური განვითარების დარღვევის მქონე ყოველ 3 ბავშვზე მინიმუმ 1 მასწავლებელი უნდა იყოს მობილიზებული.

**სწავლება კეთებით, მრავალმოდალური სწავლება**-მნიშვნელოვანია სწავლის პროცესში გამოყენებული იქნეს შეგრძნებების რაც შეიძლება მეტი არხი, იქნება ეს ვიზუალური, ტაქტილური, აუდიალური, კინესთეტიკური თუ სხვა. მრავალმხრივი წარმოდგენები დაეხმარებათ მოსწავლეებს ინფორმაციის აღქმასა და შენარჩუნებაში.

**უსაფრთხოების ზომები**-ბასრი მაკრატელი, დანები და ა.შ უნდა ინახებოდეს მოსწავლისათვის მიუწვდომელ ადგილას. მავნე სითხეები, როგორცაა საწმენდი სითხეები, მედიკამენტები და სხვა, ასევე უნდა ინახებოდეს მოსწავლეებისგან შორს. ამას გარდა, მნიშვნელოვანია გაკონტროლდეს სივრცეების უსაფრთხოება, მაგ., ბავშვებმა ვერ უნდა მოახერხონ ოთახში ჩაკეტვა. პატარა ფიგურები, მძივები ან სათამაშოს სხვა ნაწილები, ასევე დაცული უნდა იყოს. თუ მოსწავლეს აქვს კრუნჩხვები, შეიძლება დაგვჭირდეს ავეჯის კუთხეების დაფარვა, რათა თავიდან ავაცილოთ დაზიანება.

**განრიგი**-ინტელექტუალური განვითარების დარღვევის მქონე მოსწავლეების სწავლებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს დღის რუტინას და განრიგს. განრიგის შედგენისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ აქტივობების დრო არ იყოს ხანგრძლივი და მონაცვლეობდეს აქტიური და ჯდომითი აქტივობები. განრიგში ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს თვითმომსახურების ზოგიერთი ასპექტი, რომლითაც შესაძლებელია დარეგულირდეს მოსწავლეების საპირფარეშოს მოხმარების და ჰიგიენის წესების დაცვა.

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები უფრო მეტად, ვიდრე სხვა ბავშვები, მშობლებისა და სხვათა წინაშე გამოთქვამენ დამოუკიდებლობისა და ავტონომიურობის სურვილს, დაცულობის გასაგებ სურვილს“ (Connors and Stalker, 2003; Lewis et al, 2007). ესაა საჭიროება, რომ იყვნენ მთლიანი საზოგადოების ნაწილი, ჰქონდეთ მხარდაჭერა დამოუკიდებლობისკენ მიმავალ გზაზე. შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვები გამოხატავენ ძლიერ სურვილს, რომ შეუერთდნენ ამხანაგებს არაფორმალურ და არასტრუქტურულ სიტუაციებში. საგაკვეთილო აქტივობების პარალელურად, მოსწავლე შეიძლება ჩართული იყოს სპეციალურ აქტივობებში (მაგ: სასკოლო და სკოლათაშორისი ღონისძიება, ხელოვნებაზე დაფუძნებული ჯგუფები, სპორტის ჯგუფები და სხვა).

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ გარდამავალ ეტაპზე, მოსწავლეებს სოციალური კონტექსტების შეცვლა ემუქრებათ; ამიტომ, მოსწავლეების დახმარებას ტრანზიციის

პროგრამებმა უნდა შეუწყონ ხელი, რომელიც აღიარებს ცვლილებას და იმ ცვლილების გავლენას, რომელიც ერთდროულად ხდება და ამავე დროს, ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის პოზიტიური თვითშეფასების აღიარებას, მოტივაციასა და ახალ გარემოში მიკუთვნების განცდას.

ინტელექტუალური დარღვევის მქონე მოსწავლეს, ხშირ შემთხვევაში არ შეუძლია ეფექტურად მოახდინოს გადმოცემა, რასაც სკოლაში აკეთებდა, ან გადმოსცეს მისი განცდა სკოლის გამოცდილების შესახებ. მშობლის/ მეურვის / მზრუნველის შფოთვა ხშირად შეიძლება შემცირდეს სკოლის ეფექტური კომუნიკაციით. თუ სკოლას შეუძლია მშობლის / მეურვის / მზრუნველის პროაქტიულად ინფორმირება, ოჯახი იგრძნობს სკოლის მხარდაჭერას.

თუ მათთან რეგულარული კონტაქტი რთულია, შეიძლება შეიქმნას საკომუნიკაციო დღიური / წიგნი, რომ გააზიაროთ ინფორმაცია ისეთი საკითხების შესახებ, როგორებიცაა: საშინაო დავალება, საკლასო სამუშაო, წარმატება, მომავალი ღონისძიებები და ექსკურსიის ფულის მოთხოვნები. ოჯახის წევრებს უნდა იყვნენ წახალისებული, რომ ჩაიწერონ ინფორმაცია იმის შესახებ, მოსწავლეებს რა მოსწონთ, არ მოსწონთ, მათი სახლში საქმიანობის შესახებ, რათა მჭიდრო კავშირი აიგოს მოსწავლის სახლში და სკოლაში გამოცდილებას შორის. ეს საკომუნიკაციო ინსტრუმენტი შეიძლება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყოს ტრანზიციის დროს, რათა უზრუნველყოს ნებისმიერი საკითხის ადრეული იდენტიფიცირება.

ინტელექტუალური დარღვევების მქონე მოსწავლესა და სასკოლო სოციუმს შორის პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბების ხელშეწყობის სტრატეგიები, სადაც გამოიკვეთილია ისეთი საკითხები, როგორიცაა: ოჯახის, სკოლისა და სოციუმის ურთიერთთანამშრომლობა, დიდი მხარდაჭერა ინტელექტუალური დარღვევების მქონე მოსწავლეებისათვის, რომელთაც პირველ რიგში ოჯახის, სკოლისა და საზოგადოების თანადგომა სჭირდებათ.

ამრიგად, ჩვენს მიერ გამოკვეთილი ინტერვენციები, რომლებიც ინტელექტუალური დარღვევის მქონე მოსწავლეთა სოციალური უნარების განვითარებაზეა ორიენტირებული, მათ მიერ გამოვლენილ რთულ ქცევას ამცირებს და საზოგადოებაში თანაცხოვრების ეფექტურობას ამაღლებს, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში აკადემიური უნარების განვითარებასაც უწყობს ხელს.

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

ბაგრატიონი-გრუზინსკი, კ. მ., ჟ, ლორთქიფანიძე, რ., & გაჩეჩილაძე, ნ. 2018: გზა-მკვლევი სპეციალური მასწავლებლებისთვის. თბილისი.

Chall, J. S. (1996). *Stages of Reading Development*. Harcourt Brace College Publishers.

Downing, J., & Ryndak, J. (2010). *Academic Instruction for students with Moderate And Severe Intellectual disabilities in Inclusive Classrooms*. United States of America.: Copyright© 2010 by Corwin.

Gargiulo, R. M., & Bouck, E. C. (2017). *Instructional strategies for students with mild, moderate, and severe intellectual disability*. Sage Publications.

„Family, School and Community Partnerships for Students with Disabilities”; *Advancing Inclusive and special Education*; Editors: Lusa Lo, University of Massachusetts, Boston, MA, USA; Yaoing Xu, Virginia Commonwealth university, Richmond, VA, USA; ISSN 2524-8219; 2019.

June R. Downing; Foreword By Diane Ryndak; „Academic Instruction for students with Moderate and Severe Intellectual Disabilities in Inclusive Classrooms”; Printed in the United States of America; ISBN 978-4129-7142-3; Copyright © 2010 by Corwin

Handbook of Research-Based Practices for Educating Students with Intellectual Disability; Edited by Michael L. Wehmeyer and Karrie A. Shogren; First published 2017. © 2017 Taylor & Francis.

Kazdin, A. E. (1980). Acceptability of alternative treatments for deviant child behavior. *Journal of applied behavior analysis*, 13(2), 259-273.

Levine, L. E., & Munsch, J. (2010). *Child development: An active learning approach: An active learning approach*. Sage.

McClelland, M. M., & Cameron, C. E. (2011). Self-regulation and academic achievement in elementary school children. *New directions for child and adolescent development*, (133), 29-44.

Schalock, R. L., & Verdugo, M. A. (2013). Schalock, R. L., & Verdugo, M. A. (2013). The transformation of disabilities organizations. *Intellectual and Developmental Disabilities*, 51(4), 273-286.

Taylor, R., Smiley, L., & Richards, S. (2019). *Exceptional Students: Preparing Teachers for the 21st Century*.

*therapytravelers.com*. (2020). Retrieved from <https://www.therapytravelers.com/strategies-teaching-students-intellectual-disabilities/>

Wehmeyer, M. L., Brown, I., Percy, M. E., Shogren, K. A., & Fung, W. L. (2017). *A comprehensive guide to intellectual and developmental disabilities*. Paul H. Brookes Publishing, Company.

**Nino Modebadze,**  
**Professor at Iakob Gogebashvili Telavi State University, Faculty of Education Sciences**  
**Davit Makhashvili,**  
**Professor at Iakob Gogebashvili Telavi State University, Faculty of Education Sciences**

## **Efficiency of behavioral interventions for students having intellectual disorders**

### **Abstract**

In students having intellectual disorders, besides difficulties of cognitive functionality, there also appear problems in terms of social development. In supportive strategies for students having intellectual disorders various behavioral interventions are observed which we consider are quite efficient for developing students' communicative, social and academic skills in society. Students having intellectual disorders have problematic behavior when they don't have support towards their communicative, social and emotional needs. The article deals with several key aspects which we should take into account for learning process modification: comfortable, emotionally safe and peaceful working place, functional activities, hard work on understanding target notions throughout the day, ratio of teacher and student, learning by doing, multimodal teaching, safety measures, schedule. Promotion strategies for building positive relationship between students having intellectual disabilities and school society where the following issues are distinguished: family, school and society cooperation. They truly are great support for intellectually disabled students who first of all need support from family, school and society.

**Key words:** intellectual disorder, student, intervention, difficult behavior.

# განათლებისა და პედაგოგიკის ისტორია

იმერი ბასილაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

შალვა კითაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

## ახალი სკოლის იდეების გავრცელება XX საუკუნის დასაწყისის საქართველოში და მათი დანერგვის მეთოდოლოგია ქუთაისის რეალური სასწავლებლის მაგალითზე

*რეზიუმე:* მეოცე საუკუნის დასაწყისში საქართველოში დაიწყო „ახალი სკოლის“ იდეის დანერგვა და განვითარება, რამაც შესაბამისი გამოძახილი პოვა ქუთაისის რეალურ სასწავლებელში. სასწავლებლის ხელმძღვანელობა და მასწავლებლები ცდილობდნენ შემოეტანათ ახალი სასწავლო საგნები და დაენერგათ სწავლების ახალი მეთოდოლოგია. დიდ ყურადღებას აქცევდნენ სწავლების პროცესში მოსწავლეთა მოტივაციას, ყურადღების მობილიზაციას, გაკვეთილის ჩატარების დიდაქტიკურ პრინციპებს და ექსკურსიას, როგორც სასწავლო მეთოდს.

*საკვანძო სიტყვები:* ახალი სკოლის იდეა, პაპემაშე, ექსკურსია როგორც სწავლების მეთოდი, მოტივაცია, გამოცდილების შესწავლა.

მეოცე საუკუნის დასაწყისში საქართველოში დაიწყო „ახალი სკოლის“ იდეის დანერგვა და განვითარება. ბავშვთა შრომითი აღზრდის პედაგოგიკურ იდეას აყენებდნენ და იცავდნენ ჯერ კიდევ ჯონ ბელერსი (1664-1725), ჟან ჟაკ რუსო (1712-1778), ჰენრიხ პესტალოცი (1746-1827), რობერტ ოუენი (1771-1858). უნდა აღვნიშნოთ, რომ ჰ. პესტალოცი და რ. ოუენი პრაქტიკულადაც ახორციელებდნენ ცხოვრებაში. მეოცე საუკუნის დასაწყისში შრომითი აღზრდის იდეას ქადაგებდნენ გ. კერშენშტაინერი (1854-1932), ვ. ლაი (1862-1926), ჯ. დიუი (1859-1952) და სხვა. მასწავლებელთა ნაწილში გავრცელდა ე. წ. „მოქმედების სკოლის“, ხოლო მეორე ნაწილში „შრომის სკოლის“ იდეა. მათი აზრით, ბავშვები შორიდან კი არ შეხედავდნენ საგნებსა და მოვლენებს, არამედ გრძნობათა ორგანოების განვითარებისა და შთაბეჭდილებათ გამდიდრების მიზნით, თვით მიიღებდნენ სასკოლო შრომაში (ნაკვეთზე მუშაობა, შრომა, ხაზვა-ხატვა, ცეკვა-სიმღეა) აქტიურ მონაწილეობას.

დიმიტრი უზნაძის აზრით, „იდეას ხელმა უნდა მისცეს გამოხატულება. ბუნების-მეტყველების სფეროში ეს უნდა ხდებოდეს ბაღში, ბოსტანში, სამზარეულოში, ხის მასალაზე და ლითონზეც, ხოლო ჰუმანიტარულ სფეროში ხატვის, ძეგლის და ჭრა-კერვის საშუალებით. სამზარეულომ და ბაღმა შეიძლება აქაც დახმარება გაგვიწიოს, აგრეთვე დურგლობამაც. ერთი სიტყვით პრინციპი ერთია: რაც ბავშვს შეათვისებინე, ის უსათუოდ საქმეში გააკეთებინე. ამას სხვა მხრივაც მნიშვნელობა აქვს, მაგრამ უმთავრესად ასეთი ხელსაქმის მოწყობის აზრი ის არის, რომ ამით ადამიანის ნებისყოფა ვარჯიშობს და მცონარობას ნიადადაგი ეფიტება“ (სიგუა 1969: 201).

ლუარსაბ ბოცვაძე მოითხოვდა სკოლებში ხელგარჯილობის შემოღება. მას მიაჩნდა, რომ ის ხელს შეუწყობდა ბავშვთა ფიზიკური და სულიერი ძალების, ინტელექტუალური უნარისა და ნებისყოფითი ინიციატივის განვითარებას, პიროვნების ყოველმხრივ აღზრდას, მისი საზოგადოებრივი შეგნების გაფართოებას“ (სარიშვილი 1956: 184).

ამრიგად, შრომა აღიარებული იქნა აღზრდის საუკეთესო საშუალებად და სწავლების ეფექტურ მეთოდად. როგორი იყო მისი შინაარსი, ფორმები და მეთოდები სათანადოდ განხილული და გაშუქებული არ ყოფილა.

ზემოთთქმულიდან გამომდინარე, შრომის სკოლის ახალი იდეების გავრცელებამ საქართველოში, განაპირობა ქუთაისის რეალურ სასწავლებელში შრომითი სწავლების მაღალ დონეზე დაყენება.

1910 წლის 6 აპრილს ქუთაისის რეალური სასწავლებლის შენობაში შედგა სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დირექტორი მ. გლუშაკოვი, სახალხო სასწავლებლების დირექტორი ლ. სემიონოვი, წმინდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებლის ინსპექტორი კ. ლოლობერიძე, ამავე სასწავლებლის ხელმძღვანელი (ნაჩალნიცა) მ. ტიმოშენკო-იარემენკო, ქუთაისის ქალთა გიმნაზიის ხელმძღვანელი (ნაჩალნიცა) ა. ხრჭანოვსკი, სასწავლო ოლქის ინსპექტორი ივ. შინევი. სხდომაზე იმსჯელეს ქუთაისის რეალურ სასწავლებელში ძერწვისა და პაპიემაშეს კურსების გახსნასთან დაკავშირებით. აღინიშნა, რომ ძერწვის სასწავლო კურსი იყო ხელით შრომის ახალი დარგი, რომლის მიზანი იყო ესწავლებინა ხელის შრომის თავისებურებანი, მიზნები, ამოცანები და მეთოდოლოგია ქუთაისის გუბერნიის მასწავლებელთა და მოსწავლეთათვის. აგრეთვე ორივე სქესის კერძო პირებისათვის. კურსების ხელმძღვანელად მოწვეულ იქნა სასწავლო ოლქის ინსპექტორი ივ. შინევი. სწავლა მიმდინარეობდა საკლასო მეცადინეობებიდან თავისუფალ დროს. მეცადინეობები ტარდებოდა დღის მეორე ნახევარში 2 საათის განმავლობაში. მოსწავლეთათვის სწავლება იყო უფასო, კერძო პირებისათვის კი ფასიანი \_10 მანეთი. კურსებზე ჩარიცხვის სურვილი გამოთქვა 145-მა მსურველმა სხვადასხვა სასწავლებლებიდან. კურსებმა მუშაობა დაიწყო 1910 წლის 1 აპრილის ბოლოდან“ (ქვაფონდი № 20, საქმე № 151, ფურც.7- 8).

კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი ზრუნავდა კავკასიაში ტექნიკური ცოდნისა და კუსტარული სარეწის განვითარებაზე, ამიტომ მოაწყო ტექნიკური და სპეციალური ცოდნის კურსები და ამით ცდილობდა გავლენა მოეხდინათ კავკასიაში კუსტარული სარეწების უსწრაფეს დანერგვასა და განმტკიცებაზე.

კურსების მიზანი იყო საშუალო და დაბალი სკოლის მასწავლებელთა და მოსწავლეთათვის პაპემაშესგან სასწავლო თვალსაჩინოებისა და სათამაშოების დამზადების წესის გაცნობა, რითაც თითოეულ მასწავლებელს საშუალება ეძლეოდა ესწავლა მისთვის საჭირო თვალსაჩინოების დამზადება.

„კავკასიაში ხელით შრომის ეს სახეობა გავრცელდა 1908 წლიდან. პირველი ასეთი კურსები იყო თბილისში 1908 წელს, კურსები გრძელდებოდა სამთვენახევარი 15 სექტემბრიდან 1 იანვრამდე. ამ კურსებმა ნათლად უჩვენა შრომის, ამ სახეობის მიზანშეწონილობა და საჭიროება სასკოლო ცხოვრებაში. 1909 წელს კურსები გამეორდა ყუბანის ოლქში ქ. ეკატერინოდარსა და ანაპაში. მიმდინარე წელს სულ ახლახან დასრულდა კურსები ბათუმში, სადაც მონაწილეთა რაოდენობა არ იყო დიდი, მაგრამ კურსებს



წარმატება ჰქონდა, უკვე გახსნილია სამ სასწავლებელთან არსებული და 1 კერძო სახელოსნო“ (ქცა,ფონდი № 20, საქმე № 151, ფურც. 6-7).

პაპემაშესგან საგნების წარმოება სხვა არაფერია, თუ არა სხვადასხვა ნივთების დამზადება სპეციალური წესით დამუშავებული ქაღალდისაგან, აგრეთვე ზოგიერთი სპეციალური ნივთიერებისაგან, რომელთა მთავარ შემადგენელ ნაწილს სხვა ნივთიერებებთან ერთად აგრეთვე ქაღალდი წარმოადგენს. ეს წარმოება თავის სიმარტივის გამო ყველასათვის მისაწვდომია; იგი არ მოითხოვს განსაკუთრებულ ხარჯებს, გარდა ამისა მას გააჩნია შეუდარებელი თვისებები, რომელთა ათასნაირი საგნების დამზადების საშუალებას იძლევიან.

ამ კურსებმა მეტად პოპულარული გახადა პაპემაშეს წარმოება და სწორედ ამ პოპულარობამ განაპირობა რეალურ სასწავლებელში სპეციალური ხელითშრომის კლასის და კაბინეტის ჩამოყალიბება. კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის გადაწყვეტილებით ქუთაისის რეალურ სასწავლებელში შეიქმნა სასწავლო კაბინეტი. „ხელით შრომის კაბინეტის გამგედ და მასწავლებლად დაინიშნა ცაგერის დაწყებითი სასწავლებლის მასწავლებელი იასონ გელაზანია“ (ქცა,ფონდი № 20, საქმე № 1, ფურც. 1-74). შრომის კაბინეტში უნდა ესწავლათ ქუთაისის სხვა საშუალო სასწავლებლების მოსწავლეებს.

“სასწავლებლის ხელით შრომის კლასი გაიხსნა 1912 წლის 1 სექტემბერს. მასწავლებლის ანაზღაურება ხდებოდა სპეციალური სახსრებით იმ სასწავლებელთა ფონდებიდან, რომელთა მოსწავლეებიც ისწავლიდნენ ამ კლასში. სწავლის საფასური იყო თვეში 2 მანეთი. მეცადინეობა ყოველდღიურად იწყებოდა ნაშუადღევს. ყოველი ჯგუფის მეცადინეობა 2 საათამდე გრძელდებოდა. კვირეული დატვირთვა თითოეული ჯგუფისა არ აღემატებოდა 6 საათს. მოსწავლეთა რიცხვი დამოკიდებული იყო მსურველთა რიცხვზე და იმაზე, თუ რამდენ მოსწავლეზე იქნებოდა მოწყობილი შრომითი კლასი. მოსწავლეების მიერ დამუშავებული საგნები და ნივთები ინახებოდა სასწავლებლის მუზეუმში. სასწავლო წლის ბოლოს გამოფენის შემდეგ ისინი უბრუნდებოდნენ მოსწავლეებს. ნამუშევრები მათ საკუთრებას წარმოადგენდა“ (ქცა,ფონდი № 20, საქმე № 223, ფურც.4-5).

„კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველმა გამოჰყო თანხა 212 მანეთი სასწავლო კაბინეტისათვის ყველა საჭირო იარაღის შესაძენად. იარაღები გამოიწერეს მოსკოვიდან, რობერტ ვენცის საწყობიდან, მაგრამ გამოყოფილი თანხა საკმარისი არ აღმოჩნდა. სულ იარაღების შესაძენად დაიხარჯა 700 მანეთი. 1912 წლის 26 სექტემბერს რეალური სასწავლებლის დირექტორი ნ. ამოსოვი კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს ნიკოლოზ რუდოლფს ატყობინებს, რომ ამ დღეს გაიხსნა ხელით შრომის კლასი“ (ქცა, ფონდი № 20, საქმე № 223, ფურც. 15-20). სწავლება მიმდინარეობდა სამი წლის განმავლობაში.

რეალური სასწავლებლის შრომით კლასში სწავლის სურვილი გამოთქვეს: „1) ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიიდან 20-მა მოსწავლემ, მათთვის გაკვეთილები ტარდებოდა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევს 4-დან 5 საათამდე; 2) ქუთაისის რეალური სასწავლებლიდან 20-მა მოსწავლემ, გაკვეთილები ტარდებოდა სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს. 4-დან 5 საათამდე; 3) ქართული გიმნაზიიდან /სათავადაზნაურო/ - 20-მა მოსწავლემ, მათთვის მუშაობა ტარდებოდა სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს 5-დან 6 საათამდე; 4) წმინდა ნინოს სასწავლებლიდან 10-მა მოსწავლემ; 5) ქუთაისის ქალთა გიმნაზიიდან 10-მა მოსწავლემ, მათთვის გაკვეთილები ტარდებოდა კვირაობით 11-დან 2

საათამდე. თითოეული ჯგუფი შედგებოდა 12 მოსწავლისაგან“ (ქცა, ფონდი № 20, საქმე № 223, ფურც. 42).

ძირითადად აქ ასწავლიდნენ ძერწვას. განმარტებით ბარათში ახსნილი იყო: „ძერწვის სწავლების მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ მოსწავლეს ვასწავლოთ შეგნებულად დააკვირდეს და გამოსახოს საგანთა ფორმა არა მხოლოდ სხვებისათვის გასაგებად, არამედ შეძლებისდაგვარად მოხდენილადაც, ესთეტიკური გემოვნების გათვალისწინებით. ყველაზე დიდი ყურადღება დაეთმობა ძერწვას თიხისაგან, რადგან მხოლოდ ხატვით ვერ მიაღწევ საგანთა ყოველმხრივ შესწავლას, ამიტომ აუცილებელია ძერწვაში ხანგრძლივი ვარჯიში. ძერწვის დროს ცოცხალი წარმოდგენა იქმნება მხოლოდ მხედველობითი შთაბეჭდილებით, აგრეთვე შეხებითაც. თუ მხატვრობას ხშირად აზრის გამოხატვის საშუალებას უწოდებენ, იგივე შეიძლება ითქვას ძერწვაზეც და უფრო მეტადაც კი“ (ქცა, ფონდი № 20, საქმე № 151, ფურც. 34).

ძერწვის პროგრამა შედგებოდა ორი ნაწილისაგან. **პირველი საფეხური** მოიცავდა ელემენტარულ ფორმებზე ვარჯიშს - წრეები, ბურთები, სპირალები, გეომეტრიული სხეულებისა და მარტივი ჭურჭელის მოდელები. ამ საფეხურზე მთავარი ყურადღება ეთმობოდა იმას, რომ ბავშვებმა შეძლონ თითოეული საგნის ძირითადი არსის გადმოცემა დეტალების გარეშე.

**მეორე საფეხური** - ძერწვა თაბაშირის ორნამენტებისგან, რომლებიც შერჩეულია სასწავლებელში არსებული თვალსაჩინოებებიდან.

**მესამე საფეხური** - რადგან სილამაზის შეგრძნებას ბავშვებში ცოცხალი ბუნება იწვევს, ამიტომ სანამ მათ ბერძნული ხელოვნების სიდიდეს გავაცნობთ, მანამდე უნდა აღვუძღვრათ მათ მისწრაფება სილამაზისაკენ, რომელიც არსებობს ყველა ყვავილში, ფოთოლში, სიცოცხლის ყველა უთვალავ ფორმაში. ამიტომ პროგრამის მესამე საფეხურზე შედის მცენარეებისა და ცხოველების ფორმები.

**მეოთხე საფეხური** - ანატომიური მოდელები, ძერწვა ნახატებიდან მეხსიერებისა და შთაბეჭდილებების მიხედვით. ამ საფეხურზე მოხდება მოსწავლეთა დაყოფა ჯგუფებად. თითოეულ ჯგუფს ეძლეოდა თემები, რომელიც შერჩეული იყო ზღაპრებიდან, ანდაზებიდან და მოთხორბებიდან“ (ქცა, ფონდი № 20, საქმე № 151, ფურც. 34-40).

„1913-14 საწავლო წლისათვის სხვადასხვა სასწავლებლიდან სახელოსნოში ყოველთვიურად დადიოდა რეალური სასწავლებლიდან 30 ვაჟი, ვაჟთა გიმნაზიიდან - 12, თავადაზნაურთა გიმნაზიიდან - 20“ ( ქცა, ფონდი № 20, საქმე № 260, ფურც. 60).

განათლების სამინისტრო და კავკასიის სასწავლო ოლქის ადმინისტრაცია რიგ ღონისძიებებს ატარებდა სასწავლო მუშაობის დარგში მოსწავლეთა ცოდნის დონის ამალღების მიზნით. რეალურ სასწავლებლებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა წერითი სამუშაოების ხარისხის ამალღებას. ანალიზი უკეთდებოდა და ჯამდებოდა მოსწავლეთა მიერ გამოცდების დროს შესრულებული წერითი ნამუშევრები.

სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხის ასამალღებლად განსაკუთრებული ყურადღება მიექცა კლასგარეშე პრაქტიკული მეცადინეობებისა და ექსკურსიების შემოღებას. კლასგარეშე პრაქტიკული მეცადინეობა ტარდებოდა ძირითად სასწავლო დისციპლინებში პრაქტიკულ-ლაბორატორიული მუშაობების სახით, რომლის პროგრამას თვითონ რეალური სასწავლებლის ადმინისტრაცია ადგენდა. ამ სახის მუშაობად ითვლებოდა რეფერატების წერა, კითხვა და განხილვა. მოსწავლეთა მიერ შესრულებული საუკეთესო რეფერატი იბეჭდებოდა კავკასიის სასწავლო ოლქის ცირკულარების დამატებაში.

1909 წელს გამოვიდა წიგნი „მოსწავლეთა ექსკურსიები კავკასიის სასწავლო ოლქში“. როგორც ირკვევა, „სწავლების მეთოდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პუნქტად კავკასიის სასწავლო ოლქის სკოლებში მიღებული იყო მოსწავლეთა ექსკურსიები ღირსშესანიშნავ ადგილებში პროფესიონალი პედაგოგების ხელმძღვანელობით. მათი ჩანაფიქრით, ამ ექსკურსიებს უნდა ჰქონოდა განსაკუთრებული საგანმანათლებლო მნიშვნელობა მათში მონაწილე მოსწავლეთათვის, ღია გაკვეთილები ბუნებაში მოსწავლეების ცოდნის დონეს ამაღლებდა. მოყვანილია ზოგიერთი, უფრო გამორჩეული ექსკურსიის მონაწილე მოსწავლეთა და მასწავლებელთა ჩანაწერები, ისინი გამოირჩევიან არა მარტო ექსკურსიების დაწვრილებითი აღწერით, არამედ ლიტერატურულად გამართულობით, მოსწავლეთა ემოციები გვაცვიფრებენ ბუნების ტკბობით. «კავკასიაში, სადაც ამდენი სილამაზით განთქმული, შესანიშნავი ადგილია, გვაქვს შესაძლებლობა ბავშვებში გავაღვივოთ ბუნებისადმი საუკეთესო გრძნობები, გავაკეთოთ მათი სულიერი მდგომარეობა, ვაზიაროთ ისინი ბუნების მშვენიერებას, ჩვენ არა მარტო უნდა ვასწავლოთ მოსწავლეებს ბუნების მოვლენების ანალიზი და სინთეზი, არამედ ვაღებულნი ვართ გავაღვივოთ მათში სიყვარულის გრძნობა ბუნებისადმი»; «ჩვენ ამ ექსკურსიებით უნდა მოვახდინოთ იმ მასალის ილუსტრაცია, რასაც ბავშვებს სკოლაში უხსნიდნენ მასწავლებლები გეოგრაფიის, ისტორიის, გეოლოგიის, პეტროგრაფიის გაკვეთილებზე» – ეს იყო მასწავლებელთა მიზანი. «რა სილამაზეა, რა საოცრებაა, სად ნახავთ მსგავს სურათს»; «ასეთი ღია გაკვეთილი ბუნებაში – შესანიშნავია», აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ ბავშვები, რადგან ისინი იყვნენ ბავშვებისათვის ბუნებაში ჩატარებული საუკეთესო ისტორიის, გეოგრაფიის, ბიოლოგიის, გეოლოგიის გაკვეთილები საუკეთესო, მცოდნე მასწავლებლების მიერ. ბავშვები ძალიან ბევრ საინტერესოს გეგულობდნენ“ (გოგიბერიძე 2012: 58 ).

1910 წლის 1-4 ოქტომბერს ბუნებისმცოდნეობის ისტორიის მასწავლებლის კოტლი-აროვის ინიციატივით მოეწყო ქუთაისის რეალური სასწავლებლის VI და VII კლასების მოსწავლეთათვის ექსკურსია ქალაქ სოხუმში ახალი ათონის მონასტერში. ექსკურსიას ჰქონდა არა მარტო ისტორიულ-რელიგიური დანიშნულება, არამედ საბუნებისმეტყველოც. მოსწავლეები გაეცნენ სოხუმის ბოტანიკურ ბაღს და სუბტროპიკულ მცენარეებს. ექსკურსიაში 35-მა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა. ექსკურსიის ხარჯი დაჯდა 5 მანეთი და 85 კაპიკი (ქცა,ფონდი № 20, საქმე № 152, ფურც. 8).

როგორც მკვლევარი რუსუდან გოგიბერიძე აღნიშნავს, არქივში არის დაცული მასალები 1909-1912 წლებში ქუთაისში არსებული სასწავლებლების მიერ მოწყობილი ექსკურსიების შესახებ ქუთაისის შემოგარენში. 1911 წლის 24-25 სექტემბერს ქუთაისის რეალური სასწავლებლის VI კლასის მოსწავლეთა სასწავლო ექსკურსია მოეწყო ტყიბულში. „ექსკურსიის მიზანი – მოსწავლეებში დაკვირვებულობის თვისების განვითარება, წინა წლებში ფიზიკური გეოგრაფიის გაკვეთილებზე თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოცდა, გარდა ამისა, ეს იქნებოდა მათთვის მეექვსე კლასის საგნის მინერალოგიისა და გეოლოგიის კურსის პრაქტიკული შესავალი. ამისათვის ბავშვებს წამოღებული ჰქონდათ ინსტრუმენტები: ცეისის ორი პრიზმატული ბინოკლი, ჩვეულებრივი ბინოკლები სხვადასხვა გამადიდებლებით, ჯიბის კომპასი და ერთი გეოლოგიური კომპასი დახრის კუთხის გასაზომად, თეოდოლიტი ტრიგონომეტრიული გაზომვებისათვის, ბარომეტრი, სიმაღლის საზომი, თერმომეტრი, ფოტოაპარატი, ნაბიჯსაზომი, ლუპა, ჩაქუჩები, ბარები, ქუთაისსა და ნაქერალას შორის სქემატური ნახაზები გეოლოგიური კვებით. ქუთაისის

გუბერნატორისაგან მიიღეს ოკრიბას მიდამოების გამოკვლევის და ისტორიის კაბინეტისათვის მასალების შეგროვების უფლება. ოკრიბა, როგორც გეოგრაფიულად, ისე გეოლოგიის თვალსაზრისით დაკვირვებებისათვის საინტერესო იყო. ოკრიბა გეოლოგიურად წარმოადგენს დიდ თაღებს, დიამეტრით 40 ვერსტი, შრეების მიმდევრობა, რომელიც გაშიშვლებულია ჩამორეცხვით, შეიძლება დაათვალიერო მთელი მათი გარშემოწერილობით. ამ შრეების დათვალიერება შეიძლება ორ მოპირდაპირე წერტილში – ჩრდილოეთით და სამხრეთით (ქუთაისი, გელათი და ტყიბული, ნაქერალა), მათი მიმართულება, დახრის კუთხე, შრეები, რომლებიც წარმოქმნილია ცენტრიდან წნევით, უძველეს ვულკანურ ცენტრში ჩვენი ყოფნა აუცილებელი იყო გეოლოგიური თვალსაზრისით. საწირეს გადასასვლელზე ვიხილეთ ჩამორეცხვის სახეები, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ ამ თაღებში, გეოლოგიური ეპოქების განმავლობაში ჩამორეცხვის სამუშაოები, რომლებიც გრძელდება ჩვენს დროშიც წითელი მდინარით და შენაკადებით. ამით შევძელით V კლასის ფიზიკურ გეოგრაფიაში განვლილი მასალის თვალსაჩინოდ დანახვება ბავშვებისათვის. მეორეს მხრივ ქვანახშირის მოპოვება ტყიბულში იყო ჩვენი საგანმანათლებლო ექსკურსიის უმთავრესი მიზანი. აქ მოსწავლეებს, ვუჩვენეთ რა გაქვავების შემადგენლობა, მოსწავლეები სვამდნენ საინტერესო შეკითხვებს: რა არის გაქვავება, საიდან გაჩნდნენ ან როგორ «მოვიდნენ» ჩვენამდე. ჩვენ ვპასუხობდით რომ ეს იყო ცხოველების ნაშთები, ამ ნაშთებს ბავშვები პოულობდნენ, როდესაც მასწავლებლებთან ერთად სეირნობდნენ. ბავშვებმა ნახეს მერგელისა და თიხების დანალექები, გარდამავალი წყებები ალპურსა და აპტურ ნალექებს შორის, რომელიც მიდის ქუთაისის სასაფლაოდან წითელ მდინარემდე. ჩვენ მიერ ამ თიხაში ნაპოვნი იქნა ქვედა ცარცის იარუსი და ა. შ. ბავშვებმა ნახეს ვულკანური წარმოშობის ადგილები. მათ ბუნებრივი ისტორიის მასწავლებელმა ვ. ვ. კოტლიაროვმა და მე ავუხსენით აგრეთვე დოლერიტებისა და ანდეზიტების ჯგუფების შესახებ, რაც მოსწავლეებმა უკვე იცოდნენ პეტროგრაფიის გაკვეთილებიდან. შემდეგ მასწავლებელი უყვება კურსების შესახებ, მინერალურ-გოგირდიანი წყლების შესახებ, ჭომის რკინის შემცველი წყლის შესახებ, ამ წყლებში მინერალური ნივთიერებების შემცველობა აიხსნება ამ ადგილების ვულკანური ნაშთების მოქმედებით. ექსკურსიის დაწვრილებითი გარჩევების შემდეგ მასწავლებელი ვ. ბაბე ასკვნის: ჩვენ შევეცადეთ ამ ექსკურსიით მოგვეხდინა იმ მასალის ილუსტრაცია, რასაც ბავშვებს სკოლაში უხსნიდნენ მასწავლებლები გეოგრაფიის, ისტორიის, გეოლოგიის, პეტროგრაფიის გაკვეთილებზე. ჩვენ ასევე ვცდილობდით მათში გაგვეღვივებინა დაკვირვების გრძნობა, განსჯის ნიჭის გამომჟღავნება, ამრიგად, ჩვენ შევძელით მათთვის გვეჩვენებინა შემდეგი: 1) გეოგრაფიაში – ქანების ჩამორეცხვის მოვლენები, ზეგანის წარმოშობა, ხევების წარმოშობა, მთის ჩამორეცხვა, ტბების შექმნა, წყლების მიწისქვეშა მუშაობა (ჩარეცხვა), წყლების დანალექების სახეები. 2) პეტროგრაფიასა და გეოლოგიაში – სხვადასხვა ქანები (ქვიშნარები, კონგლომერატები, მერგელები, ქარსები, ვულკანური წარმოშობის ქანები, მინერალური წყლები). პალეონტოლოგიაში – ნამარხები, გაქვავების პირობები. ზოგიერთი გეოლოგიური ეპოქის მოკლე დახასიათება, სხვადასხვა შრეები – მათი მიმართულება, დახრილობა, ნაკეცი, – წარმოქმნა, სინკლინები და ანტიკლინები. 3) პრაქტიკული გაზომვები – კომპასის ხმარება, მიმართულებებისა და დახრილობის გაზომვა, წნევის გაზომვა ბარომეტრით, სიმაღლის გაზომვა ბარომეტრული მონაცემებით, მთის ტრიგონო-მეტრიული გადაღება (თეოდოლიტი). შემდეგ დაწვრილებით აღწერილია ამ დაკვირვებების გზა – ქუთაისი, გელათი, ტყიბული, ნაქერალა. მოსწავლეებმა შეად-

გინეს რუკა, აიღეს საჭირო ნიმუშები ისტორია-გეოლოგიის კაბინეტისათვის. ეს ექსკურსია იყო ბავშვებისათვის ისტორიის, გეოგრაფიის, გეოლოგიის საუკეთესო გაკვეთილი ჩატარებული ბუნებაში საუკეთესო პედაგოგის, ფრანგული ენის მასწავლებლის, სამთო ინჟინრის ვ. ბაბეს მიერ. შემდეგ მასწავლებელი აწერინებს ბავშვებს დღიურებს, მოითხოვს მნიშვნელოვანი მომენტების დაწვრილებით აღწერას, რის შემდეგ აფასებს ამ დღიურებს. საუკეთესოდ შეფასებულ იქნა VI ბ კლასის მოსწავლეების ალექსანდრე ცირეკიძისა და მიხეილ სოსინოვსკის ნაშრომები, რომელთაც ჩატარებული აქვთ გეოლოგიური აზომვები, გამოთვლები, მიღებულია საბოლოო შედეგები. ასეთი გაკვეთილით, ცხადია, მოსწავლე ღებულობს სრულფასოვან ცოდნას საგანში: ბავშვებმა ისწავლეს კომპასის ხმარება, ნიმუშების აღება, აზომვები, გამოთვლები, მიიღეს შედეგები, რითაც განიცადეს სიხარული (გოგობერიძე 2012: 59).

„ექსკურსიული სწავლების წინაშე იმ წლებში ორი ძირითადი ამოცანა იყო დასმული. ერთი, რომ მას უნდა უზრუნველყო მოსწავლეთა აქტივობა სწავლების პროცესში, ბავშვი პატარა მკვლევრად უნდა გადაექცია, ესწავლებინა მისთვის მასალის დამოუკიდებლად შესწავლა და სათანადო დასკვნების გამოტანა. მეორე, ამგვარი საქმიანობა განიხილული იყო, როგორც სწავლების მეთოდი და არა სწავლების ორგანიზაციულ ფორმა. ექსკურსიის ძირითად ამოცანად მიაჩნდათ, რომ მან მტკიცედ დააკავშიროს ერთმანეთს სხვადასხვა სასწავლო საგანი, გააერთიანოს ისინი ერთიანი მიზნის ქვეშ. მოსწავლეებს ეძლეოდათ დავალება, რაიმე ამოცანა და ექსკურსიის საშუალებით თვითვე უნდა მოეხდინათ დაკვირვება ან გამოკვლევა, შეეკრიბათ მასალები და ამ მასალების მიხედვით აეხსნათ ან გადაეწყვიტათ მოცემული დავალება ან ამოცანა. ასეთ ექსკურსიას კვლევით ექსკურსიას უწოდებდნენ. ყოველგვარი მასალა, რასაც ექსკურსიულ-კვლევითი მეთოდით შეისწავლიდნენ, მუშავდებოდა სამ ნაწილად. პირველი, მოსამზადებელი ნაწილი - ამოცანის დასახვა, მოსწავლეთა დაყოფა და კითხვების დანაწილება მათ შორის; მეორე ნაწილი - ექსკურსიის ჩატარება.

აქ ფართო ასპარეზი იშლებოდა მოსწავლეთა აქტივობისა და თვითმოქმედებისათვის; მესამე ნაწილი - ექსკურსიის მასალის გადამუშავება, სისტემატიზირება, გარკვევა და დადასტურება წიგნებისა და მასწავლებელთა საუბრის საშუალებით, დასკვნების გამოტანა დასმული ამოცანის გადასაწყვეტად.

გამოყოფდნენ ექსკურსიის მეორე სახეს - საილუსტრაციო ხასიათის ექსკურსია. ეს სასწავლო მუშაობის ისეთ სახეს წარმოადგენდა, რომ შესასწავლი მასალის განხილვა-დამუშავება ძირითადად კლასში წარმოებს ზეპირსიტყვიერად და წიგნების შესწავლის საფუძველზე. ექსკურსია ამის შემდეგ ტარდებოდა კლასში დამუშავებული მასალის ილუსტრირებისა და შეძენილი ცოდნის განმტკიცების მიზნით. უპირატესობას კი ექსკურსიის პირველ სახეს ანიჭებდნენ, როგორც უფრო აქტიურს და დამოუკიდებელს სწავლების პროცესში მოსწავლეთა აქტივობის თვალსაზრისით. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ კუთხით ჩატარებული ექსკურსია უფრო სწავლების ორგანიზაციის ფორმას წარმოადგენს, ვიდრე სწავლების მეთოდს. მესამე სახის ექსკურსია იყო საორიენტაციო სახის. მის მიზანს წარმოადგენდა მოსწავლეების ორიენტირება ამა თუ იმ თემის დამუშავებაში, ინტერესის აღძვრა შესასწავლ მასალასთან დაკავშირებით. საორიენტაციო ექსკურსია ეწყობოდა სასწავლო კურსის ან მისი რომელიმე ნაწილის დამუშავების წინ. ექსკურსიას შემდეგი სასწავლო-შემეცნებითი მნიშვნელობა ჰქონდა დაკისრებული: 1. მოსწავლის მეხსიერების გამდიდრება ფაქტიური ცოდნით; 2. საუბრითა და წიგნით მიღებული ცოდნისა და

გრაფიკული თვალსაჩინოების კონკრეტიზაციის მოხდენა; 3. მოსწავლეებში ინტერესის გაღვივება“ (ბასილაძე 2016: 46-47).

ჩვენ მიერ ზემოთ აღწერილი სასწავლო-აღმზრდელობითი ხასიათის ქმედებები მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენდა იმდროინდელი რეალური სასწავლებლის ცხოვრებაში, მაგრამ მან მაინც ვერ შეცვალა სასწავლებლის შინაგანი წყობა, რადგან იგი რუსული ცნობიერების გაღვივებას და ეროვნული ცნობიერების ჩაკვლას ემსახურებოდა.

სასწავლებელში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა საბუნებისმეტყველო დისციპლინებს. მათ შორის მათემატიკურ საგნებს, რომლებიც მთავარ საგნებად ითვლებოდა. მათემატიკურ საგნებს ასწავლიდნენ: სემიონოვი, ა. მურადოვი, ვიტუშინსკი, ლ. ხმალაძე, სპ. ჯორჯიკია, ი. ლორთქიფანიძე. როგორც საარქივო დოკუმენტებიდან ირკვევა, მათ მიერ ჩატარებული გაკვეთილები მაღალი ხარისხითა და ორიგინალობით გამოირჩეოდა.

როგორც პროფ. ლ. გაბუნია წერს, „არქივმა შემოგვინახა სპირიდონ ჯორჯიკიას მიერ 1911 წელს რალურ სასწავლებელში მათემატიკაში ჩატარებული ღია გაკვეთილის ოქმი. სადაც ნათლადაა დანახული სპ. ჯორჯიკიას მიერ ჩაფიქრებული ახალი მეთოდები, მათ შორის ხარისხის უპირატესობა რაოდენობრიობასთან შედარებით“ (გაბუნია 2006: 70). გაკვეთილი შეაფასა სასწავლებლის ინსპექტორმა ი. ლორთქიფანიძემ და ა. მურადოვმა.

1912 წლის 25 თებერვალს რეალური სასწავლებლის მათემატიკის მასწავლებლმა, ლაზარე ხმალაძემ II კლასში ჩაატარა ღია გაკვეთილი. გთავაზობთ ჩატარებული არითმეტიკის გაკვეთილის გარჩევის ოქმის ამონაწერს. „კომისიის თავმჯდომარე: სასწავლებლის ინსპექტორი ი. ტ. ლორთქიფანიძე, წევრები: მათემატიკის მასწავლებლები: სპ. ჯორჯიკია, ა. მურადოვი. გაკვეთილის თემა: ამოცანა მოძრაობაზე. ჯგუფმა მასწავლებლის დახმარებით წარმატებით ამოხსნა ამოცანა მოძრაობაზე არითმეტიკულად. თავმჯდომარემ სხდომაზე აღნიშნა, რომ გაკვეთილი იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას ყოველმხრივ: სანიმუშო დისციპლინა, მასწავლებლის სწრაფვა გაუღვივოს ბავშვებს ინტერესი, საგნის სიყვარული, სურვილი, უშუალოდ მონაწილეობდეს გაკვეთილის მიმდინარეობაში. მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს იყვნენ ყურადღებიანი, მობილიზებულნი. გაკვეთილი ძალიან საინტერესო, მიმზიდველი იყო. ბოლოს თავმჯდომარემ გამოთქვა სურვილი, რომ ახალგაზრდა მასწავლებლები ხშირად უნდა ესწრებოდნენ ასეთ სანიმუშო გაკვეთილებს“ (ბერიძე 2009:32).

ლაზარე ხმალაძის მიერ ჩატარებულ გაკვეთილებზე დასწრებას სხვადასხვა სასწავლებლის დირექტორები თავიანი სკოლების ახალგაზრდა მასწავლებლებს ავალდებულებდნენ, რათა ისინი გაცნობოდნენ მე-20 საუკუნის დასაწყისში გავრცელებული გაკვეთილის ჩატარების ახალ დიდაქტიკურ და მეთოდურ მხარეებს.

სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის უკეთ დაყენების მიზნით მასწავლებლები მივლინებული იყვნენ მოწინავე სასწავლებლებზე გაკვეთილების მოსასმენად და ამ სკოლებში დანერგული სწავლების პრაქტიკის ასათვისებლად. მათ რომ ენახათ, რა შედეგებს მიაღწიეს მათმა კოლეგებმა, სწავლების რომელ მეთოდებს იყენებდნენ ისინი და რისი გადაღება შეიძლებოდა მათი პედაგოგიური გამოცდილებიდან. მხოლოდ წიგნი არ უნდა ყოფილიყო ცოდნის გადაცემის წყარო; აუცილებელი იყო სხვადასხვა მოდელების, ხელსაწყოების, პრეპარატების, სურათების, ცხრილების, ჰერბარიუმების წარმოჩენა სასწავლო პროცესში; ხოლო ქიმიის, ფიზიკის და საბუნებისმეტყველო სასწავლო საგნებში - სწავლების ტექნიკური საშუალებების წარმოჩენა.

ჩვენ მიერ მოყვანილი დოკუმენტების გაანალიზება საშუალებას გვაძლევს, ვიფიქროთ, თუ რა დონეზე იყო დაყენებული ქუთაისის რეალურ სასწავლებელში შრომისა (პაპემაშეს) და მათემატიკის სწავლება. როგორ დიდ ყურადღებას აქცევდნენ სწავლების პროცესში მოსწავლეთა მოტივაციას, ყურადღების მობილიზაციას, გაკვეთილის ჩატარების დიდაქტიკურ პრინციპებს და ექსკურსიას, როგორც სასწავლო მეთოდს.

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ბასილაძე 2016: ბასილაძე ი., ჭოხონელიძე ნ., კოსტავა ნ., ქობულაძე ნ., სწავლების მეთოდები, სტრატეგიები, პედაგოგიური ტექნოლოგიები და ცოდნის შემოწმება-შეფასების საკითხები, ქუთაისი, 2016.
2. ბერიძე 2009: ბერიძე ლ., ლაშხი ა., მათემატიკური განათლება საქართველოში (1801-1951), თბილისი, ტექნიკური უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009.
3. გაბუნია 2006: გაბუნია ლ., ქუთაისი დიდი საგანმანათლებლო ცენტრი, ქუთაისი, 2006.
4. გოგიბერიძე 2012: გოგიბერიძე რ., დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი, თბილისი, 2012 წელი, სასკოლო მათემატიკის პროგრამები და მათემატიკური განათლების ისტორიის საკითხები მე-19 საუკუნის საქართველოში.
5. სიგუა 1969: სიგუა ს., სახალხო განათლება რევოლუციამდელ საქართველოში (1907-1917), თბილისი, 1969.
6. სარიშვილი 1956: სარიშვილი ტ., სკოლა და პედაგოგიური მიმდინარეობანი რევოლუციამდელ საქართველოში, თბილისი, 1956.
7. ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი № 20, საქმე № 152.
8. ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი № 20, საქმე № 151.
9. ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი № 20, საქმე № 1.
10. ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი № 20, საქმე № 223.
11. ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი № 20, საქმე № 260.

**Imeri Basiladze**

**Akaki Tsereteli State University Professor**

**Shalva Kirtadze**

**Akaki Tsereteli State University Associate Professor**

### **The spread of New School Ideas at the beginning of the 20<sup>th</sup> century in Georgia and the introduction of methodology in the Kutaisi Real School**

#### **Abstract**

A concept of “New School Idea” was first introduced and developed at the beginning of the 20<sup>th</sup> century in Georgia. This was eventually echoed in the Real School of Kutaisi. The school administration and teachers tried to introduce new subjects and new technologies for teaching. During the teaching process they laid special emphasis on pupils’ motivation, attention getting, didactic principles of a lesson and school trips as a teaching method.

**Key words:** *new school idea, paper mache, school trip as a teaching method, motivation, experience learning.*

## დაწყებითი სკოლების მასწავლებლები XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში

**რეზიუმე:** მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში არსებული დაწყებითი სასწავლო დაწესებულებები განიცდიდნენ კვალიფიციურ მასწავლებელთა ნაკლებობას. ბევრი მასწავლებელი ელემენტარული საზოგადოებრივი სკოლისათვისაც კი შეუფერებელი იყო. ქართული საზოგადოება მაღალ მოთხოვნებს უყენებდა სკოლის მასწავლებლებს, რასაც მოწმობს ქართულ პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული წერილები. სტატიაში დეტალურად არის განხილული ამ პერიოდის მასწავლებლის მომზადების სქემა და მოყვანილია სტატისტიკური მონაცემები მასწავლებელთა განათლების შესახებ. ყურადღების მიღმა არ არის დარჩენილი ამ პერიოდში მოღვაწე ქალი მასწავლებლები, რომელთა რაოდენობა იმ პერიოდში ძალზე მცირე იყო. 1890 წელს ქუთაისის გუბერნიაში დაწყებითი საერო სკოლების მასწავლებლების მხოლოდ 25 ქალი მასწავლებელი იყო-14,2%, ხოლო თბილისის გუბერნიაში სულ 27 ქალი მასწავლებელი იყო-10,8%. საქართველოში XIX საუკუნეში დაწყებით საერო სკოლებში მომუშავე მასწავლებლებიდან არცერთს არ ჰქონდა უმაღლესი განათლება.

**საკვანძო სიტყვები:** მასწავლებელი, დაწყებითი სკოლა, სასულიერო სასწავლებელი, საერო სკოლა, სამასწავლებლო ინსტიტუტი.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში არსებული დაწყებითი სასწავლო დაწესებულებები განიცდიდნენ კვალიფიციურ მასწავლებელთა ნაკლებობას. ბევრი მასწავლებელი ელემენტარული საზოგადოებრივი სკოლისათვისაც კი შეუფერებელი იყო. ვახტანგ თულაშვილი წერდა: „ვინ ასწავლის ამჟამად სასწავლებლებში? ან მღვდელი, ან პრიჩეტნიკი, ან არა და კურსდაუმთავრებელი სემინარიელი“. [1]. ქართველი ინტელიგენცია სწავლა-განათლების წინსვლის საქმეში უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა მასწავლებელს, ამ საკითხს ისინი დეტალურად განიხილავდნენ და აშუქებდნენ პრესაში. მასწავლებელთა მომზადების საკითხებზე საინტერესო მოსაზრებები აქვთ გამოთქმული ქართველ პედაგოგებს, განსაკუთრებული სიმწვავეთ ამ საკითხს შეეხო ცნობილი ქართველი პედაგოგი, სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორი რაჟდენ ჯაჯანაშვილი [2]. იმისათვის, რომ ნათელი გახდეს, თუ რა მოთხოვნებს უყენებდა მაშინდელი მოწინავე საზოგადოება მასწავლებლებს, სახალხო სკოლას, სასწავლო გეგმებს და სწავლებისათვის სხვა მრავალ საჭირობო საკითხის გადაწყვეტას, საჭიროდ ვცანით შედარებით ვრცლად განგვეხილა რაჟდენ ჯაჯანაშვილის მოსაზრებები, რომელთაც სრულად იზიარებდა მაშინდელი მოწინავე ქართველი საზოგადოება.

„მასწავლებელი, ამბობს პედაგოგია, არის სული სკოლისა; მე დაფუძნატე: სკოლა არის სული ხალხისა. აქედან ჩანს რა უნდა იყოს მასწავლებელი ხალხისთვის. მასწავლებელი არის ის დედაბოძი, რომელზედაც დამყარებულია ხალხის გონებითი და ზნეობითი კეთილ დღეობა; მასწავლებელი არის ის ქვაკუთხე, რომელზედაც აშენებულია ხალხის წინსვლელიობა. [2]. ამ სიტყვებიდან ჩანს დამოკიდებულება მასწავლებლისადმი,



როგორც ზნეობრივად სრულყოფილი პიროვნებისადმი, რომელსაც ხშირად მსხვერპლის გაღებაც უწევს იმისათვის, რომ მოსწავლეებს მშობლიურ ენაზე ასწავლონ.

ავტორი იმ პირველი მასწავლებლების შესახებ, რომლებიც თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში მოღვაწეობდნენ, აღნიშნავს: „მასწავლებლებათ დანიშნული იყო ისეთი ხალხი, რომ მთავრობა ხშირად იძულებული იყო დაემწყვდია ესენი ცალკე ოთახში და ყარაულები დაეყენებინათ, რომ სასმელები არავის მიეტანარა იმათთვის. ასეთები იყვნენ ჩვენი პირველი რუსეთიდან ჩამოსული მასწავლებლები“. [2]. ეს ფაქტები იმ პერიოდის სხვა წყაროებით არც დასტურდება და არც უარყოფილია. ამავე დროს ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ცნობილია ავტორის შეუვალი რეპუტაცია და პატიოსნება, ასევე რუსეთიდან ჩამოსულების ალკოჰოლთან არც თუ ისე მწყრალი დამოკიდებულება, რაც გვაფიქრებინებს, რომ მოყვანილი ფაქტები სიმართლიდან შორს არ იქნება. თუმცა ამავე დროს მოქმედებდა საკმაოდ კარგად შედგენილი ე.წ. მასწავლებელთა კოდექსი, რომელიც აქვე მოგვყავს. 1802 წელს მთავარმართებელ კნორინგის მიერ თბილისში დაარსებულ „პირველ დაწყებით სასწავლებელში“ პედაგოგთა „წესებში“, იგივე ეთიკის ნორმებში, განსაზღვრულია პედაგოგთა მოვალეობანი: „წოდება მასწავლებლისა არის თანამდებობა ჩინებული და საყურადღებო, ვინაიდან იგი ამზადებს საზოგადოების სასარგებლო წევრებს ... მასწავლებლებს მოეთხოვება აგრეთვე, რომ ისინი საკუთარი ყოფაქცევით და მოქმედებით მაგალითს აძლევდნენ თავის მოწაფეებს კეთილსინდისიერებაში, ალერსიანობაში, ზრდილობაში, კაცთმოყვარეობაში და მუყაითობაში. უნდა მოარიდონ მათ სიტყვით და საქმით ყოველგვარი მაცდუნებელი, უკადრისი და უმართებულო“ [3, გვ. 181-182].

საჭირო იყო სკოლების გახსნა, მაგრამ ამდენი მასწავლებელი მაშინ ქვეყანაში არ იყო. ხალხი სკოლებს მღვდლებს და გადამდგარ სალდათებს აბარებდნენ, რომელთა მასწავლებლობასაც რა ხეირი ჰქონდა, საზოგადოებამ კარგად იცოდა. მთავრობა მიხვდა, რომ მოუმზადებული მასწავლებლები იყო მთავარი მიზეზი განათლების დაბალი დონისა და უმეცრებისა, რასაც მოჰყვა შესაბამისი ღონისძიებები. საქართველოში გაიხსნა სამასწავლებლო ინსტიტუტი და საოსტატო სემინარიები, რომლის კურსდამთავრებულებმა შემდგომში დიდი როლი შეასრულეს საქართველოში სწავლაგანათლების საკითხების გადაწყვეტაში. ეს მართლაც პროგრესული ნაბიჯი იყო სწავლა-აღზრდის წინსვლის საქმეში:

„მარტო ეხლა მიხვდა მთავრობა, რომ სკოლების წარმატებისათვის ყოვლის უწინარეს საჭირო არიან კარგათ მომზადებული მასწავლებლები. ამ დროს იწყება საოსტატო სემინარიების და ინსტიტუტების დაარსება, და იმ დროსვე, ე.ი. 1865 წ. ჩვენშიაც დაარსდა საოსტატო სემინარია, რომელიც გადაკეთებული იყო ინსტიტუტად 1872 წ. შემდეგ გაიხსნა ყუბანის და გორის საოსტატო სემინარიები და ეხლა, როგორც მოგეხსენებათ, არსდება საოსტატო სემინარია ქუთაისის გუბერნიაში, დ. ხონში. ამ სასწავლებლების დაარსებიდან იწყება ახალი ხანა ჩვენი სკოლებისა.“ [4].

მაგრამ მარტო ასეთი სასწავლებლების გახსნა საკმარისი არ იყო ღირსეული სახალხო მასწავლებლების მოსამზადებლად. საჭირო იყო შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სასწავლებლებისათვის, საჭირო სახელმძღვანელოები, სასწავლო პროგრამები და სხვ. გარდა ამისა, გარკვეული ნაკლოვანებები ახასიათებდა სამასწავლებლო ინსტიტუტების და სემინარიების სასწავლო გეგმებს. სწავლების პროცესში არ გამოიყენებოდა საჭირო პედაგოგიური მიდგომები, პედაგოგიურ სასწავლებლებში ბევრი დრო იხარჯებოდა ისეთი საგნების შესწავლაზე, რომლებიც აუცილებელი არ იყო მასწავლებ-

ლებისათვის. საკმარისი არ იყო სწავლების ვადა პედაგოგიურ სასწავლებლებსა და ინსტიტუტში, საჭირო იყო გაცილებით მეტი დრო დათმობოდა სპეციალური საგნების შესწავლას, კერძოდ პედაგოგიკის თეორიას და პრაქტიკას, აღზრდის თეორიას. მომავალმა მასწავლებლებმა უნდა წაიკითხონ და გაარჩიონ პედაგოგიური თხზულებანი, შეისწავლონ ისტორია, გეოგრაფია და სხვ. საჭიროა, პედაგოგები სისტემატურად გაეცნონ მსოფლიო მეცნიერების და კულტურის ახალ მიღწევებს, არ ჩამორჩნენ ცხოვრებას. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ვერ შეძლებენ ახალი თაობის საფუძვლიან მომზადებას. იმისათვის, რომ მასწავლებელმა შეასრულოს თავისი მოვალეობა, საჭიროა იგი იყოს ყოველმხრივ განათლებული და კარგად მომზადებული, დაუფლებული მეცნიერულ ცოდნას. ასე ფიქრობდნენ ეროვნულად მოაზროვნე მოწინავე ქართველი საზოგადოების წარმომადგენლები, ისინი დიდ ყურადღებას აქცევდნენ მასწავლებელთა კადრების მომზადების საკითხს, გულისტკივილით აღნიშნავდნენ, რომ არსებული პედაგოგიური სასწავლებლები ვერ უზრუნველყოფდნენ პედაგოგების მომზადების საქმეს.

მასწავლებელთა მომზადების და მათ პროფესიულ სრულყოფაზე საღი აზრი ჰქონდათ ქართველ სასულიერო მოღვაწეებს, რომელთა მოსაზრებები იბეჭდებოდა იმ პერიოდის სასულიერო პრესაში. სასულიერო პრესის პედაგოგიური პუბლიკაციები შეიცავენ რჩევა-დარიგებებს, რომელთა გათვალისწინება დამწყებ მასწავლებლებს პრაქტიკული სირთულის დაძლევის და დაოსტატებაში ეხმარებოდა. გარდა ამისა, ამ პუბლიკაციებში ის ძირითადი კრიტერიუმებიც იკითხება, რითაც მოწინავე სამღვდლოება მასწავლებელს აფასებდა და მის საქმიანობას იმედისმომცემად თვლიდა. უპირველესი, რაც მომავალ მასწავლებელს უნდა ჰქონდეს, არის თანდაყოლილი პედაგოგიური ნიჭი, მიდრეკილება, რომლიც დანაკლისს ვერანაირი განათლება და გამოცდილება ვერ შეავსებს. უხვად მომადლებული პედაგოგიური ალღო, შემოქმედობითობა და მონდომება მასწავლებელს სასწავლო საგნისა და მეთოდების ცოდნის დანაკლისსაც იოლად დააძლევინებს. „კაცს თუ ნიჭი არ მოსდევს და საქმეს სიყვარულობით არ ეკიდება, მან ათას უმაღლეს სასწავლებელში რომ დაამთავროს სწავლა, მაინც მისგან არა გამოვა რა“ [5, გვ. 1], „თუ მასწავლებლობისადმი მიდრეკილებას არ გრძნობს ადამიანი, უმჯობესია ამ პროფესიას ხელი არ მოჰკიდოს. მისი მოღვაწეობა ნიჭისა და უნარის გარეშე წარუმატებელი იქნება“ [6, სტ. 5.].

პედაგოგიური ნიჭის პარალელურად, წარმატებული საქმიანობის აუცილებელ ფაქტორად აღიარებულია პროფესიის სიყვარული და ღრმა რწმენა, თაყვანისცემა იმ იდეალებისა, რასაც მასწავლებელი და სკოლა ემსახურება. ამგვარი სულისკვეთება სიმტკიცეს, ენერგიას შემატებს მასწავლებელს და რთულ გზაზე შემხვედრი სიძნელები გულის გატეხვის ნაცვლად გაამხნევენ და საბრძოლველად განაწყობს [7, გვ. 4]. გარდა აღმზრდელობითი საქმიანობისა, „მწყემსის“ ერთ-ერთი ავტორის მართებული შენიშვნით, აუცილებელია მასწავლებელს საკუთრივ თავისი სასწავლო საგანიც გამორჩეულად უყვარდეს, და სჯეროდეს მისი მნიშვნელობა და განსაკუთრებულობა, რადგან ამგვარი განწყობა ზრდის პასუხისმგებლობას და აიძულებს მას მეტი სერიოზულობით მოეკიდოს მოვალეობას; გარდა ამისა, სწავლებასაც მეტი შთამბეჭდაობა ახასიათებს, რაც ეფექტურობაზე დადებითად აისახება. „მტკიცე აღმზრდელობითი სწავლება ითხოვს, რომ მასწავლებელი იყოს აღჭურვილი ჭეშმარიტებით და აღფრთოვანებული სასწავლო საგნების დიდი მნიშვნელობით. ასეთი მასწავლებელი სწავლების საქმეს მისცემს განსაზღვრულ გზას, ერთობას და სიცოცხლეს... ასეთი მასწავლებელი მოწაფეთ საგნების შინაარსს

აუხსნის ცხადად, ცხოველად და თვალსაჩინოდ“ [7, გვ. 7]. აღნიშნული თვისებები მასწავლებლის პროფესიის სამირკველს წარმოადგენს, რასაც სასწავლო საგნის ღრმა ცოდნა, პედაგოგიური განათლება და პრაქტიკული უნარ-ჩვევები უნდა დაერთოს. განათლების არსებული სისტემა გაუაზრებელი სწავლებით, მკაცრი რეჟიმით და პოლიტიკური სულისკვეთებით ვერ ქმნიდა პირობებს სასკოლო ქსელის სათანადო პედაგოგიური კადრით უზრუნველყოფისათვის. შექმნილი მდგომარეობიდან საუკეთესო გამოსავალს სასულიერო პრესა სწავლების შინაარსის პედაგოგიური ცოდნით გამდიდრებაში, სამაგალითო სკოლების დაარსებასა და პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსების გააქტიურებაში ხედავდა. გადამწვეტ მნიშვნელობას კი მასწავლებლის თვითგანვითარებას აკუთვნებდა. „მასწავლებლის თანამდებობა არის ცოცხალი ხელობა, - წერს მთავარდიაკვანი დ. ბუაჩიძე, - ეს ხელობა დღითი დღე იცვლება და წარმატებაში შედის, ამ ხელობის ერთ კალაპოტში ჩაყენება არ შეიძლება და თუ კაცი კვალში არ მისდევს და გამჭრიახი გონებით არ ზომავს, ისე უთუოდ გზას ასცდება, ვეღარც ახალ ცოდნას შეიძენს და ძველსაც დაივიწყებს... ამიტომაც არის ნათქვამი გამოცდილი პედაგოგებისაგან, რომ ვინც თვითონ არის გაჩერებული ერთ ადგილზე, მისთვის ძნელია, რომ სხვა წასწიოს წინ, ვისაც დახშული აქვს ლტოლვა თვითგანვითარებისადმი, მას არ შეუძლია აღაღორძინოს და აღამაღლოს სხვისი გონება და იქონიოს მასზე შესაფერი გავლენა“ [8, გვ. 6].

მას შემდეგ, რაც გავეცანით მოწინავე ქართველი საზოგადოების მოთხოვნებს მასწავლებლებისა და სამასწავლებლო სასწავლებლების მიმართ, ურიგო არ იქნება, თუ გავეცნობით მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის მასწავლებელთა მომზადების პროგრამასაც. ყურადღებას გავამახვილებთ დაწყებითი სკოლების მასწავლებლების მომზადებაზე.

რუსეთში კანონმდებლობის მიხედვით მასწავლებლის წოდებას ანიჭებდნენ საშუალო სასწავლებლები. საშუალო განათლების მქონე მასწავლებელთა რიცხვს მიეკუთვნებოდნენ გიმნაზიების, სამასწავლებლო და სასულიერო სემინარიების, სამასწავლებლო ინსტიტუტების კურსდამთავრებულები, აგრეთვე - სასულიერო აკადემიების და უნივერსიტეტების სხვადასხვა კურსიდან გამოსული პირები; ხოლო არასრული საშუალო განათლების მქონე მასწავლებლები იყვნენ საქალაქო და სასულიერო სასწავლებლების კურსდამთავრებულნი, აგრეთვე დაწყებითი განათლების მქონე პირები, რომლებსაც მასწავლებლობის უფლება მოპოვებული ჰქონდათ სპეციალური გამოცდების ჩაბარების საფუძველზე.

1890 წლის სტატისტიკური მონაცემებით დაწყებითი საერო სკოლების მასწავლებელთა რაოდენობის და ცენზის მხრივ ასეთი მონაცემებია: ქუთაისის გუბერნიაში 176 მასწავლებლიდან საშუალო განათლება აქვს 120 მასწავლებელს, მხოლოდ 56-ს აქვს არასრული საშუალო განათლება. უფრო ცუდი მდგომარეობაა თბილისის გუბერნიაში. თბილისის გუბერნიაში 250 მასწავლებლიდან 111-ს აქვს საშუალო განათლება, 139-ს კი - არასრული საშუალო განათლება. 1900 წელს კი თბილისის გუბერნიის 366 მასწავლებლიდან საშუალო განათლება აქვს 159 მასწავლებელს, არასრული საშუალო განათლება - 207-ს, ქუთაისის გუბერნიაში 282 მასწავლებლიდან მხოლოდ 27 მასწავლებელია არასრული საშუალო განათლებით, ყველა დანარჩენ მასწავლებლებს საშუალო განათლება ჰქონდა.

ძალზე მცირე იყო ქალ-მასწავლებელთა რაოდენობა. 1890 წელს ქუთაისის გუბერნიაში დაწყებითი საერო სკოლების 176 მასწავლებლიდან მხოლოდ 25 მასწავლებელია ქალი (14,2%). იმავე წლის თბილისის გუბერნიის დაწყებით საერო სკოლებში 250

მასწავლებლიდან ქალი იყო მხოლოდ 27 (10,8%). როგორც მონაცემებიდან ჩანს, ქუთაისის გუბერნიაში საერო დაწყებითი სკოლების მასწავლებელთა შორის ქალ მასწავლებელთა პროცენტული მაჩვენებელი ჭარბობს თბილისის გუბერნიის დაწყებითი საერო სკოლების ქალ მასწავლებელთა მაჩვენებელს. 1900 წელს ორივე გუბერნიაში ქალ მასწავლებელთა რაოდენობის მიხედვით ქუთაისის გუბერნიაში მნიშვნელოვნად უკეთესი მდგომარეობა იყო, თბილისის გუბერნიაში კი სურათი თითქმის არ შეცვლილა.

სამრევლო სასწავლებლების დაკომპლექტება კვალიფიციური მასწავლებლებით ვერ ხერხდებოდა კადრების სიმცირის და დაბალი ანაზღაურების გამო, რადგან ბევრი მღვდელი არ მუშაობდა მცირე ხელფასზე და არჩევდა დარჩენილიყო მღვდლად, სადაც მეტი შემოსავალი ჰქონდა.

თედო სახოკია ასე აღწერს აფხაზეთის სამრევლო სკოლებში შექმნილ მდგომარეობას: „აქაურს სამრევლო სკოლების მასწავლებელთა შორის ორს კაცსა აქვს სასულიერო სემინარია დამთავრებული, ერთი იმავე სემინარიის მეექვსე კლასიდან არის, ორიცმესამე კლასიდან; ორი კაცი საოსტატო სემინარიის მეორე კლასიდან არიან გამოსულნი, ორი ქალია, ერთს გიმნაზია აქვს დამთავრებული, მეორეს სოხუმის პროგიმნაზია, 13 კაცს მხოლოდ სენაკის სასულიერო სასწავლებელში უსწავლიათ და მასწავლებლობის მოწმობა აქვსთ აღებული...“ [9, გვ. 116].

თითქმის ანალოგიური მდგომარეობა იყო საქართველოს სხვა რეგიონებშიც. დ. ჩხაიძე 1897 წელს წერდა: „გურიაში სამრევლო სკოლების მასწავლებლებად დაბალი სასწავლებლიდან - ორკლასიანი სასულიერო და სამოქალაქო ნორმალური სასწავლებლიდან გამოსულნი არიან, სადაც არამცთუ სწავლება, არამედ ხსენება არ არის პედაგოგიკის და დიდაქტიკის“. [10, გვ.6].

დაახლოებით იგივე სიტუაცია იყო დასავლეთ საქართველოს სხვა მაზრებშიც. მეტად ყურადსაღებია ერთი ფაქტი: საქართველოში XIX საუკუნიდან XX საუკუნის დასაწყისამდე დაწყებით საერო სკოლებში მომუშავე მასწავლებლებიდან არცერთს არ ჰქონდა უმაღლესი განათლება.

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. გაზეთი „დროება“, 1868 წ., №8.
2. გაზეთი „დროება“, 1881 წელი, №79.
3. თავზიშვილი 1948: სახალხო განათლებისა და პედაგოგიკური აზროვნების ისტორია საქართველოში. 2 : სახალხო განათლება და პედაგოგიური იდეები მე-19 ს. პირველ ნახევარსა და 60-იან წლებში [1801-1871], თბილისი, 1948.
4. გაზეთი „დროება“, 1881 წ., №79.
5. ჟურნალი „მწყემსი“, 1897, №21.
6. Журн. Духовный вестник Грузинского экзархата, 1903, №13-14.
7. ჟურნალი „მწყემსი“, 1898, №15-16.
8. ჟურნალი „მწყემსი“, 1893, №23.
9. სახოკია 1896: სახოკია თ., აფხაზეთი, სწავლა-განათლების საქმე. ჟურნალი „მოამბე“, 1896 წელი, №4, განყ. II.
10. ჟურნალი „მწყემსი“, 1897 წ., №21.

**Primary school teachers in Georgia in the second half of the 19 th century**  
**Abstract**

In the second half of the XIX century, the primary educational institutions in Georgia suffered from a shortage of qualified teachers. Many of the teachers were unfit even for an elementary public school. Georgian society made high demands on school teachers, as evidenced by the letters published in the Georgian periodicals. The article discusses in detail the teacher training scheme of this period and provides statistical data on the education of teachers. Women teachers working in this period, whose number was very small, are not left out of attention. In 1890s, there were only 25 women teachers of elementary secular schools in Kutaisi Province - 14.2%, while in Tbilisi Province, there were 27 women teachers - 10.8%. None of the teachers working in elementary secular schools in Georgia in the 19th century had a higher education.

**Key words:** teacher, primary school, theological school, secular school, educational institute.

## დაწყებითი სკოლების მასწავლებლების კადრებით უზრუნველყოფა და ინსპექტირება XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში

**რეზიუმე:** ამ პერიოდის რუსეთში მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით მასწავლებლის წოდებას ანიჭებდნენ საშუალო სასწავლებლების - გიმნაზიების, სამასწავლებლო და სასულიერო სემინარიების, სამასწავლებლო ინსტიტუტების, აგრეთვე სასულიერო აკადემიების და უნივერსიტეტების სხვადასხვა კურსიდან გამოსულ პირებს. ხოლო არასრული საშუალო განათლების მქონე მასწავლებლები იყვნენ საქალაქო და სასულიერო სასწავლებლების კურსდამთავრებულნი, აგრეთვე დაწყებითი განათლების მქონე პირები. მასწავლებლის წოდების მინიჭება ხდებოდა გიმნაზიებში ჩატარებული სპეციალური გამოცდებითაც. მასწავლებლის წოდების მინიჭებისათვის საჭირო იყო საცდელი გაკვეთილების ჩატარება. სასწავლო ოლქის და გუბერნიების სახალხო სკოლათა დირექციების მიერ კონტროლი ეწეოდა ტერიტორიულად დაქვემდებარებულ ყველა სკოლას მიუხედავად მათი ხასიათისა და კუთვნილებისა. გარდა ამისა, საზოგადოებ-რივი სკოლებს ამ საზოგადოებათა მიერ გამოყოფილი პირებიც ამოწმდებდნენ. სკოლებს ინსპექტირებას უწევდნენ არა მარტო განათლების მოხელეები, არამედ სამხედრო და სასულიერო პირებიც.

დასავლეთ საქართველოში მხოლოდ ერთი სამასწავლებლო სემინარია არსებობდა ხონში, რომელიც 1900 წლისათვის დამთავრებული ჰქონდა 176 მასწავლებელს.

**საკვანძო სიტყვები:** დაწყებითი კლასების მასწავლებელი, საცდელი გაკვეთილები, სასულიერო სკოლა, სასწავლო ოლქი, კავკასიის სასწავლო ოლქი.

მასწავლებლის წოდების მინიჭება ხდებოდა გიმნაზიებში ჩატარებული სპეციალური გამოცდებითაც. გამოცდები ტარდებოდა მხოლოდ იმ ქალაქში, სადაც სასწავლო ოლქი იმყოფებოდა. გამოცდას იბარებდა სასწავლო ოლქთან არსებული კომიტეტი, რომლის თავმჯდომარე იყო საოლქო ინსპექტორი, კომიტეტის შემადგენლობაში შედიოდნენ გიმნაზიის მასწავლებლები.

საქალაქო სასწავლებლის მასწავლებლის წოდების მინიჭებისათვის საჭირო იყო საცდელი გაკვეთილების ჩატარება სამაზრო ან საქალაქო სასწავლებლებში, სასოფლო სკოლების მასწავლებლის წოდების მოსაპოვებლად კი - სოფლის საერო ან სამრევლო სკოლებში. გიმნაზიის მასწავლებლის წოდების მოსაპოვებლად საჭირო იყო ცნობა იმის შესახებ, თუ უმაღლესი სასწავლებლის რომელი კურსიდან გამოვიდა მასწავლებლის წოდების მიღების მსურველი. საშუალო სასწავლებლის მასწავლებლის წოდების მოსაპოვებლად დაწესებული იყო სრული და ნაწილობრივი გამოცდები. სრული გამოცდები უტარდებოდათ იმ პირებს, რომლებსაც დამთავრებული ჰქონდათ გიმნაზია და უნივერსიტეტის რამდენიმე კურსი, აგრეთვე იმათ, ვისაც დამთავრებული ჰქონდათ უნივერსიტეტი, მაგრამ არა ის ფაკულტეტი, რომელიც დაკავშირებულია მასწავლებლობის მსურველის მომავალ სასწავლო საგანთან; ნაწილობრივ გამოცდას აბარებდნენ ის პირები, რომლებსაც უნივერსიტეტის სრული კურსი ჰქონდათ დამთავრებული. სპეციალური გამოცდებისაგან თავისუფლდებოდნენ ისტორია-ფილოლოგიის საიმპერატორო

ინსტიტუტისა და უნივერსიტეტთან არსებული სამასწავლებლო სემინარიების კურსდამთავრებულები.

სპეციალური და ნაწილობრივი გამოცდები გიმნაზიებისა და პროგიმნაზიების მასწავლებლის წოდების მოსაპოვებლად ტარდებოდა უნივერსიტეტებში პროფესორ-მასწავლებლების მონაწილეობით.

დაწყებითი სკოლების მასწავლებლის წოდების მისაღებად კი იმ ქალაქებში, სადაც იმყოფებოდა სასწავლო ოლქი. საშუალო სკოლის მასწავლებლის წოდების მსურველნი განცხადებით მიმართავდნენ უშუალოდ უნივერსიტეტის რექტორს, ხოლო დაწყებითი სკოლის მასწავლებლის წოდების მსურველნი - სასწავლო ოლქის მზრუნველს. გამოცდები ტარდებოდა წერაში და ზეპირში. მსურველს უნდა მიეცა ორი საცდელი გაკვეთილი. თუ გამოსაცდელი პირი წერით სამუშაოში მიიღებდა დამაკმაყოფილებელ შეფასებას, მაშინ დაუშვებდნენ ზეპირ გამოცდაზე, ხოლო შემდეგ ატარებდა საცდელ გაკვეთილებს. წერითი და ზეპირი გამოცდების ჩაბარების შემდეგ მსურველს ნება ეძლეოდა 10-15 დღის განმავლობაში დასწრებოდა სკოლაში იმ საგნის მეცადინეობას, რომელშიც თვითონ უნდა ჩაეტარებინა ორი საცდელი გაკვეთილი. ერთი გაკვეთილი ტარდებოდა დაბალ კლასებში, მეორე - მაღალ კლასებში. მასწავლებლის წოდების მისაღებად მსურველს მთავარ საგნებში უნდა მიეღო ნიშანი „4“ მაინც, ხოლო დამხმარე საგნებში „3“ მაინც. გამოცდები ტარდებოდა მსურველის განცხადების საფუძველზე პირველი სექტემბრიდან პირველ მაისამდე. თითოეული მსურველის განცხადება ექვს კვირაზე მეტ ხანს არ უნდა გაგრძელებულიყო. გიმნაზიის მათემატიკის და ფიზიკის მასწავლებლის წოდების მოსაპოვებლად გამოცდები ტარდებოდა მათემატიკაში, ფიზიკაში, ფიზიკურ გეოგრაფიას და ასტრონომიაში. იმ პირებს, რომლებიც ვერ ჩააბარებდნენ (არ ეყოფოდათ ქულები) ან ჩაიჭრებოდნენ, მხოლოდ ექვსი თვის შემდეგ ეძლეოდათ განმეორებით გამოცდაზე გასვლის უფლება. [1, გვ. 1-19].

სამაზრო, საქალაქო, სამრევლო საშინაო და კერძო სკოლების მასწავლებლის წოდების მისაღებად გამოცდები ტარდებოდა იმ ქალაქებში, სადაც სასწავლო ოლქი, გიმნაზია და სამაზრო სასწავლებლები იმყოფებოდა. დაწესებული იყო გამოცდაზე დასაშვებად ასაკი-ქალებისათვის არანაკლებ თექვსმეტი წელი, ვაჟებისათვის-არანაკლებ ჩვიდმეტი წელი. გამოცდები ბარდებოდა ყველა იმ საგანში, რომელიც ამ სასწავლებლებში ისწავლებოდა. წერითი გამოცდები მარტო რუსულ ენაში ტარდებოდა. გამოსაცდელს უნდა დაეწერა მიცემული თემა და ეპასუხა კითხვებზე გრამატიკაში. როგორც წერითი, ისე ზეპირი გამოცდები ტარდებოდა გიმნაზიის პროგრამით. არითმეტიკის პროგრამა ითვალისწინებდა, რომ წოდების მაძიებელი გაცნობილია არითმეტიკის მთელ კურსს ერთ-ერთი სახელმძღვანელოს მიხედვით. მათ უნდა შეძლებოდათ ამოცანების სწორი და ლამაზი ამოხსნა. გეომეტრიაში უნდა სცოდნოდათ ელემენტარული კურსი. ამავე დროს ქალაქის და მაზრის სასწავლებლის კურსის მოცულობით არითმეტიკის მასალასთან ერთად გამოსაცდელს უნდა სცოდნოდა სწავლების ხერხები, რაც გათვალისწინებული იყო მეთოდის ერთ-ერთ არსებულ სახელმძღვანელოში. საცდელი გაკვეთილის თემა ეძლეოდათ ერთი დღით ადრე. წოდების მაძიებელი გამოცდას აბარებდა გეომეტრიაში, თუ მას სურდა მასწავლებლობა სამინისტროს სკოლის ორკლასიან სასწავლებელში.

მასწავლებელთა გადამზადების მიზნით პერიოდულად ეწყობოდა მოკლევადიანი კურსები საზაფხულო არდადეგების პერიოდში. კურსები ეწყობოდა როგორც თბილისსა და ქუთაისში, ისე პროვინციებში, როგორც სასწავლო ოლქის, ისე ეგზარხატის ხაზით. 1898 წლის ზაფხულში ასეთი კურსები მოწყობილია მარტვილში, რომელშიც 100 მასწავ-

ლებელი ყოფილა გაერთიანებული. ლექციები პედაგოგიკასა და მეთოდოლოგიაში წაუკითხავს გურია-სამეგრელოს ეპარქიის სკოლების ზედამხედველს თედო ჟორდანიას, სანიმუშო გაკვეთილები გადაუცია სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელს სტეფანე ძიმისტარაშვილს, ქართულ საეკლესიო გალობას ასწავლიდა ფილიმონ ქორიძე და სხვ. გარდა ლექციებისა და სანიმუშო გაკვეთილებისა, მასწავლებლებს უტარდებოდათ პრაქტიკული მეცადინეობები მეაბრეშუმეობაში, მეფუტკრეობაში, მებოსტნეობაში. [2, გვ. 12].

კურსებზე თეორიულ მომზადებასთან ერთად დიდი ყურადღება ექცეოდა სანიმუშო გაკვეთილების მიცემას. გაკვეთილებს ატარებდნენ როგორც სპეციალურად მოწვეული გამოცდილი მასწავლებლები, ისე კურსების მსმენელნი. გაკვეთილის გარჩევასა და შეფასებას დიდი დრო ჰქონდა დათმობილი.

1900 წლის 31 მარტს განათლების სამინისტრომ დაამტკიცა წესდება „დაწყებითი კლასების მასწავლებელთა მოსამზადებელი კურსების შესახებ“, რომლის მიხედვით დაწყებითი განათლების მქონე პირებს შეეძლოთ ამ კურსებზე შესვლა და მასწავლებლის წოდების მიღება. კურსები ეწყობოდა საქალაქო სასწავლებლებთან, სადაც იყვნენ კვალიფიციური მასწავლებლები (სასწავლო ოლქის შეხედულებისამებრ). საერთო მეთვალყურეობა ამ კურსების მუშაობაზე ევალებოდა საქალაქო სკოლების ზედამხედველებს და გუბერნიის სახალხო სკოლების ინსპექტორებს.

კურსზე უგამოცდოდ ღებულობდნენ დაწყებითი განათლების მქონე პირებს, რომელთაც შესრულებული ჰქონდათ 16 წელი. კურსები ერთწლიანი იყო, მაგრამ ვინც პროგრამას ვერ დაძლეოდა, რჩებოდა მეორე წელსაც. სწავლა კურსებზე იწყებოდა 20 აგვისტოს და მთავრდებოდა 1 ივნისს. მაისის თვეში ტარდებოდა გამოცდები მასწავლებლის წოდების მოსაპოვებლად. კურსების პროგრამა ორი ნაწილისაგან შედგებოდა: თეორიული და პრაქტიკული. თეორიული კურსის ამოცანა იყო ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნის გამეორება და შევსება, დიდაქტიკის და დაწყებითი განათლების მეთოდოლოგიის შესწავლა, დაწყებითი სკოლების სახელმძღვანელოების გაცნობა. პრაქტიკული მეცადინეობა წარმოებდა პირველ და მეორე კლასებში გამოცდილ მასწავლებელთა გაკვეთილებზე დასწრებით, შთაბეჭდილებათა მოკლე ანალიზის გაკეთებით და კურსანტების მიერ საცდელი გაკვეთილების ჩატარებით.

თეორიული კურსის გავლისათვის კვირაში 14 საათი იყო გამოყოფილი, რომელთაგან 10 საათი ეთმობოდა ზოგადსაგანმანათლებლო საგნების გამეორება-შევსებას და 4 საათი დიდაქტიკის და მეთოდოლოგიის შესწავლას. პრაქტიკული მეცადინეობისათვის გამოყოფილი იყო 8 საათი. კურსებზე სწავლა უფასო იყო. კურსების დაფინანსებას ახდენდა განათლების სამინისტრო. [3, გვ. 352].

მოკლედ შევეხოთ სკოლების დაქვემდებარებას და ინსპექტირებას, აგრეთვე მათთან დაკავშირებულ სხვა საკითხებსაც. დაწყებით, საქალაქო, საკვირაო და კერძო სკოლებს ხელმძღვანელობდნენ სახალხო სკოლების დირექციები და კავკასიის სასწავლო ოლქი. კავკასიის სასწავლო ოლქს ორი-სამი ინსპექტორი ჰყავდათ და პერიოდულად ამოწმებდნენ სკოლებს და ვრცელ მოხსენებით ბარათებს ადგენდნენ, სადაც შეჰქონდათ დადებით და ნაკლოვანი მხარეები. სკოლების ინსპექცია და კონტროლი კარგად იყო დაყენებული, რაზეც მეტყველებს არქივებში დაცული სკოლების შემოწმების მასალები. 1888–1889 წლებში ქუთაისის გუბერნიაში არსებული 136 სკოლა შემოწმდა 184-ჯერ. [4, გვ. 340–341].

1889–1890 წლებში ქუთაისის გუბერნიაში არსებული სკოლები შემოწმდა 187-ჯერ. [5, გვ. 720–721].



1880 წელს ქუთაისის სახალხო სკოლების დირექციას შეუმოწმებია სენაკის მაზრის 14 სკოლიდან 12, ზუგდიდის მაზრის 15 სკოლიდან ყველა 15. [6, ფურც. 24.], შორაპნის მაზრის 15 სკოლიდან–11, ქუთაისის მაზრის 24 სკოლიდან–1, რაჭის მაზრის 18 სკოლიდან–16, ლეჩხუმის მაზრის 9 სკოლიდან–1. [6, ფურც. 27]. სკოლების ესოდენ ხშირი შემოწმებები ხელს უწყობდა სწავლა–აღზრდის საქმის წინსვლას.

სასწავლო ოლქის და გუბერნიების სახალხო სკოლათა დირექციების მიერ კონტროლი ეწეოდა ტერიტორიულად დაქვემდებარებულ ყველა სკოლას მიუხედავად მათი ხასიათისა და კუთვნილებისა. გარდა ამისა, საზოგადოებრივი სკოლებს ამ საზოგადოებათა მიერ გამოყოფილი პირებიც ამოწმებდნენ. ქართველთა შორის წერა–კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სკოლებს პერიოდულად ამოწმებდნენ გამგეობის მიერ გამოყოფილი პირები, რომლებიც შემოწმების შედეგებს ასახავდნენ გამგეობის სახელზე დაწერილ მოხსენებით ბარათებში. სკოლებს ხშირად სტუმრობდნენ დ.ყიფიანი, ი.ჭავჭავაძე, ნ.ცხვედაძე, ი.გოგებაშვილი და სხვ. 1880 წელს ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლა დაუთვალაიერებია დ.ყიფიანს. [7, ფურც. 25]. 1889 წელს ბათუმის სკოლა შეუმოწმებია გრ.ვოლსკის, რომელზეც სასიამოვნო შთაბეჭდილება დაუტოვებია სკოლას და სასწავლო პროცესს. [8, ფურც. 16]. 1891 წელს გ.იოსელიანს შეუმოწმებია ძველი სენაკის სკოლა და დასწრებია გამოცდებს. [9, ფურც. 2]. შემოწმების შედეგად შედგენილი მოხსენებითი ბარათების საფუძველზე ხდებოდა სკოლის მუშაკთა დასჯა–წახალისება. გ.იოსელიანის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე მადლობა გამოუცხადებიათ ძველი სენაკის სათავადაზნაურო სკოლის მასწავლებელ მ.ბურჯანაძისთვის, ხოლო ი. გოგოლაშვილი და ს.მჭედლიძე გაუფრთხილებიათ. [9, ფურც. 5].

სკოლებს ინსპექტირებას უწევდნენ არა მარტო განათლების მოხელეები, არამედ სამხედრო და სასულიერო პირებიც. 1880 წლის 3 ნოემბერს სოხუმის მთიელთა სკოლა დაუთვალაიერებია კავკასიის არმიის მთავარსარდლის თანაშემწე გენერალ–ადიუტანტ მელიქოვს, კავკასიის მთიელთა სამმართველოს უფროსს, გენერალ–ლეიტენანტ კომაროვს, მათ ხლებიათ გენერალ–მაიორი გიორგი შერვაშიძე და სოხუმის განყოფილების ადმინისტრაციის მოხელეები. მათ ჯერ შენობა დაუთვალაიერებიათ, შემდეგ მოსამზადებელი კლასის მოსწავლეები არითმეტიკაშიც გამოუცდიათ. იმავე დღეს მელიქოვს უნახავს სოხუმის ქალთა სკოლაც. [9, ფურც. 15]. სოხუმის მთიელთა სკოლა იმავე წლის 10 დეკემბერს შეუმოწმებია კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსს, გენერალ–ლეიტენანტ სტაროსელსკის და გამოუცდია მოსამზადებელი კლასის მოსწავლეები რუსულ ენასა და არითმეტიკაში და პასუხებით კმაყოფილი დარჩენილა. [9, გვ. 44]. 1882 წელს ახალი ათონის სასულიერო სკოლა შეუმოწმებია გენერალ–მაიორ აბაშიძეს. 1893 წელს სენაკის მაზრის სკოლები დაათვალაიერა ქუთაისის სამხედრო გუბერნა–ტორმა შალიკოვმა, ის ეწვია ახალი სენაკის, ძველი სენაკის, კვათანას და მარტვილის სკოლებს, შემდეგ კი ზუგდიდის მაზრის სკოლებს–ხეთის, ცაიშის და ქვალონის სკოლებს. [10, გვ. 302–303].

1882 წლის 10 მაისს ახალი ათონის სასულიერო სკოლა შეუმოწმებია საქართველოს ეგზარხოს იონიკს, რომელსაც გამოუცდია მოწაფეები და მადლობა გადაუხდია მონასტრის წინამძღვარისათვის სკოლაში კარგად დაყენებული სწავლისათვის. [11, გვ. 318]. და სხვ. სასულიერო და სამხედრო პირთა სკოლებში სტუმრობა ემსახურებოდა მოსწავლე–ახალგაზრდობაში ღვთისა და ტახტისადმი ერთგულების დანერგვას.

დასავლეთ საქართველოში მხოლოდ ერთი სამასწავლებლო სემინარია არსებობდა ხონში, რომლის კადრებზეც დიდი მოთხოვნილება იყო. ხონის სამასწავლებლო

სემინარიამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სახალხო სკოლებისათვის კვალიფიციური მასწავლებლების მომზადებაში. ხონის სამასწავლებლო სემინარია 1900 წლისათვის დამთავრებული ჰქონდა 176 მასწავლებელს.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. კავკასიის სასწავლო ოლქის ცირკულარი, 1884 წელი, დამატება, №13.
2. ჟურნალი „მწყემსი“, 1898 წ., №15–16.
3. კიკვიძე 1959: კიკვიძე ა., საქართველოს ისტორია XIX - XX სს., წიგნი II, (1861-1921წწ.), თბილისი, 1959 წელი.
4. კავკასიის სასწავლო ოლქის ცირკულარი, 1889, №10.
5. კავკასიის სასწავლო ოლქის ცირკულარი, 1890, №12.
6. სსცა, ფ.416, საქმე 543.
7. სსცა, ფ.481, საქმე №12.
8. სსცა, ფ.481, საქმე №208.
9. სსცა, ფ.481, საქმე №277.
10. კავკასიის სასწავლო ოლქის ცირკულარი, 1893, №6.
11. კავკასიის სასწავლო ოლქის ცირკულარი, 1882, №7.

**Tamar Dograshvili**

**Associate Professor of Akaki Tsereteli State University**

**Staffing and inspection of primary schools in Georgia in the second half  
of the 19<sup>th</sup> century**

**Abstract**

According to the legislation in force in Russia at that time, the title of teacher was awarded to persons who completed various courses of secondary schools-gymnasiums, teacher and theological seminaries, educational institutes, as well as theological academies and universities. However, teachers with incomplete secondary education were the graduates of urban and theological educational institutions, as well as persons with primary education. The teacher's title was awarded through special exams conducted in gymnasiums. In order to be awarded the title of teacher, the applicants were required to conduct trial lessons. All schools that were under territorial subordination, regardless of their nature and affiliation, were controlled by the educational district and provincial publicschool administrations. In addition, public schools were also inspected by persons appointed by these societies. Schools were inspected not only by education officials, but also by the military and the clergy.

In Western Georgia, there was only one educational seminary in Khoni, which by 1900 had graduated 176 teachers.

**Key words:** primary school teacher, trial lessons, theological school, educational district, Caucasian educational district.

ავთანდილ ასათიანი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
ასოცირებული პროფესორი  
თეიმურაზ ქურციკიძე  
სსიპ ქ. ზესტაფონის მე-3 საჯარო სკოლის  
წამყვანი მასწავლებელი

## მასწავლებლობა, როგორც უძველესი საქმიანობა და პროფესია (დასაბამიდან ახალ დრომდე)

**რეზიუმე:** ბიბლიის თანახმად, მასწავლებლობის ისტორიული ფესვები სამყაროს შემოქმედს - ღმერთს უკავშირდება, ხოლო საერო თვალსაზრისით, მასწავლებლის საჭიროებას მაშინ ჩაეყარა საფუძველი, როცა ადამიანები არსებობისათვის იბრძოდნენ. როცა ადამიანმა იმდენი ცოდნა დააგროვა, რომ ყველა მშობელს მისი მომავალი თაობისათვის გადაცემა უკვე აღარ შეეძლო. სწორედ ამ მიზნით გამოარჩევდნენ უხუცესებს და მათ ანდობდნენ ბავშვთა აღზდაზე ზრუნვას.

მასწავლებლის ორგანიზებული საქმიანობა სკოლების გაჩენას უკავშირდება. პირველი სკოლები წარმოიშვა ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში მონათმფლობელური საზოგადოების ჩამოყალიბების დროს (ეგვიპტე, ბაბილონი, ასურეთი, ფინიკია). ძველ საბერძნეთში და რომში სკოლების გავრცელების მასშტაბის გაცილებით დიდი იყო და შესაბამისად, გაიზარდა მოთხოვნა მასწავლებლებზე. ეპოქალური ცვლებადობის (მონათმფლობელობა, ფეოდალიზმი, კაპიტალიზმი) კვალდაკვალ იზრდებოდა სკოლებისა და მასწავლებელთა რაოდენობა. თუკი ძველ დროში მხოლოდ ზოგადად განათლებული და გამოცდილი ადამიანები ინიშნებოდნენ მასწავლებლებად, ახალ დროში დიდი ყურადღება დაეთმო მასწავლებელთა პროფესიულ განათლებას და მათ შემდგომ დაოსტატებას.

**საკვანძო სიტყვები:** მასწავლებელი, პედონომი, დიდასკო, დამოძღვრა, სკოლა, პედაგოგიკის კლასიკოსი, სკოლების ტიპი.

შეუძლებელია ვინმემ ჩამოთვალოს დედამიწაზე დღეს არსებული პროფესიები, რადგან მათი რაოდენობა, ამერიკელ სტატისტიკოსთა გათვლებით, ნახევარ მილიონზე მეტი ყოფილა, თუმცა, მათ შორის არის ერთი - მასწავლებლის პროფესია, რომელიც არავის გამორჩება. მსოფლიოს ხალხები მასწავლებლად მიიჩნევენ არა მარტო იმ ადამიანს, ვინც სკოლაში ასწავლის, არამედ მასაც, ვინც მომავალ თაობას გადასცემს ცხოვრებისეულ გამოცდილებას, ტრადიციებს, ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო კულტურას. როგორც მშობლები, ასევე პედაგოგებიც ადამიანთა სხვადასხვა თაობებს აკავშირებენ ერთმანეთთან.

სწორედ ეს დედაზრია ძირითადად გატარებული პედაგოგიკის დარგის თანამედროვე მკვლევართა მიერ მასწავლებლის პროფესიის განმარტებაში: „1. სპეციალური განათლების მქონე პირი, რომელიც სკოლაში (ან სკოლის გარეთ) ასწავლის რასმე, რაიმე საგანს. ქართული ენის მასწავლებელი, მათემატიკის მასწავლებელი, ცეკვის მასწავლებელი, მუსიკის მასწავლებელი; საერთოდ, ვინც (რაც) ვისმე ასწავლის (რასმე). ჭკუის მასწავლებელი; რითაც რასმე სწავლობს ადამიანი. მასწავლებელი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ახორციელებს მოზარდი თაობის განათლებას, სწავლებას, აღზრდასა

და განვითარებას. 2. რაიმე მოძღვრების შემქმნელი, მამამთავარი; მოღვარი, მასწავლებელთა მასწავლებელი“ (1.314).

პროფესიების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის თანახმად, საშუალო განათლების მასწავლებლები საშუალო განათლების დონის დაწესებულებებში ასწავლიან ერთ ან რამდენიმე საგანს (10.215).

მასწავლებლობის ისტორია ისეთივე ძველია, როგორც ჩვენი სამყარო. როგორც ძველი აღთქმა გვაუწყებს, პირველი პედაგოგიური აქტი სწორედ მაშინ შედგა, როცა ღმერთმა ადამი და ევა დამოძღვრა. „ებრაული ტრადიციის თანახმად, ვინც მოსეს კანონებს ასწავლის ბავშვს, იგივეა, თითქოს თავად გაეჩინოს იგი. ე.ი. მასწავლებელი, რომელიც ბავშვს თორას ასწავლის, ადამიანს „ქმნის,” მის ფორმირებაში მონაწილეობს და მისი დამსახურება ბიოლოგიურ მშობლებზე არანაკლებია. ამიტომაც დამკვიდრდა ისრაელიანებში მასწავლებლის მიმართ განსაკუთრებული მოწიწება და პატივისცემა“ (2.7).

საერო თვალსაზრისით, მასწავლებლის საქმიანობას მაშინ ჩაეყარა საფუძველი, როცა ადამიანები მცირე ჯგუფებად გაერთიანებულნი არსებობისათვის შრომობდნენ და იბრძოდნენ. მასწავლებლობა ნადირობასთან და ადამიანის არსებობისათვის სხვა აუცილებელ საქმიანობათა შორის ერთ-ერთი უძველესი საქმიანობაა დედამიწაზე. როგორც ისტორიკოსებს მიაჩნიათ, მასწავლებლის პროფესიის საქმიანობა იმ დროს გაჩნდა, როცა ადამიანმა პირველად დაიწყო ცხოველებზე ნადირობა და შრომის იარაღების დამზადება. სწორედ მაშინ დაიწყო მომდევნო თაობისათვის არსებობისა და ყოფა-ცხოვრებისთვის საჭირო ცოდნა-გამოცდილების გადაცემა. როცა ადამიანმა იმდენი ცოდნა დააგროვა, რომ ყველა მშობელს მისი მომავალი თაობისათვის გადაცემა უკვე აღარ შეეძლო. ამისთვის ჭკვიანი, გამოცდილი ადამიანები იყვნენ საჭირონი. სწორედ ამ მიზნით გამოარჩევდნენ უხუცესებს და მათ ანდობდნენ ბავშვთა აღზდაზე ზრუნვას. ამდენად, ვინც ბავშვებს და მოზარდებს ასწავლიდა, თემის და გვარის წევრებისგან განსაკუთრებულ პატივისცემასაც იმსახურებდა, რასაც გარკვეული პრივილეგიებიც თან ახლდა.

კაცობრიობის ევოლუციური განვითარების კვალდაკვალ, რასაც შრომის დანაწილებაც მოჰყვა, მასწავლებლის მიმართ მოთხოვნები მნიშვნელოვნად გაიზარდა. უნარ-ჩვევების განვითარებისა და ცოდნის გარკვეული ბაზის შექმნას მათი გავრცელებისა და ახალი თაობისათვის გადაცემის აუცილებლობაც მოჰყვა. სწორედ ასე გაჩნდნენ მასწავლებლები. თავიდან ისინი ცალკე პროფესიულ კასტად არ მიიჩნეოდნენ, უპირატესად ამ საქმიანობით გვარის უხუცესები იყვნენ დაკავებულნი. რაკი მათ მძიმე ფიზიკური შრომა აღარ შეეძლოთ, მაგრამ დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება ჰქონდათ, ამიტომაც აკისრებდნენ მოზარდებზე ზრუნვას.

უძველეს დროში, შრომის დანაწილებამდე, გვარისა და თემის ყველა წევრი - უფროსებიცა და მოზარდებიც მონაწილეობდნენ საკვების მოპოვებაში, რაც არსებობისათვის აუცილებელი იყო. პირველყოფილ საზოგადოებაში წინა თაობის მიერ დაგროვილი გამოცდილების ბავშვებისათვის გადაცემა შრომას უკავშირდება. ბავშვები ადრეული ასაკიდან ეუფლებოდნენ შრომის უნარებსა და ხერხებს. შრომის იარაღების გაუმჯობესებამ მეტი საკვების მოპოვებისა და დამზადების შესაძლებლობა შექმნა. ამის შედეგად აუცილებელი აღარ იყო მოხუცებისა და ავადმყოფების მიერ მძიმე ფიზიკური შრომა. ამიერიდან მათ მხოლოდ ბავშვებზე ზრუნვა და ცეცხლის შენარჩუნება ევალებოდათ.

მოგვიანებით, შრომის იარაღების გაცნობიერებულად დამზადების სირთულემ, ამ უნარ-ჩვევების სპეციალურად გადაცემის აუცილებლობამდე მიიყვანა იმდროინდელი საზოგადოება. გვარის უზუცესები სპეციალურად არჩევდნენ გამოცდილ ადამიანებს, რომელთა ერთადერთ მოვალეობას მოზარდებისათვის გამოცდილების გადაცემა, მათ სულიერებაზე ზრუნვა და ცხოვრებისათვის მომზადება შეადგენდა. ამდენად, აღზრდა ადამიანების ჩამოყალიბების პირობად იქცა. ამისათვის ისეთ ადამიანებს არჩევდნენ, ვისაც ბავშვებთან ურთიერთობის გამოცდილება ჰქონდა. ძალიან დიდი დრო გავიდა, სანამ ეს საქმიანობა პროფესიულ ფორმასა და შინაარსს შეიძენდა. სწორედ ამიტომაც აქვს პედაგოგის პროფესიის წარმოშობას ობიექტური საფუძველი. საზოგადოების არსებობა და განვითარება შეუძლებელი იქნებოდა თუკი ახალგაზრდა თაობა, რომელიც ცვლიდა წინა თაობას, იძულებული იქნებოდა ყველაფერი თავიდან დაეწყო და არ გამოეყენებინა ის ცოდნა და გამოცდილება, რაც მემკვიდრეობით ერგო.

როდესაც კაცობრიობა მივიდა იმ დონემდე, - მიუთითებს აკადემიკოსი ნ. ვასაძე, რომ თავად ცოდნა გათვითცნობიერდა როგოც ფასეულობა, საჭირო შეიქმნა მისი დაგროვების და გადაცემის საგანგებო ორგანიზაცია, რამაც მიიღო სახელწოდება „სწავლება“, გაჩნდა შესატყვისი ტერმინიც „მასწავლებელი“, მაგრამ თავის პოპულარობას ბოლომდე ინარჩუნებს ტერმინი „პედაგოგი“, რომელიც სწავლებას და აღზრდას ფაქტობრივად მთლიანობაში წარმოაჩენს“ (3.350).

მასწავლებლის ორგანიზებული საქმიანობა სკოლების გაჩენას უკავშირდება. პირველი სკოლები წარმოიშვა ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში მონათმფლობელური საზოგადოების ჩამოყალიბების დროს (ეგვიპტე, ბაბილონი, ასურეთი, ფინიკია). ამ ქვეყნებში მოსავლის მოყვანისთვის მინდვრის ხელოვნური მორწყვა იყო საჭირო. ხალხს უნდა სკოდნოდოდა მდინარეების (ნილოსი, ტიგროსი, ევფრატი) პერიოდული ადიდების და გვალვების წინაწარი გამოცნობა, მდინარეთა გასწვრივ ნაპირსამაგრი სამუშაოების წარმოება.

თანდათანობით ბუნების მოვლენებზე დაკვირვებით, ქალაქებისა და ჰიდრონაგებობების მშენებლობის პროცესში, დიდი გამოცდილება დაგროვდა, რამაც სერიოზული ბიძგი მისცა სამყაროს შესახებ მეცნიერული ცოდნის საწყისებს - არითმეტიკაში, გეომეტრიაში, ასტრონომიასა და მედიცინაში. თუმცა, ასეთი ცოდნა მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობისთვის მიუწვდომელი იყო. ცოდნაზე მონოპოლია ქურუმებს ეპყრათ ხელთ და დიდი საიდუმლოებით ინახავდნენ, და მხოლოდ მათ შვილებს ანუ მომავალ ქურუმებს გადასცემდნენ. ამრიგად, ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში მასწავლებლები ძირითადად ქურუმები იყვნენ, რომლებიც შეადგენდნენ პრივილეგირებულ კასტას.

სკოლის, როგორც სოციალური ინსტიტუტის აღმოცენება დაკავშირებულია კულტურის შემდგომ განვითარებასთან, მწერლობის და მეცნიერების დაბადებასთან. სკოლის შესახებ პირველი ცნობები გვხვდება ეგვიპტურ წყაროებში, რომლებიც თარიღდება ჩვენს წელთაღრიცხვამდე 2500 წლით. ეს იყო სასახლის სკოლა წარჩინებულთა შვილებისთვის. ცოტა მოგვიანებით კი გაჩნდა სპეციალური საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულება "რამესეუმი", სადაც ამზადებდნენ არა მხოლოდ ქურუმებს, არამედ მეომრებს, არქიტექტორებსა და ექიმებს.

ძველ საბერძნეთში თავდაპირველად გაჩნდა გრამატიკული და კიფარისტული სკოლები, სადაც სწავლობდნენ მხოლოდ 7-დან 14 წლამდე ვაჟები, ხოლო გოგონები განათლებას ოჯახში იღებდნენ. გიმნაზიაში ბიჭებს ასწავლიდნენ კითხვას, წერას და თვლას. კიფარისტულ სკოლაში სწავლობდნენ მუსიკას, სიმღერას და პოეზიას,

მაგალითად, ნაწყვეტებს ბერძნული ეპოსიდან - ილიადა, ოდისეა და ა.შ. სკოლები კერძო და ფასიანი იყო. ასეთ სკოლებში მასწავლებლებს დიდსაკალს ეძახდნენ (ბერძნულიდან „დიდასკო“ - ვასწავლი).

13-14 წლის ასაკში ბიჭები გადადოდნენ სკოლა-პალეტრაში (სიტყვასიტყვით "ჭიდაობის სკოლა"), სადაც ორი-სამი წლის განმავლობაში სწავლობდნენ ტანვარჯიშს ჭიდაობას, სირბილს, ხტომას, დისკის სროლას, შუბოსნობას და ცურვას. სპარტაში სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელებს დიდგვაროვან არისტოკრატებიდან ნიშნავდნენ და მათ პედონომებს უწოდებდნენ. პედონომის მოვალეობა იყო მოსწავლეთა მორალური ქცევისა და სამხედრო ფიზიკური ვარჯიშების წარმართვა და გარკვეული გადაცდომისთვის მოსწავლეთა დასჯაც.

„მასწავლებლის" სინონიმი – „პედაგოგი" (პედონომი) ბერძნული ენიდან გავრცელდა. სწორედ ასე უწოდებდნენ იმ ადამიანს, ვინც ოჯახში თვალყურს ადევნებდა, ზრუნავდა და სკოლაში დაჰყავდა ბავშვები. ფაქტიურად ისინი მონები იყვნენ. ხანგძლივი დროის შემდეგ, პედონომის ანუ პედაგოგის პირველადი მოვალეობა – ბავშვის მოვლა, ძიძაობა და ტარება, იმდენად გაფართოვდა, რომ მის მთავარ მოვალეობად, ბავშვის აღზრდისა და სწავლების საქმე იქცა. აქედან გამომდინარე, მის მიერ შესრულებული საქმიანობა, პედონომიური შინაარსის მომცველი გახდა. ძველ საბერძნეთში ამ საქმიანობაში ჩაბმულ პირებს „პედონომებს", „პედაგოგებს", „პედოტრიპებს" და „დიდაკალოსებსაც" უწოდებდნენ. გარკვეული პერიოდის შემდეგ, ამ სფეროში დაგროვილი მეცნიერული ცოდნის გამომხატველ ტერმინად პედაგოგიკა იქცა.

პირველი „ლიცეუმი" ანუ ლიკეი (ბერძ. Λύκειο ანუ ἡ Lycee) ორი ათასზე მეტი წლის წინ ათენში ჩამოყალიბდა. შესაძლებელია სწორედ მაშინ გაჩენილიყო მასწავლებლის პროფესია თანამედროვე გაგებით. ლიცეუმთან ერთად, უფრო ადრე დაუარსებიათ გიმნაზია, რომელიც ფიზიკური სრულყოფილების სკოლა იყო, ხოლო ლიცეუმში აზროვნებისა და სულიერების სავანეს წარმოადგენდა.

ძველი ბერძნული სიტყვისაგან "schole" - წარმოიშვა სკოლა. ბერძნულ სკოლებში სწავლება ზეპირსიტყვიერი ფორმით მიმდინარეობდა.

II ს-ის პირველ ნახევარში (ძვ.წ.) რომის იმპერიამ დაიპყრო და თავის გავლენას დაუმორჩილა ხმელთაშუა ზღვის ქვეყნები, რასაც თან ახლდა ამ ქვეყნებში კულტურის, მეცნიერების და ხელოვნების მკვეთრი ზრდა; დაწინაურდა განათლების სფეროც - მასობრივად იხსნება გრამატიკული სკოლები, სადაც იღებდნენ 11-12 წლის ვაჟებს და სწავლა 15 წლამდე გრძელდებოდა. ამ სკოლებში ძირითადად ასწავლიდნენ დაბალი სოციალური ფენებიდან გამოსული მასწავლებელი „გრამატიკოსები". ამის მიუხედავად, ისინი ფართო განათლების ადამიანები იყვნენ და აქტიურ მონაწილეობასაც იღებდნენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ბევრმა მათგანმა დიდ პოპულარობასაც მიაღწია.

რომის რესპუბლიკის არსებობის ბოლო ათწლეულებში (ძვ. წ. I საუკუნის დასაწყისი და შუა წლებში) ინტენსიური სოციალური და პოლიტიკური ბრძოლების პირობებში, რიტორიკული ხელოვნება დიდ მნიშვნელობას იძენს. ამის გამო იქმნება რიტორიკული სკოლები, სადაც სწავლობდნენ 13-14-დან 16-19 წლამდე მოზარდები და ახალგაზრდები. რიტორიკულმა სკოლებმა უდიდესი როლი ითამაშეს ზოგადი ჰუმანიტარული განათლების გავრცელების საქმეში. მის შედეგად დაწინაურდა რიტორიკა, ფილოსოფია და სამართლა, ისტორია და ლიტერატურა.

რომის იმპერიაში კარგად აცნობიერებდნენ სკოლების გავლენას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე, ამიტომ აღზრდა-განათლების სახელმწიფო სისტემაში მოქცევა იმპერიის სტაბილურობის ერთ-ერთ პირობად იყო მიჩნეული. სწორედ

ამიტომაც, იულიუს კეისარმა ყველა მასწავლებელს რომის მოქალაქეობა მიანიჭა, ხოლო იმპერატორმა ვესპასიანემ (70-99) რიტორებს სახელმწიფო ანაზღაურება დაუნიშნა. თანდათან გრამატიკოსები და ორატორები, მოგვიანებით კი დაწყებითი სკოლის მასწავლებლებიც სახელმწიფო მოხელეები ხდებოდნენ. ანტონინუს პიუსმა (138-161 ახ. წ-ად.) ქალაქის მოსახლეობის შესაბამისად დაადგინა რიტორთა და გრამატიკოსთა რაოდენობა და მასწავლებლებისთვის მთელი რიგი შეღავათები და პრივილეგიები შემოიღო. იმპერატორ დიოკლეტიანეს (285-305) დროს დააწესეს თითოეული ტიპის სასწავლებლისთვის მასწავლებელთა შესაბამისი ოდენობა, განისაზღვრა მათი მოვალეობები და ხელფასი.

პროფესიანალ მასწავლებლად უნდა მივიჩნიოთ სახელგანთქმული მარკ ფაბიუს კვინტილიანე (42- 118 წწ.), რომლის მამაც, ფაბიუსიც მასწავლებელი იყო და მართავდა მის მიერვე დაარსებულ რიტორიკულ სკოლას რომში. მამის კვალს გაჰყვოლია მისი შვილი მარკიც, რომელიც ოცი წლის განმავლობაში ხემძღვანელობდა რიტორიკულ სასწავლებელს. ეს სასწავლებელი იმდენად ავტორიტეტული ყოფილა, რომ იმპერატორ ვესპასიანეს იგი სახელმწიფო სასწავლებლად გადაუკეთებია და უხვად დაუფიანსებია. სწორედ კვინტილიანე იყო პირველი, რომელმაც კაცობრიობის ისტორიაში ათენური და პირადი გამოცდილების განზოგადების საფუძველზე შექმნა პირველი პედაგოგიური ტრაქტატი „ორატორის დარიგებანი“ თორმეტ წიგნად (4.42).

მასწავლებლის პროფესია აღიარა მონათმფლობამ. ამის დასტურია ძველი აღმოსავლეთის და ანტიკური დასავლეთის საგანმანათლებლო კერების არსებობა და მათში პროფესიონალ მასწავლებელთა საქმიანობა, რომ არაფერი ვთქვათ დიდგვაროვანთა შვილების აღზრდელ-მასწავლებელთა მუშაობის პრაქტიკაზე. გზადაგზა მასწავლებლებად ამ საქმისათვის სათანადოდ მომზადებული პირი ინიშნებოდა. მათი საქმიანობის აღსანიშნავად სპეციალური ტერმინებიც იქნა შემოღებული: შუამდინარეთში არსებულ სკოლა-ედუბებში მათ სკოლის ძმებს ანუ მასწავლებლებს უწოდებდნენ, ხოლო საბერძნეთში - პედონომებსა და დიდასკალოსებს.

ქრისტიანობის გავრცელებისა და მისი სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ, საუკუნეების განმავლობაში ბავშვთა მოზარდთა აღზრდა-განათლებაზე ეკლესია ზრუნავდა. სწორედ ამას ადასტურებს პირველი კონფესიური სკოლების არსებობა და მასში ეკლესიის წმინდა მამების და დიდი თეოლოგების (*პანტენი, კლიმენტი ალექსანდრიელი, ორიგენე, წმ. ეფრემ ასური, წმ. ბასილი დიდი, წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი და წმ. იოანე ოქროპირი. ტერტულიანე, წმ. კიპრიანე, წმ. ამბროსი მედიოლანელი, ნეტარი იერონიმე და ნეტარი ავგუსტინე*) მოღვაწეობა, რომლებიც ამავე დროს გამორჩეული პედაგოგებიც იყვნენ.<sup>3</sup>

ადრეულ შუა საუკუნეებში განათლება ეკლესიის მფარველობა-გამგებლობის სფეროში მოექცა. ამ პერიოდში არსებობდა სამი ტიპის სკოლა: სამონასტრო, კათედრალური (საეპისკოპოსო) და სამრევლო.

<sup>3</sup> უძველესი ქრისტიანული სკოლებში მოღვაწე საეკლესიო პირები, პედაგოგიურ საქმიანობაში იყენებდნენ მათ მიერ შედგენილ სახელმძღვანელო წიგნებს. გარდა იმისა, რომ არსებობს ინფორმაცია მათი პრაქტიკული პედაგოგიური საქმიანობის შესახებ, ასევე შემონახულია მათი პედაგოგიური შეხედულების ამსახველი თხზულებებიც, მათში თანამედროვე ეპოქისთვის საყურადღებო მოსაზრებები და პედაგოგიური თვალსაზრისით საინტერესო მიგნებებია მოცემული. ვრცლად ამის შესახებ იხ. ა. ასათიანი, ნარკვევები ქრისტიანული პედაგოგიკის ისტორიიდან, I ტომი, გამომცემლობა „პედაგოგიკა“, თბილისი, 2007 წელი.

ფეოდალიზმის ეპოქაში პედაგოგიური აზროვნება და სასკოლო პრაქტიკა რელიგიური იდეოლოგიით ვითარდებოდა. ზოგიერთ სამონასტრო სკოლაში, წერაკითხვასთან, საღვთო რჯულთან და გალობასთან ერთად, ასწავლიდნენ გრამატიკას, რიტორიკას, დიალექტიკას (ტრივიუმი). მოგვიანებით არითმეტიკის, გეომეტრიის, ასტრონომიისა და მუსიკის (კვადრიუმი) სწავლებაც შემოიღეს. ყველა ტიპის სკოლაში მასწავლებლად ჩვეულებრივ ინიშნებოდნენ ბერები, რომლებსაც მიდრეკილება ჰქონდათ მასწავლებლის პროფესიისადმი. შუა საუკუნეების სკოლაში არ იყო კლასიკური გაკვეთილები. მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლეები სკოლაში ერთდროულად სწავლობდნენ, თითოეული მოსწავლე სხვადასხვა დავალებას ასრულებდა: ზოგი ანბანს სწავლობდა, ზოგი სიტყვის დამარცვლას, ზოგი კი მითითებულ ტექსტს კითხულობდა. მასწავლებელი რიგრიგობით თავისთან იხმობდა მოწაფეებს და ინდივიდუალურად მუშაობდა მათთან.

შუა საუკუნეებში პედაგოგები განათლებული ღვთისმსახურები იყვნენ. რაც შეეხება მოსახლეობის დაბალ ფენას, მათთვის განათლება ძირითადად მიუწვდომელი იყო. სასულიერო მასწავლებელთა კურსდამთავრებულები ეკლესია-მონასტრებში აგრძელებდნენ ღვთისმსახურებას. განათლებულ ბერებს იწვევდნენ დიდგვაროვნები თავიანთი შვილების აღზრდელ-მასწავლებლებად. შუასაუკუნეების ევროპაში სამონასტრო სკოლებში გარკვეული გადასახადის ფასად ასწავლიდნენ ბავშვებს. ღარიბთათვის სწავლის საფასურის გადახდა ძალიან რთული იყო, ამიტომ გამო, ისინი უპირატესად ვერ ახერხებდნენ სწავლას. სკოლებში როგორც წესი, იღებდნენ მხოლოდ ვაჟებს, მოგვიანებით დაიწყეს გოგონათა მიღება დედათა მონასტრებთან არსებულ სკოლებშიც.

ქალაქების ზრდასთან ერთად, ხელოსანთა გაერთიანებების ინიციატივით ჩნდება სახელოსნო სკოლები, ხოლო ვაჭრების ინიციატივით გილდიური სკოლები. მოგვიანებით, ორივე მათგანი (სახელოსნო და გილდიური) გაერთიანდა და ჩამოყალიბდა საქალაქო (სამაგისტრო) სკოლები, რომელსაც შენობებით და სხვა სამეურნეო საჭიროებებით უზრუნველყოფდა ქალაქის თვითმმართველობა. ხოლო მასწავლებელთა გადასახადს მოსწავლეთა მშობლები იხდიდნენ. სკოლების მართვა-გამგეობას - მასწავლებლების და სკოლების ხელმძღვანელების სკოლის პროფილის შესაბამისად, ხელოსანთა გაერთიანებებთან და გილდიებთან ერთად, ქალაქის თვითმმართველობა ახორციელებდა.

XVI საუკუნეში შეიქმნა იეზუიტების პედაგოგიური სისტემა. იეზუიტური განათლების სისტემა ხელს უწყობდა კათოლიკური ეკლესიის გავლენის გაძლიერებას, სწორედ ისეთი საშუალებებით, როგორცაა: ფიზიკური აღზრდა, სრულყოფილი სასკოლო აღჭურვილობა, თვალსაჩინოება სწავლებაში, ქცევის ლიბერალური წესები და სრულფასოვანი ზოგადი განათლება. იეზუიტთა საგანმანათლებლო დაწესებულებები დახურული ტიპის პანსიონებს წარმოადგენდა და მას კოლეგიუმი ეწოდებოდა, სადაც მაღალი სოციალური წრიდან გამოსული ბავშვები სწავლობდნენ.

იეზუიტები დიდ ყურადღებას აქცევდნენ მასწავლებელთა მომზადების საკითხს. მათ პირველებმა დაიწყეს პროფესიონალი მასწავლებლების სისტემატური მომზადება. ისინი აუცილებლად მათი ორდენის წევრები უნდა ყოფილიყვნენ.

კაპიტალიზმის ეპოქამ დადებითი გავლენა იქონია სკოლების განვითარებაზე, შესაბამისად გაიზარდა მოთხოვნა მასწავლებლებზე არა მარტო ოფიციალურ სკოლებში, არამედ მე-18-19 საუკუნეებში დიდგვაროვანი არისტოკრატიული ოჯახები და შეძლებული ბურჟუები ოჯახებში იწვევდნენ მასწავლებლებს (გუვერნიორებს) თავიანთი შვილების აღსაზრდელად.



XVII-XVIII საუკუნეებში ევროპაში მკვეთრად გაიზარდა სკოლების რაოდენობა, მათ შორის საერო სკოლების, რამაც გაზარდა მოთხოვნები მასწავლებლებზე. მასწავლებლის საქმიანობამ სტაბილური ხასიათი შეიძინა. დღის წესრიგში დადგა ეფექტიანი სწავლება. ამ მიზნით განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულმა მასწავლებლებმა ხელი მიჰყვეს სწავლების მეთოდოლოგიის დამუშავებას. ამ სფეროში ცალკეული მასწავლებლების მცდელობები გზადაგზა კოლექტიურ სახეს იღებს. დაახლოებით ამავე პერიოდში იქმნება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები. თავდაპირველად აქ მოჰყავდათ ობოლი ბავშვები, მოგვიანებით ჩამოყალიბდა ისეთი საქველმოქმედო დაწესებულებები („თავშესაფარი“ - საფრანგეთში, „ბავშვთა დაცვის სკოლები“ - გერმანიაში, თავშესაფრები და საბავშვო ბაგები - რუსეთში), რომელთა ამოცანას სკოლამდელი ასაკის ბავშვებზე ზრუნვა შეადგენდა. ევროპაში აღმოცენდა კერძო ფასიანი საბავშვო დაწესებულებები, სადაც ასწავლიდნენ შეძლებული ადამიანების შვილებს. ვინც ბავშვებზე ზრუნავდა, ამეცადინებდა, ათამაშებდა და მათთან ეწეოდა აღმზრდელობით მუშაობას სხვადასხვა ქვეყნებში იწოდებოდნენ: ძიძებად, აღმზრდელებად, მასწავლებლებად და დამრიგებლებად. ნიშანდობლივია ისიც, რომ ადრინდელ სკოლამდელ დაწესებულებებში უფრო მეტი კაცი მუშაობდა, ვიდრე დღეს.

მოსახლეობა ყოველთვის განსაკუთრებული რიდითა და პატივით ეპყრობოდა მასწავლებლებს. ყოველმა ერმა მეტ-ნაკლები წვლილი შეიტანა პედაგოგის პროფესიის განვითარება-პოპულარობაში, რაშიც გადამწყვეტი როლი სიბრძნითა და ზნეობით გამორჩეულმა მასწავლებლებმა შეასრულეს. სწორედ მათი ნაღვაწი იქცა კაცობრივობის კულტურის საგანძურის ნაწილად.

საუკუნეების განმავლობაში არ განელებულა ინტერესი ანტიკური სამყაროს დიდი მოაზროვნების (დემოკრიტე, სოკრატე, პლატონი, არისტოტელე, ციცერონი, კვინტილიანე, კატონი) პედაგოგიკური იდეების მიმართ. გამორჩეულია აღმოსავლური სიბრძნის გავლენა აღზრდაზე. ამ მხრივ მხოლოდ დიდი ჩინელი ფილოსოფოსის და მასწავლებლის კონფუცის გახსებაც საკმარისია. საგანგებო ყურადღებას იმსახურებს ჰუმანისტი პედაგოგების (პაოლო ვერჯერიო, ლეონარდო ბრუნი, გუარინო დე ვერონა, მატეო ვეჯო, ენეა პიკოლმანი, ვიტორინო და ფელტრე, ფრანსუა რაბლე, რუდოლფ აგრიკოლა, ერაზმ როტერდამელი, ხუან ლუის ცვინგელი, თომას მორი, თომაზო კამპანელა, მიშელ მონტენი) იდეები ბავშვთა აღზრდის შესახებ. შუა საუკუნეების პედაგოგიკამ, რომელიც ქრისტიანულ ზნეობაზეა დაფუძნებული, არნახულ სიმადლეზე აიყვანა აღსაზრდელი და აღმზრდელი, რითაც კიდევ უფრო განამტკიცა მასწავლებლის სტატუსი საზოგადოებაში. სწორედ ამის თაობაზე მიუთითებდა მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელი, დიდი ჩეხი პედაგოგი იან ამოს კომენსკი: „მასწავლებლები დაყენებულნი არიან მაღალ, საპატიო ადგილზე, რომ მათ ჩაბარებული აქვთ საუცხოო თანამდებობა, რომლის უკეთესიც მზის ქვეშ არაფერი შეიძლება იყოს“ (4. 86).

განუზომლად დიდია მასწავლებლის პროფესიის განვითარებაში განმანათლებლებისა და პედაგოგების ჯონ ლოკის, ჟან ჟაკ რუსოს, იოჰან ჰენრიხ პესტალოცის, იოჰან ფრიდრიხ ჰერბარტის, ადოლფ დისტერვეგის, კონსტანტინე უშინსკის, ლევ ტოლსტოის და სხვათა ღვაწლი.

სწავლა-აღზრდის ერთიან პროცესში ადოლფ დისტრვეგი გადამწყვეტ როლს მასწავლებელს ანიჭებდა: „მასწავლებელი სკოლისათვის იგივეა, - წერდა ის, - რაც მზე სამყაროსათვის“. საყურადღებო იყო მისი მოთხოვნა, რომ მასწავლებელი უნდა იყოს განათლებული, კულტურული, მამაცი, მაღალი ზნეობის მატარებელი, სამაგალითო

ყველგან და ყველაფერში". შეუძლებელია სხვას მისცე ის, - განმარტავდა დისტერვეგი, - რაც არ გაგაჩნია". (4. 159). მას მიაჩნდა, რომ მასწავლებლის სამოღვაწეო ასპარეზი სკოლით არ შემოიფარგლება, ის უნდა იყოს ფართო მასების განმანათლებელი, რომელიც ცოცხლობს ხალხში და იბრძვის ხალხის კეთილდღეობისათვის.

ბავშვთა აღზრდა-განათლების საერთო საგანძურში ქართველებმაც შეიტანეს თავიანთი წვლილი. ჯერ კიდევ ადრეფეოდალურ საქართველოში დასტურდება პედაგოგიკური ტერმინოლოგიის არსებობა, მათ შორის მასწავლებლის პროფესიის გამომხატველი ცნებებისაც, მაგალითად, აღმზრდელ--მასწავლებელს მზრდელი, გამზრდელი („მამამშუპე“, „დედამშუპე“), მზარდელი, მწურთელი, მასწავლელი, მასწავლებელი, განმსწავლელი, მოძღვარი და მოძღვართ-მოძღვარი ეწოდებოდა.

ქართული პედაგოგიკური აზროვნების მრავალსაუკუნოვანი ისტორიაში აშკარად გამოკვეთილია მასწავლებლის როლი. ამას ადასტურებს ქართული საგანმანათლებლო კერების არსებობა, როგორც საქართველოში, ისე ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ. ქართველმა განმანათლებლებმა სხვადასხვა დროს შექმნეს, როგორც საერო, ისე მართლმადიდებლური განათლების ცენტრები. აქედან გამომდინარე, XIX საუკუნის ჩათვლით, ჩვენი ხალხის განათლების საქმეს ერთნაირად ემსახურებოდნენ სასულიერო და საერო სკოლების მასწავლებლები.

საქართველოში მასწავლებელთა პროფესიული მომზადების დაწესებულებებს XIX საუკუნიდან ვხვდებით. XIX საუკუნის I ნახევარში საქართველოს სახალხო სკოლებისთვის მასწავლებლებს ამზადებდა თბილისის სასულიერო სემინარია (1817 წ.), თბილისის, ქუთაისის და თელავის წმინდა ნინოს სასწავლებლები (1846,1847,1865 წწ.) კერძო პანსიონები - ახვერდოვის (1820), კასტელის (1830, ფავრის (1854), ამიერკავკასიის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი (1840), აგრეთვე, ნაწილობრივ ვაჟთა გიმნაზიები...“ (5.117).

და მაინც, საქართველოში პირველ პედაგოგიურ სასწავლებლად მიჩნეულია კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების მიერ 1866 წელს დაარსებული სკოლა, რომელიც მასწავლებლებს ამზადებდა არა მარტო რელიგიური სასწავლებლებითვის, არამედ განათლების სამინისტროს დაწყებითი სკოლებისთვისაც. 1871 წელს ეს სასწავლებელი სამასწავლებლო ინტიტუტად გადაკეთდა. მასწავლებელთა მომზადების მიზნით შემდგომში საქართველოში იხსნება სამასწავლებლო სასწავლებლები და საოსტატო სემინარიები.

ქართველი განმანათლებლები და მაღალი იერარქიის სასულიერო პირები განსაკუთრებული პატივით აღიარებდნენ ქართველი მასწავლებლების დამსახურებას, ამავე დროს ისინი განსაკუთრებულ მოთხოვნებსაც უყენებდნენ მათ.

მასწავლებლის პროფესიულ მომზადებასთან ერთად, მისი, როგორც აღმზრდელის მორალური მხარეს უმნიშვნელვანეს როლს ანიჭებდა გაბრიელ ეპისკოპოსი (გერასიმე ქიქოძე): „უკეთუ შენ ხარ მასწავლებელი..., მაშინ უფრო ფიცხელი ....ანგარიში უნდა მისცე შენს სინდისსა..., რა სახით ასრულებდი ამ მოვალეობას...? გახსოვდა შენ ყოველთვის, რა დიდი საქმე არის მოწაფის გაზრდა, რა მძიმე პასუხს მოითხოვს ღმერთი მასწავლებლისაგან...“ (6.14).

ქართული მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელმა იაკობ გოგებაშვილმა უმაღლესი შეფასება მისცა მასწავლებლის პროფესიას და ქართველ მასწავლებლობას: „მხოლოდ მათის წყალობით, - წერდა დიდი პედაგოგი, ქართველი ხალხი დაწინაურდა წიგნის ცოდნაში... დიახ, ნამდვილი ღვაწლი მიუძღვის სახალხო სკოლების მასწავლებლებს ჩვენი ხალხის განვითარებასა და გამოღვიძებაში“ (7.483). იაკობის შეხედულებები სახალხო სკოლის დანიშნულებასა და შინაარსზე ორგანულადაა

დაკავშირებული მის შეხედულებებთან მასწავლებლის როლსა მნიშვნელობაზე პიროვნების ჩამოყალიბების საქმეში. თვითონ უბადლო პრაქტიკოსი თვლიდა, რომ მასწავლებლობა ინტელიგენციის ის წამყვანი, მოწინავე ნაწილია, რომელსაც საზოგადოებრივი მოღვაწეობის ყველაზე რთული და პასუხსაგები მისია აკისრია (8.105).

ილია ჭავჭავაძე მთელი შეგნებით ექომაგებოდა ქართველ პედაგოგებს მშობლიურ ენაზე სწავლებისათვის ბრძოლაში. მას ნათლად ჰქონდა გააზრებული მასწავლებლის როლი ქვეყნის ძლიერებისა და ხალხის კეთილდღეობის საქმეში: „1870 წელსა, როცა გერმანიამ თავს-ზარი დასცა მინამდე თითქმის უძლეველს საფრანგეთსა... სთქვეს, რომ გერმანიის სკოლის მასწავლებელმა სძლია საფრანგეთსა და დაამარცხო... როგორც ეტყობა, მიზეზი ძლიევამოსილობისა იგივე სკოლის მასწავლებელია, იგივე სწავლა და განათლება.“ (9.291). - წერდა ილია ჭავჭავაძე 1898 წელს. ამიტომაც დღენიადგ ზრუნავდა იგი მასწავლებლებზე, განსაკუთრებით კი სოფლის მასწავლებლებზე, რადგან ყველაზე მძიმე პირობებში, სწორედ მათ უხდებოდათ მუშაობა. მასწავლებლის მაღალი დანიშნულება ღვთიურ სიმაღლეზე აპყავს ილიას და მას მეორე შემოქმედს უწოდებს: „...მზრდელი ყრმისა მეორე შემოქმედი, რასაც ერთი მიჰმადლებს ბავშვს, მეორემ უნდა წრთვნას და ჰზარდოს“, - წერდა ილია ჭავჭავაძე მასწავლებლის შესახებ (10.359).

ახალ დროში, ამ იდეას შთამბეჭდავად ეხმიანება ცნობილი ჩილეელი პოეტი და მასწავლებელი, ნობელის პრემიის ლაურეატი გაბრიელა მინსტრალი (1889-1957) თავის საყოველთაოდ ცნობილ „მასწავლებლის ვედრებაში“ იგი წერს: „უფალო, შენ, რომელიც გვმოდღვრავ და გვასწავლი, მომიტევე, მეც რომ ვასწავლი, მეც, რომ მომღვრად და მასწავლებლად ვიწოდები, როგორც შენ მოგმართავდნენ ხოლმე დედამიწაზე“ (11).

მასწავლებლობის მრავალსაუკუნოვანი ისტორია ისეთივე საინტერესო და ძვირფასია კაცობრიობისთვის, როგორც მათი ღვაწლი მომავალი თაობის აღზრდა-განათლების საქმეში. აქედან გამომდინარე, საზოგადოება და სახელმწიფო დღენიადგ უნდა ზრუნავდეს მართლაც, და გამორჩეული პროფესიის ადამიანების პატივის, ღირსების, პროფესიული დაოსტატებისა და მატერიალური პირობების გაუმჯობესებისთვის.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჯინჯიხაძე 2017: ჯინჯიხაძე ჯ., პედაგოგიკურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, „უნივერსალი“, თბილისი, 2017.
2. ასათიანი 2016: ასათიანი ა., აღზრდა ბიბლიურ იუდაიზმში, თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გამომცემლობა, თბილისი, 2016.
3. ვასაძე 2000: ვასაძე ნ., პედაგოგიკა, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 2000.
4. პედაგოგიკის ისტორია 1998: პედაგოგიკის ისტორია, რედ. აკად. ნ. ვასაძე, თბილისი, 1998.
5. გაგუა 1974: გაგუა ვ., სახალხო განათლება მე-19 საუკუნის რეფორმის შემდგომ საქართველოში, თბილისი, 1974.
6. ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა 1989: ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა, თბილისი, 1989.
7. გოგებაშვილი 1910: იაკობ გოგებაშვილი, რჩეული პედადოგიური და პუბლიცისტური ნაწერები, თბილისი, 1910.

8. განათლების მატთანე 2015: საქართველოს განათლების მატთანე, მთავარი რედაქტორი აკადემიკოსი ნათელა ვასაძე, თბილისი, 2015.
9. ჭავჭავაძე 1987: ილია ჭავჭავაძე, რჩ. ნაწ. ხუთ ტომად, ტ. 5, თბილისი, 1987.
10. ჭავჭავაძე 1985: ილია ჭავჭავაძე, რჩ. ნაწ. ხუთ ტომად, ტ. 2, თბილისი, 1985.
11. პროფესიების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი 2015: ISCO-08 / შრომის საერთაშორისო ბიურო. ქ. ჟენევა: შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO), 2012. I გამოცემა. (ინტერნეტ-რესურსი, ამოღებულია 10.12.2023). <https://eige.res/docs/ISCO-08-Final-final.pdf>
12. რჩეული თხზულებანი რუსულ ენაზე. (ინტერნეტ-რესურსი, ამოღებულია 10.12.2023). <https://www.livelib.ru/book/1001052267-izbrannoe-gabriela-mistral>

**Avtandil Asatiani**  
**Georgian Technical University**  
**Teimuraz Kurtsikidze**  
**LEPL Zestaponi Public School No 3**  
**Teacher of Georgian language and literature**

### **Teaching as an ancient activity and profession** **(from the beginning to modern times)**


#### **Abstract**

According to the Bible, the historical roots of teaching are connected with the Creator of the world - God, and from the secular point of view, the need for a teacher was laid when people were struggling for existence. When a person accumulated so much knowledge that all parents could no longer pass it on to the next generation. It was for this purpose that elders were distinguished and entrusted with the care of upbringing children.

The organized activity of the teacher is related to the starting of schooling. The first schools arose during the formation of the slave society in the countries of the ancient East (Egypt, Babylon, Assyria, Phoenicia). In ancient Greece and Rome, the spread of schools was much larger and, accordingly, the demand for teachers increased. In the wake of epochal changes (slavery, feudalism, capitalism), the number of schools and teachers increased. If in ancient times only generally educated and experienced people were appointed as teachers, in the new times much attention was paid to the professional education of teachers and their subsequent mastery.

**Key words:** teacher, pedonomi, didasco, teaching, school, classic of pedagogy, type of schools.

## ზაქარია ჭიჭინაძე და აჭარა



**რეზიუმე:** ზაქარია ჭიჭინაძე იყო ჩვენი ერისა და ქვეყნის სასიქადულო მამულიშვილი, ლიტერატურისა და ისტორიის მკვლევარი, რომელიც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის პირველ მეოთხედში. მთელი სიცოცხლე მან შესწირა აჭარასა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში წიგნებისა და წერა-კითხვის გავრცელებას.

აჭარაში იგი არა მარტო ხშირად დადიოდა და წიგნებს ავრცელებდა, არამედ გაზეთ „ივერიაში“ საინტერესო კორესპონდენციებსაც აქვეყნებდა აჭარის შესახებ, პარალელურად თავადაც სცემდა სამუსლიმანო საქართველოს შესახებ წიგნებს.

ზაქარია აჭარის ხშირი სტუმარი იყო. მან ფეხით შემოიარა ზემო და ქვემო აჭარა, მაჭახელი, ქობულეთი, ლაზეთი, არტანუჯი და ფოცხოვ-ერუშეთი. მას აჭარის ყველა სოფელში ჰყავდა ახლობელი კაცი. მუდამ ზურგში აკიდული წიგნებით სავსე ხურჯინით დადიოდა სოფლიდან სოფელში და უფასოდ არიგებდა წიგნებს. ასე გაეცნო იგი აჭარის იმდროინდელ საზოგადო მოღვაწეებს დედე ალა ნიჟარაძეს, გულო კაიკაციშვილს, აბდულ ეფენდი მიქელაძეს და სხვებს. თბილისში მისი სახლის კარები მუდამ ღია იყო უბინაო აჭარელი სტუდენტებისთვის.

**საკვანძო სიტყვები:** ზაქარია ჭიჭინაძე, აჭარის მოჭირნახულე, სამუსლიმანო საქართველო, წიგნების დარიგება, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“.

ზაქარია ჭიჭინაძე იყო ჩვენი ერისა და ქვეყნის სასიქადულო მამულიშვილი, ისტორიის მთაწმინდაზე, ღარიბი ხელოსნის ეგნატე ჭიჭინაძის ოჯახში. მის მშობლებს თხუთმეტი შვილი ჰყოლიათ, ზაქარია კი ნაბოლარა ყოფილა. დაწყებითი განათლება მას მიუღია თბილისში, ჯერ ქაშვეთის, ხოლო შემდეგ მთაწმინდის სამრევლო სკოლაში. მცირე ხნით ის ერეკლე ბატონიშვილის სკოლაშიც დადიოდა. კარგად სწავლობდა, მაგრამ 13 წლის ასაკში მოუხდა სკოლის მიტოვება. ამის შემდეგ იგი იწყებს მუშაობას სხვადასხვა ადგილას, ამასთან გატაცებით ეუფლება ცოდნას, თვითგანათლებას. განსაკუთრებით იტაცებდა ისტორია და გეოგრაფია, აგროვებდა ძველ ხელნაწერებსა და წიგნებს, კითხულობდა აკრძალულ ლიტერატურას.

1869 წელს ზაქარია დაუახლოვდა გაზეთ „დროების“ რედაქტორს, ცნობილ ქართველ პუბლიცისტს, ჟურნალისტს, მწერალსა და საზოგადო მოღვაწე სერგეი მესხს, რომელმაც იგი მიიწვია თავისი გაზეთის თანამშრომლად. 1872 წლიდან ზაქარია ჯერ ამ გაზეთში, ხოლო შემდეგ სხვა გაზეთებშიც აქვეყნებდა წერლებს „მთაწმინდელის“ ფსევდონიმით, ძირითადად საქართველოს კულტურის ისტორიისა და განათლების საკითხებზე. მას

დიდი დამსახურება მიუძღვის ქართულ ხელნაწერთა შეგროვებასა და წიგნების გამოცემა-გავრცელებაში, განსაკუთრებით აჭარასა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში.

ზაქარია ჭიჭინაძემ გამოსცა სენ-სიმონის, რობერტ ოუენის, შარლ ფურიეს, პრუდონის, ლასალის, ლუი ბლანისა და სხვათა ბიოგრაფიები.

წიგნების გამოცემა ზაქარიას დაუწყია 1875 წელს საკუთარ სტამბაში. მის მიერ გამოცემულ წიგნათა შორისაა დიმიტრი ბაქრაძისა და მოსე ჯანაშვილის ცალკეული შრომები, მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანი“, იოანე ბატონიშვილის „კალმასობა“, პლატონ იოსელიანის „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“, თეიმურაზ პირველის, დავით გურამიშვილის, ბესიკის, გრიგოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და სხვათა ლექსები.

ზაქარია თვითონაც ნაყოფიერი ავტორი იყო. მას 250-მდე წიგნი ჰქონია დაწერილი, რომელთაგან ნახევარიც არაა გამოცემული. იგი თანამშრომლობდა თითქმის ყველა იმდროინდელ ბეჭდვით ორგანოში.

იოსებ იმედაშვილი ზაქარია ჭიჭინაძის განსაკუთრებულ დამსახურებად მიიჩნევს ქართველ მუსლიმანთა დედასამშობლოსთან დაახლოების საქმეს. აჭარაში იგი არა მარტო ხშირად დადიოდა და წიგნებს ავრცელებდა, არამედ გაზეთ „ივერიაში“ საინტერესო კორესპონდენციებსაც აქვეყნებდა, პარალელურად თავადაც სცემდა სამუსლიმანო საქართველოს შესახებ წიგნებს. მუსლიმანებთან დაახლოებისა და მათი გულის მოგების მიზნით, იგი ზოგჯერ მეჩეთშიც დადიოდა და მუხლებზე დაჩოქილი არაბულ ლოცვებს წარმოთქვამდა. ამასთან, იგი არაბულ ლოცვებს ქართულად ბეჭდავდა, აქვე ურთავდა ანბანს, ქართველ მუსლიმანთა ფოლკლორულ მასალებს და უფასოდ ავრცელებდა სოფლებში, მაგრამ ამ მხრივ იგი მოლა-ხოჯების დიდ წინააღმდეგობას აწყდებოდა.

იმ დროისათვის ზაქარიას ასეთი მოქმედება გმირობის ტოლფასი იყო. რამდენჯერ გამხადარა იგი ლანძღვა-გინების ობიექტი, რამდენჯერ ჩაუხედავს სიკვდილს მისთვის თვალებში, მაგრამ იგი არავის და არაფერს ეპუებოდა და თავის საქმეს განაგრძობდა. ადგილობრივ მცხოვრებთ, ქართველ მუსლიმანებს იგი ეუბნებოდა: **„რჯული, სარწმუნოება სხვაა, ეროვნება სხვა, სარწმუნოებით შეიძლება სხვადასხვა ვიყვნეთ, ეროვნებით კი ერთი ოჯახის შვილნი ვართ და უნდა ასეთებად დავრჩეთო“** (იმედაშვილი, 1978: 275).

ერთხელ აკაკი წერეთელს მისთვის უკითხავს:

„ – სხვა, რას იქ შენ და შენი აჭარა?

– კაი ხანია არ ვყოფილვარ, გიახლებით და დაბრუნებისას მოგახსენებთ.

– კაი ხანია? მაინც რამდენი დღეა ეს შენი „კაი ხანი?“

– ერთი-ორი თვე.

აკაკიმ კიდევ უფრო გაიღიმა:

– ბარემ იქვე დასახლდი, ჩემო ზაქარია, იმათი მოქრისტიანებისა რა გითხრა, მაგრამ შენ რომ გამაჰმადიანებულხარ, ეს კი ცხადია.

– რაზე მიბრძანებ? – შეეკითხა შეკრთომით ზაქარია.

– რაზე და... თურმე იმათ ჯამეში ფეხმორთხმული მაჰმადს ლოცულობ, – განმარტა ღიმილით აკაკიმ.

– რას იხამ, როცა ეს ჩვენი ერისათვის საჭიროა, – მიუგო ზაქარიამ, – თუკი თქვენ, ბატონო აკაკი, ერის გადასარჩენად ბაგრატ მეფეს სჯული გამოაცვლევინეთ, მე განა დამნაშავე ვიქნები, რომ ქართული მწიგნობრობის გავრცელებისათვის ჩვენ ძმა მუსლიმანთ ჯამეში ვილოცო?..

– გეხუმრე, ჩემო ზაქრო, გეხუმრე, შე კაცო... ჩვენი ერის გამრთელებისა და გადარჩენისათვის ყველაფერი უნდა ვიღონოთ, ჯამეში კი არა, თუნდ ჯოჯოხეთში ვილოცოთ...“ (იმედაშვილი, 1978: 287).

ზაქარია ჭიჭინაძემ 10-მდე წიგნი მიუძღვნა აჭარას, მუსლიმან ქართველებს, რომელთა შორის განსაკუთრებით პოპულარობით სარგებლობდა და სარგებლობს მისი წიგნი **„მუსლიმან ქართველობა და მათი სოფლები აჭარაში“**, რომელიც პირველად 1913 წელს გამოიცა თბილისში, იაკობ მანსვეტაშვილის სტამბაში, ხოლო ასი წლის შემდეგ, 2013 წელს ფილოლოგიის აკადემიურმა დოქტორმა, ბათუმელმა ეთერ ბერიძემ იგი განმეორებით გამოსცა. წიგნში დაწვრილებითაა საუბარი ე. წ. სამუსლიმანო საქართველოს ყველა მხარეზე და იქ არსებულ იმჟამინდელ სოფლებზე, ჯამეებსა და მედრესეებზე, მათში მოღვაწე ხოჯა-მოლებზე, ეკლესია-მონასტრებზე, ციხე-სიმაგრეებზე, მოსახლეობის რაოდენობასა და აღმსარებლობაზე, აქ მცხოვრებთა გვარებზე, მათ მიერ ქართული ენის ცოდნაზე, ცნობილ ადამიანებსა და ისტორიულ მოვლენებზე, ხალხურ მთქმელებზე, რომლებსაც იგი მელექსეებს უწოდებს და სხვ.

ზაქარია ყურადღებას ამახვილებს ასევე აჭარის საზღვრებზე. მისი თქმით, აჭარა აჭარისწყლის ხეობაა. ჭოროხის შესართავიდან სოფელ დანდალოს ჩათვლით იგი ქვემო აჭარას უწოდებს (ამჟამინდელი ქედის მუნიციპალიტეტი), შემდეგ სოფლებს კი იგი ზეგანის ან ზემო აჭარის სახელწოდებით იხსენიებს.

აჭარის სოფლების შესწავლასა და აღწერას ზაქარია ჭიჭინაძე ქობულეთით იწყებს და აღნიშნავს, რომ **„ყველა ქართველი აქ სარწმუნოებით მაჰმადიანია, შთამომავლობით, ენით, ზნეჩვეულებებით კი ქართველი, საყოველთაოდ-კი შინა თუ გარეთ ქართულ ენას ხმარობენ“** (ზ. ჭიჭინაძე, 2013: 51).

ქობულეთში ზაქარიასთვის წიგნების გავრცელებაში დიდი დახმარება აღმოუჩენიათ აქაურ მოწინავე საზოგადო მოღვაწეებს, როგორც იყვნენ დედე-ალა ნიჟარაძე და გულო კაიკაციშვილი, მათ სახელებს იგი ხშირად იშველიებს.

ზაქარია აჭარის ხშირი სტუმარი იყო. მან ფეხით შემოიარა ზემო და ქვემო აჭარა. მას აჭარის ყველა სოფელში ჰყავდა ახლობელი კაცი. მუდამ ზურგში აკიდებული წიგნებით სავსე ხურჯინით დადიოდა სოფლიდან სოფელში და უფასოდ არიგებდა წიგნებს. ასე გაეცნო იგი აჭარის იმდროინდელ საზოგადო მოღვაწეებს დედე ალა ნიჟარაძეს, გულო კაიკაციშვილს, აბდულ ეფენდი მიქელაძეს და სხვებს. მათი დახმარებით ზაქარიამ შეუძლებელი შეძლო. მისი სახლის კარები თბილისში მუდამ ღია იყო უბინაო აჭარელი სტუდენტებისთვის.

წიგნების გამოცემაში ზაქარიას ეხმარებოდნენ ისეთი ქველმოქმედნი, როგორც იყვნენ დავით სარაჯიშვილი, ძმები ზუბალაშვილები, იაკობ მანსვეტაშვილი და სხვები.

ზაქარია ჭიჭინაძის საგანმანათლებლო მოღვაწეობამ, მისმა ძალისხმევამ თავისი სასიკეთო ნაყოფი გამოიღო. მისი მოძღვრების შედეგად აჭარაში აღიზარდნენ და გამოიწვრთნენ ადამიანები, რომლებიც შემდგომ მისი მიმდევრები გახდნენ. ერთ-ერთ ასეთ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნებოდა ქვემო აჭარის სოფელ ძენწმანის მკვიდრი აბდულ-ეფენდი მიქელაძე, რომლისთვისაც ქართული წერა-კითხვა ზაქარია ჭიჭინაძეს უსწავლებია. იგი იყო ერთიანი საქართველოსათვის მებრძოლი კაცი, რომელიც ქართულ ჟურნალ „დროებაში“ სისტემატურად აქვეყნებდა აჭარის მცხოვრებთა დუხჭირი, გაუსამლისი ცხოვრების შესახებ. მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა ილია ჭავჭავაძესთან, პეტრე უმიკაშვილთან და სხვა ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან.

ზაქარია, როგორც მწიგნობარი და აჭარაში წიგნების გამავრცელებელი, საკუთარ თავს ანგარიშვალდებულად თვლიდა დროდადრო ეცნობებინა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისთვის თავისი საგანმანათლებლო მუშაობისა და აჭარაში არსებული ვითარების შესახებ. ერთ-ერთ ასეთ წერილში იგი აღნიშნავს:

„1905 წ. ზაფხულს განგებ წავედი აჭარაში. ამ წასვლას თავისი მიზეზი ჰქონდა. ჩვენდა მოულოდნელად სურათი შეცვლილი დამხვდა. ცხოვრებას თურმე დიდად უმოქმედნია მათზე, იგინი მცირედ ფანატიკობიდან გამოსულან, თვალი გაუხელიათ, ქართული წიგნების კითხვაც დაუწყიათ, წიგნებთ შორის მათში გავრცელებულა თვით ახალი დროის წიგნებიც... იგინი ქართულ ენას, საქართველოს ისტორიის შესწავლას დაუყოვნებლივ ითხოვენ, ითხოვენ აგრეთვე თავიანთი ქვეყნისა და ერის ისტორიას, ძველს, თუ თანამედროვე ცხოვრების შესახებ სხვადასხვა წიგნებს. ნამეტურ სამცხე-საათაბაგოს ოსმალთაგან დაპყრობას, ქართველების გათათრებას და გაგებას... მათს სამშობლოში ოსმალთაგან დაპყრობის შემდეგ რა წვა და აოხრება ხდებოდა...

ეხლა ჩვენს ზნეობრივ ვალს შეადგენს, რომ ვისარგებლოთ ქართველ მაჰმადიანთ თუნდაც ნცირე ნაწილის თვალის გახილებით და რაც შეიძლება დროით მივაწოდოთ ასეთი წიგნები...“ (კომახიძე, 2001: 319-320).

როგორც ცნობილია, ბერლინის ხელშეკრულებით 1878 წლის 25 აგვისტოს აჭარამ თავი დააღწია თურქთა თითქმის სამასწლიანი ბატონობის უღელს და სამუდამოდ დაუბრუნდა დედასამშობლოს – საქართველოს, მაგრამ მუსლიმანი ქართველები როგორც ეკონომიურად, ისე განათლებით, კულტურითა და ეროვნული თვითშეგნებით დიდად ჩამორჩებოდნენ საქართველოს სხვა კუთხის მცხოვრებლებს. ქართულ ენაზე წერა-კითხვის მცოდნენი აქ თითებზე ჩამოითვლებოდნენ. რუს და თურქ მოხელეთაგან ქართული ენის დევნას თან ერთვოდა რელიგიურ ნიადაგზე წარმოშობილი სირთულეები. იყვნენ ისეთი ქართველებიც, რომლებსაც საეჭვოდ მიაჩნდათ მუსლიმან ქართველებთან ერთიან ძმურ ოჯახში ცხოვრება. ამიტომ დიდი ილია წერილში „ოსმალის საქართველო“ წერდა: „არ გვაშინებს მეთქი ჩვენ ის გარემოება, რომ ჩვენს ძმებს, ოსმალის საქართველოში მცხოვრებთა, დღეს მაჰმადიანის სარწმუნოება უჭირავთ, ოღონდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კვლავ შევუერთდეთ, ერთმანეთი ვიძმოთ, და ქართველი, ჩვენდა სასიქადულოდ, კვლავ დაუმტკიცებს ქვეყანასა, რომ იგი არ ერჩის ადამიანის სინდისს, და დიდის ხნის განშორებულს ძმას ძმურდავე შეითვისებს, თავის პატიოსანს და ღმობიერს გულზედ ძმას ძმურადვე მიიყრდენს თვალში სიხარულის ცრემლ-მორეული ქართველი“ (ჭავჭავაძე, 1987: 11).

1881 წლის 12 მარტს აჭარაში (ბათუმში) საზეიმო ვითარებაში გაიხსნა პირველი ქართული სკოლა, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ადგილობრივ მკვიდრთა – მუსლიმან ქართველთა ეროვნულ გათვითცნობიერებაში. ამ საქმეში ბათუმის სკოლის მასწავლებლებთან ერთად, დიდი როლი შეასრულა ზაქარია ჭიჭინაძემ. იგი წიგნების გავრცელებასთან ერთად წერა-კითხვას ასწავლიდა მუსლიმან ქართველთა შვილებს. ამ მხრივ იგი ერთ-ერთი პირველი მოღვაწე, პიონერი იყო, ვინც წარმატებით ახორციელებდა დიდი ილიას ეროვნულ პროგრამას. აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების დღიდან ზაქარია მრავალი წლის განმავლობაში დროის უმეტეს ნაწილს აჭარაში ატარებდა და ადგილობრივ ქართველებს წერა-კითხვას ასწავლიდა. იგი დაუფარავად ამხელდა იმ სასულიერო პირებს, რომლებიც აჭარლებს მუჰაჯირობისკენ, ოსმალეთში გადასახლებისკენ მოუწოდებდნენ. მათ წინააღმდეგ მებრძოლთა შორის ზაქარია ქებით მოიხსენიებს



ქედის მაზრის უფროსს თუფან-ბეგ შერვაშიძეს, რომელიც, მისი თქმით, მუჰაჯირობის წინააღმდეგ თავგამოდებული მებრძოლი იყო.

ზაქარია მოუწოდებდა ქართველ საზოგადოებას, რომ ბათუმის გარდა სკოლები გაეხსნათ სოფლებშიც, სადაც სწავლა ქართულ ენაზე იქნებოდა. ამით იგი გამოხატავდა მოწინავე ქართველი მაჰმადიანების მისწარაფებას, რადგან მათი სურვილი იყო ქართველ თანამომხმეებთან დაახლოება, სწავლა-განათლების გავრცელება მთელს აჭარაში და ამის საფუძველზე ქვეყნის კულტურული დაწინაურება.

ზაქარია ჭიჭინაძის აჭარაში მოგზაურობის შესახებ ალექსანდრე ყიფშიძე (ფრონელი) ასე გადმოგვცემს: „აი, სწორედ ამ უდაბურ და ჩვენგან მივიწყებულ მხარეს მოგზაურობს, აგერ ეს მეორე ზაფხულია ბ-ნ ზ. ჭიჭინაძე – მოგზაურობს მარტო, ერთ ხელში ჯოხი უჭირავს და ილიაში ქართული წიგნები, ანბანი, დედა-ენა, ლოცვები და სხვ. არ ერიდება არავითარ დაბრკოლებას... სადაც კი მივა, ყველგან ხალხს ესაუბრება, უკითხავს წიგნებს, ასწავლის ანბანს, ასაჩუქრებს ყრმათა წიგნებით...“ (ფრონელი, 1993: 1).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ზაქარია არ იყო ფანატიკოსი მორწმუნე ქრისტიანი. მას არასდროს განურჩევია ერთმანეთისგან მუსლიმანი და ქრისტიანი ქართველი, არასდროს უცდია აჭარლების გაქრისტიანება, არასდროს უკადრებია ქართველი მაჰმადიანისთვის და არ უთქვამს მისთვის, რომ რჯული, რწმენა შეიცვალეო, რადგან მან ძალზე კარგად იცოდა დიდი ილიას სიტყვები, რომ „რწმენა სინდისის საქმეა“, რომ ყოველი კაცი თავისი რწმენით ცხოვრობს და ამის თქმა არაფრით არ შეიძლება.

ამიტომ უყვარდათ იგი აჭარლებს და დიდად აფასებდნენ მას, და ამიტომაც უწოდებდნენ „ზექერია ეფენდის“.

ზემოთქმულის ნათელსაყოფად, საკმარისია მოვიშველიოთ თვით მისი სიტყვები:

„მმებო, ქართველ მაჰმადიანებო, თქვენ არ იფიქროთ, რომ ეს ცნობები მიტომ ამიკინძავს, რომ ამით თქვენზედ რამე გავლენა ვიქონიოთ, მოგაგონოთ თქვენი ძველი წარსული და ისიც, თუ თქვენს ძველებს რა სისხლის ღვრა გადახდენიათ სჯულის გამო, რომ ამით თქვენ ქრისტიანობა შეგაყვაროთ და ისლამი შეგაძულოთ. ღმერთმა დაგვიფაროს. ამისგან ჩვენ და მთელი ქართველობა შორს სდგას. ჩვენ ამის ფიქრი არას დროს არ გვექონია და არც გვექნება“ (კომახიძე, 2001: 447). ან კიდევ: „ჩვენ თქვენს ისლამთან საქმე არა გვაქვს. ჩვენ ყველა სჯულს პატივს ვცემთ, თქვენ იყავით მტკიცედ თქვენს სჯულს ისლამზედ, დაიცავით თქვენი სამამულო ენა, რომელიც სამი საუკუნის განმავლობაში ათასი წვითა და დაგვით შეინახეთ, ჩვენ მარტოდ ის გვსურს, რომ თქვენში აქამდე მკვდრად დამარხული ენა აღსდგეს და ისეთი ბრწყინვა მიიღოს, როგორც შოთა რუსთაველის დროს იყო დასავლეთ საქართველოს ნაწილში“ (ჭიჭინაძე, 2013: 72-73).

1892 წელს ზაქარია ქედას ეწვია და ამავე წელს გაზეთ „ივერიაში“ გამოაქვეყნა წერილი, როგორც მაშინ უწოდებდნენ, ქვემო აჭარის შესახებ. მასში იგი წერს: „ეს ამოდენა ქართველი ხალხი, ეს ამდენი სოფლები (მისი გადმოცემით, ქედაში იმ დროს 72 სოფელი ყოფილა. – ნ. ბ.) ჩვენგან სრულიად უყურადღებოდ არის დატოვებული და ამათთვის ცისა და დედამიწის მეტი პატრონი არავინ არის“ (ჭიჭინაძე, 2013: 177). მას ქედაში, ჩვეულებრივ, დაურიგებია მის მიერ ქართულ ენაზე გამოცემული წიგნები და ბროშურები. პარასკევ (ჯუმა) დღეს კი ჯამეშიც მისულა და გაოცებულა, რომ ყველა ქართულ ენაზე საუბრობდა. აქ მას წიგნები დაურიგებია აჭარის 20-მდე სოფლის მცხოვრებთათვის. აქვე იგი ჩამოთვლის იმ სოფლებს, რომელთა მცხოვრებლებსაც წაუღიათ მისი წიგნები.

გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებულ წერილში ზაქარია ჭიჭინაძე იმაზეც ამახვილებს ყურადღებას, თუ როგორ ნატრობდნენ ქედელები ქართული სკოლის გახსნას, რომელსაც ისინი მხოლოდ 11 წლის შემდეგ, 1903 წელს ეღივებდნენ. ამ წელს გაიხსნა პირველი ქართული სკოლა „ქვედა აჭარაში“ – დაბა ქედაში. აღნიშნულ სკოლაში, ზაქარია ჭიჭინაძის გადმოცემით, „25 ყმაწვილი სწავლობს, მასწავლებლად ქართველი ხოჯა ჰყავთ, გვარად სურმანიძე, სტამბოლში გაზრდილი, რომელიც თავის ფანატიკობით ბევრად აჭარბებს თვით თათრის მოლა-ხოჯებს. ამას წინად ამ ხოჯამ ქედის სამმართველოს უფროსთან ასე იჩივლა:

– ამა და ამ კაცმა ძლიერ გამკიცხა, მაგინა, შეურაცხყოფა მომაცენა და გთხოვთ, რომ მოიყვანოთ და დასაჯოთ.

ქედის უფროსი ჰკითხავს:

– რა გითხრათ, ხოჯა, როგორი სიტყვებით გაგინათ, სთქვით, რომ ჩვენც გავიგოთ ის სიტყვები და ის კაციც დავიბაროთ. ხოჯამ მიუგო:

– ხალხში დამიყვირა: შე ქართველოვო!“ (ჭიჭინაძე, 2013: 203).

ანალოგიური ამბავი მომხდარა ხულოშიც. აქაც ხულოს უფროს გ. ბერიძესთან მისულა ამავე დაბის ხოჯა და შეუჩივლია:

„– ამა და ამ კაცმა ქართველი მიწოდა და ეს წოდება მე აქამდის სალანძღავად და სამარცხვინოდ მიმაჩნია, რომ ვითხოვ ამ კაცის დაბარებას და დასჯას“ (ჭიჭინაძე, 2013: 203).

უფროსმა მას აუხსნა, თუ რას ნიშნავს სიტყვა ქართველი და ძლივს ჩააგონა, რომ ის ენით, გვარტომობით ქართველია, სჯულით კი მუსლიმანი და სიტყვა ქართველს არავითარი კავშირი არა აქვს მათ სჯულთან.

„ხოჯა როგორც იქნა, მიხვდა სიტყვა ქართველის მნიშვნელობას. ცოტა შერცხვა კიდევ და ბოლოს უთხრა უფროსს:

– თქვენ სწორად ბრძანეთ, ეგ სიტყვა მაგრე უნდა იხმარებოდეს, მაგრამ იმან-კი ეგ სიტყვა იმ აზრით მითხრა, რომ ჩემთვის ურჯულო ეწოდებინა“ (ჭიჭინაძე, 2013: 203).

1897 წელს აჭარაში იმოგზაურა თედო სახოკიამ და დაწერა წიგნი „მოგზაურობანი“, რომელშიც სხვა მრავალ საკითხთან ერთად, ზაქარიასა და აჭარლების ურთიერთობაზეც საუბრობს. მისი გადმოცემით, აჭარლებმა ქებით მოიხსენიეს ზაქარია ჭიჭინაძე, რომ იგი ყოველი აჭარელის სასურველი სტუმარი იყო და ქართულ (გურჯულ) წიგნებს ურიგებდა და მათთან ერთად ჯამეშიც ლოცულობდა. ამიტომ იყო, რომ ისინი სიყვარულით მას „ზექერია ეფენდის“ უწოდებდნენ და ერთმანეთს ეცილებოდნენ მის სტუმრობასა და პატივისცემაში. ზაქარიას არაერთი ღამე აქვს გათეული აჭარელთა ოჯახებში, განსაკუთრებით ხშირი სტუმარი იყო იგი გაზეთ „ივერიის“ ქვემო აჭარელი კორესპონდენტის აბდულ მიქელაძისა და აჭარის მუფტის ხასან ვერძაძის ოჯახებში.

ზაქარია ჭიჭინაძის წყალობით აჭარელთა გარკვეულმა ნაწილმა პირველად შეიტყო, რომ ისინი ეროვნებით ქართველები იყვნენ. ამაზე მიუთითებს აგრეთვე ცნობილი ქართველი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე ჰაიდარ აბაშიძე, მაგრამ ამას იგი ბათუმის პირველ ქართულ სკოლას უმაძღვს.

ზაქარია აჭარაში მოღვაწე სასულიერო პირებსაც გაცნობია. მათ შორის იგი დიდი სიყვარულითა და პატივისცემით იხსენიებს ქედის რაიონის მკვიდრ ახმედ ხალიფაშვილს. აჭარიდან რომ ცოტა ხალხი გადაასახლეს თურქეთში, დასძენს ზაქარია, ამაში დიდი წვლილი მას მიუძღვის.

ახმედ ხალიფაშვილს სულთან მამუდისთვის უთქვამს, რომ „ჩვენ გურჯები ქართველები ვართ, ჩვენი ენაც ქართული არისო. ჩვენს ჯამეებში ჩვენს ენაზე უნდა იყოს ქადაგება და არა ოსმალურს, ან არაბულს ენაზედო, რადგანაც ჩვენ გურჯებს არც ერთის გვესმის რამე და არც მეორესიო“ (ჭიჭინაძე, 2013: 358).

ამაზე მას დასტური მიუღია და ისმაილ ხოჯას უთარგმნია ყურანი ქართულ ენაზე და მოზარდები თავიანთ მშობლიურ ენაზე სწავლობდნენ მუსლიმანურ წეს-ჩვეულებებს და ლოცვებს, რაც ხელს უწყობდა მათ მიერ ქართული წერა-კითხვის სრულყოფილად დაუფლებას, მაგრამ ოსმალური ენისა და სარწმუნოების ფანატიკოსებმა სტამბოლში უჩივლეს, რომ ახმედ-ეფენდი ჯამეში ქართულ ენას ხმარობსო და 1855 წლის შემდეგ ამ მეთოდით სწავლა აჭარაში აუკრძალავთ.

ერთ-ერთი სოფლის მოსახლეობას გადაუწყვეტია თურქეთში მოჰაჯირად წასვლა და ამის შესახებ ა. ხალიფაშვილისთვის რჩევა უთხოვიათ. ამ უკანასკნელს უთქვამს: „...თქვენ რასაც ამბობთ და რასაც სხვა-და-სხვა ხოჯები და მოლები გეუბნებიან, ის სულ ტყუილია... თქვენ ამბობთ, რუსები... გაგვაქრისტიანებენო. არც ეს არის მართალი; რუსებს თათრები ბევრი ჰყავთ, თვით თქვენის სჯულის, მაგრამ მათ არც არავინ გაუქრისტიანებიათ და არც არავისთვის ქალბაღანა წაურთმევიათ...“

თუ არა-და რომ მიდიხართ აქედგან, სად მიხვალთ... აქ თქვენი ძველების ყანა-ბაღ-სახლებზედ სცხოვრობთ და ვერ გიცხოვრიათ, აქ მზად სახლი გაქვთ გაკეთებული, ეზო, ბაღი, ყანა და იქ რომ წახვალთ, ...ესენი არ დაგვხვდებიან; იქ ყველა ამების კეთება დაგჭირდებათ და გაკეთებისთვის ფული... რასაც აქედგან ფულს წაიღებთ, ისიც გზაში შემოგეხარჯებათ და დარჩებით ცარიელი“ (ჭიჭინაძე, 2013: 141).

ახმედ ხალიფაშვილთან ერთად, ზაქარია ჭიჭინაძე არ ივიწყებს სოფელ ფურტიოს მკვიდრ ხოჯა ნური-ეფენდი ბერიძეს, რომელიც მისი მეგზური ყოფილა ხულოს რაიონში. ზაქარია მას ახასიათებს როგორც „დიდად პატივცემულ და გონიერ პირს“.

კიდევ უფრო მოწინააღმდეგე საუბრობს ზაქარია ლომან-ეფენდი ქარცივაძეზე, რომელსაც სასულიერო განათლება კონსტანტინეპოლში მიუღია და 18 წლის განმავლობაში სტამბოლში მასწავლებლად მუშაობდაო. მიუხედავად ამისა, მან ძალიან კარგად იცოდა, რომ იგი ქართველი იყო და ქართულ ენასაც დიდ პატივს სცემდა. საქართველოში ყველგან ქართულ ენაზე მეტყველებდა და ამ ენაზე ქადაგებდა ჯამეშიო, დასძენს ზაქარია. იგი რუსეთშიც დიდი პატივით სარგებლობდა და მისთვის პენსიაც დაუნიშნავთ, თვეში 100 მანეთი. მას კარგად ცოდნია არაბული, ოსმალური ენები და ქართული ენაც. იგი მკაცრად ილაშქრებდა იმათ წინააღმდეგ, ვინც ქართულ ენას ავი თვალთ უყურებდა, თვითონ კი თანამედროვე ხოჯებსა და მოლებს აუწყებდა, რომ ჩვენ ქართველები ვართ, ჩვენი სამშობლო საქართველოა, ქართული ენა ჩვენი მშობლიური ენაა და კარგად უნდა დავეუფლოთ მასო.

თბილი სიტყვებით იხსენიებს ზაქარია ასევე ხასან ეფენდი ვერძაძეს, ქვემო აჭარის სოფელ ზუნდაგის მკვიდრს, რომელიც ყველგან და ყოველთვის მშობლიურ ქართულ ენაზე მეტყველებდა და სხვებსაც აქითკენ მოუწოდებდა. აქვე ზაქარია იშველიებს ხასან ვერძაძის მიერ 1889 წელს ბათუმის ჯამეში წარმოთქმულ სიტყვებს: „ჩვენ გურჯები ვართ, ჩვენი ენაც გურჯი არის... ჩვენი ძველების ენა ეს არის, იმათ ამ ენით ულაპარაკნიათ, ამიტომ ჩვენც უნდა ვიცოდეთ ეს ენა, ეხლა უამისოდ ჩვენ აღარ გამოვდგებით... ხოჯები და მოლებიც ამ ენით ლაპარაკს ნუ ერიდებიან, ჩვენი ხელმწიფის ბრძანება ამ ენით შეატყობინონ. მეც ასე, ამ ენით ვატყობინებ... ჩვენ რუსები არ გაგვაქრისტიანებენ... მათ

ჩვენს გარდა თათრები სხვებიც ბევრი ჰყავთ“ (ჭიჭინაძე, 2013: 361–362). ასეთი ქადაგებანი ამ მუფტს, ხშირად წარმოუთქვამს, დასძენს ზაქარია. ამიტომ იყო ალბათ, რომ იგი 1907 წელს ვერაგულად მოკლეს.

ზაქარია ჭიჭინაძე ქებით მოიხსენიებს აჭარელ ქალებს და მათ დამსახურებას. მისი თქმით, აქაურმა ქალებმა... „ოსმალური ენა სრულიად არ იციან... ჩვეულება და ადათი ამათში სულ ისევ ქართულია დარჩენილი; ნანას ქართულად ეუბნებიან ყმაწვილებს, სხვადასხვა ქართული სიმღერებიც იციან“ (ჭიჭინაძე, 2013: 123). შეჭირვებისას უფრო „ღმერთს“ ევედრებიან, ვიდრე „ალაჰსო“. ამიტომ, აღნიშნავს ზაქარია, აჭარაში უფრო ქალების იმედი უნდა გვექონდესო, რადგან ისინი უფრო კონსერვატორები და ძველი მიმდევრები არიანო.

წიგნში საუბარია ასევე ალი-ფაშა თავდგირიძის მიერ აჭარლების მიმართ ჩადენილი ცოდვების შესახებ და დაგმობილია მისი საქციელი, გამოთქმულია უამრავი საყვედური მის მიმართ, რადგან იგი გამუდმებით მოუწოდებდა აჭარლებს მოაჯირობისკენ. გრიგოლ გურიელი, რომელსაც ალი-ფაშა ნათესავად ერგებოდა, ეხვეწებოდა მას: „ალი-ფაშავ! შენ თუ მიხვალ, წადი ოსმალეთში და ამ ხალხს ნუ აგულიანებო“ (ჭიჭინაძე, 2013: 81). მაგრამ ალი-ფაშა ყურს არ უგდებდა მას.

როცა ზაქარია ჭიჭინაძე თურქეთის საზღვრისპირა სოფელ მარადიდზე საუბრობს, იგი სიყვარულით იხსენიებს ახმედ-ეფენდი ხალვაშს, რომლის თაოსნობითაც აქ სკოლა გახსნილა, მაგრამ ადგილობრივი მცხოვრებნი სკოლას ეჭვის თვალთ უყურებდნენო, რადგან იმ დროს სოფელში ცხოვრებულა ერთი ხნიერი დამსახურებული ხოჯა, (მის გვარს ზაქარია არ ასახელებს) და იგი დღე და ღამე ხალხს მხოლოდ გადასახლებაზე ესაუბრებოდა, ყველას ოსმალეთში წასვლას ურჩევდაო. მისი მოწოდებით „მთელი მარადიდის სამი ნაწილი ოსმალეთში წავიდა და ამ კაცის მეოხებით დაიღუპა“ (ჭიჭინაძე, 2013: 195), – დაასკვნის ზაქარია და განაგრძობს: ეს კაცი დღესაც ცოცხალია, მაგრამ სხვა სოფელში ცხოვრობს და ჩუმად თავის საქმეს განაგრძობსო.

ზაქარია ახმედ-ეფენდი ხალვაშის შესახებ წერს: „ეს კაცი რომ არ ყოფილიყო და რამდენიმე კიდეც სხვა ასეთი პირები, მაშინ შესაძლებელი იქნებოდა, რომ ალი-ფაშა თავდგირიძეს და სხვა ასეთი კაცების მეოხებით მთელი მარადიდი დაიცლებოდა“ (ჭიჭინაძე, 2013: 198).

ახმედ-ეფენდი ხალვაში მალე გარდცვლილა და მისი გარდაცვალების შემდეგ ბავშვებს სკოლა მიუტოვებიათ, რადგან მასწავლებელი რუსი ყოფილა და მოსწავლეებს მისი არაფერი გაეგებოდათ. გარდა ამისა, იგი ხშირად მთვრალი ცხადდებოდა სკოლაში და ბავშვებს ცემდაო. ეს კი მოლებსა და ხოჯებს, რომლებიც ქართული სკოლის დაარსების წინააღმდეგ იყვნენ, დიდად გახარებიათ.

ადგილობრივი ფანატიკოსი ხოჯა-მოლებისა და თურქი ემისრების წინააღმდეგობის მიუხედავად, როგორც ქვედა, ისე ზედა აჭარაში ყოფილან ფარული ქრისტიანები, რომლებიც, ჩვეულებრივ აგრძელებდნენ ქრისტიანული დღესასწაულების აღნიშვნას. ისინი აღდგომის დღესასწაულებზე წითლად ღებავდნენ კვერცხებს და ეკლესიასთან მიჰქონდათ, რაც შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ოსმალებს და სულთანს ამ მხარეში ეკლესიების დანგრევის ბრძანება გაუცია, მოსახლეობისათვის კი აუკრძალავს ეკლესიის ნანგრევებთან მისვლა და ლოცვა. ეკლესიებიდან გადარჩენილა მხოლოდ სხალთის ეკლესია, რომელიც დღესაც ფუნქციონირებს.

ზემო აჭარის შემდეგ ზაქარია ჭიჭინაძე აღწერს მაჭახლის ხეობის სოფლებსაც და დასძენს: „მაჭახლის შემოერთების შემდეგ, 1878 წელს დანიშნულ იქნა მაჭახლის ნაწილის გამგეობა... და მის გამგეთ ერთი ქართველი თავადი (აკაკის ძმა დავით წერეთელი – ნ. ბ.). მაშინ ეს ბატონი გაზეთ „დროება“-ში წერდა, რომ... მაჭახლელები სცხოვრობენ მტაცებლობით, ესენი ხალხს სცარცვავენ, მარადიდებლებს ჭოროხში სამგზავრო ნაგებსაც-კი აჩერებინებენ, თორემ თოფს გესვრითო და ამათაც სცარცვავენო...“

მაჭახელი არის ბუდე ავაზაკებისაო... აქ ას კაცში ერთი კაცი არ კვდება თავისი ნებით, აქ კაცის მოკვლა ქება არისო, ძაღლის სიკვდილი-კი ცოდვაო“ (ჭიჭინაძე, 2013: 246).

ამ თავადის ნაცოდვილარი რომ უცხო კაცმა წაიკითხოს, დასძენს ზაქარია, მაჭახლელები ველურებად, კაცის მკვლელებად, ქურდებად, მძარცველებად და სხვა ათას ამგვარად წარმოუდგებაო.

ასე კრიტიკულად აფასებს ზაქარია დავით წერეთლის მოღვაწეობას, მიუხედავად იმისა, რომ იგი მისთვის კარგად ცნობილი და დასაფასებელი პიროვნების – აკაკი წერეთლის ძმა იყო, რომლის სახელი იმ დროის საქართველოში ყველასთვის ძვირფასი იყო.

ზაქარია ჭიჭინაძე წიგნში გვესაუბრება ასევე იმ დროს აჭარაში გავრცელებულ ქალების გატაცებასა და სისხლის აღების შესახებ. „დღეს სოფელი აღარ არის, რომ არავინ ჩიოდეს, ქალი მომტაცესო. აქაური ციხეები სავსეა ქალების მომტაცებლებით და სამმართველოებიც თითქმის ამ საქმეებით არის დატვირთული“, – წერს იგი (ჭიჭინაძე, 2013: 129). სისხლის აღების შესახებ კი აღნიშნავს: „ხანი გადის, მაგრამ ქართველ მაჰმადიანთა შორის სისხლის აღების ჩვეულება არ ვარდება. აჭარელი დღეს უცხოელებს აღარ მტრობენ, მხოლოდ ერთმანეთს ხოცავენ, სჩეხენ და ჭრიან. დღე არ გავა, რომ სადმე სისხლის აღება და მტრობა არ მოხდეს. ასეთ შემთხვევაში სისხლის ამღები ყოველთვის სარგებლობს და იგი ერთობ მალე გადადის ოსმალეთში. დღეს ოსმალეთი და ნამეტურ ხოფა, რიზე, ტრაპიზონი და სხვა ქალაქები სავსეა კაცის მკვლელებით. რამდენიმე კაცის მკვლელი აჭარელი ამ მოკლე დროს ტრაპიზონში იქნენ დაჭერილნი“ (ჭიჭინაძე, 2013: 183).

საინტერესო ცნობებს გაწვდის ზაქარია აჭარაში გავრცელებული გვარების შესახებ. „აჭარის მცხოვრებთა გვარები, – წერს იგი, – უფრო ძეებით თავდება და ზეგნისა-კი – შვილებით“ (ჭიჭინაძე, 2013: 121). ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან კილოკავები-თაცო.

ბოლოს აჭარელთა შესახებ ზაქარია წერს: „ქართველ მაჰმადიანებს რაც გინდ ნაკლი აქვდესთ, იგინი სისწორით და პატიოსნებით ქრისტიან ქართველებზედ ბევრად მაღლა დგანან, ამის მხრით მათი შედარება არ შეიძლება. მათში ტყუილი, შარი და ყოველივე ის, რაც ჩვენში არსებობს, შეუძლებელია და წარმოუდგენელი. ამით მისაბამნი არიან იგინი. მთელი წლობით რომ იაროთ მათ შორის, თქვენ ვერ გაიგონებთ ერთ სალანძღავ სიტყვას, ან სხვა რამ ამგვარს, რაც ჩვენს შორის ხშირია. ქართველთ მაჰმადიანთ ზრდილობა არის სამაგალითო და მისაბამი...“ (ჭიჭინაძე, 2013: 370).

აქვე მინდა აღვნიშნო რომ, პირველ ხანებში ზაქარია ჭიჭინაძის ვიზიტს აჭარაში ექვის თვალთ უცქერდნენ მუსლიმანი ქართველები, მაგრამ შემდეგ მიხვდნენ და ღრმად დარწმუნდნენ მის სასიკეთო საქმიანობაში. ამის დასტურია 1907 წელს დურსუნ ქიქავას მიერ ზაქარიასადმი მიწერილი წერილი, რომელშიც ვკითხულობთ:

„პირველად ყოვლისა გიძღვნი სალამს დიდის პატივისცემით, გარდა ამისა ვიხდი თქვენს წინაშე ბოდიშს, რომ წერილის მოწერა დავაგვიანე... თქვენი გამოცემული წიგნი წავიკითხე, დიდი ღვაწლი დაგიდვიათ ქართველ მაჰმადიანებზე, ჩვენ, ქართველ მაჰმადიანებს ვერ დაგვიფასებია თქვენი შრომა, მხოლოდ იყავთ დარწმუნებული, რომ თქვენი დიდებული შრომა ჩვენზე ამაოდ არ ჩაიარს...“ (ჭიჭინაძე, 2013: 368).

1922 წლის 3 თებერვალს ზაქარია ჭიჭინაძეს ქართველმა საზოგადოებამ გადაუხადა იუბილე მისი 50 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავად, 2014 წლის 27–29 ივნისს კი თბილისში ჩატარდა ზაქარია ჭიჭინაძის 160 წლისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, რომელზეც წარმოდგენილ იქნა 40 მოხსენება ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე.

სიკვდილის წინ საავადმყოფოში ზაქარია უნახავს იოსებ იმედაშვილს.

„ – მოხვედი, ჩემო იოსებ, – შემეკითხა... : – მოდი, მოდი ჩემთან ახლოს ჩამოჯექი. აი, აქ საწოლზე. – ხელი ჩამომართვა და აღარ მიშვებდა, თან მელაპარაკებოდა: – ჩემო იოსებ... ნახე ფილიპე მახარაძე, მიხა ცხაკაია, ან ვინც იქნება... ნახე და უთხარი: ჩემი სახლი კერძო მდგმურებისაგან გასწმინდონ და შიგ ჩაასახლონ აჭარელ-ქობულეთელი უბინაო სტუდენტები, ქართველი მუსლიმანები... ჩემო იოსებ, სხვა რა გითხრა... აბაშიძეებს უთხარი, – საქართველოს ერთგულნი იყვნენ... საითაც აბაშიძენი იქნებიან, სხვანიც იქით...“

ხელზე ხელი მომიჭირა, თვალზე ცრემლი შევნიშნე, მეც ცრემლი მომერია... ყელში რაღაც მომეზჷინა, ხმა ვეღარ ამოვიღე...“ (იმედაშვილი, 1978: 298–299).

უზომოდ უყვარდა ზაქარიას აჭარა და აჭარლები. იგი ყველგან და ყოველთვის ჩვენზე ფიქრობდა. 1930 წლის 29 მაისს თავის განუყრელ მეგობარ იოსებ იმედაშვილს სწერდა:

„ლუარსაბ ანდრონიკაშვილს თუ იცნობ, ჩვენ უნდა აღვძრათ საჩივარი მოსკოვში, იქ უნდა ვაცნობოთ, რომ აჭარელნი თურქნი არ არიან. ეს ლუარსაბი დაგვიწერს თხოვნას, უსათუოდ ეს უნდა მოვახერხოთ. ასე მასხრობა ქართველ ნაციის შესახებ და დამცირება არ უნდა დავტოვოთ. ჩვენი ძიება გაიტანს თავის სიმართლეს, ჩვენ ნება უნდა მოგვეცეს, რომ ქართველ მაჰმადიანთა შესახებ ქართული წიგნები ვბეჭდოთ. ამის შესახებ გნახავ და მოგელაპარაკები“ (იმედაშვილი, 1978: 285).

1931 წლის 30 დეკემბერს გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა საქართველოს მწერალთა კავშირის განცხადება, რომელმაც აუწყა საზოგადოებას, რომ 27 დეკემბერს გარდაიცვალა ისტორიკოსი, მწიგნობარი და საზოგადო მოღვაწე ზაქარია ჭიჭინაძე. იგი დაასაფლავეს 31 დეკემბერს მთაწმინდის პანთეონში.

გაზეთ „კომუნისტის“ ამავე ნომერში გამოქვეყნებულ წერილში „ზაქარია ჭიჭინაძე“ ალი არსენიშვილი წერს: „ზაქარია ჭიჭინაძემ თავის სიცოცხლეში მოახერხა დავიწყებისა და განადგურებისათვის ხელიდან გამოეგლიჯა მრავალი ისტორიულ-ლიტერატურული მასალა და ზოგჯერ განუმეორებელი ხელნაწერიც კი“.

ახლა ისევ იოსებ იმედაშვილს მოვუსმინოთ: „...ზაქარია იყო ჩვენი აკადემია, ჩვენი უნივერსიტეტი, ჩვენი სახელგამი, ჩვენი მოციქულთა მოციქული ყველგან, ყოველთვის, ყველაფერში...“ (იმედაშვილი, 1978: 300).

აჭარა არასოდეს დაივიწყებს ზაქარია ჭიჭინაძეს. ამის დასტურია წინამდებარე წერილი და ეთერ ბერიძის მიერ 2013 წელს გამოცემული ზაქარია ჭიჭინაძის ზემოთ ხსენებული წიგნი. 2001 წელს კი გამოვიდა მკვლევარისა და საზოგადო მოღვაწის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორ თეიმურაზ კომახიძის ვრცელი ნაშრომი „ზაქარია ჭიჭინაძე“, ხოლო ჟურნალ „ჭოროხის“ 1980 წლის მეხუთე ნომერში, რუბრიკით –

„არდავიწყება მოყვრისა“ დაიბეჭდა ამჟამად გარდაცვლილი ცნობილი ექიმის, მწერლის, მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, პროფ. რამაზ სურმანიძის წერილი „ზაქარია ჭიჭინაძის უკანასკნელი დღეები“. ზაქარია ჭიჭინაძის არდავიწყებას მიეძღვნა ასევე 2014 წელს აჭარის საარქივო სამმართველოს თანამშრომელთა მიერ ხულოს არქივის მუშაკებთან ერთად ჩატარებული ზაქარია ჭიჭინაძის დაბადების 160 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო, რომელზეც მოხსენებით „ზაქარია ჭიჭინაძე – ცხოვრება და მოღვაწეობა“, „ზაქარია ჭიჭინაძე – აჭარის გულშემატკივარი“, „ზაქარია და მთიანი აჭარა“ გამოვიდნენ აჭარის საარქივო სამმართველოს მუშაკები თამაზ ფუტკარაძე, ქეთევან იაკობაძე და ხულოს არქივის მთავარი სპეციალისტი ლევან ბოლქვაძე.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ზაქარია ჭიჭინაძის ღვაწლი აჭარის წინაშე იმდენად დიდია, რომ მისი სახელი აჭარის ისტორიაში ოქროს ასოებით უნდა ჩაიწეროს და ყველაფერი უნდა ვიღონოთ ამ სახელის უკვდავსაყოფად. მაგრამ, სამწუხაროდ, დღესდღეობით ეს არ იგრძნობა. საჭიროა, ბათუმში, თვალსაჩინო ადგილას, დაიდგას ზაქარიას ძეგლი და ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩასა და სკოლას მიენიჭოს მისი სახელი, ხოლო ბათუმის უნივერსიტეტში შეიძლება შემოღებულ იქნას ზაქარია ჭიჭინაძის სახელობის სტიპენდია. ეს ზემდგომი ორგანოების მეტად საშური საქმეა და ამის დაყოვნება ყოვლად დაუშვებელია.

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. *არსენიშვილი*, 1931: არსენიშვილი ა., ზაქარია ჭიჭინაძე, გაზ. „კომუნისტი“, 30 დეკემბერი.
2. *ბუბულაშვილი*, 2015: ბუბულაშვილი ე., ზაქარია ჭიჭინაძე – აჭარის გულშემატკივარი, კრებული: „ზაქარია ჭიჭინაძის 160 წლისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები“, თბილისი, 2015; ინტერნეტიდან.
3. *იმედაშვილი*, 1978: იმედაშვილი ი., ჩემი ცხოვრების წიგნი, თბ., „ხელოვნება“.
4. *კომახიძე*, 2001: კომახიძე თ., ზაქარია ჭიჭინაძე, ბათუმი, ს.ს. „გამომცემლობა ჭარა“.
5. *სახოკია*, 1950: სახოკია თ., მოგზაურობანი, თბილისი.
6. *სურმანიძე*, 1980: სურმანიძე რ., ზაქარია ჭიჭინაძის უკანასკნელი დღეები, ჟურნ. „ქოროხი“, 1980, №5.
7. *ფრონელი*, 1893: ფრონელი (ა. ყიფშიძე), გაზ. „ივერია“, №161, 29 ივლისი.
8. *ქისტაური*, 2015: – ქისტაური გელა, „ზაქარია ჭიჭინაძის ღვაწლი „ოსმალის საქართველოს“ ქართული განათლების აღორძინების მხრივ“, კრ.: „ზაქარია ჭიჭინაძის 160 წლისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები“, თბილისი, 2015; ინტერნეტიდან.
9. *ჭავჭავაძე*, 1987: ჭავჭავაძე ი., რჩეული ნაწერები ხუთ ტომად, ტომი IV, თბილისი.
10. *ჭიჭინაძე*, 2013: ჭიჭინაძე ზ., მუსლიმანი ქართველობა და მათი სოფლები აჭარაში, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი.

## **Zakaria Chichinadze and Adjara**

### **Abstract**

Zakaria Chichinadze was a great citizen of our nation and country, a researcher of literature and history, who lived and worked in the second half of the 19th century and the first quarter of the 20<sup>th</sup> century. He dedicated his whole life to the spread of books and literacy in Adjara and South-West Georgia.

He not only visited Adjara often and distributed books, but also published interesting correspondences about Adjara in “Iveria” newspaper, at the same time he published books about Muslim Georgia.

Zakaria was a frequent visitor to Adjara. He walked around Upper and Lower Adjara, Machakheli, Kobuleti, Lazeti, Artanuj and Potskhov-Erusheti. He had a close man in every village of Adjara. He always went from village to village with a basket full of books hanging on his back and distributed books for free. This is how he got to know the public figures of Ajara at that time, Dede Aga Nizharadze, Gulo Kaikatsishvili, Abdul Effendi Mikeladze and others. The doors of his house in Tbilisi were always open for homeless Adjarian students.

Zakaria Chichinadze died on December 27, 1931. He is buried in Mtatsminda Pantheon.

**Key words:** Zakaria Chichinadze, poor adjarians, Muslims in Georgia, distribution of books, “Society spreading literacy among Georgians”.



# რელიგიური პედაგოგიკა

ავთანდილ ასათიანი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
ასოცირებული პროფესორი

## აღზრდის იდეები თორაში

**რეზიუმე:** თორამ მდიდარი ინფორმაცია შემოგვინახა აღზრდა-განათლების შესახებ. თორას წიგნებში შესაძლებელია გამოიყოს უშუალოდ ცოდნის შეძენის ფუნქცია, რაც ღვთიური სიბრძნის დაუფლებას გულისხმობდა. ამავე დროს, ბიბლიურ წიგნებში განფენილია მთელი რიგი დიდაქტიკური ცნებები (მასწავლებელი, სწავლა, წვრთნა, აღზრდა, ცოდნა, განსწავლა, გულმოდგინება სწავლაში, სიზარმაცე სწავლაში და სხვ.), რაც იმის ფიქრის საფუძველს გვაძლევს, რომ ისინი პედაგოგიური დანიშნულებითაც გამოიყენებოდა. ცოდნის მოცულობის თვალსაზრისით, იუდაიზმის დიდაქტიკა საჭიროდ მიიჩნევა ღვთიურ სიბრძნის დაუფლებას, რაც აუცილებელია ყველასთვის. იუდაიზმში ცოდნის დაუფლების ფორმები საყოველთაოა, თუმცა შეინიშნება პროფესიონალ მასწავლებელთა არსებობაც. სწავლების ხერხებიდან აღსანიშნავია: ზეპირი დამოდვრა, წერა, ნასწავლის განმტკიცება, ალეგორიებისა და შედარებების გამოყენება.

**საკვანძო სიტყვები:** ბიბლია, თორა, ძველი აღთქმა, ათი მცნება, აღზრდა, მასწავლებელი, „მოშე რაბეინუ“ – „მოშე ჩვენი მასწავლებელი“.

ებრაელთა დრამატული ისტორია რამდენიმე ათასწლეულს ითვლის. საუკუნეთა ქარტეხილებში შეინარჩუნა ამ უძველესმა ხალხმა ეროვნული თვითმყოფადობა და რწმენა, რაშიც გადამწყვეტი როლი უმთავრესი ებრაული წიგნების – თორის სწავლების ტრადიციამ შეასრულა: „და გაუმეორე ისინი (თორის სიტყვები) შენს შვილებს“ (დვარი 6:7), აუწყებდა რჩეული ერის შვილებს ღმრთის სიტყვა.

ებრაული ტრადიციის თანახმად, ვინც მოსეს კანონებს ასწავლის ბავშვს, იგივეა, თითქოს თავად გააჩინა იგი. ანუ, მასწავლებელი, რომელიც ბავშვს თორას ასწავლის, ადამიანს „ქმნის,” მის ფორმირებაში მონაწილეობს და მისი დამსახურება ბიოლოგიურ მშობლებზე არანაკლებია. ამიტომაც დამკვიდრდა ისრაელიანებში მასწავლებლის მიმართ განსაკუთრებული მოწიწება და პატივისცემა.

პიროვნების აღზრდა-განვითარებაში გარემოს როლის შესახებ საგანგებო მითითებებს გვაძლევს ძველი აღთქმა, რომლის თანახმად ადამიანზე ზემოქმედებას ახდენს დემიურგის მიერ სამყაროში დამკვირებული ღვთიური წესრიგი და ჰარმონია. ამის თაობაზე სხვადასხვა დროს საყურადღებო მოსაზრებები აქვთ გამოთქმული მსოფლიოში აღიარებულ მეცნიერებს: „შემოქმედმა ადამიანთა მოდგმას ორი წიგნი მიაჩნია, – წერდა მიხეილ ლომონოსოვი, – ერთში თავისი სიდიადე აჩვენა; მეორეში - თავისი ნება გაუმჟღავნა. პირველი წიგნი - ეს არის ხილული ქვეყანა, რომელიც უფალმა იმისათვის შექმნა, რომ შეხედავდა რა ადამიანი ამ უზარმაზარ, მშვენიერ და გამართულ შენობას, მისთვის მინიჭებული შემეცნების უნარის წყალობით, ეღიარებინა ღვთის ყოვლადმდიდრეობა. მეორე წიგნი - წმინდა წერილია...„ხოლო გენიალური მაიკლ ფარადეი განცვიფრებულია

იმის გამო: „რატომ ამჯობინებენ ადამიანები თავი იმტვირთონ სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, როდესაც უფალმა ღვთიური გამოცხადების ასეთი წიგნი გვიბოძა?“<sup>4</sup>

ღვთიური წესრიგი სამყაროს არსებობის ქვაკუთხედიცაა. როგორც ბიბლია გვასწავლის, უსახურ-უდაბური ბნელეთისა და ქაოსისაგან შექმნა ღმერთმა ყოველივე, რაც გვხიბლავს თავისი წესრიგითა და გამართულობით. სწორედ ეს არის ყველაზე დიდი მანიშნებელი იმისა, საიდან უნდა აიღოს ადამიანი მაგალითი. რადგან ყველაზე თვალსაჩინო სიბრძნე-სამყაროს ღვთიურობა, მისი წესრიგიანობა და ჰარმონიულობაა, აქედან გამომდინარე, იუდაისტურ პედაგოგიკაში სამყაროს ღვთიური წესრიგი და ჰარმონია ადამიანის განვითარების ერთ-ერთ ფაქტორად უნდა იქნეს მიჩნეული.

ისრაელიანთა პირველი წინაპარი და მასწავლებელი აბრაამია. სწორედ აბრამს უთხრა ჰამემმა: „შენგან რჩეული ერი – ებრაელები წარმოიშვებიან და ქანაანის მთელ ქვეყანას ამ ხალხს მივცემ!“ ღმერთს უნდა რომ ხალხი თავად მიხვდეს, რომ მხოლოდ ჰამემშია სამყაროს მბრძანებელი და არა სხვა. მაგრამ ხალხი ამას ვერ ხვდება. ამიტომ ამოარჩია ღმერთმა ებრაელები, რათა სხვებს სწორი ცხოვრების მაგალითი აჩვენონ. მარტო აბრამიც ვერაფერს გახდებოდა, რადგან იგი ერთი იყო, ხალხი კი მრავალი. მაშ რატომ წარმოიშვა ებრაელი ერი აბრამისაგან? იმიტომ რომ აბრამი იყო პირველი ადამიანი, რომელიც მიხვდა და აჩვენა ხალხს, როგორ უნდა იცხოვრო სწორად (3.57). ამის თაობაზე თორა მოგვითხრობს: „...ამიერიდან აღარ გერქმევა სახელად აბრამი (ამაღლებულთა მამა), არამედ აბრაჰამი (მრავალთა მამა) იქნება შენი სახელი... ეს არის აღთქმა...წინადაიცივითოს (ბრით-მილა) ყოველმა თქვენმა ვაჟმა. ...სარაის შენს ცოლს აღარ ერქვას სარაი (ჩემი დედოფალი), არამედ სარა (მთელი სამყაროს დედოფალი) იყოს მისი სახელი. ... ეს იყოს აღთქმის ნიშანი ჩემსა და თქვენს შორის.“ (ბერეშითი 17:5,10,11,15)

როგორც თორაშია გადმოცემული, აბრაამმა უდაბნოში (ბერ-შევამში) მშვენიერი ხილის ბაღი გააშენა. საკუთარ კარავში მან ოთხი შესასვლელი გააკეთა, რომლებიც მუდმივად ღია იყო, რათა დაღლილ მგზავრს შეძლებოდა ნებისმიერი მხრიდან შესვლა, დასვენება და გზის გასაგრძელებლად მალ-ღონის მოკრება.

ამის გამო უამრავი ადამიანი სტუმრობდა აბრაჰამს. თავისი სტუმართმოყვარეობით მან ათი ათასობით ადამიანს ჰამემის მსახურება ასწავლა. მისი მეუღლე სარაც ავრცელებდა ჰემმარიტებას დედამიწაზე – ის ქალებს ასწავლიდა. სარას კარვის ზემოთ ყოველთვის იყო შეხინა. მის მიერ შაბათის წინ ანთებული სანთელი არ ქრებოდა შემდეგ შაბათამდე, ხოლო საკვები ყოველთვის უხვად იყო მის სახლში (3.70-71).

აბრაამის სტუმართმოყვარეობის და ღვთიურობის შესახებ თორა გვაუწყებს: „...აბრაჰამმა აღაპყრო თვალნი და დაინახა: აი, სამი კაცი დგას მასთან. მათი დანახვისას შესახვედრად კარავიდან გაიქცა და მიწამდე თაყვანი სცა. და უთხრა: ბატონო, თუ კეთილსახოვნება ვპოვე თქვენს თვალში, გენუკვი, გვერდს ნუ ავუვლი შენს მონას. ...დაიბანეთ თქვენი ფეხები და მოისვენეთ ხის ძირში. პურის ნაჭერს გამოგიტანთ და გაიმაგრეთ გული. ...დათქმულ დროს დავბრუნდებით შენთან, ზუსტად ერთ წელიწადში და სარას ძე ეყოლებათ“, - უპასუხეს სტუმრებმა (ბერეშითი, 18:2,4,14).

თორას ამ მონაკვეთიდან აბრაამი თავის ხალხს ასწავლის მცირედის დაპირებას და მეტის გაკეთებას. მან სტუმრებს შესთავაზა უბრალო რამ: დასვენება ჩრდილში, წყალი და პური, თუმცა ბევრად მეტი გაუკეთა.

<sup>4</sup> <https://www.orthodoxy.ge/metsniereba/metsnierebi.htm>

რატომ მიჰმადლა ღმერთმა სიბერის ჟამს სარას შვილის ყოლა? ეს ყველა ადამიანისათვის გაკვეთილად უნდა იქცეს! თუ კი ვინმეს იმედი გაუქრება, რომ ღმერთი იერუშალიმს აღადგენს, მას ახსენებენ: `შეხედე აბრაჰამს, ჩვენს მამას და მის ცოლს, სარას, ჩვენს დედას. როგორ გაახალგაზრდავა ღმერთმა ის სიბერის ჟამს და შვილზეც დაამადლიანა?! ასევე მოიქცევა იერუშალიმთან დაკავშირებითაც. ღმერთი ისე მოაწყობს, რომ იერუშალიმი ღვთიური ძალით მასთან დაბრუნდება.

ტრანსცენდენტულ ღმერთსაც არ სურს ხელაღებით, საფუძვლიანი შემოწმების გარეშე, არჩევანის გაკეთება. ამიტომ გამუდმებით ცდის აბრაამს. თუმცა, მაინც იზადება კითხვა: რატომ ცდის ღმერთი ამდენჯერ აბრაამს? რა მიზანი ჰქონდა ღმერთს? იქნებ ამ გამოცდებით ღმერთს სურდა დარწმუნებულიყო აბრაამის სიწმინდეში?! ჰაშემისათვის ხომ ადამიანის ყველაზე ფარული საიდუმლოებანიც ნათელია. ღმერთი კარგად ხედავდა, რომ აბრაამი სიკეთის განსახიერებაა. იგი კეთილი ურთიერთობის მაგალითებს აძლევს ყველას. გავიხსენოთ თუნდაც მახფელას გამოქვაბულის ყიდვა ოთხას შეკელად სარას განსასვენებლისათვის. მაშინ, როცა გამოქვაბულს და მინდორს უფასოდ სთავაზობდა მისი მფლობელი ეფრონი. ღმერთის ქმედება იქეთკენ არის მიმართული, რომ აბრაამი უფრო სრულყოფილი გამხდარიყო და მისი სიდიადე მთელი მსოფლიოსათვის სამაგალითო ყოფილიყო.

აბრაამისათვის მეათე გამოცდა მართლაც გამაოგნებელი აღმოჩნდა. ღმერთი ყოველთვის ასწავლიდა მას, რომ არ შეიძლება ადამიანის მოკვლა. გარდა ამისა, ღმერთმა მრავალგზის აუწყა აბრაჰამს, რომ ისაკისაგან ებრაელები წარმოიშვებიან. ახლა მას საკუთარი ხელებით ისაკის მოკვლა დაავალა. აბრაამს არ ესმოდა, რა საჭირო იყო ეს. თუმცა ძლიერ უყვარდა ღმერთი და მისი სიტყვების ჭეშმარიტების ყოველთვის სჯეროდა. ამასთან ერთად, აბრაამს ბოლო წუთამდე იმედი ჰქონდა, რომ რაიმე სასწაულით ისაკი ცოცხალი გადარჩებოდა. სწორედ ამას მიანიშნებს აბრაამის მიმართვა ისმაილისა და ელიეზარისათვის: „თქვენ აქ დასხედით ვირთან ერთად, ჩვენ კი ისაკთან ერთად ავალთ მთაზე, რათა ღმერთს ვემსახუროთ. შემდეგ კი თქვენთან დავბრუნდებით.“ აბრაამმა წარმოსთქვა: „ჩვენ დავბრუნდებით“ და არა - „მე დავბრუნდები.“

მეათე გამოცდა გვასწავლის, რომ დიდ რწმენას სასწაულების მოხდენაც შეუძლია. ღმერთი ყოველ ადამიანს უწყობს უამრავ გამოცდას, თუმცა, ყოველი გამოცდის წინ ადამიანს აძლევს ძალას მის გადასალახად. სწორედ ამიტომ ღმერთს უნდოდა, აბრაამი მიმხვდარიყო, რას ნიშნავს ებრაელებისათვის – იყო რჩეული. ეს ნიშნავს იმის დანახვას, რასაც ვერ ხედავენ სხვები და იმის გაკეთებას, რაც არ ძალუძს სხვა ხალხს. ღმერთს უნდოდა დარწმუნებულიყო, რომ აბრაამი ნამდვილად ღირსეული პიროვნებაა, რომ სწორედ მისგან უნდა გამრავლდნენ ებრაელები.

თუკი აბრაამი ისაკთან ერთად არ ავიდოდა მორიას მთაზე ღმერთის მსახურებისათვის, მისგან ვერ წარმოიშვებოდნენ ებრაელები, რადგან ებრაელთათვის ყველაზე მთავარი ღმერთის სამსახურია. სხვაგვარად ებრაელი ერი ვერ იარსებებდა. ამდენად, მეათე გამოცდის დედაზრი სწორედ ისაა, რომ ვისაც ღმერთი უყვარს, ყველაზე ძვირფასი, რაც კი აბადია, მისთვის უნდა გაიღოს.

მეათე გამოცდის შემდეგ აბრაამის სულში „იეცერ-არა“ მთლიანად დამორჩილებული იყო. მან უთხრა ისაკს: „ახლა კი მოვიდა დრო წახვიდე და თორა იემივაში შეისწავლო. ყოველი ჩემი ცხოვრებისეული წარმატების მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ მე თორას ვსწავლობდი და მცნებებს ვასრულებდი. ამიტომ მე მინდა, რომ თორა

სამუდამოდ დარჩეს ჩემს შთამომავლებთან.” მიუხედავად იმისა, რომ აბრაამი თვითონაც თორის დიდი მცოდნე იყო, თავისი შვილი მაინც სახლიდან მოშორებით, იემივამი პროფესიონალ მასწავლებელთან გაგზავნა.

იუდაიზმის პედაგოგიკა დიდ ყურადღებას უთმობს აღსაზრდელის გარემო პირობებს. უცილებლად მიიჩნევს მოზარდის მომზადებას დაბრკოლებათა გადასალახად. ამიტომ შემთხვევით არ უნდა მოგვეჩვენოს ვარდის ქცევა რებეკას სიმბოლოდ, რადგან რებეკაც გაიზარდა ბოროტ ადამიანებს შორის, როგორც მშვენიერი ყვავილი ეკლებში, მაგრამ საათანადოდ მომზადებული. თუმცა ამასთან დაკავშირებით მაინც ისმის კითხვა: რატომ გადაწყვიტა ღმერთმა რებეკას ასეთ ბოროტ ადამიანებში აღზრდა?

საქმე ისაა, რომ ღმერთმა იცოდა, - ადრე თუ გვიან ებრაელები უცხო ქვეყნებში, ბოროტ ხალხებს შორის გაიზნებოდნენ. მათთან შერევის რეალური საფრთხის გამო ღმერთმა ებრაელთა წინაპრები ბოროტ ხალხთა შორის აღზარდა. ბიბლიურმა თაობებმა ამ ზემოქმედებას გაუძლეს და შეიძინეს თავდაცვის თვისება, რაც იმუნიტეტის მსგავსად თაობიდან თაობაში დღესაც გადაეცემა. სწორედ ამ დაბრკოლებათა გადასალახად ამზადებდა ღმერთი ებრაელებს, რაშიც აღზრდის სისტემას გადაამწყვეტი როლი ეკისრებოდა. იუდაიზმის პედაგოგიკაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ადამიანის ნებისყოფის აღზრდას. ამის საილუსტრაციოდ გავიხსენოთ ისაკის მაგალითი. ყოველთვის როცა კამათი იწყებოდა იგი გაეცლებოდა იქაურობას. ამიუხედავდ იმისა, რომ ის მართალი იყო, მაინც არ ამწვავებდა ადამიანებთან ურთიერთობას. ასე მოიქცა ის მაშინაც, როცა ფილისტიმელები მის ჭებს ავსებდნენ. მაგრამ მას ჰქონდა დიდი შინაგანი ძალა და ნებისყოფა, რომელიც თავშეკავებისკენ მოუწოდებდა.

იუდაიზმის თანახმად, ძლიერია ის, ვისაც შეუძლია რისხვის შეკავება. ძლიერი ის არ არის, ვინც პირველი გაართყამს, არც ის ვინც უფრო ძლიერად გაართყამს, არამედ ის, ვინც თავს შეიკავებს და ძალმომრეობას არ გაიხდის ცხოვრების წესად.

თორაში მისაზამია ის ადამიანი, ვისაც მიტევება შეუძლია. ამის ნათელი მაგალითია ისაკის მიტევება აბიმელეხისადმი, რომელსაც არა მარტო აპატია ისაკმა, არამედ კავშირიც შეკრა მასთან.

როდესაც მეგობარი პატიებას გთხოვს, უნდა აპატიო. ღმერთი ხომ მუდმივად გვპატიობს ცოდვებს! ამიტომ ჩვენც, მისმა შვილებმაც, მისგან უნდა ვისწავლოთ მიტევება. აქედან გამომდინარე, ბიბლიური აღზრდის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი მიტევებაა. რადგან სწორედ მიტევება არის ღვთიური მადლის გადმოდინება ადამიანზე. ამიტომაც არის მიმტევებელი ადამიანი ღმერთის მიერ კურთხეული.

ღმერთი რომ შემთხვევით არაფერს აკეთებს, ამას ცხადყოფს თორა და სხვა ღვთიური წიგნები. ღვთიური მადლის შეწევნით ებრაელებმა ააგეს ღმერთის დიდებული ტაძარი, თუმცა თორას ჭეშმარიტების მიუხედავად, მათ დაარღვიეს მიცვები, რასაც მოჰყვა „ესეკ“ ანუ განხეთქილება, ამიტომ დასაჯა ისინი ღმერთმა: მოვიდნენ მტრები და ტაძარი დაანგრიეს. დიდი ხნის შემდეგ ებრაელებმა ისევ ააშენეს ამ ადგილზე მეორე ტაძარი. ამ დროს ებრაელებს შორის არ იყო სიყვარული. ეს იყო „სიტნას“ ანუ „ბოროტი საუბრების“ ეპოქა, ამიტომ ღმერთმა ებრაელები უფრო მეტად დასაჯა: მტრებმა დაანგრიეს მეორე ტაძარიც, დახოცეს მრავალი ებრაელი, ხოლო გადარჩენილები გაფანტეს მთელ დედამიწაზე (3.108-109). აქედან გამომდინარე ლოგიკურად ისმის კითხვა: რა სურს ღმერთს რჩეული ხალხისგან? სასჯელი ღმერთის ახირება არ არის. მისი ყოველი ქმედება მნიშვნელოვან შედეგზეა გამიზნული. დასაჯა აღზრდის წინაპირობაა გონიერი ადამი-

ანისათვის. ღმერთისათვის მიუღებელია მცნებების დარღვევა, დაპირისპირება-მტრობა, ბოროტება. სწორედ ამის გამო დაინგრა ებრაელთა დიდებული ტაძრები. ღმერთის სადიდებლად აგებული ტაძრები თავიანთ ამაღლებულ მისიას მცნებების უარყოფით, განხეთქილებით და ბოროტებით ვერ შეასრულებს. ამისთვის სიყვარული და ღვთიური მცნებების უპირობოდ დაცვაა აუცილებელი. ამიტომ სჯის ღმერთი თავის ხალხს, რაც აღზრდის საშუალებაა. აქედან გამომდინარე, დასჯა იუდაისტურ პედაგოგიკაში აღზრდის მეთოდად უნდა მივიჩნიოთ, რაც ცხადყო კაცობრიობის შემდგომმა გამოცდილებამ და დაადასტურა პედაგოგიკის მეცნიერებამ.

იმის მიუხედავად, რომ თორას მცნებები უნივერსალურია ებრაელთათვის, მას მაინც მრავალი დანიშნულებით სწავლობდნენ. სწორედ ამას უნდა მიანიშნებდეს იაკობის იეშივაში მისვლა, როცა ის ესავისაგან დევნილი ხარანში მიემგზავრებოდა (ბერეშითი 28:10). იაკობმა გადაწყვიტა თავისი დედის ძმასთან, ლავანთან ხარანში მისვლამდე იეშივაში მისულიყო და თორა შეესწავლა, რასაც თოთხმეტი წელი მოანდომა. იაკობი სახლშიც სწავლობდა თორას, ბაბუა აბრაამთან და მამა ისაკთან, მაგრამ აქ, ის ისრაელის ქვეყანაში ცხოვრების წესებს ეცნობოდა. ახლა კი, როცა იაკობი უცხო ქვეყანაში მიდიოდა, მას დევნილობაში ცხოვრების წესები უნდა ესწავლა.

თორას ნარატივი ამ ეპიზოდში აშკარად მიანიშნებს ებრაელთა მუდმივ მზადყოფნას დევნილობისათვის. თორა იყო ის ერთადერთი ძალა, რომელმაც რწმენა და სიმტკიცე შთაბერა მსოფლიოში გაფანტულ ებრაელებს, გააერთიანა ისინი ერთი იდეით და შეუნარჩუნა თვითმყოფადობა და რწმენის ერთგულება. თუმცა ეს თავისთავად არ მომხდარა, ამისთვის სპეციალურად ამზადებდნენ ებრაელებს, სწორედ ამას უნდა ნიშნავდეს იაკობის მიერ ისრაელიანთათვის თორას და დევნილობის თორას შესწავლა.

აღნიშნული დებულება თორას სწავლების შესახებ, აშკარად მიანიშნებს იმის თაობაზე, რომ ღვთის განგებულების შესწავლას არა მარტო სულიერი დანიშნულებით მიმართავდნენ, არამედ ყოფა-ცხოვრებისათვის მოსამზადებლადაც, თუნდაც დაბრკოლებების გადასალახად, რაც დევნილობაში გამოადგებოდათ ებრაელებს. ამიტომ თორასადმი მიჯაჭვულობა მრავალი მიზეზითაა განპირობებული, რაც დადასტურებულია ამ ღვთიური წიგნის სხვადასხვა ეპიზოდში.

ღმერთი მხოლოდ განსაცდელში კი არ შეეწევა ღვთის მოშიშ ადამიანს, არამედ ყოფა-ცხოვრებაშიც. სწორედ ამას გვაუწყებს ბერეშითის წიგნი (30:38): იაკობმა გამოთლილი წნელები დააწყო დასარწყულებლად სადინარებში, სადაც მიდიოდნენ ცხვრები წყლის დასაღვად. ჰამემმა დაინახა, რომ იაკობი აკეთებდა ყველაფერს, რაც შეეძლო. ამიტომ ჰამემმა იაკობისათვის მოახდინა სასწაული: ცხვრები უყურებდნენ ზოლიან წნელებს და მათაც ზოლიანი კრავები უჩნდებოდათ.

თორას შეგონებით, ადამიანი უნდა ეცადოს, რომ თავისი საქმე გულმოდგინედ შეასრულოს, გააკეთოს ყველაფერი, რაც მის ხელშია და ჰაშემი მას გამოუვალ სიტუაციაშიც დაეხმარება. ამიტომ თორაში წახალისებულია შრომისმოყვარეობა. სამეურნეო აქტივობა ღვთიურ საქმედ არის მიჩნეული და ღმერთისგან კურთხეულია.

თორაში აშკარად ისმის მოწოდება კარგი მნეობისაკენ, რაც ეკოლოგიის დაცვას გულისხმობს. დედამიწა და მისი რესურსები ღმერთმა ადამიანებს მოგვანდო დასაცავად და ჩვენც პასუხისმგებლობით უნდა მოვეკიდოთ მას. კარგი მნეობა ეწინააღმდეგება ბუნებრივი რესურსების განიავებას. დედამიწა ღვთის ბაღია და ჩვენ მის მცველები ვართ.

იუდაიზმში ადამიანის სამყაროსთან მიმართების გარკვეულ რეგლამენტაციასაც ახდენს. თორა შაბათის მსგავსად, ჰაშემისათვის ყოველ მეშვიდე წელს აწესებს: „ექვსი წელი დათესე მინდორი... და ექვსი წელი აილე მიწის ნაყოფი, მეშვიდე წელს კი მიწისთვის საუქმო შაბათი იქნება... შენი ყანა არ დათესო და ვენახი არ გასხლა.“ (ვაიკრა 25:3-4). მეშვიდე წელი მორწმუნე ებრაელისათვის შმიტის წელია, როცა ღმერთის ნებით ადამიანებმა მიწა უნდა დაასვენონ და გაძლიერებულად უნდა მიჰყონ ხელი თორის შესწავლას. მეშვიდე წელი ის დროა, როცა ყველას ეკრძალება მიწის სამუშაოები და მთელი დრო თორის შესწავლას ხმარდება.

თორას მიერ დადგენილი შაბათის დასვენებას ეკოლოგიური და აღმზრდელობითი დანიშნულებაც აქვს. რეგულარული ყოველკვირეული დასვენება კარგი შედეგათია, კაცისათვის იქნება ეს თუ პირუტყვისათვის. დასვენება მიწისთვისაც პროდუქტიული და სასარგებლოა. ეს ზომები იცავდა მიწას გამოფიტვისაგან და უნარჩუნებდა პროდუქტიულობას. ასეთივე როლს ასრულებდა იუბლეს კანონი, რომლის თანახმად, ყოველ ორმოცდაათ წელიწადში მიწა თვის ნამდვილ მფლობელ – ღმერთს უდა დაბრუნებოდა (ლევ. 25:28). ეს იცავდა მიწას მითვისებისა და გადაჭარბებული ექსპლუატაციისაგან. ძველი აღთქმის წიგნები მოგვიწოდებენ აგრეთვე, მიწის განაყოფიერების მნიშვნელობისა და ეკოლოგიური დაბინძურების თავიდან აცილებისაკენ (ლევ. 13:14);

ომის პირობებშიც უნდა ეზრუნათ ისრაელიანებს ბუნებაზე. ხანგძლივი ალყის პირობებშიც: „თუ დიდხანს გექნება შემორტყმული ალყა ქალაქისათვის, მის დასამარცხებლად და ასაღებად, ნუ განადგურებ მის ხეებს (მეორე რჯ. 20:19). უზნეობად იყო მიჩნეული ქვეყნის დამარცხება გარემოს დმარცხების ხარჯზე.

თუმცა თორა გაცილებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ადამიანის სიწმინდეს, ვიდრე მის ქონებას და გავლენას. ამაში ადვილად დავრწმუნდებით თუ გავიხსენებთ ბერეშითის (45:26) იმ მონაკვეთს, როცა იაკობმა შეიტყო შვილის, იოსების ამბავი და თქვა: „იოსეფი უწინდებურად ცოცხალია!“ ეს სიტყვები ნიშნავდა, რომ იოსები უწინდებურად ცადიკია. ჩვენ თუ ყურადღებით დავუკვირდებით იაკობის სიტყვებს, დავრწმუნდებით, რომ იგი ბედნიერია იმით, რომ იოსები ცადიკია და არა იმიტომ, რომ ის მართავდა ეგვიპტეს და დიდი ქონების მფლობელიც იყო.

ებრაელთათვის სასულერო განათლება უმთავრესი იყო ოდითგანვე: როცა იაკობმა თავისი მრავალრიცხოვანი ოჯახით გადაწყვიტა ეგვიპტეში, იოსებთან გადასახლება, ასეთ დავალებას აძლევს იეჰუდას: „წადი ჩვენზე წინ და მოამზადე იქ ადგილი იეშივასთვის. თორის შესწავლა არ უნდა შეწყდეს!“

იაკობი ასეთი საქციელით მოუწოდებს თანამოდმეებს, სანამ ებრაელი გადაწყვეტს სადმე დასახლებას, მან უნდა იცოდეს, არის თუ არა იქ იეშივა, სინაგოგო და ბავშვებისათვის ებრაული განათლების მიღების საშუალება.

ებრაული წესით მამა ან უხუცესი შვილებს უფროს-უნცროსობით აკურთხებდა, ან თუ კურთხევა ერთდროულად მიმდინარეობდა, მარჯვენა ხელს უფროსს დაადებდა თავზე, ხოლო მარცხენას – უმცროსს. საყურადღებოა ამ თვალსაზრისით იაკობის მიერ იოსების შვილების – ეფრაიმისა და მენაშეს კურთხევა. იაკობმა ეს წესი დარღვია და მას ასეთნაირი ახსნა მოაყოლა: „ვიცი, ვიცი, რომ მენაშე უფროსია, მაგრამ მთელი ეს თვრამეტი წელი, რაც მე ეგვიპტეში ვცხოვრობ, თორას ეფრაიმი სწავლობს. სწორედ მის შთამომავლებში იქნებიან გამოჩენილი ადამიანები. როგორ დავადო ეფრაიმს მარცხენა

ხელი?” ასეთ საგანგებო მნიშვნელობას ანიჭებდნენ ებრაელები თორას შესწავლას და ამ საქმეში წარჩინებულს გამორჩეულ პატივს მიაგებდნენ.

აქ, კიდევ ერთი გარემოებაცაა აღსანიშნავი: რატომ სურდა იაკობს, რომ ებრაელებს თავიანთი შვილები ეკურთხებინათ ეფრაიმისა და მენაშეს სახელით და არა მაგალითად იეჰუდას ან აბრაჰამის სახელით?

საქმე ისაა, რომ ეფრაიმი და მენაშე იყვნენ პირველი ებრაელები, რომლებიც დაიბადნენ და გაიზარდნენ სახლიდან მოშორებით - გალუთში. იქ ხომ ადვილია დაგავიწყდეს ვინ ხარ შენ? თუმცა ამის მიუხედავად, მათ ახსოვდათ, რომ იყვნენ ებრაელები და მთელი სიცოცხლე ებრაული ცხოვრების წესით ცხოვრობდნენ. სწორედ ამიტომ იუდაიზმი ახალისებს იმ ადამიანებს, ვინც სიმნელებს მიუხედავად, რწმენისა და ტრადიციების ერთგულებას ინარჩუნებს. ანალოგიურ წესებს იცავენ მორწმუნე ებრაელები დღესაც.

როგორც თორას ერთ-ერთ წიგნშია (ბერეშითი /49:1,2) მოთხრობილი, იაკობი მთელი ცხოვრება სწავლობდა თორას. სიცოცხლის ბოლოს ის ისეთი ბრძენი გახდა, რომ იმ მოვლენების შესახებაც კი იცოდა, რომელიც მომავალში უნდა მომხდარიყო. იაკობმა გადაწყვიტა ამის შესახებ თავისი შვილებისათვის მოეთხრო. იაკობის საწოლთან მოვიდნენ მისი შვილები – თორმეტი ძმა.

ღმერთმა არ მისცა იაკობს მომავალში აღსასრულებელი ამბების გაცხადების უფლება, რადგან ადამიანმა წინასწარ არ უნდა იცოდეს თავისი მომავალი. ამიტომ იაკობმაც არაფერი თქვა მომავლის შესახებ. მან მხილოდ ეს უთხრა ვაჟებს: „თითოეული თქვენგანისაგან წარმოიშვება ებრაელი ერის ნაწილი (მუხლი). ამიტომ მინდა ყველა სათითაოდ დაგლოცოთ.“ ამის შემდეგ იაკობმა შვილებს განუსაზღვრა ფუნქცია და საქმიანობის სფერო. იგი თითოეულ მათგანს ცალ-ცალკე მიმართავდა და შესაბამისად არიგებდა. იაკობმა ყველასაგან შიმონის შთამომავლობა გამოარჩია თორის მასწავლებლებად. მათ უნდა ევლოთ ქალაქიდან ქალაქში და ბავშვებისათვის თორა ესწავლებინათ. მათი შემოსავალი იმაზე იქნებოდა დამოკიდებული, მიიწვევდნენ თუ არა მათ მასწავლებლებად. ამიტომ შიმონის შთამომავლებისთვის აუცილებელი იყო განსაკუთრებული მომზადება და თავაზიანობა, რადგან უცოდინარი და ბრაზიანი მასწავლებელი არავის ენდომებოდა.

ბერეშითის აღნიშნული მონაკვეთის თანახმად, სახეზეა იაკობის (ისრაელის) მიერ მასწავლებლის პროფესიისათვის შიმონის შტამომავლების კურთხევა. გასათვალისწინებელია აგრეთვე პედაგოგისთვის დამახასიათებელი თვისებების (ლმობიერება, შემწყნარებლობა, განათლებულობა) შესახებაც. ისიც არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ მასწავლებლის შემოსავალი იმთავითვე, იმაზე ყოფილა დამოკიდებული, რამდენი მოწაფეც ეყოლებოდა მას, რაც გარკვეულწილად კონკურენტულ პედაგოგიურ გარემოზე მიანიშნებს. ასეთი წესი მეტ თავდადებას და მოწაფეებისადმი მზრუნველობას განაპირობებდა (3.199).

როგორც თორა გვაუწყებს, რაკი ებრაელები დიდად გამრავლდნენ, ეგვიპტის ფარაონმა გადაწყვიტა მათ წინააღმდეგ რაიმე ისეთის გაკეთება, რაც შეაჩერებდა ამ პროცესს. ამ განზრახვის ასრულებაში დახმარება თავის მრჩევლებს: ფილოსოფოს ითროს, ჯადოქარ ბილამს და უცის ქვენიდან მოვლენილ, წმინდა ადამიანად აღიარებულ იოვს სთხოვა. ამ სამი მრჩევილიდან ფარაონს ბილამის აზრი მოეწონა „და უბრძანა თავის ხალხს: „ყოველი ახალშობილი ძე ნილოსში გადაისროლეთ, ხოლო ყოველი ასული აცოცხლეთ.“ (შმთი, 1:22). სწორედ ამის შემდეგ მთელ ეგვიპტეში ებრაელი ახალშობილების

საშინელი ხოცვა დაიწყო. ამ სისასტიკის გამო ფარაონის მრჩევლებსაც დამსახურებისამებრ მიეზღოთ; კერძოდ, ითრომ სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდების მიუხედავად არ დაუჭირა მხარი ებრაელთა დასჯას. ამიტომ იმით დაჯილდოვდა, რომ მისი შთამომავლები სანჰედრინის (სასამართლოს) მეთაურები გახდნენ; ბილამი, რომელმაც ფარაონს ახალშობილების დახოცვა ურჩია, თავად მოკლეს; იოვს კი, რომელმაც დუმილი ამჯობინა ფარაონთან წინააღმდეგობას, მრავალი ტანჯვა ხვდა წილად. აქედან დასკვნა მარტივია, ვინც ბოროტებას შეუწყობს ხელს ან ვისაც მის წინააღმდეგ ბრძოლა შეუძლია და არაფერს მოიმოქმედებს, ღმერთი საკადრისად დასჯის.

საყოველთაო წესრიგი და ჰარმონია, რომელიც ღმერთმა დაამკვიდრა სამყაროში, ადამიანის კეთილდღეობისათვის შეიქმნა. მაგრამ იგი ჯერ ჯიდევ არ იყო სრულყოფილი, სწორედ ამას ემსახურებოდა რჩეული ერის მონობიდან განთავისუფლება, რადგან თვით ღმერთმა უწყოდა უპირველესად, რომ ღვთიური წესრიგი და ჰარმონია მონობაში არ დამკვიდრდებოდა. თუმცა, არც მარტო თავისუფლება იყო ამისათვის საკმარისი, ამიტომ ღმერთი თავის რჩეულ ხალხს ყველაზე უმთავრესს - რჯულს აძლევს: „და ახლა ისმინე, ისრაელო, წესები და სამართალნი, რომელთაც მე გასწავლით თქვენ შესასრულებლად, რათა იცოცხლოთ და მიხვიდეთ და დაიმკვიდროთ ის ქვეყანა, რომელსაც უფალი, თქვენი მამების ღმერთი, გაძლევთ თქვენ“ (რჯლ. 4,1). ეს იყო სრულიად ახალი ეტაპი კაცობრიობის ისტორიაში, სწორედ აქ, სინას მთაზე აუწყა ღმერთმა მოსეს და მისი სახით მთელ კაცობრიობას ცხოვრების მიზანი და ღვთის ხატად და მსგავსად შექმნილი ადამიანის უმაღლესი მისია.

ათი მცნების მთელი საზრისი აღმზრდელით დანიშნულებას ატარებს. „როცა მე აღარ ვიქნები, ამბობდა მოშე-რაბეინუ, არ იფიქროთ, რომ არავინაა, ვისგანაც შეიძლება ჰაშემის ნების სწავლა. მისი თორა არ არის ცაში, რომ ვინმემ თქვას: „ვინ მიწვდება მას, რომ მოგვიტანოს? მაშინ შევასრულებდით...“ არც ზღვის მიღმაა ის, რათა არ თქვან: „ვინ გაცურავს შორეულ ზღვებში, რათა მოგვიტანოს ის? აი, მაშინ შევასრულებდით...“ მაგრამ არა! თორა ეხლა დედამიწაზეა. ის თქვენს ხელშია და თქვენს გულშია. თქვენ იცნობთ მას და მასთან ერთად ცხოვრება შეგიძლიათ.“ შეხედე, - უთხრა მოშემ ისრაელს – ჰაშემმა შენ თორა და მცნებები გადმოქცა. შენ შეგიძლია ჰაშემს დაუჯერო ან არ დაუჯერო. თუ დაუჯერებ, იცოცხლებ; თუ არა – დაიღუპები (4.173).

როგორც დავინახეთ, მოსეს კიდევ ერთი წოდებაც აქვს. მას არ მოიხსენებენ, როგორც „მეფე მოშეს“, ან `წინასწარმეტყველ მოშეს“. მას უწოდებენ „მოშე რაბეინუ“ – „მოშე ჩვენი მასწავლებელი“. რადგან ორმოცი წლის მანძილზე სწორედ მოშე ასწავლიდა ხალხს მცნებებს და უხსნიდა კანონებს (4.169-170).

იმ დროს, როცა მოსემ სინას მთაზე ახალი კანონები მიიღო და ღმერთმა აღთქმა დადო რჩეულ ხალხთან, კაცობრიობა საზოგადოებრივი ცხოვრების იმ გზების ძიებაში იყო, რომელსაც შემდგომში უნდა განესაზღვრა მათი სწორი განვითარება და ყოფაცხოვრება. მოსეს კანონებში უფალი მიუთითებს, რომ ასეთი გზა შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობებში, თუ ადამიანის კავშირს შემოქმედთან მამაშვილური ხასიათი ექნება.

როგორც ითქვა, თორას თანახმად, ცხოვრების უმაღლესი საზრისი ღვთის საქმეთა წვდომა, მასთან სულიერი კავშირია, რომელიც უფლის მცნებების შესწავლითა და დაცვით მიიღწევა, მაგრამ არსებობს ყოფითი საკითხები, რომელთა გადაწყვეტას ელემენტარული ცოდნა ესაჭიროება, თუმცა ისიც უფლის ნებით ხდება. სწორედ ასეთი დამოკიდებულება იყო იუდაიზმში, ზოგადად სიბრძნისა და კერძოდ კი აღზრდა-განათლების მიმართ.



თორას თანახმად, ღმერთი იმპერატიულად მოუწოდებს ისრაელიანებს ზუსტად შეასრულონ მისი ბრძანებები. მათგან მცირეოდენი გადახვევებიც კი დაუშვებელია. სწორედ ამიტომ დასაჯა ღმერთმა მოსე და აარონი.

როცა უდაბნოში ხალხი ძლიერ შეწუხდა, ღმერთმა უთხრა მოსეს: „აილე კვერთხი და შენ და შენმა ძმამ, აჰარონმა ისრაელის თემი შეკრიბეთ, მათ თვალწინ კლდეს დაელაპარაკეთ და ის თავის წყალს მოგცემთ; გამოუწიალე მათ წყალი კლდიდან და დაარწყულე ეს თემი და მათი პირუტყვი” (ბემიდბარი 20:8).

ღმერთმა მოსეს კლდესთან მხოლოდ წმინდა ადამიანების (უხუცესების) მიყვანა უბრძანა, მაგრამ მოსემ ყველა მიიყვანა, რათა ისინი სასწაულის მოწმენი გამხდარიყვნენ. ხალხი ეჭვიანობდა და დამცინავად საუბრობდა, შეძლებდა თუ არა ღმერთი კიდევ ერთი ახალი სასწაულის მოხდენას.

მოსე ამ მდგომარეობამ ძალიან გააღიზიანა. მას უნდოდა ღმერთის ნების აღსრულება და კლდესთან ხალხის წინაშე თორის სწავლება. ყველას ცხადად უნდა ეხილა, რომ თორის შესწავლას ბუნების კანონების შეცვლაც შეუძლია. მაგრამ მოსეს ყოველი მხრიდან დაცინვა და ქილიკი ესმოდა. ამიტომ მან თავი ვერ შეიკავა და პირველად განრისხდა. ამის გამო მოსემ სათანადოდ ვერ აუხსნა ებრაელებს, რომ ღმერთი კიდევ ერთ სასწაულს მოახდენდა. ამ სასწაულის შედეგად ხალხს უნდა ერწმუნა, რომ ღმერთი თავის რჩეულ ერს არასოდეს მიატოვებდა.

ხალხი შეშინებული იდგა და ელოდა სასწაულს, მაგრამ მოსეს კლდე არ ემორჩილებოდა. ხალხში კვლავ ქილიკი ისმოდა. მოსე დაიბნა და არ იცოდა რა ექნა. თითქმის ორმოცი წლის წინ, რეფიდიმშიც მსგავსი ისტორია იყო. მაშინ მან ის გააკეთა, რისი გაკეთებაც ეხლა არ შეიძლებოდა – მოსემ კლდეს კვერთხი დაარტყა. ქვები დაინამა და წვრილი რუ გაჩნდა. ხალხში ისევ ბოროტი სიცილის ხმა გაისმა: “ალბათ ჯოხს ჯადოსნური ძალა გამოეღია. ან ამ წყლით ერთ ხარს მაინც დააკმაყოფილებ?”

მოსეს ცუდად ესმოდა რა ხდებოდა. მან მოიქნია კვერთხი და კლდეს მეორედ მთელი ძალით დაარტყა. კლდე შუაზე გაიპო და ამოხეთქილი წყლის ნაკადს ყველა ხარბად დაეწაფა. ამ ადგილს კი ეწოდა მასაუ-მერივა, რაც ივრითულად ნიშნავს ეჭვს და განხეთქილებას.

ღმერთი მოშეს და აარონის საქციელით უკმაყოფილოა და ამას პირდაპირ გამოხატავს: „გამჩენმა უთხრა მოსეს და აარონს: „რადგან არ მერწმუნეთ და არ წმინდამყავით ისრაელის შვილების თვალწინ, ამიტომ ვერ შეგიყვანთ ამ კრებულის ქვეყანაში, რომელიც მე მათ ვუბოძე” (ბემიდბარი 20:12).

ღმერთი კონკრეტულად იმით არის უკმაყოფილო, რომ მან მოსეს კლდესთან საუბარი უბრძანა და არა კვერთხის შემოკვრა. ისე გამოვიდა, რომ თითქოს მოსემ არ დაიჯერა ღმერთისგან მოსალოდნელი სასწაული. მისი ცოდვა მის განრისხებაში მდგომარეობდა, რადგან მან ებრაელებს სულელი, ანჩხლი და ჭირვეული ხალხი უწოდა და კლდეს ადელვებულმა კვერთხი დაარტყა. ამ საქციელით მან სხვებს ბრაზის გამართლების საბაბი მისცა. თუკი მოსე, წინასწარმეტყველებს შორის უდიდესი ადამიანი და ღმერთის რჩეული, ვერ იკავებს რისხვას, მაშ როგორღა ალაგმონ სხვებმა სიბრაზე?

თორას ამ ეპიზოდიდან კიდევ ერთი დასკვნა უნდა გავაკეთოთ. ამისათვის გასარკვევია, რატომ უბრძანა რეფიდიმში ღმერთმა მოსეს კლდეზე კვერთხის შემოკვრა, ხოლო მეორე შემთხვევაში – კლდესთან დალაპარაკება?

საქმე ისა, რომ ღმერთი ორჯერ ერთნაირ სასწაულს არასდროს ახდენს. ამიტომ, პირველი შემთხვევის დროს იყო კვერთხის დარტყმა, ხოლო მეორეს დროს – დალაპარაკება.

ხშირად მშობლებს და მასწავლებლებს უწევს ბავშვის ემოციურად დასჯა, როცა ის პატარაა. თუმცა, როცა იგივე მოსწავლე გაიზრდება, მასზე სხვაგვარი ზემოქმედებაა საჭირო, კერძოდ დასჯას ამ შემთხვევაში ახსნა განმარტება ანუ სიტყვა ენაცვლება. ასევე იყო კლდის შემთხვევაშიც: პირველად როცა მოხდა კვერთხის დარტყმა, ის იყო პატარა ბავშვის მსგავსი, მეორედ 40 წლის შემდეგ, მას უკვე სიტყვა ესაჭიროებოდა.

მაგრამ ამ დროს დაარღვია მოშემ ღმერთის ბრძანება და სიბრაზისაგან კვერთხი დაარტყა კლდეს. აარონმა კი აღელვებული მოსეს შეჩერება და დამშვიდება ვერ შეძლო. სწორედ ამისთვის დასაჯა ღმერთმა მოსე და აარონიც და უთხრა: „რადგან ხალხს ჩემი სასწაული არ აჩვენეთ, თქვენ არ შეიყვანთ ამ ხალხს იმ ქვეყანაში, რომელსაც დაიმკვიდრებენ ებრაელები. თქვენ არ შეხვალთ ისრაელის მიწაზე.“

„ისრაელის შვილთა მთელი თემი კადეშიდან დაიძრა და ჰორის მთასთან მივიდა, - მოგვითხრობს თორა, - ჰორის მთაზე, ედომის საზღვარზე, გამჩენმა უთხრა მოსეს და აარონს ამ თქმით: „აპარონი შეეძინოს თავის ხალხს, რამეთუ ვერ შევა იმ ქვეყანაში, რომელიც ისრაელის შვილებს ვუბოძე; რადგან საპაექრო წყალთან მეურჩებოდით.“ (ბემიდბარი 20:22-24).

მოსე ღმერთის ბრძანებას დაემოჩილა და აარონთან და ალიაზართან ერთად ჰორის მთაზე ავიდა. ეს იყო ორმაგი მთა, ანუ მთა მთაზე, როგორც მცირე ვაშლი დიდ ვაშლზე. ორმაგი მთა აარონისათვის ნაჩუქარი ორი გვირგვინის სიმბოლოს წარმოადგენდა: პირველი იყო თორის გვირგვინი, რადგან თორას ასწავლიდა, მეორე – სიმონის გვირგვინი (4. 134).

თორა ერთმნიშვნელოვნად მოუწოდებს ისრაელიანებს ღმერთის ბრძანების ზუსტად შესრულებას, რაც გაკვეთილი უნდა ყოფილიყო ყველასთვის. იმის მიუხედავად, რომ მოსე და აარონი არ ეურჩებოდნენ ღმერთს, ისინი მცირედი უზუსტობისათვისაც მაინც მკაცრად დაისაჯნენ. რადგან რაც უფრო დიდებულია ადამიანი, მით მეტ სრულყოფილებას ელიან მისგან. ღმერთმა მოსეს და აარონს სერიოზული ბრალდებები წაუყენა, რადგან, რაც უფრო ახლოა ადამიანი ღმერთთან, მით რთულია მისთვის დანაშაულის გამოსყიდვა. (4. 136).

თუმცა ღმერთი ყოველთვის აძლევს ადამიანს იმ გზაზე სიარულის უფლებას, რომელსაც თვითონ ადამიანი ირჩევს, მაშინაც, თუ ეს გზა დამღუპველია. სწორედ ამიტომ მიეცა ადამიანს თავისუფალი არჩევანის უფლება, რადგან ადამიანი არ არის ანგელოზი (ანგელოზები მხოლოდ ღმერთის ნებას ასრულებენ, მათ საკუთარი გზის არჩევა არ შეუძლიათ).

თორას მიხედვით, ადამიანი მუდმივად უნდა ლოცულობდეს, რათა ღმერთმა სწორი გზა მიუთითოს. ადამიანმა არ უნდა იფიქროს, რომ მისი არჩეული გზა აუცილებლად სწორია, რადგან მას არ შეუძლია ჩაწვდეს ჭეშმარიტებას. თუკი ებრაელი თავის სურვილებში გულწრფელია, ის ზეციდან დახმარებას უთუოდ მიიღებს (4. 150).

განსაკუთრებულია იმ მცნებების მნიშვნელობა, რომლებიც ღმერთის მიერ თორის შესწავლას ავალდებულებს ისრაელიანებს. ეს დებულება არა მხოლოდ რეკომენდაციაა, არამედ „დეორაიტაა,“ ანუ მცნება, რომლის შესრულება თორიდან ევალებოდათ ჰაშემის მიმდევრებს. ებრაელთა წმინდა წიგნში (დვარიმი 33:4) მითითებულია, რომ თორა

უკლებლივ ყველამ უნდა ისწავლოს: დარიბმა და მდიდარმა, ჯანმრთელმა და ავადმყოფმა, ახალგაზრდამ და მოხუცმა, მრავალშვილიანი ოჯახის უფროსმა კი დღე-ღამის განმავლობაში თორის შესწავლისათვის განსაკუთრებული დრო უნდა გამოეყო (4. 86).

ისრაელიანებს მოსეს დროს, თორას შესასწავლად სპეციალურად გამოყოფილი კარვებიც ჰქონდათ, სადაც ორგანიზებულად სწავლობდნენ თორას (4. 118).

მოშემ, ჰაშემის ნებით, თავის შემცვლელად იეჰოშუა შესთავაზა ხალხს. რატომ ბრძანა ღმერთმა ერის ხელმძღვანელად სწორედ იეჰოშუას დანიშვნა? ნუთუ ცოტა იყო გამოჩენილი და ღირსეული ადამიანი?

იეჰოშუა იყო თორის ერთგული, ის მოშეს რწმენითა და სიმართლით ემსახურებოდა, თანაც პატივისცემით ეპყრობოდა. ის ყველაზე ადრე მოდიოდა თორის გაკვეთილებზე და გვიანობამდე რჩებოდა, რათა ყველაფერი წესრიგში მოეყვანა: ასწორებდა სკამებს, მაგიდებს, ხალიჩებს, როლებზედაც ისხდნენ მსმენელები; ზრუნავდა სწავლის თავის დროზე დაწყებაზე. ამიტომ ის ღირსი იყო ისრაელი ერის წინამძღოლი გამხდარიყო.

ქრისტეს მოვლინებამდე, კაცობრიობის ისტორიაში შეუძლებელია მოიძებნოს ისეთი მასწავლებელი, როგორც მოშე იყო. ის მუდამ ხალხისათვის ზრუნავდა, სანაცვლოდ კი არაფერს ითხოვდა. პირიქით, უკმაყოფილებას და დაუმორჩილებლობას მუდმივად აწყდებოდა უმადური ხალხისგან.

ებრაული ტრადიციის თანახმად, ბავშვებისათვის თორის სწავლების მოვალეობა მშობლებს ეკისრებათ, მაგრამ თუ მშობლებს არ შეუძლიათ თავად ასწავლონ ბავშვს, მაშინ მასწავლებელი უნდა მოუნახონ, ან სკოლაში გაგზავნონ. პირველ საუკუნემდე ისრაელში სკოლები არ არსებობდა. ისინი ტაძრის დანგრევის შემდეგ გამოჩნდნენ, ამიტომ სწავლა ინდივიდუალურ ხასიათს ატარებდა.

თალმუდში საყურადღებო ცნობებია მოცემული სწავლის დაწყებისა და ვადების თაობაზე. კერძოდ, პირველი ავოთში ნათქვამია: ხუთი წლიდან წერილობითი თორის შესწავლა უნდა დაიწყოს, ათი წლიდან – მიშნის, ცამეტი წლიდან – მცნებების შესრულება, ხოლო თხუთმეტი წლიდან თალმუდის შესწავლა დაიწყოს...” (ავოთ 5:21). თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ხუთ წლამდე ბავშვებს არაფერს ასწავლიდნენ. როგორც გადმოცემებშია მოთხრობილი, „როგორც კი ბავშვი ლაპარაკს იწყებს, მამა ასწავლის ფრაზას: „კანონი (თორა) გვიანდერმა მოსემ” და პირველ ლექსს ლოცვიდან „შმა ისრაელ.” ამის შემდეგ კითხვას ასწავლიდნენ, ხოლო 6-7 წლიდან მასწავლებელს მიაბარებდნენ. ზოგიერთი წყაროს ცნობით, სამი წლის ბიჭუნას ხედერში (სკოლაში) აგზავნიდნენ, სადაც კითხვას სწავლობდნენ, ხოლო ხუთი წლიდან თორის შესწავლას იწყებდნენ. სამი წლის ასაკს „განათლების ასაკის” საწყის ზღვრად მიიჩნევდნენ (5. 130-131).

ამრიგად ებრაული განათლება იმ დროიდან იწყებოდა, როცა ბავშვი შეძლებდა ნასწავლის გამეორებას, ხოლო აღზრდა გაცილებით ადრე – დაბადებიდან.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბიბლია 1989: ბიბლია, საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა, თბილისი, 1989.
2. თორა 1995: თორა: ქართულ ენაზე ებრაულ ტექსტთან ერთად (მთ. რედ.: აბრამ მამისთვალავი), მე-2 გამოცემა, იერუსალიმი: შუქურა, 1995.
3. ებრაული ტრადიცია, I წიგნი, 2014-2015: ებრაული ტრადიცია, სახელმძღვანელო, I წიგნი, თბილისი, საგანმანათლებლო ცენტრი „ორ ავნერი“, 2014-2015.
4. ებრაული ტრადიცია, II წიგნი, 2014-2015: ებრაული ტრადიცია, სახელმძღვანელო, II წიგნი, თბილისი, საგანმანათლებლო ცენტრი „ორ ავნერი“, 2014-2015.
5. ბააზოვი, კოზლოვსკი 2012: მარინა ბააზოვი, ციპორა კოზლოვსკი, თორა მომითხრობს მე, თბილისი, „ორ ავნერი საქართველოში“, 2012.
6. ასათიანი 2016: ასათიანი ა., აღზრდა ბიბლიურ იუდაიზმში, თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გამომცემლობა, თბილისი, 2016.

**Avtandil Asatiani**  
**Georgian Technical University**  
**Associate Professor**

### **Parenting Ideas in the Torah** **Abstract**

The Torah has provided us with rich information regarding upbringing and education. In the books of the Torah, it is possible to distinguish the function of acquiring knowledge directly, which meant mastering divine wisdom. At the same time, a number of didactic concepts (teacher, learning, training, upbringing, knowledge, learning, diligence in learning, laziness in learning, etc.) are spread in the biblical books, which gives us a reason to think that they were also used for pedagogical purposes. In terms of the amount of knowledge, the didactics of Judaism considers it necessary to master divine wisdom, which is necessary for everyone. In Judaism, forms of acquiring knowledge are universal, although the presence of professional teachers is also noted. Among the methods of teaching, the following are worth noting: oral teaching, writing, reinforcement of what has been learned, use of allegories and comparisons.

**Key words:** Bible, Torah, Old Testament, Ten Commandments, education, teacher, “Moshe Rabbeinu” – “Moshe our teacher”.

# განათლების მენეჯმენტი

გელა ცაავა  
ასოცირებული პროფესორი,  
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მშვიდობის სწავლების ცენტრი

## ადამიანური პოტენციალის განვითარება თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემაში

*რეზიუმე:* აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობები დიდწილად დამოკიდებულია მასში ჩამოყალიბებულ ადამიანურ პოტენციალსა და მისი განხორციელების პირობებზე.

ადამიანური პოტენციალის ფორმირების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წყაროა განათლების სისტემა. წარმოდგენილი სტატია ეძღვნება თანამედროვე სამყაროში განათლების სისტემაში მდგომარეობისა და განვითარების შესაძლებლობების ანალიზს. ცოდნაზე აგებული თანამედროვე საზოგადოება დამოკიდებული ხდება ადამიანის პოტენციალის განვითარების დონეზე, რადგან დღეს ყველაზე მოთხოვნადია ადამიანის ინტელექტუალური შესაძლებლობები, მისი განათლება, რომელზედაც სხვა საკითხებთან ერთად პირდაპირ დამოკიდებულია ახალი ცოდნის გენერირების შესაძლებლობა.

*საკვანძო სიტყვები:* საქართველო, გამოწვევები, საზოგადოება, პოტენციალი, მეცნიერება.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობები დიდწილად დამოკიდებულია მასში ჩამოყალიბებულ ადამიანურ პოტენციალსა და მისი განხორციელების პირობებზე.

ადამიანური პოტენციალის ფორმირების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წყაროა განათლების სისტემა. წარმოდგენილი სტატია ეძღვნება თანამედროვე სამყაროში განათლების სისტემაში მდგომარეობისა და განვითარების შესაძლებლობების ანალიზს.

სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების კონტექსტში ადამიანური პოტენციალის განვითარება ხდება სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა. ხალხი, მათი განათლება, კვალიფიკაცია და გამოცდილება განსაზღვრავს საზოგადოების ტექნოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური მოდერნიზაციის საზღვრებსა და შესაძლებლობებს, რაც ხელს უწყობს ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდას გლობალურ დონეზე<sup>5</sup>.

დღეისათვის სხვადასხვა სახელმწიფოებში განათლება არ აკმაყოფილებს მის მოთხოვნებს. საგანმანათლებლო დაწესებულებებში განათლების დონის ზრდისა და საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების აუცილებლობის გამო საჭიროა არსებული ვითარების გამოსწორება, რაც შესაძლებელია განათლების სისტემის განვითარების სახელმწიფო პროგრამის დახმარებით, რომელიც შექმნილია ეკონომიკური სისტემის რეფორმირების პროცესში ერთ-ერთი მთავარი როლის შესასრულებლად.

ცოდნაზე აგებული თანამედროვე საზოგადოება დამოკიდებული ხდება ადამიანის პოტენციალის განვითარების დონეზე, რადგან დღეს ყველაზე მოთხოვნადია ადამიანის

<sup>5</sup> Кириллова Т. ОБРАЗОВАНИЕ КАК ФАКТОР РАЗВИТИЯ ЧЕЛОВЕЧЕСКОГО ПОТЕНЦИАЛА. Воронежский государственный университет Поступила в редакцию 25 января 2011 г.

ინტელექტუალური შესაძლებლობები, მისი განათლება, რომელზედაც, სხვა საკითხებთან ერთად, პირდაპირ დამოკიდებულია ახალი ცოდნის გენერირების შესაძლებლობა.

შესაბამისად თანამედროვე საზოგადოების უმაღლესი ღირებულება არის ადამიანი, რომელსაც შეუძლია ახალი ცოდნის ძიება და არასტანდარტული გადაწყვეტილებების მიღება.

კიდევ ერთი აშკარა მინუსი არის ის, რომ ბოლონის პროცესის განათლების სისტემა შეიცავს კომპეტენციებზე დაფუძნებულ მიდგომას. შეფასება ემყარება კრედიტებს ან ქულებს. ამიტომ სტუდენტების უმრავლესობას, რომლებიც ჩერდებიან ბაკალავრიატის დონეზე, არ აქვთ ფართო განათლება, ფართო მსოფლმხედველობა, მათზე მანიპულირება შესაძლებელია, არ აქვთ არჩევანის თავისუფლება. უფრო მეტიც, სამაგისტრო პროგრამაზე შესვლას შეძლებს განათლების პირველ საფეხურზე დამთავრებულთა საერთო რაოდენობის მხოლოდ 20-25%.<sup>6</sup>

ადამიანური პოტენციალის მნიშვნელობის შესახებ თანამედროვე თეორიაში დასტურდება, რომ განათლება არის მისი ჩამოყალიბების ძირითადი ფაქტორი, რაც მაკრო დონეზე უზრუნველყოფს განვითარების ინოვაციურ ტიპს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ განათლება სოციალური და ადამიანური განვითარების უმთავრესი ფაქტორია.

გარდა ამისა, ადამიანები, მათი განათლება, კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება განსაზღვრავენ საზოგადოების ტექნოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური მოდერნიზაციის საზღვრებსა და შესაძლებლობებს, რაც ხელს უწყობს ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდას მსოფლიო დონეზე.

ბოლო დროს ლიტერატურაში განხილულია ადამიანური პოტენციალის, როგორც ქვეყნის განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორის ფორმირებისა და გამოყენების საკითხები. ამავე დროს ადამიანურ პოტენციალს როგორც წესი, ესმის ადამიანების ის თვისებები, რომლებიც ფუნდამენტურად მოქმედებენ იმ საქმიანობის შედეგებზე, რომელშიც ისინი არიან ჩართულნი<sup>7</sup>.

თანამედროვე საზოგადოების განვითარება დამოკიდებულია ამ საზოგადოების მოქალაქეების განათლების დონის ზრდის პირობებზე, რაც პირდაპირ გავლენას ახდენს ტექნოლოგიური, ორგანიზაციული და სხვა სიახლეების განვითარებისა და განხორციელების წარმატებაზე.

ტექნოლოგიური ინოვაციების გავლენის ქვეშ მყოფი განათლება შექმნილია ისე, რომ შეინარჩუნოს თავისი ღირებულება და უნიკალურობა. დიგიტალიზაციის დაჩქარებული პროცესის მიუხედავად, სწორედ ტრენინგები რჩება ადამიანური რესურსების განვითარების, ადამიანების უნარებით, ცოდნითა და კომპეტენციებით „აღჭურვის“ საფუძვლად<sup>8</sup>.

---

<sup>6</sup> Говоров К. К 2030 году у нас не будет бесплатного высшего образования // KMnews. 2011. URL: <http://www.km.ru/v-rossii/2011/05/19/vyssheobrazovanie-v-rossii/k-2030-godu-u-nas-ne-budetbesplatnogo-vysshego-obr>

<sup>7</sup> Брусакова И., Фомин. В. ПРОЦЕССЫ И ПРОБЛЕМЫ ФОРМИРОВАНИЯ ЧЕЛОВЕЧЕСКОГО ПОТЕНЦИАЛА. Санкт-Петербургский государственный электротехнический университет «ЛЭТИ» им. В. И. Ульянова (Ленина). 2018.

<sup>8</sup> Молчанов И. Человеческий потенциал и перспективы развития образования. Государственное управление. Электронный вестник Выпуск № 89. Декабрь 2021 г.

განათლება მნიშვნელოვან როლს ასრულებს არა მხოლოდ მაკრო დონეზე, არამედ მიკრო დონეზე, რადგან ის მოქმედებს როგორც სოციალური სიკეთე, როგორც საფუძველი პიროვნების პოტენციალის ფორმირებისა და მისი წარმატებით განხორციელებისთვის.

ამრიგად, სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების კონტექსტში სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად იქცევა განათლების სისტემის განვითარება, რომელიც ხელს უწყობს ადამიანური პოტენციალის ჩამოყალიბებასა და განვითარებას.

ადამიანური პოტენციალის ხარისხი მოწინავე კონკურენტულ უპირატესობად არის წარმოდგენილი. „ეს განისაზღვრება მისი თვისებების მთლიანობით, თვისებებით, რომლებიც განსაზღვრავს ადამიანის უნარს დააკმაყოფილოს თავისი მიზანი და მოთხოვნები“<sup>9</sup>.

სამეცნიერო კვლევებში ჩართული თანამშრომელთა რაოდენობის შემცირების მთავარი ფაქტორებია სამეცნიერო პერსონალის შიდა და გარე მიგრაცია, რომელიც გამოწვეულია დაბალი ანაზღაურებით, სამეცნიერო საქმიანობაში ჩართვის პერსპექტივისა და შესაძლებლობების ნაკლებობით, ასევე „იდეების გაჟონვით“, რომელსაც არ ახლავს მეცნიერთა ფიზიკური მოძრაობა, მაგრამ ისინი მუშაობენ უცხოელი მომხმარებლების მიერ დაფინანსებული პროგრამებით, რითაც სამეცნიერო კვლევების ეს შედეგები უცხოელი დამსაქმებლების საკუთრება ხდება.

მეცნიერ-პედაგოგთა რაოდენობის შემცირება უარყოფითად აისახება სახელმწიფოების ეკონომიკის უნარზე, სწრაფად დაძლიოს აღდგენის პერიოდი და დაიწყოს განვითარების ინოვაციური მოდელის ფორმირება.

ერთიან ევროპულ უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში მოქალაქეთა ყბადაღებულ მობილობაზე საუბრისას შეიძლება აღინიშნოს, რომ რეალურად სტუდენტების ძალიან მცირე რაოდენობა გაემგზავრება სასწავლებლად მთელ მსოფლიოში. რაც შეეხება ევროპელებს, ისინი ძირითადად ევროპულ სივრცეში სწავლას ამჯობინებენ, ახლა კი აშშ-ში სწავლა სულ უფრო მეტ პოპულარობას იძენს. ბოლო მონაცემებით, 691,000 სტუდენტი ამჟამად სწავლობს შეერთებულ შტატებში. მათ შორის, ვინც საზღვარგარეთ სასწავლებლად მიდის, პირველ ადგილზე ჩინელები არიან. მხოლოდ შეერთებულ შტატებში ჩინელი სტუდენტების რაოდენობა ყოველწლიურად 30%-ით იზრდება, ჯამში 440 ათასზე მეტი. ჩინელები სწავლობენ თავიანთი ქვეყნის ფარგლებს გარეთ სხვადასხვა უნივერსიტეტებში. ინდოეთი მეორე ადგილზეა, შემდეგ მოდის სამხრეთ კორეა.<sup>10</sup>

ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება განათლების სექტორის განვითარებას, რომლის ფარგლებშიც ხდება ინოვაციური გარღვევის მისაღწევად საჭირო კვალიფიკაციის, უნარებისა და შესაძლებლობების მქონე კადრების მომზადების პროცესი.

ახალი ათასწლეულის დასაწყისი აღინიშნა ახალი მრავალფეროვანი სოციალურ-ეკონომიკური პროცესების რადიკალური განვითარებით, რომელთა შინაარსი პირდაპირ თუ ირიბად უკავშირდება განათლებას. ერთ-ერთი მათგანია სოციალურ წარმოებაში ჩართული კაპიტალის სტრუქტურის მნიშვნელოვანი ცვლილება. თუ მე-19 საუკუნეში

<sup>9</sup> Макарян А. С. Глобализация и человеческий потенциал: демографическое измерение. Международный аспект [текст] / А.С. Макарян. – М.: ЗАО Экономика, 2003. – 160 с.

<sup>10</sup> Кто и куда едет учиться за границу // URL: <http://skypestudy.ru/index.php/aboutus/news/85-where-study-abroad.html>.

დასავლეთის ქვეყნებში ადამიანური კაპიტალის წილი იყო 20-23%, ხოლო მე-20 საუკუნის დასაწყისში 31-33%-მდე გაიზარდა, მაშინ მე-20 საუკუნის ბოლოს უკვე 67-69%-ია.<sup>11</sup>

თუმცა, თანამედროვე სამყაროში დღეს პრობლემაა ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ნაკლებობა, რაც უარყოფითად აისახება საშუალო განათლების ხარისხზე.

სასკოლო განათლება არის განათლების სისტემის ცენტრალური ელემენტი, რადგან ის არის საფუძველი, რომელზედაც მოხდება ცოდნის შემდგომი დაგროვება. მაგრამ, სამწუხაროდ, სასკოლო განათლების არსებული სისტემა სრულად ვერ უზრუნველყოფს მოსწავლეთა სწავლების მაღალ დონეს, რაც განპირობებულია ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზით - დაფინანსების ნაკლებობით.

ის, რომ ქვეყანაში უფრო განათლებული მეწარმეები იქნებიან, უდავოდ კარგია, მაგრამ ის, რომ შემცირება ხდება სწავლების სფეროებში, რომლებიც უზრუნველყოფენ კადრებს ეკონომიკის ერთ-ერთი წამყვანი სექტორისთვის, ასევე იმ მიმართულებით, რომელსაც ამზადებენ IT სპეციალისტები, შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფოთა ეკონომიკის განვითარების შემაკავებელ ფაქტორად.

თანამედროვე განათლების სისტემაში კრიზისული ფენომენების გამოვლენის კიდევ ერთი ფაქტორია მისი მზარდი ტრანსფორმაცია არა „განათლების“, არამედ „სწავლების“ სისტემად, რაც დიდწილად ზღუდავს განვითარების ინოვაციური გზის შესაძლებლობებს.

მეორე ტენდენცია, რომელიც გავლენას ახდენს პროფესიული განათლების სტრუქტურაზე გარკვეულ ქვეყნებში, არის განათლების ეტაპობრივი ტრანსფორმაცია მომსახურების სექტორად მისი შემდგომი ლიბერალიზებით. ეს, სამწუხაროდ, გამოიხატება საგანმანათლებლო მომსახურების გადაჭარბებული მიწოდების ფორმირებით, რომელიც მიმართულია ეგრეთ წოდებული „მოდური“ პროფესიების სპეციალისტების (იურისტების, ეკონომისტების) მომზადებაზე.

ეს ვითარება არის რეაქცია საბაზრო პირობების მოკლევადიან სიგნალებზე საგანმანათლებლო სერვისებზე მოთხოვნის მხრივ, რომელიც ძირითადად წარმოიქმნება არა გარკვეული პროფილისა და კვალიფიკაციის სპეციალისტებისთვის ეკონომიკის საჭიროებების ობიექტური შეფასებით, არამედ „კერძო ინვესტორების“ პრეფერენციების შესახებ, რომლებიც, როგორც წესი, არიან არა საწარმოები და ორგანიზაციები, არამედ მოსახლეობა, რომელიც ეძებს გრძელვადიან სარგებელს პრესტიჟულ და კარგად ანაზღაურებად სამუშაოებზე წვდომის სახით.

ერთი მხრივ ეს იწვევს ჰუმანიტარული და ეკონომიკური ბლოკების კურსდამთავრებულთა მასიურ ჭარბ წარმოებას და ტექნიკური სპეციალისტების კატასტროფულ ნაკლებ წარმოებას ქვეყნის ეკონომიკისთვის, ხოლო მეორე მხრივ, პროვოცირებას უწევს უნივერსიტეტებს ფასიანი საგანმანათლებლო მომსახურების სპექტრის გაფართოებისკენ. განათლების სფეროს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ძალიან მნიშვნელოვანი წყაროა გამოკითხვები ქვეყნის მოსახლეობის კმაყოფილების დონის შესახებ.

ამრიგად, განათლების სისტემა არ აკმაყოფილებს მასზე დაწესებულ მოთხოვნებს საგანმანათლებლო დაწესებულებებში განათლების დონის ზრდისა და საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების აუცილებლობის გამო, რაც საშუალებას

<sup>11</sup> Рогов С. М. Государство и общественное благо: мировые тенденции и российский путь [текст]/ С.М. Рогов. – М.: Институт США и Канады РАН, 2005. – 271 с



გვადლევს დავასკვნათ, რომ საჭიროა მისი გაუმჯობესება. არსებული ვითარების გამოსწორება შესაძლებელია განათლების სისტემის განვითარების სახელმწიფო პროგრამის დახმარებით, რომელიც შექმნილია ეკონომიკური სისტემის რეფორმირების პროცესში ერთ-ერთი მთავარი როლის შესასრულებლად.

სფეროს წინაშე დასმული პრობლემების გადასაჭრელად მატერიალური პირობების შექმნის წყარო განათლების ამოცანაა განათლების სფეროს ფინანსური, ეკონომიკური და საინფორმაციო მხარდაჭერის მექანიზმების შემუშავება და დაწერვა.

მისი ეფექტიანი გადაწყვეტა საჭიროებს რესურსების - ინტელექტუალური, ტექნიკური, ფინანსური - ყოვლისმომცველ მობილიზებას საზოგადოების ფუნქციონირების ყველა დონეზე, ხოლო განათლება, როგორც ადამიანური პოტენციალის კომპონენტი, მოითხოვს მუდმივ ყურადღებას სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან.

განათლების დღევანდელი განვითარების მთავარი მიზანია ჩამოყალიბდეს ფიზიკურად ჯანსაღი და მაღალზნეობრივი ახალგაზრდა თაობა მრავალმხრივი მეცნიერული და მხატვრული ცოდნით, შემოქმედებითი შესაძლებლობებით და მზადაა კონსტრუქციული მონაწილეობა მიიღოს თანამედროვე საზოგადოების განვითარებაში.

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. Брусакова, Фомин 2018: Брусакова И., Фомин. В. ПРОЦЕССЫ И ПРОБЛЕМЫ ФОРМИРОВАНИЯ ЧЕЛОВЕЧЕСКОГО ПОТЕНЦИАЛА. Санкт-Петербургский государственный электротехнический университет «ЛЭТИ» им. В. И. Ульянова (Ленина). 2018.
2. Говоров К. К., 2030 году у нас не будет бесплатного высшего образования // KMnews. 2011. URL: <http://www.km.ru/v-rossii/2011/05/19/vyssheobrazovanie-v-rossii/k-2030-godu-u-nas-ne-budetbesplatnogo-vysshego-obr>
3. Макарян 2003: Макарян А. С. Глобализация и человеческий потенциал: демографическое измерение. Международный аспект [текст]/ А.С. Макарян. – М.: ЗАО Экономика, 2003.
4. Молчанов 2021: Молчанов И. Человеческий потенциал и перспективы развития образования. Государственное управление. Электронный вестник Выпуск № 89. Декабрь 2021.
5. Кириллова 2011: Кириллова Т. ОБРАЗОВАНИЕ КАК ФАКТОР РАЗВИТИЯ ЧЕЛОВЕЧЕСКОГО ПОТЕНЦИАЛА. Воронежский государственный университет Поступила в редакцию 25 января 2011.
6. Рогов 2005: Рогов С. М. Государство и общественное благо: мировые тенденции и российский путь [текст]/ С.М. Рогов. – М.: Институт США и Канады РАН, 2005.

**GELA TSAAVA**

Ph.D. Doctor, Associate Professor

Sokhumi State University

Center for Peace Studies

## **Development of Human Potential in the Modern Educational System**

### **Abstract**

The state's economic development capabilities largely depend on its human potential and the conditions for its implementation. One of the most important sources of human potential formation is the education system. The presented article is dedicated to the analysis of the situation and development opportunities in the education system.

Education in various countries does not meet its requirements. Due to the need to increase the level of education in educational institutions and improve the quality of the educational process, it is necessary to correct the current situation, which is possible with the help of the state program for the development of the education system, which is designed to play one of the main roles in the process of reforming the economic system.

The modern society built on knowledge becomes dependent on the level of development of human potential, because today the intellectual abilities of a person are most in demand, his education, on which, among other things, the possibility of generating new knowledge directly depends.

**Keywords:** Georgia, Challenges, Society, Potential, Science.

## ჩვენი იუბილარები



### რევაზ ბალანჩივაძე - 85

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, ცნობილ ქართველ მეცნიერს და პედაგოგს, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, რევაზ ბალანჩივაძეს დაბადებიდან 85 წელი შეუსრულდა.

რევაზ ბალანჩივაძე დაიბადა წყალტუბოს რაიონის სოფელ ბანოჯაში. უმაღლესი განათლება მიიღო ალ. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო ინსტიტუტში (დღევანდელი ა. წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი). სტუდენტობის წლებში, რევაზ ბალანჩივაძეს, რომელიც მაიაკოვსკისა და სტალინის სახელობის სტიპენდიანტი იყო, პროფესორთა განსკუთრებული ყურადღება დაუმსახურებია. სწორედ მისივე ლექტორის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაშინდელი ვიცე-პრეზიდენტის, ანგია ბოჭორიშვილის რეკომენდაციით მან მუშაობა დაიწყო ჯერ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტში აკადემიკოს ანგია ბოჭორიშვილის განყოფილებაში, ხოლო ორი წლის შემდეგ მასთან ერთად სამუშაოდ გადავიდა ფილოსოფიის ინსტიტუტში.

ნაყოფიერი გამოდგა რევაზ ბალანჩივაძის სამეცნიერო საქმიანობა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში. 1970 წელს მან წარმატებით დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1982 წელს სადოქტორო დისერტაციები. 1976 წლიდან რევაზ ბალანჩივაძე სამეცნიერო მუშაობას წარმატებით უთავსებს პარტიულ-პოლიტიკურ და ჟურნალისტურ საქმიანობას. 1982 წელს იგი დაინიშნა გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ მთავარ რედაქტორად და 1986 წლამდე მუშაობდა მაღალ კომკავშირულ და პარტიულ თანამდებობებზე.

1986 წლიდან პროფესორი რევაზ ბალანჩივაძე კვლავ სამეცნიერო პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა: წლების განმავლობაში მუშაობდა საქართველოს თეატრალურ ინსტიტუტში კათედრის გამგედ, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორად, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის კულტურისა და ხელოვნების უნივერსიტეტის პრორექტორად. ამჟამად ბატონი რევაზი კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტების ემერიტუს-პროფესორია.

პროფესორი რევაზ ბალანჩივაძე მრავალი სამეცნიერო ჟურნალის და შრომათა კრებულის დამფუძნებელი და რედაქტორია. წლების განმავლობაში იგი იყო საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ჟურნალ „მოამბის“ მთავარი რედაქტორი, ხოლო ამჟამად ამ ჟურნალის რექკოლეგიის წევრია.

ბატონი რეზოს წერილები სისტემატურად იბეჭდება სამეცნიერო ჟურნალებში როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში. ხშირად გამოდის მისი პოლემიკური სტატიები განათლების საჭირობოროტო პრობლემებზე.

ხელდამშვენებული ხვდება თავის 85 წლისთავს ჩვენი სახელოვანი მეცნიერი. მისი წიგნები დიდი ხანია სპეციალისტთა ყურადღების ცენტშია მოქცეული და ბევრი

მათგანი სტუდენტთა აღზრდა-განათლების სამსახურშია. სწორედ ამაზე მიუთითებს მათი არასრული ჩამონათვალი: „ადამიანი, თავისუფლება, პასუხისმგებლობა“, „ადამიანის ფილოსოფიური კონცეფცია ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში“, „ადამიანი და ტრადიცია“, „ზნეობრივი აღზრდის ამოცანები თანამედროვე ეტაპზე“, „პედაგოგიკის ფილოსოფიური საფუძვლები“, „უმაღლეს ღირებულებათა სამსახურში“, „ანთროპოლოგიური პედაგოგიკა“, „ფილოსოფიური და პუბლიცისტური წერილები“ და სხვ.

პროფესორ რევაზ ბალანჩივაძის მაღალი მეცნიერული ავტორიტეტი აღიარებულია ქართული აკადემიური და სამეცნიერო საზოგადოების მიერ. იგი არჩეულია მრავალი დარგობრივი აკადემიის აკადემიკოსად.

ქართული განათლების მიმართ ბატონი რეზოს ღვაწლი გამორჩეულად დაფასდა 2000 წელს, როცა მას დამსახურებულად მიენიჭა იაკობ გოგებაშვილის პრემია. მისი მოღვაწეობა ჟურნალისტიკაშიც სათანადოდ აღინიშნა და მიენიჭა საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის საპატიო წოდება. მშობლიურმა წყალტუბოს რაიონმაც პატივი მიაგო ბატონ რეზოს დამსახურებას და იგი წყალყუბოს საპატიო მოქალაქედ აირჩია.

ბატონი რეზო განვლილი წლებ ის მიუხედავად მხნედ გამოიყურება. გვჯერა, რომ ის კიდევ დიდხანს იქნება ქართული განათლების და მეცნიერების სადარაჯოზე და კვლავაც წარმატებით იღვაწებს საქართველოს საკეთილდღეოდ.

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და ჟურნალ „მოამბის“ რედაქცია გულითადად ულოცავს ღირსეულ პიროვნებას, დამსახურებულ მეცნიერს, აკადემიკოს რევაზ ბალანჩივაძეს დაბადებიდან 85 წლისთავს და უსურვებს ჯანმრთელობას და ნაყოფიერ სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობას.



## ლიანა ასათიანი

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრს, პროფესორ ლიანა ასათიანს დაბადებიდან 75 წელი შეუსრულდა. მისი მრავალმხრივი და ნაყოფიერი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობა მრავალ ათეულ წელს ითვლის.

ქალბატონი ლიანა ასათიანი დაიბადა 1948 წელს ქალაქ თბილისში. 1966 წელს ჩაირიცხა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში (მაშინდელ საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში) ავტომატიკის და ტელემექანიკის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დამთავრა 1971 წელს.

1983 წლიდან ლიანა ასათიანი მშობლიურ ინსტიტუტში იწყებს მუშაობას მხაზველობითი გეომეტრიის კათედრაზე. 2005 წელს მან წარმატებით დაიცვა დისერტაცია თემაზე „გეომეტრიული აგებები სიბრტყეზე გარდაქმნის და თანაკვეთის მეთოდების გამოყენებით, სწავლება და პედაგოგიური ექსპერიმენტი“, რისთვისაც მიენიჭა პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

პროფესორი ლიანა ასათიანი ამჟამად მუშაობს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ურბანიზაციისა და დიზაინის ფაკულტეტზე საინჟინრო გრაფიკისა და ტექნიკური მექანიკის დეპარტამენტის პროფესორად. მომავალ არქიტექტორებსა და დიზაინერებს ასწავლის მხაზველობით გეომეტრიას და ჩრდილებს. ახარებს სტუდენტებთან ურთიერთობა, რადგან ხედავს პედაგოგის შრომის შედეგს..

გამოქვეყნებული აქვს 40 - ზე მეტი სამეცნიერო და მეთოდური ნაშრომები, სახელმძღვანელოები, სტატიები. მათ შორის მისი მონოგრაფია "აგებები სიბრტყეზე გარდაქმნის და თანაკვეთის მეთოდების გამოყენებით", რომელიც 2007 წელს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამომცემლობის ეგიდის გამოვიდა, ერთ-ერთ საინტერესო ნაშრომად შეფასდა.

განათლების სფეროში ხანგძლივი და ნაყოფიერი საქმიანობისთვის ლიანა ასათიანი 2011 წელს არჩეულ იქნა საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრად.

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და ჟურნალ „მომბის“ რედაქცია ვულოცავთ ქალბატონ ლიანა ასათიანს განვლილ 75 წელს. ვუსურვებთ ხანგრძლივ მხნეობას და ნაყოფიერ სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას ჩვენი ხალხისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.



## ლალი ბოჭორიშვილი

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორს, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, ქალბატონ ლალი ბოჭორიშვილს დაბადებიდან 75 წელი შეუსრულდა. საინტერესოა მისი განვლილი ცხოვრების გზა - ოჯახის სიყვარული, მუდმივი მზაობა სიკეთის ქმნისათვის, კაცთმოყვარეობა, მეგობრებსა და კოლეგებზე მოუბეზრებელი ზრუნვა - ადამიანობის გაკვეთილებად გამოდგება.

ლალი ბოჭორიშვილი დაიბადა 1948 წლის 30 დეკემბერს უკრაინის ქ. ხარკოვში, აკადემიკოს ვახტანგ ბოჭორიშვილის ოჯახში, ვისი სახელიც დიდი პატივით მოიხსენიება ქართულ საზოგადოებაში გულმართალი მამულიშვილობის, ფართო ინტელექტისა და მაღალი პროფესიონალიზმის გამო. დედა - ლიდია ბოჭორიშვილი, ღვაწლმოსილი ექიმი, ოჯახის ერთგული დედა, მეუღლის მეგობარი და საყრდენი ყველა საქმეში, სასიამოვნოდ განათლებული ქალი ბრძანდებოდა.

ლალი ბოჭორიშვილმა დაამთავრა ქ. ლენინგრადიას ნ.ა. ვოზნესენსკის სახ. საფინანსო-ეკონომიკური ინსტიტუტი სპეციალობით - „მრეწველობის დაგეგმვა“, იქვე წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ელექტრული ძრავების კაპიტალური რემონტის ცენტრალიზაციის ეკონომიკური ეფექტიანობა“.

1971 წელს მან მუშაობა დაიწყო საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, 1996-1999 წლებში მიწვეული იყო აუდიტორად შპს „ალფა-რომეო“-ში, 1999-2002-ში - შპს „ელკო-აუდიტ“-ში. 2001-2012 წლებში იგი შპს „ფოთიტრანსენერჯის“ ფინანსური მენე-



ჯერია, 2001-2011 ში - სს „ამალთეას“ კონსულტანტი ფინანსურ საკითხებში, 2005 წლიდან დღემდე შეთავსებით ეწევა აუდიტორულ საქმიანობას შპს „ენი კონსალტინგში“, 2004-2012 წლებში ეკავა ფინანსური დირექტორის თანამდებობა აკად. ვ. ბოჭორიშვილის სახელობის „სეფსისის საწინააღმდეგო ცენტრში“.

მიღებული აქვს აუდიტორული საქმიანობის განხორციელების საკვალიფიკაციო სერტიფიკატები. 1916 წლიდან - 2023 წლამდე, მან აუდიტორული, საექსპერტო და საკონსულტაციო მომსახურება გაუწია სხვადასხვა ფირმებს.

ევროპის გრანტის ფარგლებში (1997 – 1998 წწ.) წლებში შეასრულა სახელმძღვანელო ნაშრომი „ფინანსური აღრიცხვის საფუძველები“.

პროფესორი ლალი ბოჭორიშვილი 57-ზე მეტი ნაშრომის ავტორია. მათ შორის განსაკუთრებით საყურადღებოა: „ენერგეტიკაში ეკონომიკური საკითხების გადაწყვეტის ლაბორატორიული გამოთვლების საფუძვლები“ (თანაავტორთან ერთად, 2011წ.), „ბიზნეს გეგმის შედგენა“ 2013 წ.), „Basics of Enetgi Busihess Law“(თანაავტორთან ერთად, 2011წ.), „მეწარმეობა და მისი პრობლემების გადაწყვეტა“(თანაავტორთან ერთად, 2015წ.) „საწარმოს ეკონომიკური ინფორმაციის დამუშავება და ფინანსური ანგარიშების შედგენა (თანაავტორთან ერთად, 2018 წ.). იგი კითხულობს რამდენიმე სასწავლო კურსს: ეკონომიკა და მართვა ენერგეტიკაში, კადრების და ხარისხის მენეჯმენტი, ენერგეტიკის ეკონომიკური ინფორმაციის მენეჯმენტი, ფინანსები და ფინანსური აღრიცხვა, მეწარმეობის სამართლებრივი საფუძვლები, ფინანსური მენეჯმენტი და აუდიტი ენერგეტიკაში, სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის ეკონომიკა.

ქალბატონი ლალი ბოჭორიშვილი წარმატებით ხელმძღვანელობს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს, აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში.

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემია, მისი პრეზიდენტი და ჟურნალ „მოამბის“ რედაქცია ულოცავს პროფესორ ლალი ბოჭორიშვილს საპატიო იუბილეს, უსურვებს ხანგრძლივ სიცოცხლეს, წარმატებებს პროფესიულ საქმიანობასა და პირად ცხოვრებაში.



## გივი ლობჯანიძე - 75

გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ გივი ლობჯანიძეს დაბადებიდან 75 წელი შეუსრულდა.

საინტერესო და მრავალფეროვანი ცხოვრების გზა განვლო პროფესორმა გივი ლობჯანიძემ. ათეული წლების განმავლობაში იგი ერთგულად ემსახურა ჩვენს ქვეყანას სამართალდამცავ სისტემაში: პოლიციის ლეიტენანტობიდან გენერალ-მაიორის უმაღლეს წოდებამდე მიაღწია და მცირედიტაც არ გადაუხვევია სამართლიანობის პრინციპებიდან. ბატონი გივი ერთ-ერთი პირველთაგანია, ვინც ერთდროულად გენერალ-მაიორის, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, მწერლისა და აკადემიკოსის მაღალი წოდებებით ამშვენებს

ქართულ საზოგადოებას. მისი მეცნიერული მონაგარი დიდი ხანია ერთ ასეულს აჭარბებს, მათგან ბევრი სახელმძღვანელო და მონოგრაფიაა.

პროფესორ გივი ლობჯანიძის ნაშრომები იმდენად ღირებულია ქართული სამართლებრივ-პოლიტიკური აზროვნებისათვის, რომ ძნელია მათგან რომელიმეს გამოყოფა, თუმცა ასევე შეუძლებელია გვერდის ავლა მისი მონოგრაფიისათვის - „ნარკვევები არჩილ ჯორჯაძის მსოფლმხედველობრივ-სამართლებრივი ნააზრებიდან“, რომელიც „საერთო ნიადაგის“ თეორიის გამო დღესაც განსაკუთრებულ აქტუალობას ინარჩუნებს; ასევე აქტუალურია სტუდენტთათვის გამიზნული სახელმძღვანელო „ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია“, რომელიც მაღალი მეცნიერული და მეთოდური ღირსებებით უდავოდ გამორჩეული სამაგიდო წიგნია.

გივი ლობჯანიძისთვის განსაკუთრებით ნაყოფიერი გამოდგა ბოლო წლები. მკითხველმა იხილა მისი მონოგრაფიები: „ციცერონიდან ჩვენამდე“, „ნიკო ნიკოლაძე - სამართლებრივი პარადიგმები“ და „დიდი ნიკო ნიკოლაძე“. გივი ლობჯანიძის თანავეტორობით გამოიცა აგრეთვე „დიპლომატიური და საკონსულო სამართალი“, რომელიც ამ სფეროში გამორჩეულ სახელმძღვანელოდ იქნა აღიარებული.

პროფესორი გივი ლობჯანიძე მრავალი წლის მანძილზე ეწევა ნაყოფიერ პედაგოგიურ და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას სხვადასხვა უნივერსიტეტში. მის მიერ დაფრთიანებული თაობები წარმატებით საქმიანობენ როგორც მეცნიერებაში, ისე საჯარო და კერძო სექტორებში.

ბატონი გივის ბიოგრაფიის განსაკუთრებული ნაწილია მისი პოლიტიკური მოღვაწეობა. იგი იყო 1992-1995 წლების მოწვევის პარლამენტის წევრი. აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს კონსტიტუციის შემუშავებაში. მისი ინიციატივით არაერთი კანონპროექტი იქნა მომზადებული და მიღებული.

პროფესორი გივი ლობჯანიძე წლების განმავლობაში მუშაობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში პრორექტორად სასწავლო-სამეცნიერო დარგში. მისი ხელმძღვანელობით მრავალ სასიკეთო წამოწყებას ჩაეყარა საფუძველი და მნიშვნელოვანი რეფორმები განხორციელდა საპოლიციო კადრების მოსამზადებლად.

ამჟამად გივი ლობჯანიძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო უთიერთობის ფაკულტეტის პროფესორი და ამავე ფაკულტეტის ინტელექტუალური სამართლის კვლევის ლაბორატორიის ხელმძღვანელია. იგი პროფესორის სტატუსით თანამშრომლობს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან და საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტთან.

განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს ბატონი გივის ლიტერატურული საქმიანობა. მისი, როგორც მწერალის მონაგარი 4 პროზაული კრებული და რამდენიმე დრამატული ნაწარმოებია. იგი არის საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალის „ცხოვრება კანონი“-ს მთავარი რედაქტორი და რამდენიმე დარგობრივი აკადემიის აკადემიკოსი. მინიჭებული აქვს ქართული კულტურის ამაგდარის და ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემიის ლაურეატის საპატიო წოდებები.

სამშობლოს წინაშე დამსახურებისათვის პოლიციის გენერალ-მაიორი გივი ლობჯანიძე დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის და ღირსების ორდენებით. არჩეულია ქუთაისის და თერჯოლის საპატიო მოქალაქედ.

გივი ლობჯანიძე სანდო, სამართლიანი და კაცთმოყვარე პიროვნებაა. ცხოვრების მანძილზე მას მრავალი სირთულის გადალახვა არგუნა ბედმა, მაგრამ მაღალი ზნეობრივი პრინციპებიდან არასოდეს გადაუხვევია. 75 წელი ცხოვრების ის მიჯნაა, როცა ნაღვანის შეფასებას იწყებს კაცი. ბატონ გივის გული მშვიდად უნდა ჰქონდეს, რადგან მეცნიერულ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობასთან ერთად მას ამშვენებს დიდებული ოჯახი, მეგობრებისა და კოლეგების მრავალრიცხოვანი არმია და მისი უზადო ლექციებით მოხიბლული მადლიერი სტუდენტობა.

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და ჟურნალ „მოამბის“ რედაქცია გილოცავთ, ბატონო გივი! თქვენი დაბადებიდან 75-ე წლისთავს და გისურვებთ მრავალ შემოქმედებით გამარჯვებას ჩვენი ხალხისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ!



## ვახტანგ სართანია - 75

განათლების დარგის თვალსაჩინო მოღვაწეს, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ვახტანგ სართანიას 75 წელი შეუსრულდა.

ვახტანგ შალვას ძე სართანია დაიბადა 1948 წელს, სოფ. საგურამოში, მოსამსახურის ოჯახში. ორი წელი იმსახურა სავალდებულო სამხედრო სამსახურში. 1971-1974 წლებში სწავლობდა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დარგობრივი ეკონომიკის ფაკულტეტზე. 1974-77 წლებში მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტი, ხოლო 1977- 1981 წლებში ამავე უნივერსიტეტის ასპირანტი.

მისი სამეცნიერო ხარისხები და წოდებები მრავალრიცხოვანია: იგი არის ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი და დოქტორი, დოცენტი და პროფესორი, საქართველოს ეკონომიკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, საქართველოს ეკონომიკის მეცნიერებათა და საქართველოს საზოგადოებრივ მეცნიერებათა (პოლიტოლოგიის) დარგობრივი აკადემიების ნამდვილი წევრი.

ვახტანგ სართანიას შრომითი გამოცდილება 1981 წლიდან დაიწყო: ის გახლდათ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან არსებული საქართველოს სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, სექტორის გამგე. ა.ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პრორექტორი აღმზრდელობით და საგარეო ურთიერთობების დარგში;

UNESCO-ს შტაბ-ბინის (პარიზი) ეგიდით UNESCO-ს მშვიდობის, კულტურისა და დემოკრატიის საერთაშორისო კათედრის გამგე და UNESCO-ს სამხრეთ კავკასიის სუბრეგიონული პროექტის „პრომეთეს“ მთავარი კორდინატორი, ხოლო 1992-1997 წლებში სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ეკონომიკური თეორიისა და პოლიტოლოგიის კათედრის დოცენტი, პროფესორი, კათედრის გამგე. 1992 – 2005 წლებში სულხან-საბა ორბელიანის სახელობის



თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის რექტორად ვახტანგ სართანია არჩეულ იქნა ზედიზედ სამჯერ, 1992-1997, 1997-2002, 2002 – 2005 წლებში.

პროფესორი ვახტანგ სართანია 1998-2005 წლებში არჩეული იყო საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრად, ხოლო 1991-2002 წლებში საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების პრეზიდენტის წევრად. 2010 – 2018 წლებში ვახტანგ სართანია გახლდათ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი; ამავე უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის ფაკულტეტის დეკანი, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, სრული პროფესორი.

პროფესორი ვახტანგ სართანია მრავალი სამეცნიერო შრომის ავტორია, მისი მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები პოპულარულია აკადემიურ საზოგადოებაში. იგი „საქართველო - ჩვენი ფასეულობების,, თორმეტომეულის გამოცემის მთავარი კოორდინატორია.

ბატონი ვახტანგი აქტიურად არის ჩაბმული სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობაში და სიტემატურად მონაწილეობს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და ფორუმებში. იგი არჩეულია რუსეთის პედაგოგიკურ და სოციალურ და მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

პროფესორ ვახტანგ სართანიას დამსახურება სათანადოდ არის დაფასებული როგორც სამშობლოში, ისე უცხოეთში. იგი დაჯილდოებულია: ღირსების ორდენით (1998 წ.), იაკობ გოგებაშვილის მედლითა და პრემიით (2002-2003 წ.); საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის საპატიო დიპლომით “სტუდენტ ახალგაზრდობაში მასიური სპორტის ხელშეწყობისათვის”(2001 წ.), იტალიის, სიცილიის ქ. პალერმოს რენესანსის ინსტიტუტის ჯილდოთი „დემოკრატიის განვითარებისა და ხელშეწყობისათვის” (2002 წ.), მოვსეს ხორენაცის სახელობის მედლით (2002 წ.); მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტის დაარსების 250 და სანკტ-პეტერბურგის სამას წლისთავთან დაკავშირებით საიუბილეო მედლებით (2002-2003 წ.წ.); „წლის ადამიანის,, წოდება, აშშ ქ. ვაშინგტონის საერთაშორისო კვლევის ამერიკული ბიბლიოგრაფიული ინსტიტუტი (2003 წ.), „21-ე საუკუნის მოაზროვნის დიპლომით“, აშშ ბიოგრაფიის ინსტიტუტი (2011 წ.); ჰუმანური პედაგოგიკის საერთაშორისო ასოციაციის მედლით, დიპლომით და ჰუმანური პედაგოგიკის რაინდის ოქროს სამკერდე ნიშნით (2012 წ.); ებრაელთა საერთაშორისო კონგრესის მიერ ქართულ-ებრაულ ურთიერთობებში შეტანილი წვლილისთვის (2016 წ.).

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის და ჟურნალ „მოამბის“ რედაქცია გულითადად ვულოცავთ ჩვენს კოლეგას და მეგობარს დაბადებიდან 75-ე წლისთავს და ვუსურვებთ წარმატებებს როგორც პირად ცხოვრებაში, ისე საზოგადოებრივ და პროფესიულ საქმიანობაში ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

## კახა ქორიძე – 75



საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს – კახა ქორიძეს 75 წელი შეუსრულდა.

იგი დაიბადა ქალაქ თბილისში, 1948 წლის 14 სექტემბერს. დაამთავრა 53-ე საშუალო სკოლა. სწავლა განაგრძო პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტზე, არქიტექტურის განხრით, რომელიც 1972 წელს წარჩინებით დაასრულა, 1976-1978 წლებში კი - ასპირანტურა.

მთელი თავისი ცხოვრება, სკოლის მერხიდან მოყოლებული თავისუფლად მოაზროვნე მრავალმხრივი ნიჭითა და შრომის უნარით დაჯილდოებული შემოქმედი მუდამ ერთგულად, მასშტაბურად და მამულიშვილურად იღწვის ქართველი ერის საკეთილდღეოდ. ტრადიციული ოჯახის პატრონი, ექვსი შვილის მამა, შეთავსებით სამოთხ ადგილზე მუშაობდა და ყველგან მნიშვნელოვანი კვალი დატოვა – იქნებოდა ეს კ/ფილმი „ღიმილის ბიჭები“, თუ კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დამდგმელი მხატვარი, „კინომსახიობთა თეატრის“ მთავარი მხატვარი, მოსკოვის დონის მონასტრის არქეოლოგიური ექსპედიციის მთავარი არქიტექტორი, საპროექტო ინსტიტუტებში პროექტის მთავარი არქიტექტორი, ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის სამსახურის უფროსის მოადგილე. ამ თანამდებობებსა და აღიარებებს ის არასდროს გამოკიდებია, პირიქით, მისი პრინციპებიდან გამომდინარე, ხშირად უარს ამბობდა შეთავაზებულ კინოროლებზე, ზოგი პიესის მხატვრულად გაფორმებაზე, კონკურსებში მიღებულ პირველ პრემიებზე, თუმცა, ამ სახელმწიფოებრივად მოაზროვნე მოქალაქემ მაინც ბევრი პრემია, ორდენი და ჯილდო მიიღო.

1987 წელს წარმატებით დაიცვა დიპლომი სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტში თემაზე „საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის ინფორმაციული სისტემის სრულყოფა“, სადაც წამოაყენა იდეა ახლად შექმნილი გარემოს დაცვის სამინისტროს, რომელსაც ქსელი არ გააჩნდა, არსებული ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის სამსახურთან გაერთიანების, ხოლო მეტეო და გარემოს კონტროლის სადგურები განთავსებულიყო მხოლოდ 79 რაიონულ ცენტრში, რომლებიც მონაცემებს მიიღებდნენ სკოლის საგუშაგოებიდან, რაც ერთდროულად ხელს შეუწყობდა ეკოლოგიური განათლების შეტანას სკოლებში და ბევრად ეკონომიური იქნებოდა სახელმწიფოსთვის. ამას მოჰყვა საკავშირო პრესაში სტატიები.

1990 წლის დასაწყისში, იგი საქართველოს განათლების მეცნიერების დაჟინებული მოთხოვნით, გადაყვანილ იქნა განათლების სამინისტროში მინისტრის მოადგილედ რეფორმის განსახორციელებლად, შეუდგა განათლების სისტემის პასპორტიზაციას, მასზე დაყრდნობით მსოფლიო საგანმანათლებლო მოდელების შესწავლას და საქართველოსთვის შეიმუშავა უწყვეტი განათლების კონცეფცია თავისი ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებებით. ნაშრომი მოიცავდა 1500-გვერდიან 3 ტომსა და ძირითად სექციებს. ახალი საგანმანათლებლო მოდელი გახსნილი და განვითარებადი იყო მომავალში ახალ რეალობათა გასათვალისწინებლად. რეფორმაში მნიშვნელოვანი იყო ის, რომ სისტემის ცენტრში, პედაგოგის ნაცვლად, დადგა მოზარდი. სკოლას საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლის კვალდაკვალ ევალუბოდა მოზარდის უნარებისა და მიდრეკილებების გამოვლენა, განვითარება და მომავალ სპეციალობაზე ორიენტირება, რისთვისაც ზოგად-

საგანმანათლებლო სწავლება 8 კლასით შემოიფარგლა, ხოლო IX-XII კლასების პროფილურ განათლებას შეერწყა დაწყებითი პროფესიული განათლება. არსებული პროფტექნიკური სასწავლებლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზები უნდა ჩართულიყო უწყვეტი განათლების სისტემაში, როგორც მასიური პრესტიჟული ახალი სასწავლებელი – ლიცეუმი.

უმაღლესი განათლება წარმოადგენილ იქნა ორსაფეხურიან, საშუალო პროფესიულ განათლებად (ბაკალავრიატი – კოლეჯი, ინსტიტუტი) და უმაღლეს პროფესიულ განათლებად (მაგისტრატურა, ასპირანტურა – სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, უნივერსიტეტი). ამასთან, მაგისტრატურაში სწავლების უფლება მიეცემოდა მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-კვლევით და დარგობრივ სამინისტროებთან არსებულ კვლევით ინსტიტუტებს. ამით განათლების სისტემაში ჩაერთვებოდა როგორც ქვეყანაში არსებული ინტელექტუალური პოტენციალი, ისე მათი არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზები. უწყვეტი განათლების კონცეფცია შეთანხმდა მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან, განათლების, ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროებთან და მსოფლიო ბანკთან, მაგრამ არ ცხრებოდა განხილვები პრესასა და ტელევიზიაში, პარლამენტსა და მთავრობაში. 1992 წელს, მთავრობის დადგენილებით, კახა ქორიძე მივლენილ იქნა ქუთაისსა და ფოთში უწყვეტი განათლების კონცეფციის ექსპერიმენტის სახით განსახორციელებლად. 1994 წელს შედეგების განხილვა წარმატებით დასრულდა. 1995 წელს კახა ქორიძე არჩეულ იქნა განათლების აკადემიის აკადემიკოსად, მაგრამ მინისტრებისა (6) და მოადგილეების (36) ხშირი ცვლისა და სუბიექტური მიზეზების გამო, რეფორმა შეფერხდა.

1996-2004 წლებში იგი მთავარი სახელმწიფო მრჩეველი იყო პრეზიდენტის კანცელარიაში და კურატორობდა მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, ურბანიზაციისა და მშენებლობის, გარემოს დაცვისა და კავშირგაბმულობის დარგებს. სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ქმნიდა დარგებისათვის მნიშვნელოვან კონცეფციებს. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

2009 წლიდან საქართველოს სამეფო სახლის კანცლერია. საერთაშორისო კანონმდებლობაზე დაყრდნობით, დაადგინა ბაგრატიონთა სახელოვანი გვარის შტოებში სამეფო ტახტის მემკვიდრე და გამოავლინა ისტორიოგრაფიაში დაშვებული შეცდომები. 2016 წელს გამოსცა წიგნი „ბაგრატიონები“. სახელმწიფო კანცლერიამ მსოფლიო სამეფო სახლებს გააცნო ბაგრატიონების 1200-წლიანი დინასტია და დაამყარა მათთან კავშირები. ბაგრატიონთა დინასტიის კულტურულ მემკვიდრეობად აღიარებისთვის კულტურის სამინისტროში წარადგინა პროექტი.

საქართველოს განათლების აკადემიის პრეზიდენტი და ჟურნალ „მოამბის“ რედაქცია ვულოცავთ კახა ქორიძეს დაბადებიდან 75 წლის იუბილეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობასა და ხანგრძლივ სიცოცხლეს ჩვენი ხალხისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

## გიორგი მათიაშვილი - 70



საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ გიორგი მათიაშვილს 70 წელი შეუსრულდა.

გიორგი მათიაშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 1975 წლიდან ეწევა სამეცნიერო პედაგოგიურ საქმიანობას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემასა და განათლების სფეროში. იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ინსტიტუტის სწავლული მდივანი; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სულხა-საბა ორბელიანის სახ. პედაგოგიური უნივერსიტეტის დოცენტი, თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის, გურამ თავართქილაძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი, კათედრის გამგე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, პრორექტორი, რექტორი. ამჟამად არის საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი.

1992-2004 წლებში, 12 წლის მანძილზე, გიორგი მათიაშვილი მუშაობდა საქართველოს განათლების მინისტრის მოადგილის თანამდებობაზე, კურირებდა უმაღლეს განათლებას. იმ პერიოდში ქვეყანას ახლად ჰქონდა მოპოვებული დამოუკიდებლობა და მიმდინარეობდა უმაღლესი განათლების სისტემის რეფორმა, რაშიც თავისი წვლილი გიორგი მათიაშვილმაც შეიტანა. სამინისტროში მუშაობის დროს იგი მონაწილეობდა საქართველოს განათლების პირველი კანონის შექმნის პროცესში, მისი თანავტორობით შემუშავდა და დამტკიცდა უმაღლესი სასწავლებლების აკრედიტაციის პირველი დებულება, უმაღლესი სასწავლებლები გადავიდნენ სამსაფეხურიან სწავლებაზე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) დამკვიდრდა ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და აღიარების სისტემა და სხვა. გიორგი მათიაშვილი მონაწილეობდა უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ცნობის კონვენციის შემუშავებელი კომისიის (ჰააგა), ლისაბონის კონვენციის მიღების დიპლომატიური კონფერენციის (ლისაბონი), კონფერენციის - ევროპის რეგიონის უმაღლესი განათლების სისტემის განვითარების პერსპექტივები 21-ე საუკუნეში (პარიზი), მსოფლიო კონფერენციის „უმაღლესი განათლება 21-ე საუკუნეში“ (პარიზი) მუშაობაში. ხელმძღვანელობდა საქართველოს დელეგაციას იუნესკოს ეგიდით გამართულ სამთავრობათშორისი კომიტეტების თათბირზე (პარიზი). აღნიშნულ საერთაშორისო ფორუმების რეკომენდაციებმა და გადაწყვეტილებებმა დიდად შეუწყეს ხელი საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის რეფორმას.

გიორგი მათიაშვილის სამეცნიერო ინტერესების სფეროა ჰუმანიტარული და განათლების მეცნიერებები, ინტერპერსონალური კომუნიკაციის მეთოდები. მას გამოქვეყნებული აქვს სამი წიგნი და 40-მდე სამეცნიერო ნაშრომი, მონაწილეობდა მრავალ სამეცნიერო კონფერენციაში, არის საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტის სამეცნიერო ნაშრომთა კრებულის მთავარი რედაქტორი.

გიორგი მათიაშვილს გავლილი აქვს სტაჟირება აშშ-ში „უმაღლესი განათლების ხელმძღვანელთა პროგრამით“, ტრენინგები: სწავლების თანამედროვე მეთოდები;

ადამიანური რესურსების მართვა და ხარისხი; თანამედროვე კომუნიკაციები და ბიზნეს მოლაპარაკებები; უმაღლესი განათლების მიმართულებები: „აკადემიური მეწარმეობა“.

განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის და სამეცნიერო ჟურნალ „მოამბის“ რედაქცია გულითადად ვულოცავთ განათლების სფეროს ამაგდარ მუშაკს, პროფესორ გიორგი მათიაშვილს საიუბილეო თარიღს და ვუსურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლესა და ნაყოფიერ სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას.



## მურად მთვარელიძე - 70

მურად მთვარელიძე 70 წლისა გამხდარა..., რაღაც საოცარი სისწრაფით გარბის დრო, ხშირად უკან მოხედვასაც ვერ ასწრებ და მხოლოდ გაფრენილი დრო თულა მიგანიშნებს განვლილ წელთა სიმრავლეზე. ამიტომაც არის რომ 70 წლის მურად მთვარელიძე, ცოტა არ იყოს და ვერა და ვერ გავითავისე, - ისევ ის მურადი მახსოვს, სვეტიცხოველის ხელმეორედ აგებაზე რომ ოცნებობდა...და ახლა, როცა განვლილ წლებზე ვფიქრობ, უფრო და უფრო მიმყარდება აზრი, რომ მურად მთვარელიძეს ნამდვილად შეეძლო, სხვაგვარად წარემართა ცხოვრების გზა, ისიც დამკვიდრებულებიო დედაქალაქში, მაგრამ ვერადავერ შეეღია თავისი ადგილის დედას, თავის ხცისსა და ხაშურს. ამით მან ერთი რამ გვითხრა: თუ ქვეყნის სამსახური გინდა, პერიფერიიდანაც შეიძლება ემსახურო, შენს სამშობლოს, აქაც, პატარა ქალაქშიც შეიძლება, შენი სათქმელი თქვა, გინდა შემოქმედებით, გინდა - მეცნიერების მსახურებით.

მურად მთვარელიძე - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრი, საქართველოს საპატრიარქოს სოფლების ისტორიის შემსწავლელი ცენტრის დამფუძნებელი და ბევრი სხვა საზოგადო საქმის ორგანიზატორი.

ჩვენს ხელთ არის მურად მთვარელიძის ნახევარსაუკუნოვანი ნაყოფიერი კვლევითი და შემოქმედებითი მუშაობის დასტური - ორმოცდაათი წიგნი, ბევრიც დღის სინათლეს რომ ელოდება. ეს არის მისი პოეტური და პროზაული ქმნილებები. მურად მთვარელიძის არაერთი გამოკვლევა შუქს ფენს ქართული მწერლობისა და ლიტერატურის ჯერაც უცნობ საკითხებს. მიმდინარე წელს მკითხველმა საზოგადოებამ მიიღო მისი ბიოგრაფიული რომანი „ამბები მათზე და ჩემზე“. საოცარი დინამიურობით იკითხება ამბები „ჩვენზე“ და „მასზე“. ცალკე უნდა აღინიშნოს მურად მთვარელიძის საქმიანობა დიდი თანამემამულის დიმიტრი ყიფიანის შესწავლის საქმეში. აქვე ვიტყვით, რომ მურად მთვარელიძემ ფასდაუდებელი ღვაწლი დასდო ქვიშხეთში დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის დაარსებას. იუბილარის ინტერესები მრავალფეროვანია - განათლება და სკოლა, მწერლობა და კულტურა, ჟურნალიტიკა და კიდევ ბევრი სხვა.

მურად მთვარელიძე ხაშურის მუნიციპალიტეტში განათლების დარგის ერთ-ერთი აღიარებული ორგანიზატორია. იგი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ამ დარგს და წარმატებითაც. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მოღვაწეობა ქალაქის მე-6 და მე-9 საჯარო სკოლებში. მე-6 სკოლას, დღესაც მთვარელიძის სახელით მოიხსენიებენ.

რადგან განათლებაზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება, ყურადღება არ მივაპყროთ მის მიერ დაარსებულ სერიას - „ჩემი ქართულის მასწავლებელი“. ამ სერიით გამოვიდა 8 წიგნი. ქართული ენისა და ლიტერატურის რამდენ კარგ მასწავლებელს მოეფერა, ამით რამდენი სახელი დაუბრუნა საზოგადოებას, რამდენს ღვაწლმოსილ მასწავლებელს გაუხანგრძლივა სიცოცხლე...

მურად მთვარელიძემ ფასდაუდებელი ამაგი დასდო ხაშურში ლიტერატურულ ცხოვრებას. თავად შესანიშნავი მწერალი ყოველთვის ლიტერატურული ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა და დიდი მონდომებით ეძებდა დამწყებ ლიტერატორებს, და არაერთს დაულოცა გზა დიდ ქართულ მწერლობაში.

ცალკე უნდა აღინიშნოს მისი მოღვაწეობა ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. არაერთი საინტერესო ნარკვევი თუ შრომა უძღვნა მშობლიური ქალაქის ლიტერატურულ ცხოვრებასა და, საერთოდ, კულტურის ისტორიის შესწავლას. საყურადღებო შრომაა „ქვიშეთი - ქართველ მწერალთა სავანე“ (2009). საყოველთაო მოწონება დაიმსახურა „ხაშურის ლიტერატურულმა ენციკლოპედიამ“. ეს არის ხაშურის ლიტერატურული, საერთოდ, კულტურული ცხოვრების ისტორიის მნიშვნელოვანი შენაძენი.

მურად მთვარელიძე 70 წლის გამხდარა... სამოცდაათი წელი ალბათ რაღაცას ნიშნავს ადამიანისათვის, მით უფრო შემოქმედისა და მკვლევრისათვის. ეს მარტო წლების სიმრავლე არ არის, თითქოს, რაღაც რომ დამთავრდა, თითქოს რაღაც ახალი რომ იწყება... ეს ალბათ დუდილის დამთავრებისა და უფრო სიბრძნის წლებია, როცა საზოგადოება ჩვენი იუბილარისგან, ახალს, უფრო დიდსა და მნიშვნელოვანს ელის...

**თამაზ ლაცაბიძე**  
**ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი**

*ბატონ მურად მთვარელიძის საიუბილეო შეხვედრაზე, რომელიც გაიმართა 2023 წლის 2 ნოემბერს, ქალაქ ხაშურში, იუბილარს მრგვალი თარიღი ჩვენი საზოგადოების მრავალმა თვალსაჩინო მოღვაწემ მიულოცა. მათგან მკითხველს ვთავაზობთ ერთ-ერთ გამოსვლას.*

ბატონო მურად!

მოხარული ვარ, რომ მომეცა შესაძლებლობა ამ ლამაზ, თქვენთვის ძვირფას დღეს მოგილოცო საიუბილეო თარიღი.

დღეს აქ გამომსვლელებმა დაწვრილებით ისაუბრეს მურად მთვარელიძის როგორც მწერლისა და როგორც პედაგოგის შესახებ. ამ მიმართულებით კიდევ ბევრის თქმა შეიძლება, მაგრამ მე მაინც მიმაჩნია კიდევ სხვა მურად მთვარელიძეც დავანახოთ საზოგადოებას. თქვენ ხართ კაცი, რომელიც პატრონობთ იმ ადამიანებს, რომელთა უმრავლესობა საკუთარი ოჯახის წევრების მეტმა თითქმის დაივიწყა. ამის დასტურია



ახლახან თქვენს მიერ გამოცემული „ხაშურის ლიტერატურული ენციკლოპედია“, რომელმაც დავიწყებას გამოსტაცა ის ადამიანები, რომლებიც ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტში. ქართულ სინამდვილეში იშვიათია პედაგოგი, რომელსაც ამდენი გამორჩეული აღზრდილი ჰყავს. დღეს აქ გამოსული თქვენი მადლიერი მოსწავლეები ამის დასტურია. ჩემი პატარა გამოსვლა დავასრულო ვახტანგ VI-ის ცნობილი სიტყვებით:

„კაცმან უნდა თავის საქმე ყველა ღვთითა მოივარგოს,  
ამ სოფელსა ხელი ჰყაროს, იქაც ბარგი დაიბარგოს,  
მოყვარეთ და ამხანაგთა თავის რიგით რამე არგოს,  
სახელის ხე საჩრდილობლად წყლისა პირსა სამე დარგოს“.

**სერგო ვარდოსანიძე**  
**საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი,**  
**ისტორიისა და თეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი**

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და ჟურნალ „მოამბის“ რედაქცია ვულოცავთ ჩვენი აკადემიის აკადემიკოსს, ბატონ მურად მთვრელიძეს ღირსეულად განვლილ 75 წელს. წინ კიდევ დიდი გზა აქვს გასავლელი. მისი უშრეტი ენერჯია, ცოდნა და გამოცდილება იმის დასტურია, რომ იგი კიდევ ბევრჯერ გაახარებს მისი ნიჭის დამფასებლებს, როგორც შემოქმედებითი მიღწევებით, ისე მეცნიერული აღმოჩენებით და დიდხანს იქნება ასე შემართული მისი სათაყვანო ქვეყნის საკეთილდღეოდ.

## გამოსათხოვარი

### მეგობრის ხსოვნას!

/აკადემიკოს ინეზა იამანიძის გახსენება/



უკვე რამდენიმე თვე გავიდა ცნობილი ქართველი ქალბატონის, განათლების დარგის თვალსაჩინო წარმომადგენლის, ბრწყინვალე პედაგოგის, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, განათლების დარგის ღვაწლმოსილი მუშაკის, უმაღლესი დონის პროფესიონალის ინეზა იამანიძის გარდაცვალებიდან.

ქალბატონი ინეზა მოწოდებით იყო პედაგოგი. მას საოცრად უყვარდა სკოლა და მოსწავლეები. თითქმის მთელ დროს ბავშვებთან ატარებდა და მათ ზნეობრივად სრულყოფილ ადამიანებად აღზრდის საქმეს ანდომებდა.

შესაბამისად. მოსწავლეებსაც ძალიან უყვარდათ ინეზა მასწავლებელი. მე მქონდა ბედნიერება მენახა მისი ყოფილი მოსწავლეების წერილები ინეზა მასწავლებლისადმი. ძნელია მათი წაკითხვა განსაკუთრებული ემოციების გარეშე. ზოგიერთი მოსწავლე „მეორე დედასაც“ უწოდებს საყვარელ პედაგოგს.

ქალბატონი ინეზა მარტო პრაქტიკოსი პედაგოგი კი არ იყო, არამედ მრავალი მეთოდური ნაშრომის ავტორიც გახლდათ. საყოველთაო აღიარება მოიპოვა მისმა სამეცნიერო-მეთოდურმა ნაშრომმა „საავტორო სკოლის მოდელი“. ამ მოდელის მიხედვით შეიქმნა საავტორო სკოლა კომპლექსი, რომელსაც თვითონვე ჩაუდგა სათავეში.

მანამდე კი იყო 133-ე სკოლის მათემატიკის მასწავლებელი. 1979 წლიდან 1981 წლამდე მუშაობდა ალჟირის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკაში საელჩოსთან არსებულ სკოლაში მათემატიკის მასწავლებლად.

1981 წლიდან იგი ბრუნდება საქართველოში და მუშაობას იწყებს თბილისის გალაკტიონ ტაბიძის სახელობის 51-ე სკოლაში დირექტორის მოადგილედ, 1985 წლიდან კი ამ სკოლის დირექტორი ხდება. მანამდე კი სკოლის დირექტორი იყო განათლების დარგის ბრწყინვალე სპეციალისტი, დამსახურებული პედაგოგი ქალბატონი ქეთევან ჩაჩავა. ამ ქალბატონის ავტორიტეტი იმდენად დიდი იყო, რომ მისი ღვაწლისა და დამსახურების გამო ამ სკოლას „ჩაჩავას სკოლას“ ეძახდნენ. ეს ვითარება იმიტომ გავიხსენე, რომ ქალბატონმა ინეზამ ისე ღიღებულად გააგრძელა ქალბატონი ქეთევანის საქმე, რომ ქალბატონი ინეზას დირექტორობიდან მალე მას „ინეზა იამანიძის სკოლას“ უწოდებდნენ. იმის შესახებ, თუ რა დიდი ავტორიტეტი ჰქონდა 51-ე სკოლასა და მის დირექტორს სხვისი მონათხრობით არ ვიცი. ჩემი ორივე შვილი მის სკოლაში სწავლობდა და თავად ვხედავდი ამას.

ქალბატონი ინეზა შესანიშნავი მკვლევარი იყო. მას, გარდა მეთოდური წიგნებისა, აქვს სამეცნიერო ნაშრომები საკუთრივ სკოლაზე, მისი რეფორმირების აუცილებლობაზე. საინტერესო წინადადებები და რეკომენდაციები ჰქონდა განათლების კანონზე.

ყოველთვის დიდი ყურადღებით ისმინებოდა ქალბატონი ინეზას გამოსვლები სამეცნიერო კონფერენციებსა და სესიებზე.



ქალბატონი ინეზა იყო თანაავტორი იმ უმნიშვნელოვანესი ნაშრომისა, რომელიც ამ უკანასკნელ პერიოდში გამოვიდა განათლების საკითხებზე. ეს გახლავთ ფუნდამენტური ორენოვანი ნაშრომი /ქართულ და ინგლისურ ენებზე/ „საქართველოს განათლების მატრიანე“. მისი ავტორები არიან პედაგოგიკის დარგის თვალსაჩინო წარმომადგენლები: აკადემიკოსი ნათელა ვასაძე, პროფესორები: ავთანდილ ასათიანი, რევაზ ბალანჩივაძე, იმერი ბასილაძე, ლუბა ბიბილეიშვილი, ინეზა იამანიძე, თამაზ კარანაძე, დავით მალაზონია. შოთა მალაზონია, თამაზ ტატიშვილი

იდეის ავტორი და მთავარი რედაქტორია აკადემიკოსი ნათელა ვასაძე, ქართული გამოცემის რედაქტორი პროფ. ლუბა ბიბილეიშვილი, ინგლისური გამოცემისა - პროფ. ნათელა დოლონაძე.

წიგნის მეცნიერ-კონსულტანტია საქართველოს ეროვნული მეცნიერების აკადემიის პრეზიდენტი როინ მეტრეველი, რომელმაც თავის შესავალ წერილში უმაღლესი შეფასება მისცა ამ წიგნს და მას „ენიკლოპედური ნაშრომი“ უწოდა.

უადრესად ნაყოფიერი იყო ქალბატონი ინეზას საქმიანობა ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს მწიგნობართა ასოციაციაში. მე იქ თავმჯდომარის მოადგილე ვიყავი /ცხადია, შეთავსებით/ და ყველა მის ღობისძიებაში ვიყავი ჩართული. ამდენად, კარგად მახსოვს მისი საქმიანი გამოსვლები და წინადადებები.

ქალბატონი ინეზა აქტიურად თანამშრომლობდა განათლების სამინისტროსთან. უმეტესწილად იგი ექსპერტად გამოდიოდა და სამინისტროც უმეტესწილად ითვალისწინებდა მის შენიშვნებსა და რეკომენდაციებს.

ქალბატონი ინეზა ნამდვილი ნოვატორი იყო. გაბედულად ნერგავდა სიახლეებს. ზოგჯერ ისეთი საგნებიც კი შემოჰქონდა, რომლებიც სასწავლო გეგმით გათვალისწინებული არ იყო. მახსოვს ერთხელ მთხოვა; დაარქვი რაც გინდა შენს საგანსაც /თუნდაც „ფილოსოფიური საუბრები“ ოღონდ ჩემს დამათავრებელ კლასებში კვირაში ერთხელ მაინც შედი არ მინდა ჩემმა მოსწავლეებმა სკოლა ისე დაამთავრონ, რომ შენს ხელში არ გაიარონო. მე ეს თხოვნა სიამოვნებით მივიღე. ვფიქრობ ეს შეხვედრები სასიამოვნოც იყო და სასარგებლოც მოსწავლეებისთვისაც. ბევრი დირექტორი ამას ვერ გაბედავდა.

ქალბატონო ინეზა ჩემი უმცროსო მეგობარი იყო. ჩვენ ჯერ კიდევ ქუთაისიდან ვიცნობდით ერთმანეთს. მე ვამაყობდი და ვამაყობ მასთან მეგობრობით. ძალიან მწყდება გული იმის გამო, რომ ჩემი ტრამვების გამო ვერც მის დაკრძალვას დავესწარი და ვერც ვერავითარი პატივი მივაგემის ხსოვნას. დაე, ნათელში იყოს ჩემი უნიჭიერესი და უკეთილშობილესი მეგობარი! სანამ საქართველოში სკოლა და მოსწავლე არსებობს, შენს სახელს დავიწყება არ უწერია, ჩემო უერთგულესო მეგობარო, ჩემო ინეზა!

**რევაზ ბალანჩივაძე, პროფესორ-ემერიტუსი,  
ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა  
აკადემიის აკადემიკოსი, იაკობ გოგებაშვილის პრემიის ლაურეატი**

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი და ჟურნალ „მოამბის“ რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის, პროფესორ ინეზა იამანიძის გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს განსვენებულს ოჯახს, მის მეგობრებსა და კოლეგებს.



## აკაკი ზოიძე

ძნელია წარსულ დროში ილაპარაკო იმ ადამიანზე, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე იყო შენი ახლობელი, მეგობარი და ჭირვარამის მოზიარე, გულისხმიერი, ყურადღებიანი პიროვნება. ასეთი იყო საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, განათლების მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, პროფესორი აკაკი ზოიძე.

აკაკი ზოიძე დაიბადა 1941 წლის 27 ოქტომბერს, შუახევის რაიონის სოფელ ბრილში. აქვე დაამთვრა მან რვაწლიანი სკოლა, 1958 წელს კი ჭვანის საშუალო სკოლა და იმავე წელს ჟურნალით ხელში მასწავლებლად დაუბრუნდა მშობლიურ სკოლას, ხოლო 1960 წელს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა.

სტუდენტობის პერიოდში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა სტუდენტთა სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებსა და საამშენებლო რაზმებში, საიდანაც ყოველთვის საპატიო სიგელებით, დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით ხელდამშვენებული ბრუნდებოდა.

ინსტიტუტი ბატონმა აკაკიმ 1964 წელს წარჩინებით დაამთავრა და განაწილების მიხედვით მუშაობა დაიწყო მშობლიური სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებლად. ასწავლიდა ასევე ბიოლოგიასა და ქართულ ენასა და ლიტერატურას. აქ მან თავისი მუხლჩაუხრელი შრომით მაშინვე მიიქცია სკოლის დირექციისა და განათლების მუშაკთა ყურადღება. ამიტომაც იყო, რომ 1969 წელს, როცა გაიხსნა საქართველოს განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ბათუმის ფილიალი, 1971 წელს იგი დაინიშნა აქ დაწყებითი განათლების სასწავლო-მეთოდური კაბინეტის გამგედ. 30 წლის განმავლობაში წარმატებით ხელმძღვანელობდა იგი აღნიშნულ კაბინეტს და საქმიან დახმარებას უწევდა საკონსულტაციოდ მოსულ აჭარა-გურიისა და ქალაქ ფოთის დაწყებითი სკოლების მასწავლებლებს, ატარებდა გასვლით სემინარებს, კითხულობდა ლექციებს კურსებზე მოწვეულ მასწავლებლებთან და სხვ. მისი კაბინეტის მუშაობა ჯერ შეისწავლა, განაზოგადა და მაღალი შეფასება მისცა საქართველოს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ცენტრალურმა ინსტიტუტმა, ხოლო შემდეგ აღინიშნა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე, რომლის მონაწილე თავადაც გახლდათ.

დახელოვნების ინსტიტუტში მუშაობის პარალელურად ბატონი აკაკი წლების განმავლობაში კითხურობდა ლექციებს ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტსა და წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში, გონიოს კოოპერციულ ინსტიტუტში, პედაგოგიურ კოლეჯში.

ცალკე აღნიშვნის ღირსია აკაკი ზოიძის ხანგრძლივი, უანგარო და ნაყოფიერი საქმიანობა საქართველოს იაკობ გოგებაშვილის პედაგოგთა კავშირის აჭარის განყოფილებაში. აქ მან ორ ათეულ წელზე მეტი იმუშავა ამ ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილედ, 2003 წლიდან კი თავად ჩაუდგა სათავეში მას და სიცოცხლის უკანასკნელ

დღემდე წარმატებით ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას. იგი ყურადღების გარეშე არ ტოვებდა არცერთ პედაგოგიურ გამოცდილებას და პრესაში ანზოგადებდა მათ. ასევე აქვეყნებდა იგი მასწავლებელთა საიუბილეო თარიღებისადმი მიძღვნილ წერილებს გაზეთ „აჭარისა“ და „ახალი განათლების“ ფურცლებზე. 1981 წელს ჟურნალ „ნაროდნოეობრაზოვანიეში“ გამოქვეყნებული პედაგოგიური ნაშრომისათვის სსრ კავშირის პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემიის ჯილდო დაიმსახურა.

აკაკი ზოიძე არის ოცამდე წიგნის, არაერთი საგაზეთო და საჟურნალო წერილის, სტატიის, რეცენზიისა თუ მეთოდური ხასიათის ნაშრომის ავტორი. ხანგრძლივი და ნაყოფიერი პედაგოგიური მუშაობისათვის იგი დაჯილდოებულია აჭარის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საპატიო სიგელებით; არის საპატიო შუახვევლი, საპატიო ჭვანელი და საპატიო მარეთელი.

წავიდა ჩვენგან ვალმოხდილი პიროვნება, უკეთილშობილესი ადამიანი, ზნეობითა და დიდი ნიჭით გამორჩეული ადამიანი, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ერისა და ქვეყნის სამსახურს შეაღია. მისი ხსოვნა მარად დაუვიწყარი იქნება ყველა ჩვენგანისა და იმათ გულებში, ვინც მას იცნობდა და ახლო ურთიერთობა ჰქონდა მასთან.

**საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის  
აჭარის განყოფილება  
საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი  
ჟურნალ „მომბის“ რედაქცია**

## ავტორთა საყურადღებოდ!

„საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“ არის რეცენზირებადი და რეფერირებადი პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი. რეფერირებულია საქართველოს ტექნიფორმის ქართულ რეფერატულ ჟურნალში და სრულიად რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო და ტექნიკური ინფორმაციის ინსტიტუტის (ВИНИТИРАН) საერთაშორისო რეფერატულ ჟურნალში. შეტანილია საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებულ სამეცნიერო ჟურნალების ნუსხაში, რომლის თანახმადაც, ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია ჩაითვლება დისერტაციისათვის გამიზნულ სამეცნიერო ნაშრომად.

ჟურნალი მოეწოდება საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების და კვლევითი დაწესებულებების თითქმის ყველა ბიბლიოთეკას, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკას, ეროვნულ ბიბლიოთეკას, ტექნიფორმს და სხვ.

გამოსაქვეყნებელი ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- სამეცნიერო სტატია შეიძლება დაწერილი იყოს ქართულ, რუსულ ან ინგლისურ ენაზე;

- ნაშრომს უნდა ახლდეს რეზიუმე (8-10 სტრიქონი) და საკვანძო სიტყვები (4-8) სტატიის და რეზიუმეს ენებზე. ამავე ენაზე უნდა ითარგმნოს ავტორის სახელი, გვარი და ნაშრომის სათაური, სამეცნიერო ხარისხი, აკადემიური თანამდებობა და სამუშაო ადგილი.

- ლიტერატურა მოცემული უნდა იყოს ორიგინალის ენაზე საერთაშორისო APA ს სტილის მიხედვით. ლიტერატურის სია დალაგებული უნდა იყოს ანბანური პრინციპით. თავდაპირველად ქართულენოვანი ლიტერატურა, შემდეგ ევროპულ და რუსულ ენებზე.

- ნაშრომი უნდა იყოს აწყობილი Microsoft Word-ში;
- ქართული ნაშრომი იწყობა Sylfaen შრიფტით;
- რუსული და ინგლისური ნაშრომები იწყობა Times New Roman შრიფტით;
- შრიფტის ზომა 12, ინტერვალი 1,5; ველის ზომა მარჯვენა მხარეს - 30 მმ, მარცხენა, ზედა და ქვედა ველი უნდა იყოს 20-20 მმ.

- ნაშრომის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 8 ნაბეჭდ 4 ზომის გვერდს, თანდართული ძირითადი ლიტერატურის ჩამონათვალით (არაუმეტეს 8-10 დასახელებისა) და რეზიუმეების ჩათვლით;

- ნაშრომს ცალკე ფურცელზე უნდა დაერთოს ავტორის საკონტაქტო რეკვიზიტები: მისამართი (სახლის, სამსახურის, სასწავლებლის). სამეცნიერო ხარისხი და წოდება, თანამდებობა, ტელეფონის ნომერი, ელ-ფოსტა;

- ნაშრომი უნდა მოგვაწოდოთ CD დისკით და ამობეჭდილი სახით ერთ ეგზემპლარად 4 ზომის ქაღალდზე;

- ნაშრომში გამოქვეყნებულ მასალაზე პასუხისმგებელია ავტორი;
- სტატიის ჟურნალში დაბეჭდვის ან დაბეჭდვაზე უარის თქმის შეტყობინება ხდება წარდგენიდან 3 თვის ვადაში.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვირეკეთ ტელეფონზე 5 95 44 91

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემია  
საქართველო, თბილისი, 0186, პოლიტკოვსკაიას ქ. №61  
ტელ: 5 95 44 91 21; 5 93 62 88 42  
ელ-ფოსტა: [ganatlebisakademia@gmail.com](mailto:ganatlebisakademia@gmail.com)  
ვებ-გვერდი: [www.sgma.ge](http://www.sgma.ge)

ACADEMY OF EDUCATIONAL SCIENCES OF GEORGIA  
61, Politkovskaya Str., 0186, Tbilisi, Georgia  
Tel: (+995 595) 44 91 21; (+995 593) 62 88 42  
E-mail: [ganatlebisakademia@gmail.com](mailto:ganatlebisakademia@gmail.com)  
WEB-page: [www.sgma.ge](http://www.sgma.ge)

© საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემია  
© ACADEMY OF EDUCATIONAL SCIENCES OF GEORGIA